

ISSN 1512-0546

# სამეცნიერო გარემონტი

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი აპრილი, 2014 წ. №7



ԱՅՑՅՈՒԹ ՀՐԱՄԱՆ

N7, 2014

ՍԵԿՐԵՏԱՐԻԱԼԻ ՀԱՅԱՀԱՆՐԱԴՐՈՒՅՈՒՆ  
ՍԱՀԱՅՑԲՈՎԱՀՐՄ-ՎՐԱՀՖՈՎԱՀՐՈՒՅՈՒՆ ՀԱՐՆԱԿՈՒՅՈՒՆ

**BULLETEN OF FORESTRY  
INTERNACIONAL REVIEW  
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE**

**ЛЕСНОЙ ВЕСТНИК**  
МЕЖДУНАРОДНЫЙ РЕФЕРИРОВАННЫЙ  
НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ԹՑՈՇՈՒՅՈՒՆ

## დამფუძნებელი და მთავარი ორგანიზაცია – რევაზ რბოლაძე

ტელ.: 223 72 19, 593 24 75 27

### სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე ბიძინა თავაძე

**წევრები:** შოთა ჭალაგაციძე, ელდარ ლოგიაციძე, ჯგუფმარ კუჭუხიძე, თამაზ ეურიძე, რევაზ ჩაგლიშვილი, თამაზ ქურდიძე, თანეგიზ უჩავეიშვილი, ტომი ბერიზაშვილი, ანზორ ჩავიძე, დავით გიგაური, ნათია იორჟანიშვილი, ლერი ჭოჭავა, ტრისტან ჩერქეზიშვილი, ლევან გვარავა, მორაბ ლვალი, თემიშვილ კაციელაძი, ბორის ბოქოლიშვილი, გივი ჯაფარიძე, ზაურ ბალამზარაშვილი, გიორგი გუპრაშვილი, გივი გაგოშიძე, ამირი ლუდმილა, ლევან გოცილიძე, არჩილ სუასტაშვილი, ელვარდ ლოგიაციძე, აკატა გიორგაძე, ვანო აკაუნიძე, ნუგზარ გერსამია, მაღონა სუსკივაძე, დავით რობაძიძე, კარლო ტულუში, ჯუმარ ლომიძე, დაინელ რიგლიძი (შვეიცარია), კირილ სოტიროვსკი (მაკედონია).

**კოროლინატორები:** რევაზ იმარა, ნოდარ მაშავეიშვილი, ზაქრო ჩიხრაძე, გოგი ლაშკევაციძე, ლეზო გაბაძავა, იზო მაზმიშვილი, თენებიზ მეტრეველი, ჯიმშერ გაბამსამა, იური ლომიძე, ლემანა გლიძაძე, გურაა თევდორაძე, უჩა ჯაფარიძე, ბიძინა ნირსებაშვილი, მარსელ გაჭავარიძე, გესარიონ ყაველაშვილი, რთარ ლვალაძე, ვასილ გაისურაძე, ელისო უდილაშვილი, მიხეილ ჭედელაშვილი, ნიკა საბაციძე.

**აასუსისგებების რედაქტორი:** ჯულიეტა კაზარიძე

ტელ: 593-63-07-97

**ტექნიკური მეცნიერი:** ჯონი გევორგიძე ტელ: 593 978-670

**გამოცემები:** ინდ/მეწარმე რევაზ რბოლაძე

---

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნანა მასურაშვილი tel.: 593 50-42-44

დაიბეჭდა: მ/ი დავით ქორიძე, კოსტავას ქ. №24.

სარედაქციო კოლეგიის წევრები, რედაქტორები და კოროლინატორები მოვალე არიან საზოგადოებრივ საზოგადოებრივ (ანაზღაურების გარეშე).

ფუსი 8 (რვა) ლარი

ტირაჟი 150 ეგზემპლარი

გარეკანის პირველ გვერდზე: ზემო სვანეთი  
მეოთხე გვერდზე: ხის აბედა სოკოს უნიკალური ნიმუში (გადაღებულია ხობისწყლის ხეობაში ლერი ჭოჭავას მიერ).

# გინარსი

## I. ტემატიკური კვლავნირობის და მართვის სრულყოფის პროცესისას

<u>ბიძინა თავაძე</u>	
საქართველოს სატყეო მეურნეობა გზაჯდარების 5	
<u>ს. მასაური, ა. მასაური</u>	
ტყის მეურნეობის მართვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი 16	
<u>ლევან გოცირიძე, ზვიად გოცირიძე, ირაკლი გოცირიძე</u>	
გორგოვის ხეობის ტყეების გუცებრიცხი განახლებისა და მერქინის სახეობების ცვლის პროცესების გამოკვლევა 20	
მიმართვა სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და მდგრადი მართვის პრინციპების განხერობის განხერობის საკითხებზე 38	
<u>ი. ყალალაშვილი</u>	
კულტურულ ჭლორიაზი ზოგიერთი მცენარის წარმომობისა და გაგრძელების შესახებ 42	
<u>II. ხელშიც რასერვების ათვისების მემკონაციის პროცესის მთავრობაზე პირობები</u>	
<u>დ. მოსულიშვილი, ნ. კალიძე ზ. ალამცარალაშვილი, რ. ტყეარალაძე,</u>	
<u>ე. გოგოძიშვილი</u>	
მორსათრები თვითმმატვირთავი აგრეგატის ქარა ანდის მექანიზმის ქიმიკური კვლევა 46	
<u>დ. მოსულიშვილი, ნ. კალიძე ზ. ალამცარალაშვილი, რ. ტყეარალაძე,</u>	
<u>ე. გოგოძიშვილი</u>	
მოდერნიზებული თვითმმატვირთავი მორსათრები აგრეგატის მექანიზმების დამუშავება 51	
<u>III. სატყეო მაურნეობა საზღვარგარენი</u>	
<u>ბიძინა თავაძე</u>	
ესპარეტი 54	
<u>IV. სამკურნალო მცენარეები</u>	
მაისაშვილი ე., უკანიძე ა., ზინკარაძე დ., ჯონაძე ე.	
გვერდი სახების (Allium L.) სისტემის მიმოხილვა 59	

## V. ლიტერატურულ-კურატიული კუთხე

### რევუზ რჩოლაძე

ნიკო ნიკოლაძე – დიდი გამოანათლებელი და მეურნეობრივი საქმიანობის შემოქმედი – საქართველოს ტექნიკის შენარჩუნებისა და გონიგრული გამოყენების შესახებ.	
ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 170 წლისთავთან დაკავშირებით 62	

### რევუზ რჩოლაძე, ნოდარ მაგარებვილი

გლეხიმერ მაიაკოვსკის გამა – გლეხიმერ კონსტანტინეს მე მაიაკოვსკი ჩილებები ზედი გადღარის სატყეოში	
---	--

<b>ეპლიტეგა გლადიოსერ მაიაკოვსკის დაბადებიდან 120 წლისთვის .....</b>	<b>72</b>
<b>VI. საიურიულო მოლოცვები</b>	
თამაზ ქურდიანი .....	80
გაქსიმი ზეღვინიძე - 80 .....	83
<b>მაქსიმი ზეღვინიძე</b>	
საქართველოს დამსახურებული მეტყველე	
გათი ამაგი და საქმე დავითყებას არ უდია მიეცეს .....	86
<b>VII. სამართველოს ტევიანის და საზოგადო საქმის მოამაგანი</b>	
გერმოგენ პრეზიდენტ .....	94
<b>გერმოგენ პრეზიდენტ</b>	
1. საქართველოს ტყე .....	99
2. თბილისი - ფალკონი .....	101
3. ბუნება და „სიტყვის პონა“ .....	105
ანტონ პოსეი .....	110
ომარ ერბემლიძე .....	115
<b>VIII. საზოგადო მაგისტრი</b>	
რეაზა რაბოლაძე მოგზაურობა დროში. ანუ შესვედრა წარსულიან .....	117
<b>IX. ახალი წიგნები .....</b>	
	129

# I. გენერალური კონსულტაციების და მართვის სრულყოფის პრიალემენტი

## ბიძინა თავაძე

### **საქართველოს სატყეო მეურნეობას გზაჯდარებიზე**

საქართველოს სატყეო მეურნეობა დღევანდელ ეტაპზე, სამწუხაროდ დგას „კელური“ და „კულტურული“ კაპიტალიზმის გზაჯვარედინზე, ორგანიზაციულად მოშლილი და იდეოლოგიურ (თეორიულ) საფუძველს მოკლებული უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, „რეფორმატორობანას“ თამაშის წყალბით, ორგანიზაციულად მიწასთან გასწორდა სატყეო სამეურნეო საქმიანობა, ასევე, სატყეო სამეცნიერო კვლევითი მუშაობა, სატყეო საგანმანათლებლო სფერო და ახლა ყველაფერი თავიდანაა დასაწყები.

არადა, ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის, რაც საქართველოს გააჩნია, ყველაზე მნიშვნელოვანია ქართული ტყე.

ჩვენი ქვეყნისათვის ტყეს უდიდესი ეკოლოგიური, ეკონომიკური, სტრატეგიული და, თუ გნებავთ, მორალურ-ფიქრლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ქართული ტყის ფენომენი განსხვეულებულია ქართველი კაცის ხასიათში; იგი ლამაზი, მრავალფეროვანი და შეუკოვარია.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართველთა მეობის შესანარჩუნებლად, ქართულ ტყეს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქართულ ენას და ქართულ ვაზს; ამიტომ იყო, რომ საქართველოში არაერთ-

გზის შემოსული გადამთიელთა ურდოები, ვაზთან ერთად, ტყეებსაც ჩეხდნენ. გავისენოთ პომპეუსის, მურვან-ყრუს, ბუდათურქის თუ სხვათა ლაშქრობები.

ტყე ჩვენთვის არასდროს ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელსაც უბრალოდ ტყეს – მცენარეთა თანასაზოგადოებას უწოდებენ.

ამიტომ მიუტევებულია ამჟამინდელი უდიერი მოპყრობა და მიღვომა ტყისადმი, რაც უკვე მეტად ძვირად გვიჯდება და კიდევ უფრო ძვირად დაგვიჯდება, უკვე დაწყებული და ღრმად განვითარებული ეკოლოგიური კრიზისის გამო.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფომ კარგა ხანია, რატომდაც და როგორლაც, ხელი დაიბანა ტყეების დღვანელი მდგომარეობის პასუხისმგებლობაზე და ყველაფერი, თითქმის, თვითდინებაზე მიუწვა.

თავიდანვე ავღნიშნავთ, რომ სრულიად გაუმართლებელი იყო სატყეო დარგის საქვეუწყებო დაწესებულებად გარდაქმნა. ქვეყანაში, სადაც ტყიანობა 40%-ია, ხოლო პრობლემები თავსაყრელნი, სატყეო უწყება, უპრიანია, დამოუკიდებელი იყოს.

ყველა ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყანაში კარგად ესმით ტყეების მნიშვნელობა და ატარებენ ისეთ რეფორმებს

და სატყეო პოლიტიკას, როგორიც ამ ქვეყნის ინტერესებს მიესადაგება.

ჩვენში კი ტექ ბევრს, ერთის მხრივ, მეწველი ძროხა, მეორეს მხრივ ხევბის უბრალო ერთობლიობა პგონია და ვერ აცნობიერებენ, რომ იგი ურთულესი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც სასიცოცხლოდ საჭიროა ქვეყნის არსებობისათვის, ამიტომაა, რომ ყველა ნორმალურ ქვეყანაში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სატყეო მეურნეობას ხელისუფლება აფინანსებს, საჭიროებისამებრ, ანუ აძლევს დოტაციებს.

ჩვენში კი ამ მხრივ სრული განუკითხაობა და ქაოსია. სატყეო მეურნეობა აღმოჩნდა გერის როლში: სატყეო მეურნეობებს აეკრძალა სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობა; სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი გადააქციეს გარემოს დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციად; კატასტროფულად შემცირდა სატყეო უწყების დაფინანსება და, უფრო მეტიც, კ.წ. სატყეო რეფორმის საბაბით მოხდა ყოვლად გაუმართლებული რეორგანიზაცია და სატყეო მეურნეობების გაუქმება; თანამშრომელთა კატასტროფული შემცირება იმდენად, რომ ამ ბოლო დრომდე ერთ ტყისმცველზე დასაცავად მოდიოდა 8-12 ათასი ჰა ტექ; სისტემაში ინიშნებოდნენ და ინიშნებიან ამჯერადაც არასპეციალისტები (მაგ.: ქიმიკოსები, გეოლოგები, ტექნოლოგები, ისტორიკოსები, იურისტები და ა.შ.); ყოვლად გაუმართლებულია რომ ყველა სახის ჭრები (მთავარი სარგებლობა, მოვლითი, სანიტარიული ჭრები) გახადეს ტენდერების (აუქციონების) ობიექტი, დაინტერესებული მაფიოზური ჯგუფების გამო, რამაც ჩვენი ტყეები მიიყვანა სრულ კატასტროფამდე იმ მიზეზის გამო, რომ ტენდერში გამარჯვებული სუბიექტი ანუ კ.წ. ლიცენზიანტი, თავისთავად ცხადია, ჭრის სად ხე-ტყეს და არა იმას რაც

პირველ რიგში სხვადასხვა სახის ჭრებითა მეტყველებული მოთხოვნებით არის გათვალისწინებული, რის გამოც ჩვენი ტყეების სასაქონლო ღირებულება და პათოლოგიური მდგომარეობა სავალალო მდგომარეობაშია გამეჩერებისა და სხვადასხვა მავნებელ-დაავადებათა ინტენსიური გავრცელების გამო.

არაოფიციალური მონაცემებით, ლეგალური თუ არალეგალური გზით, საქართველოდან ხე-ტყე გადიდდა 40-ზე მეტ უცხოურ ქვეყანაში და სამწუხაროდ საშველი ჯერჯერობითაც არ ჩანს.

ამის შემდეგ რატომ გვიკვირს, რომ ჩვენი ტყეების გადანდგურება უკიდურეს ზღვრამდეა მისული და სახეზე გვაქვს უდრიტესი ეკოლოგიური კრიზისი, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

ტენდერების სახელმწიფო პოლიტიკის არასწორი მიმართულების გამო სახელმწიფო და სატყეო სისტემა კარგავს ტყეებიდან უზარმაზარ შემოსავალს და თავის მხრივ ვერ ან არ აფინანსებს ტყეების აღდგენა-განახლების და გაჯანსაღების დონისძიებებს.

არადა, ოფიციალური მონაცემებით ჯერ კიდევ 1990 წლისათვის საქართველოს ტყეების თითქმის 20%, ანუ 500 ათას ჰა-ზე მეტი, დეგრადირებული იყო და საჭიროებდა აღდგენით დონისძიებებს. არავინ უწყის, ბოლო 25 წლის განმავლობაში კიდევ რამდენი ათასი ჰა მიემატა ამ დეგრადირებულ ტყეებს; ფაქტი ერთია, ტყეებისადმი ასეთი უდიერი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, მკვეთრად გამოიხატა ეკოლოგიური კრიზისი თავისი თანმდევი ეკო მიგრაციებით, რაც კიდევ უფრო ღრმავდება და რაზედაც სანამ ჯერ კიდევ დროა, აუცილებლად უნდა დაფიქრდეს ხელისუფლება შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ზოგს მიაჩნია, რომ ჩვენს ტყეებს იჯარა გადა-

არჩენს, ზოგიც კერძო საკუთრებას გვთავაზობს და ა.შ. ეს ხდება ისე, რომ არ კეთდება ობიექტური სიტუაციური ანალიზი; არადა, სატყეო მეურნეობის გარდაქმნის ამ ე.წ. კონცეფცია – პოზიციებსა და პროექტებზე იმდენი ასეული ათასობით თუ მილიონობით დოლარი (გრანტი თუ კრედიტი) დაიხარჯა და იხარჯება, ეს თანხები რომ სატყეო მეურნეობის განვითარებას მოხმარებოდა ან მოხმარდებოდეს, იგი თანდათანობით გამოვიდოდა კრიზისიდან. ჩვენი აზრით ამ ეტაპზე, როგორც ტყის იჯარით, ისე კერძო საკუთრებაში გადაცემა ყოვლად გაუმართდებელი იყო და ამას ბოლო უნდა მოვდოს.

აქედან გამომდინარე ტყეების შემდგომი განანაგებისაგან და ეკოლოგიური კრიზისისაგან ქვეყნის გადასარჩენად საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს და აწარმოოს ისეთი პოლიტიკა, რომლის წყალობითაც მოგებას მიიღებს სახელმწიფოც და სატყეო სისტემაც. ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია სატყეო მეურნეობების აღდგენა და მათთვის სამწარმეო საქმიანობის უფლების მოცემა სათანადო ტექნიკური ბაზის შექმნით.

ხელისუფლებისათვის რომ სატყეო მეურნეობის სისტემაში შექმნილი ნამდვილი სურათი უცნობი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ჩანს ვაიშრჩევლების ზეგავლენით, 2006 წელს გააკეთა ფრიად შემაშფორებელი განცხადება – კერძოდ, ის, რომ უახლოეს ხანში საქართველო უნდა გადაქცეულიყო განვითარებული სატყეო მრეწველობის ქვეყნად, რამაც კიდევ უფრო წააქეზა სატყეო მაფიები.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძვნებული სატყეო მრეწველობა დღეისათვის ესაა საქართველოსათვის ყელის გამოჭრა, რადგან ტყეების დაწყებულ განადგურე-

ბას მოჰყვება, უპვე შორს წასული, ეკოლოგიური კრიზისის გადრმავება და ქვეყნა გაივხება ეკოემიგრანტებით, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

სამწუხაორა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საქართველოს სატყეო მეურნეობა კოლოფსშია და გამოსავალია საძიებელი.

ამჟამად საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე ანუ კაპიტალისტური წარმოების წესზე გადასვლას ცდილობს და ვიმყოფებით „ველური კაპიტალიზმის“ სტადიაზე. ქართულმა ტყემ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში ერთჯერ უკვე იყო საბაზრო ეკონომიკა და იგივე კაპიტალიზმის საწყისი „ველური“ სტადიაც, რომლის შემდგომი გადრმავება, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა შეაჩერა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ველური კაპიტალიზმის სტადია გამოირჩევა თავისი მტაცებლური ბუნებით, რომელიც დიდ ზარალს აქვნებს ბუნებრივ სიმდიდრეებს და მათ შორის, ტყეებსაც.

ცნობილია, რომ 1870-1900 წლებში „ველურმა კაპიტალიზმა“ შეიწირა ამერიკის შეერთებული შტატების ტყით მდიდარი არმოსავლეთის რეგიონების ტყეების 25%; ასევე საქართველოში ტანას ხეობაში (გორის რაიონი) XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში განადგურდა 15 ათასი ჰა ტყე. სხვა უამრავი ფაქტის მოყვანაც შეიძლება მსოფლიო და საქართველოს სატყეო მეურნეობის ისტორიიდან.

ამიტომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას, აუცილებელია ჩვენი თუ სხვისი წარსული გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება.

დიდი გერმანელი ბუნებისმეტყველი პუმბოლდეტი წერდა: „რა უგუნურად გამ-

ოყურება ხალხი რომელიც ანადგურებს ტყის საფარს და არ უკვირდება ამის შედეგებს. ძარცვავს თავის თავს, რადგან კარგავს მერქანსაც და წყალსაც“. შესანიშნავი და გამაფრთხილებელი სიტყვებია და კარგი იქნება თუ ჩვენც გავითვალისწინებო მათ.

ტყიანობის თვალსაზრისით – (დაახლოებით 40%), საქართველო ტყებით მდიდარი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება; ჩვენს ტყებში 400-მდე სახეობის ხე და ბუჩქი გვხვდება, რომელთაგან ბევრი ენდემი და რელიქტია, თავიანთი უნიკალურობის გამო, მათ გაფრთხილება და დაცვა ესაჭიროებათ. თანამედროვე ეტაპზე – ტყებთან დაკავშირებით 3 ძირითადი ფაქტორი უნდა გამოიყოს, ესჯნია: ეკოლოგიური ანუ გარემოსდაცვითი, სამეურნეო და სოციალური.

ეკოლოგიური გულისხმობს იმას, რომ საქართველო წარმოადგენს რა ძირითად მთაგორიან ქვეყანას, მისი ეკოლოგიური წონასწორობისათვის ტყებს განსაკუთრებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ, როგორც ნიადაგთანაცვით. წყალშენახვით და მიკროკლიმატის მარებულირებელ ფაქტორებს.

სამეურნეო ფაქტორი გულისხმობს ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას საშეშე და სამასალე მერქანზე; აგრეთვე, ხე-ტყისა და მისი პროდუქტების ექსპორტის შესაძლებლობას. სოციალური ფაქტორი კი გულისხმობს ქვეყნის ტყების როლსა და მნიშვნელობას საკურორტო, რეკრეაციული და ტურიზმის თვალსაზრისით.

საბაზო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით სამივე ეს ფაქტორი უნდა იქნას გათვალისწინებული, რათა ტყები ყოველთვის შეასრულოს მთავარი როლი, როგორც ეკოლოგიური წონასწორობის მთავარმა ფაქტორმა; წინამდებეგ შემთხვევაში, მივიღებო გადრმავებულ ეკოლოგიურ კრიზისს.

ასე, რომ ზემოხსენებული ფაქტორებიდან ერთი რომელიმე ფაქტორის ნიველირება დამდუპეტად იმოქმედებს საერთოდ სატყეო სექტორის მომავალ განვითარებაზე და თავად ტყის ბედზე.

იმართებოდა და იმართება სხვადასხვა დონის შეკრებები, სადაც მსჯელობენ ქართული ტყის ბედზე და ეძიებენ გამოსაფლს, მაგრამ, რატომდაც, სიმართლეს თითქმის არავინ ამბობს და ამიტომ გაძნელებულია ჩიხიდან გამოსავლის პოვნა.

ზოგიერთს ჩიხიდან გამოსავლად ტყების პრივატიზაცია მიაჩნდა და მიაჩნია და ფიქრობენ, რომ ამით ორ კურდღელს დაიჭერენ. ერთი მხრივ, ტყეების გაყიდვით შემოსავალს მიიღებენ და მეორე მხრივ, ტყეების დაცვის პრობლემას გადაწყვეტენ, მაგრამ, მსოფლიო სატყეო მეურნეობის განვითარების პრაქტიკიდან გამომდინარე, ასეთი მიდგომა მცდარია და დღევანდელ ეტაპზე იგი დადებით შედეგებს არ მოგვცემს.

ტყეების პრივატიზაცია რომ პანაცეა არაა, ამას მოწმობს უცხოეთის სახელმწიფოების სხვადასხვაგვარი მოდგომა ამ პრობლემისადმი. უკელა ცივილიზებული სახელმწიფო ამ პრობლემას უდგება თავისი ქვეყნის თავისებურებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენში კი, ტყის კერძო საკუთრებაში გადაცემის მომხრენი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო ტყეების სათანადო დაცვა და იგი შეიძლება პრივატიზაციამ გადაარჩინოს; მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოს მეტყველებენ.

კაპიტალიზმის საწყისი სტადია, ეწ. ველური კაპიტალიზმი, უკელგან ტყეების განადგურებით აღინიშნა.

სად არის გამოსავალი საქართველოს ტყეების დასაცავად? ვინ ან რა გადაარჩენს ქართულ ტყეს? ქართული ტყის გადასარჩენად, პირველ რიგში, საჭიროა

სიმართლის აღიარება, თუ არადა ქართული ტყის ბედი კიდევ დიდხანს ეკიდება ბეწვზე.

სიმართლე კი რამდენიმე მომენტს შეიცავს, რომელთა აღიარებისა და გათვალისწინების გარეშე, ჩინიდან ვერ გამოვალო.

**პირველი მომენტი** ისაა, რომ მიუხედავად სხვადასხვა წარმატებებისა ტყის აღდგენა-განახლების საქმეში, კომუნისტურ პერიოდში საქართველოს ტყეებშიც წარმოებდა ინტენსიური ჭრები, რისი დასტურიცაა შემდეგი ფაქტი. ოფიციალური მონაცემებით, 1989 წლისათვის სამეურნეოა ბრუნვიდან გამოსული იყო და აღდგენით ღონისძიებებს საჭიროებდა, დაახლოებით, 500 ათასი ჰა ტყე.

მომდევნო 25 წელიწადში ქვეყანაში დატრიალებულმა ამბებმა და განვითარებულმა სათბობენერგეტიკულმა კრიზისმა რომ ამ ფართობს კიდევ ათეულ (თუ ასეულ) ათასობით ჰა დეგრადირებული ტყეები შემატა, ეს ყველასათვის დღესავით ნათელია და მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ.

**მომენტი მეორე.** სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გაეროს დონეზე (1997 წ.) დაფიქსირებულია არასწორი მონაცემები საქართველოში ხე-ტყის დამზადების მოცულობის შესახებ. აქ აღნიშნულია, რომ თითქოს საქართველოში წლიურად იჭრება 400 ათასი კბმ ხე-ტყე, ანუ წლიური ნამატის მეათედი.

ეს ციფრი, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, დიდხანს ტრიალებდა და ამჟამადაც ტრიალებს გარკვეულ, დაინტერესებულ წრეებში და ამით შეცდომაში შეპყავთ როგორც საზოგადოება ისე ხელისუფლება, რადგან არც ოფიციალურად აღიარებულ ხე-ტყის წლიური დამზადების მოცულობა (400 ათასი კბმ) და არც ტყეების წლიური ნამატი (4 მლნ კბმ) სინამდვილეს არ შეესაბამება.

**მომენტი მესამე,** ტყეების არასწორი ექსპლოატაციის გამო, ჩვენში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს უარყოფითი ეკოლოგიური პროცესები და მალე რაჭალებულის, სვანეთის და სხვა რეგიონების მთის სოფლების მცხოვრებთა გადასახლება მოგვიწევს, თუ ასე გაგრძელდა.

მეოთხე და მთავარი მომენტი ისაა, რომ საქართველოში საშეშე და სამასალე ხე-ტყის დამზადების ნამდვილი დონე მიჩნათებულია, დამალულია, რაც მრავალი უარყოფითი მოვლენის საფუძველზე ხდება: პირველ რიგში, კი იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხების უმეტესი ნაწილი არადანიშნულებისამებრ მიუდინება და მავანი და მავანი სატყეო მეურნეობის არარენტაბულობაზეც კი საუბრობს.

არადა, საქართველოში ადრეც ყოველთვის და ამჟამადაც ინტენსიურად გამოიყენებოდა და გამოიყენება შეშა საწვავ-სათბობად, როგორც მოსახლეობის, ისე სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულების მიერ, რაც მარტივი გაანგარიშებით, ჩვენში ყოველწლიურად, სულ მცირე, 5-6 მლნ. კბმ-ს შეადგენს და არა ოფიციალურად აღიარებულ 250 ათასი კბმ-ს.

საშეშე ხე-ტყის ფაქტიური, რეალური დამზადება-მოხმარების ეს დონე (5-6 მლნ კბმ) დაფიქსირებული და ლეგალიზებული არაა: აღარაფერს ვამბობთ სამასალე ხე-ტყეზე, რომელიც ინტენსიურად გაედინება საზღვარგარეთ, ე.წ. ლიცენზიანტების მიერ და საიდანაც, ოფიციალური ორგანოების აღიარებით, მიზერული თანხები შედის ბიუჯეტში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს სათანადო უწყებებში არ არსებობს ერთიანი შეჯერებული მონაცემები საქართველოდან სამასალე ხე-ტყის ექსპორტის მოცულობის შესახებ.

როგორც ბოლო ორი ათეული წლის პრესის მასალებიდან ჩანს, საქართველოს

სათანადო ორგანოებისა და ოურქეთში, სომხეთსა და სხვა ქვეყნებში დაფიქსირებული, ჩვენი ქვეყნიდან გატანილი ხეტყის რაოდენობა, დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც იმას გვიჩვენებს, რომ აქ დიდი ფული ტრიალებდა და ყველაფური ეს, სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით, მიდიოდა ერთეულთა ჯიბეში.

ცნობისათვის: გაეროს მონაცემებით, მსოფლიო ბაზარზე ერთი კბმ მრგვალი ხეტყის ფასი მერყეობს, დაახლოებით 30-დან 150 ამერიკულ დოლარამდე, ხოლო დახერხილი მასალისა, დაახლოებით 130-დან 200 დოლარამდე.

აქედან ცხადია, თუ რა შემოსავალს კარგავს სახელმწიფო, რომელმაც მართვის სადავები გაუშვა ე.წ. ხეტყის თავისუფალი ექსპორტის სასარგებლოდ.

**მომენტი მეხუთე.** ზემოთ აღნიშნულის ფონზე, რა გულით და როგორ დაიცავს ათასობით ჰა ტყეს მიზერულ ხელფასიანი ტყის მცველი, როდესაც ხედავს, რომ ამ მათხოვრული ხელფასის ფონზე მისი დაცული და შენახული ტყის ექსპლოატაციის ხარჯზე როგორ მდიდრდებიან ე.წ. ბიზნესმენები.

**მომენტი მეექსე.** სატყეო მეურნეობის სისტემა რომ დღეს პარალიზებულია, სხვა ბევრ რამესთან ერთად, ამას მოწმობს რაიონული სატყეო მეურნეობების გაუქმება და ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს არ უნდა თანხები დახარჯოს ტყის გაშენებაზე, აღდგენაზე, მავნებელ-დაგადებათა კვლევასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამის გარეშე კი ნორმალურ სატყეო მეურნეობაზე დაპარაკი ზედმეტია.

ჩაფიქრებული თვითდაფინანსებაზე გადასვლა საბოლოოდ მოუდებს ბოლოს ჩვენს სატყეო სექტორს.

კიდევ მრავალი მომენტია აღსანიშნავი, მაგრამ ამჟამად ამას დავჯერდეთ.

ზემოთ ავღნიშნეთ, რომ ტყეების პრივატიზაცია პანაცეა არაა. ეს რომ ასეა,

ამას სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა მოწმობს. მაგალითად, აშშ-ში კერძო საკუთრებაშია ტყეების 73%, სახელმწიფოს ხელშია 27%. იქვე კანადაში, კერძო ტყეების 7%, სახელმწიფოსია 93%. ავსტრიაში, შესაბამისად – 81% და 19%-ია. ჩვენს მეზობელ თურქეთში კი – 1 და 99%; ფინეთში – 69 და 31%; საბერძნეთში – 17 და 83%; შვეიცარიაში 31 და 69% და ასე შემდეგ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სატყეო მეურნეობის წარმატება, ტყეების საკუთრების ფორმებზე კი არაა, არამედ ტყეებისადმი სახელმწიფო მიდგომაზე მათ რაციონალურ მართვაზეა დამოკიდებული. აქვე ისიც უნდა ითქვეს, რომ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში უპირატესად წვრილი პოლიტიკური ტიპის ტყის კერძო საკუთრებაა; მაგალითად, პორტუგალიაში 324 ათასი მესაკუთრეა, რომელთაც გადაცემული აქვთ ტყის ფართობი 0.5-დან 5 ჰა-მდე.

ავსტრიაში კერძო ტყეების თითქმის ნახევარი (1,5 მლნ ჰა) გადაცემული აქვთ მცირე სატყეო სატარმოებს – პოლდინგებს, ასეთია 213 ათასი მესაკუთრე, რომელთაგან 140 ათასს კერძო საკუთრებაში აქვს 1-დან 5 ჰა-მდე.

ესპანეთში 260 ათას ტყის მესაკუთრეზე – თითოეულზე – გადაცემულია 1 ჰა-მდე ფართობი და ა.შ. ასეა სხვა ქვეყნებშიც. ვინც ჩვენს ტყეებსა და სატყეო სისტემას ცოტად თუ ბევრად მაინც იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ასეთი ტიპის პრივატიზაცია საქართველოსთვის მიუღებელიცაა, შეუძლებელიც და დამდუპველიც.

საქართველოს „სატყეო კოდექსში“ (1999) ჩადებული ტყეების სხვადასხვა სახის საკუთრება სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ავდგეთ და მოუფიქრებელი და დამღუპველი ნაბიჯები გადავდგათ. საქართველოში სხვადასხვა სახისა და ჯგუფის ტყეებია და აქედან

გამომდინარე ისმება კითხვა, რომელი ტყეები უნდა გავყიდოთ? – დაცული ტერიტორიების, საკურორტო ზონის, სოფლების შემოგარენის, ჭალის ტყეები თუ დასახლებული პუნქტებიდან მოშორებული?

ამას ხომ მეტისმეტად დაფიქრება სჭირდება, რადგან ხომ ცხადია, რომ დღეს ტყის არცერთი კერძო მფლობელი მის დაცვას და, მითუმეტეს, გაშენება-აღდგენას არ აწარმოებს, არამედ ეწევა მარტოდენ მის ექსპლუატაციას. ამის გამოცდილება უკავა გვაჩვს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მაგალითებით.

და ბოლოს არსებობს თუ არა ჩიხიდან გამოსავალი? ჩვენი აზრით არსებობს, და იგი მდგომარეობს ტყის მართვაში სახელმწიფოს, როგორც მისი მესაკუთრის, როლის ამაღლებასა და განმტკიცებაში. მის მიერ თავის სასარგებლოდ ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებაში.

თუ ევროპული ქვეყნების წვრილმესაკუთრეობის პრაქტიკას ბრმად გადმოვიტანთ საქართველოში, ჩვენი აზრით, ეს იქნება სრული კატასტროფა ჩვენი სატყეო მეურნეობის სისტემისა და ჩვენი ტყეებისა და არა მარტო მათი.

როცა საქართველოს ტყეების პრივატიზაციაზე ვლაპარაკობთ, ჩვენი აზრით, სულ მცირე რამდენიმე მომენტი მაინც უნდა გავითვალისწინოთ, როგორცა:

1) საქართველოს ტყეები უპირატესად მთის ტყეებია, რომელთა მიმართ დიდი სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს, რადგან მათზე ჩვენი მთა-ბარის მრავალი სასიცოცხლო პრობლემაა დამოკიდებული;

2) საქართველოში 4 ათასზე მეტი სოფელია, უმრავლესობა თავისი ტყიანი შემოგარენით და სპეციფიკით;

3) ჩვენში დიდი რაოდენობით (დაახლოებით 5-6 მლნ. კბმ) მზადდება და

მოიხმარება საშეშე მერქანი, რომელიც საწვავ-სათბობად გამოიყენება და რომლის რაოდენობაც, სამწუხაროდ, მიწუმათებულია, რის გამოც ბევრი გაუგებრობაც იქმნება;

4) არ არსებობს, ასე თუ ისე ნორმალური და მოწესრიგებული, სატყეო გზების ინფრასტრუქტურა;

5) საქართველოს ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებულია დიდი დაქანების ფერდობებზე და მათი გადამეტებული ექსპლუატაცია მოასწავებს შეუქცევად ეკოლოგიურ კატასტროფებს;

6) უკანასკნელ ორ ათწლეულში ტყეომოწყობის (ინვენტარიზაციის) ჩაუტარებლობის გამო, ამჟამად არ გაგვაჩნია სარწმუნო მონაცემები ჩვენი ტყეების საერთო მდგომარეობის შესახებ, მათი სატყეო სანიტარიულ – პათოლოგიური მდგომარეობის შესახებ;

7) ევროპის ქვეყნების სატყეო მეურნეობის სისტემის სპეციფიკაზე როცა ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აქ მოსახლეობის უმრავლესობა ქალაქებში ცხოვრობს, აქედან გამომდინარე უკელა შედეგით.

მაგალითად, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის მონაცემებით, 1996 წელს ევროპის ქვეყნებში ასეთი დემოგრაფიული სურათი იყო: პოლანდიაში ქალაქები ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის 89%, გერმანიაში – 87%, დანიაში – 85%, იტალიაში – 65%, ფინეთში – 63%, ავსტრიაში – 56% და ა.შ.

საქართველოში კი 1989 წლის აღრიცხვის მონაცემებით, 1244 ათასი ოჯახიდან სოფლად ცხოვრობდა 619 ათასი ანუ 49.7%, ქალაქის დანარჩენი მოსახლეობის სოფელთან კავშირზე რომ არაფერი ვთქვათ. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას იგი, ჯერჯერობით, უცნობია.

ასე, რომ ტყეებისადმი დამოკიდებულებაში უამრავი საკითხია გასათვალისწინებელი და ასაწონ-დასაწონი და ამ

მიმართულებითაც ისე არ უნდა ვიჩქაროთ, რომ მომავალში ეს სანახებლად გაგვიხდეს, როგორც ეს ზოგიერთ სხვა დარგში დაგვემართა.

ქართველები რომ უგუნურად სულს-წრაფები ვართ, ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ბოლო ათწლეულმა: ჯერ იყო და გადატრიალება მოვახდინეთ ლოზუნგით – „ჯერ დემოკრატია, მერე თავისუფლება“ და წაქცეულ ქვეყანაში ლამის ორთავე სანატრელად გაგვიხდა. შემდეგ იყო და ნაჩქარევი გაუთვლელი რეფორმები წამოვიწყეთ, რომლის შედეგიცაა, განადგურებული მრეწველობა სოფლის მეურნეობა, განათლება, მეცნიერება და ყველასთან ერთად სატყეო სექტორიც.

ყველაზე დიდი უბედურება მაინც ისაა, რომ სახელმწიფომ რატომდაც უარი თქვა სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებაზე და პანაცეად ყველაფრის პრივატიზაცია გამოაცხადა, რის შედეგადაც მივიღეთ ყველაფრისგან გაძარცული ქვეყანა.

გაუგებარია, რატომ არ უნდა ჰქონდეს ტყის მესაკუთრებს, ამ შემთხვევაში სახელმწიფო მეტყველეს, ხე-ტყის დამზადებისა და გაყიდვის უფლება, როგორც სახელმწიფო საწარმოს წარმომადგენელს, როცა ტყის დაცვაზე იგია პასუხისმგებელი და ყველანაირ დარღვევაზეც მას მოეკითხება კანონის მიხედვით.

ამ პროცესებში სახელმწიფო რომ განზე არ უნდა იღეს და პასური დამკვირვებლის როლში არ უნდა გამოდიოდეს, მითუმებებს როცა მოედო ტყები ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია, მკითხველს განხჯისათვის შევთავაზებო ერთ შთამბეჭდავ მგალითს.

1941 წელს აშშ-მ გამოაცხადა ე.წ. სატყეო ფერმების (მეურნეობების) შექმნის პროგრამა, რომელიც გულისხმობდა დაბეგრვადი ტყის კერძო მფლობელობას იმ ვალდებულებებით, რომ

მფლობელს თავისი ტყე უნდა დაეცვა განადგურება-გაჩანაგებისაგან და აუცილებლად ეწარმოებინა ტყის გაშენება სწრაფმოზარდი მერქნიანი სახეობებით, რათა უმოკლეს ვადაში სახელმწიფოს-ათვის მიეწოდებინა მერქანი.

ისმება კითხვა – საქართველოს დღევანდები მდგომარეობიდან გამომდინარე, ვართ თუ არა მზად ასეთი პრინციპით ტყეების პრივატიზაციისათვის, ანუ დღევანდები ჩვენი პოტენციური ტყის კერძო მფლობელი არის თუ არა ეკონომიკურად და ფსიქოლოგიურად იმ დონეზე, რომ ხელი მიჰყოს ტყის გაშენებას? ამას დიდი დაფიქრება სჭირდება, რათა ზოგიერთ დარგში ჩატარებული პრივატიზაციასავით აქაც სრული ფიასკო არ განვიცადოთ, მითუმებებს ერთხელ კიდევ უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ქართული მოსახლეობა ტყეებს ვერ იყიდის, ხოლო უცხოელებზე ტყეების მიყიდვა ქვეყნისათვის სრულ კატასტროფად მიგვაჩნია.

ახლა კიდევ ერთი მტკიცნეული კითხვა უნდა დავსვათ – შეუძლია თუ არა ქართულ ტყეს ექსპორტზე „იმუშაოს“?

ამ კითხვას რომ სწორი პასუხი გაეცეს აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები.

1) ჩემს ტყეებს, როგორც მთის ტყეებს, აქვთ განსაკუთრებული გარემოს დაცვითი მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე, მათმა გადაჭარბებულმა და გაუფრთხილებელმა ექსპლუატაციამ, შეიძლება მთის ეკოსისტემების ისეთი დარღვევა გამოიწვიოს, რომელიც ეკოლოგიური კრიზისის სახით თავს დაბრუდება ქვეყანას, (ამის სავალალო მაგალითები უკვე სახეზეა სხვადასხვა რეგიონებში);

2) ჩვენი ტყეები სივრცობრივად არც ისე თანაბრადა განლაგებული, გვაქვს ტყეებით მდიდარი და დარიბი, და თითქმის უტყეო რაიონები, რაც მერქანზე მოთ-

ხოვნილებების დაკმაყოფილების თვალ-საზრისით დაბალანსებას მოითხოვს.

3) ქვეყანაში თავისი საქუთარი მოთხოვნილება მერქანზე მთლიანად უნდა დაიკმაყოფილოს საქუთარი ტყეების ხარჯზე, რადგან, ძალიანაც რომ გვინდოვეს, ხე-ტყის იმპორტის საშუალება არ გაგვაჩნია, ეკონომიკური სიდუხეჭირის გამო;

4) ჩვენი ტყეები, მომავალზე რომ არაფერი ვთქვათ, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებენ ფართო მასშტაბით აღდგენით ღონისძიებებს, რომელსაც დიდძალი სახსრები სჭირდება და რომელთა ჩატარებაც, დღეს, ჯერჯერობით, ისევ სახელმწიფოებრივ ღონებზე შეიძლება, მაგრამ უსახსრობის გამო ესეც გამორიცხულია;

5) საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში გავრცელებულია გამორჩეულად ძვირფასი სახეობები – ჩვეულებრივი წაბლი, მუხები და სხვა, რომელთა მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივი წაბლი ჯერ კიდევ „წითელ წიგნშია“ შეტანილი და ამასთან ერთად ქვეყნის წაბლნარების სატყეო – პათოლოგიური მდგომარეობა სავალალოა. ამჟამად მათში წარმოებს ჭრები, რეკომენდაციების მოხედვით უნდა იჭრებოდეს გამხმარი და ნახევრად გამხმარი ხეები, მაგრამ არასათანადო კონტროლის გამო, „ლიცენზიანტები“ სად ხეებსაც ჭრიან, რაც ყურადღებას საჭიროებს.

რაც შეეხება მუხნარებს, მათი მდგომარეობა და ბედი, ჯერჯერობით, მთლიად გაურკვეველია, სხვადასხვა მიზეზების გამო; არადა საჭირო და აუცილებელია რეგიონების მიხედვით მუხნარების სატყეო-პათოლოგიური მდგომარეობის ფართო მასშტაბიანი დეტალური გამოკვლევები და სათანადო ღონისძიებების დასახვა.

ფაქტი ერთია, საქართველოს მუხნარები, თანდათანობით კნინდება და არავინ გამოუწნდა მეცნიაზი მათი მდგომარეობის შესასწავლად გამოკვლევები დააფინანსოს.

6) აღმოსავლურ წიფელს, სიმბოლურად შეიძლება საქართველოს მამა-მარჩენალი ვუწოდოთ, რადგან წიფლნარების ფართობი ქვეყნის ტყეების თითქმის 50%-ია და საშეშე მერქნის თითქმის მთელი რაოდენობა და ე.წ. საექსპორტო-სამასალე მერქნის დიდი ნაწილი სწორედ წიფელზე მოდის; არავინ აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ არსებული მონაცემებით, მათი სატყეო პათოლოგიური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებია და იგი დეტალურ გამოკვლევებს საჭიროებს და ა.შ.

საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მიუხედავად ხე-ტყის ექსპორტის საკმაოდ მაღალი ღონისა, ქვეყნის ბიუჯეტში არ შედის სათანადო სახსრები.

ჯერ ერთი, თუ კი ეს მართლაც ასეა, რატომ უნდა ვაწარმოვოთ ხე-ტყის ექსპორტი ერთეულთა გასამდიდრებლად, როცა ტყე საყოველთაო სახელმწიფო საკუთრებაა და მეორეც, ვითვალისწინებოთ თუ არა იმ მომენტებს, რომელთა შესახებაც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება?

გარდა ამისა, საყოველთაოდ მიღებულია, რომ ექსპორტი მაშინ უნდა ვაწარმოოთ, როცა საქუთარი ქვეყნის მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებოთ ხე-ტყეზე.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან და ანალიზიდან გამომდინარე, უნდა ვთქვათ, რომ ამჟამად ქართულ ტყეს არ შეუძლია იმუშაოს ექსპორტზე, რადგან ეს პროცესი დიდ ზიანს აქენებს ქვეუნას ეკოლოგიურადაც, მორალურადაც და ეკონომიკურადაც და, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება ამ ეტაპზე აიკრძალოს ხე-ტყის ექსპორტი.

დასკვნების სახით უნდა ითქვას, რომ, ერთი მხრივ, აუცილებელია ქვეყნის ტექნიკური შეფასება და, მეორე მხრივ, საჭიროა ქვეყნის შიგნით საშეშე და სამასალე მერქანზე არსებული მოთხოვნების დეტალური ანალიზი და ხე-ტყის შიდა ბაზრის შექმნა.

შიდა ბაზრის შესაქმნელად და განსავითარებლად კი სახელმწიფო სატყეო სისტემას უნდა აღუდგეს ხე-ტყის დამამზადებლის უფლება, რაც არსებული სამეწარმეო კანონით ამჟამად წართმეული აქვს.

სახელმწიფო უნდა ამზადებდეს, განკარგავდეს და ყიდდეს – თავის კუთვნილ სიმღიდოებს, რათა ტყის მთავარი პროდუქტიდან, მერქნიდან მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში შედიოდეს და შემდეგ ნაწილი ხმარდებოდეს ტყის მოვლა-აღდგენის საქმეს ისე, რომ სახელმწიფო – მეტყველე სხვისი ხელისშემყურე არ იყოს, ან ხელმრუდობაზე არ იფიქროს.

ხე-ტყის შიდა ბაზარის შესაქმნელად და სატყეო მეურნეობის სისტემის მოსაწესრიგებლად აუცილებლად მოგვაჩნია შემდეგი დონისძიებების გატარება:

**პირველი:** ცალკეული რაიონების მიხედვით უნდა მოხდეს მცხოვრებთა რაოდენობის აღრიცხვა-დაზუსტება.

**მეორე:** ცალკეულ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის მიხედვით უნდა მოხდეს საშეშე და სამასალე მერქანზე მოთხოვნილების გაანგარიშება, რაც ასლანდელ ფიქტიურობას აგვაცილებს თავიდან;

**მესამე:** ასევე ცალკეული რაიონების მიხედვით უნდა დადგინდეს, თუ რა პოტენციალი გააჩნია ამა თუ იმ რაიონის ტყეებს საკუთარი მოსახლეობის დასაკ-

მაყოფილებლად. ისე, რომ არ დაირღვეს ეკოლოგიური წონასწორობა;

**მეოთხე:** საქართველოში არის ტყით მდიდარი, დარიბი და უტყეო რაიონები და მათი დიფერენციაციის საფუძველზე უნდა მოხდეს ტყის პროდუქტების შიდა ბაზრის ჩამოყალიბება.

**მეხუთე:** ყველა პრობლემისა და ნიუანსის გათვალისწინებით პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: შეუძლია თუ არა ქართულ ტყეს ისეთი მასშტაბებით „იმუშაოს“ ექსპორტზე ან ლიცენზიანტებზე ისე, რომ ქვეყანაში ეკოლოგიური წონასწორობა არ დაირღვეს? თუ ეს შეუძლია, მაშინ როდემდე უნდა გაატანოს ქარს სახელმწიფომ მიღიონობით შემოსავალი?

და ბოლოს, მეექვსე, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჩაფიქრებულია სატყეო სისტემის თვითდაფინანსებაზე გადაყვანა, რაც ჩვენი აზრით, ახლანდელი ქაოსის პირობებში, როდესაც არაფერი ვიცით რას გვიტოვებს „ველური კაპიტალიზმი“, ეს იქნება ჩვენს ტყეებზე თავსდამტკდარი გამოუსწორებელი უბედურება.

ჩვენ ტყეებსა და სატყეო მეურნეობის მართვის სისტემას უამრავი სატკივარი და პრობლემა გააჩნია და მათ გამოსასწორებლად საჭიროა, ერთი მხრივ, არსებული მდგრმარეობის ობიექტური, მიუკერძოებელი, გააზრებული ანალიზი და, მეორე მხრივ, ჩვენი სატყეო მეურნეობის ისტორიის და უცხოეთის ქვეყნების ტყის მეურნეობის გამოცდილების გათვალისწინება და ამის საფუძველზე საქართველოს ბუნებისა და ხალხისათვის მისაღები სატყეო პოლიტიკის შემუშავება და სატყეო კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანა.

## **ტყის მეურნეობის მართვის სრულყოფის ზოგიერთი საპიტი**

დღევანდელ ეტაპზე, როდესაც სატყეო მეურნეობის აღორძინების მიზნით, შემუშავებული და დამტკიცებულია ქვეწის უმაღლესი ორგანოს მიერ, სატყეო დარგის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები (ე.წ. სატყეო კონცეფცია), მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მათი უკეთ განხორციელების მიზნით, გამოვთქვათ გარკვეული მოსაზრებები.

უპირატესად ყოვლისა, თანმიმდევრულად უნდა ჩატარდეს ტყის ფონდის სრულყოფილი აღრიცხვა, განისაზღვროს ტყის აღდგენის, დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებები. მათი პრაქტიკული ხორცშესხმისთვის საჭიროდ ვთვლით:

1. ტყის ფონდის (ტყით დაფარული, ტყით დაუფარავი პერსპექტივაში ნავარაუდებია ტყეების გაშენება, არა სატყეო ფართობები, „სხვადასხვა“ კატეგორიის სავარგულები, ან ტყეების გაშენებისთვის უგარისი ფართობები) ყოველი ჰექტარი მიწის ეფექტიანი გამოყენებისათვის, ტყის მასივების ჯიშმბრივი შემადგენლობისა და ხნოვანებითი სტრუქტურის გაუმჯობესების, მისი სანიტარული გაჯანსაღების, მერქნული და არა მერქნული ტყის რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის მაქსიმალურად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოწინავე პრაქტიკისა და მეცნიერების უახლესი ეკოლოგიურად უსაფრთხო, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა. სატყეო უწყებისადმი კუთვნილი ტყის ფონდის მიწის ფართობების უმეტესი ნაწილი გამო-

უყენებელია ან გამოყენებულია არა დანიშნულების მიხედვით. სატყეო საკულტურო ფონდი არ არის დაზუსტებული, იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის დადგენილი საამისო კრიტერიუმი. ტყის აღდგენითი სამუშაოების ტემპისა და დინამიკის დასადგენად კი საჭიროა დაზუსტებული და დიფერენცირებული იქნეს სატყეო საკულტურე ფონდი, თოვეულ სამეურნეო ერთეულში ტყის აღდგენის ხერხისა და მეთოდის შესაბამისად. ამ საქმის თეორიასა და პრაქტიკაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე სოფლის მეურნეობის სავარგულებიდან გამოსული ეროზიული ფართობები მათი ხარისხის ჩვენების მიხედვით, მოითხოვს დიფერენცირებას და, შესაბამისად ამისა, განსხვავებული სამთო სატყეო სამეურნეო ღონისძიებების გატარებას.

2. ცნობილი ფაქტია, რომ ტყის პროდუქტიულობა პირდაპირპორციულ დამოკიდებულებაშია ნიადაგობრივ და გარემო პირობების აგერაგიანობასთან ბონიტეტზე. მდალ პროდუქტიული ნარგავები კი მცირე პროდუქტიულთან შედარებით კარგად უზრუნველყოფს ეკოლოგიურ წონასწორობას ბუნებაში.

მართალია, ტყეთმოწყობის მიერ ტყით დაფარული ფართობები დანაწილებულია ბონიტეტის კლასებად, მაგრამ რაომდაც იგნორირებულია სინამდვილეში, ნატურაში დიდი წარმადობის კორომების გამოვლინება (Іა ბონიტეტი), რომელსაც მომავალში განსაკუთრებული უზრადღება უნდა დაუთმონ უპირატესად ტყის ისეთი ჯიშებისათვის რო-

გორიცაა: ნაძვი, სოჭი, წიფელი, ფიჭვი, რომელთაც ჩვენი ქვეყნის ტყის ფონდში წამყვანი აღილი უკავიათ.

3. სატყეო მეურნეობისგანმეორებითი მოწყობის დროს, სატყეო კვარტალური ქსელი თითქმის ყოველთვის ათ წელიწადში ერთხელ იცვლება, რაც მეურნეობის ორგანიზაციის დღევანდელი დონის თვალსაზრისით გაუმართდებლია. აღნიშნული მდგომარეობა: ა. აძნელებს ინვენტარიზაციის ქსელი და ახალი მასალების დაპირისპირებასა და შეცდომების გამოვლინების შესაძლებლობას (შეცდომები არც თუ ისე ცოტა); წარსული მეურნეობის საქმიანობის დადებითად თუ უარყოფითად შესაფასებლად შედარება უნდა წარმოებდეს მხოლოდ იმ ფართობების ფარგლებში, რომელიც უცვლელია მთელი სარევიზო პერიოდის განმავლობაში. შედარებისას უნდა გამოირიცხოს ის ფართობები, რომლებიც სარევიზო პერიოდის განმავლობაში სატყეო ფონდს ჩამოაკლდა ან დაემატა. ბ. იწვევს ინვენტარიზაციის ხარჯების გადიდებას. გ. სატყეო უწყების მუშაკებს ძლიერ უძნელდებათ კარტოგრაფიული მასალებით სარგებლობა (მთის როულ ოროგრაფიულ პორტებში განლაგებულ ტყის მასივებში სატაქსაციო კვარტლებისა და უბნების ნატურაში ერთმანეთისაგან გამიჯვნაგანცალკევება) ტყეთმოწყობის ე. წ. გასაგნები ნიშნების (საჩვენებელი, საკვარტალო, სასაზღვრო და სავიზირო ბოძები) გარეშე, რომლებიც საჭირო ადგილებში (წერტილებში) ან არ დგას ან საერთოდ მოშლილია. მთის ტყეებისათვის სასურველია საკვარტალე ქსელი, როგორც წესი უცვლელი უნდა დარჩეს ტყეთმოწყობის თანრიგის შეცვლის დროსაც კ.

დ. ტყის ჭრის მასალებიდან არ ჩანს თუ როგორია სატყეო სატაქსაციო უბნებში კორომების მდგომარეობა სანიტარული თვალსაზრისით (ფაუტი ტყის მარაგი საღი ტყის მარაგიდან ცალკე

უნდა იქნეს გამოყოფილი და მერქნის საშუალო და მიმდინარე შემატების განსაზღვრაში არ უნდა შედიოდეს) და როგორი იქნება იგი პროექტით დანიშნული ჭრის ჩატარების შემდეგ ე. ი. ხდება თუ არა უბანში კორომების მდგომარეობის გაუმჯობესება ჭრის ჩატარების შემდეგ, ეს არ იცის არც პროექტანტმა და არც შემსრულებელმა. ამიტომ ტყის ჭრის უწყისის ფორმაში შესატყვისი ცვლილებების შეტანაა საჭირო. ჭრაში დანიშნული უბნები უნდა იყოს პლანშეტებზე აღნიშნული; აგრეთვე უნდა მოხდეს თვითნებურად მოჭრილი და დატაცებული ხეტყის ოდენობის ჩვენება სატაქსაციო კვარტლებში უბნების აღნიშვნით. ამ საქმეში სატყეო მეურნეობის უწყება უნდა იყოს დაინტერესებული და პასუხისმგებელიც.

5. ტყესაკაფზე არ წარმოებს მოჭრილი და დამზადებული ტყის ფაქტიური გამოსავლიანობის (ლიკვიდური მერქნის რაოდენობა, აქედან სამასალე) დადგენა და ხეტყის დამუშავების შედეგად ტყესაკაფზე ნატურაში ნარჩენების (რაც მოჭრილი მერქნის მარაგის 20%ზე მეტია) აღრიცხვა ე. ი. არ გაგვაჩნია ცნობები, რამდენად რაციონალურად წარმოებს ამა თუ იმ ტყესაკაფის ათვისება (ე.ი. არ ხდება ტყესაკაფზე სამუშაოების დამთავრების შემდეგ მისი შემოწმება) და მაშასადამე არ ვიცით, თუ რა ღონისძიებაა საჭირო სამასალე მერქნის გადიდებისათვის და სხვა.

6. კარგად ცნობილია, რომ ნორჩნარ კორომებში მოვლითი ჭრების ჩატარებაზე დამოკიდებული სამომავლოდ სასურველი კორომების აღზრდა, ლამაზი ლანდშაფტურესოებიური ტყის უბნების ფორმირება, მთავარი სარგებლობის ჭრისტებური სიმწიფის ვადის შემცირება და სხვა, მაგრამ მოვლითი (განთებითი, გაწმენდითი) ჭრა, საქართველოს ტყის წამყვანი წიწოვგანი და ფოთლოვგანი (ფიჭვი, ნაძვი, წიფელი, რცხილა, მუშა) და

სხვა) სახეობების ნორჩნრი (20 წლამდე ხნოვანების) ნაწილისათვის გამნელებულია მთელი რიგი სატაქსაციო ნიშნების (მერქნის მარაგი, ფაქტიური სიხშირე და სხვა) ზუსტად განსაზღვრის გარეშე, რისთვისაც საშური საქმეა, რომ აღნიშნულისაბაქსაციო ნიშნების სწორად დადგენის მიზნით მოხდეს შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს აგრეთვესწორი სატყეო სამეურნეო ღონისძიებების გატარებისათვის და დამატებითი მერქნული რესურსის გამოვლენაგამოყენებისთვის. (აღსანიშნავია, რომ დღემდე ხნოვანების I კლასის ნორჩნარი კორომებისათვის მარაგი, სიხშირე და ა. შ. ისაზღვრება ექსტრაპოლირებით შესაბამისი სახეობის ნორმალური კორომების ხნოვანების II კლასიდან, რაც რათქმა უნდა ყოველთვის დადებით შედეგებს ვერ გვაძლევს). მოვლითი ჭრები: განათებითი (10 წლამდე), გაწმენდითი (1120 წლამდე), 0,7 და მეტ სიხშირეში ტარდება ხნოვანების გრადაციის მიხედვით ახალგაზრდა კორომების იმ ნაწილში, რომელთა სიხშირე განსაზღვრულია კალთის პროექციებით და არა ფარდობითი სიხშირით, რაც რა თქმა უნდა ვერ მოგვცემს საიმედო მაჩვენებლებს, რადგან ნორჩნარი (20 წლამდე ხნოვანება) კორომის ვარჯი უპირველეს ყოვლისა არის ფორმირების პროცესში და არა სტაბილურ მდგომარეობაში. ტყეეთმოწყობა პირველად საინვენტარიზაციო მასლებში (სატაქსაციო აღწერებში) არ აფიქსირებს ნორჩნარისათვის არც ფარდობით სიხშირეს და შესაბამისად არც მის მარაგს, რომელსაც როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა აქვს დამატებითი მერქნული რესურსის გამოვლენაში და მის სწორად განსაზღვრაში, რომლის ცოდნა აგრეთვე სჭირდებასატყეო პრაქტიკულ საქმიანობასაც. სატყეო მეურნეობაში განათებითი და გაწმენდითი მოვლითი ჭრები ტყეთმოწყობის მიერ კი პროექტდება,

მაგრამ სატყეოებში მისი ჩატარება არ ხდება, რადგან მას მარაგის სიმცირის გამონაკლები ყურადღება ექცევა (ეს მაშინ, როცა ცნობილი, რომ ახალგაზრდა ტყეში ხეების პერიოდული მოჭრით იღებენ არსებული მარაგის 10-14 %ს და მოჭრილ წვრილ მერქანს იყენებენ შეშად, ჭიგოდ, ხელოვნური ქსოვილების, ქაღალდებულობისა და სხვა მიზნებისათვის). უმართებულოდ მიგვაჩნია აგრეთვე ტყეთმოწყობის თეორიასა და პრაქტიკაში გაბატონებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ განათებითი და გაწმენდითი მოვლითი ჭრები მერქნის უწვრილესი სორტიმენტების გამოსავლის გამო მარაგით არ უნდა იანგარიშებოდეს, არამედ ეს ჭრები სამარისია მხოლოდ ფართობის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ. ამგვარი მიღობა ახალგაზრდა (ნორჩნარი) კორომის მარაგის უგულებელყოფისა მცდარია, რადგან იგი არ შესაბამება სატყეო ტაქსაციის თეორიაში დამკვიდრებული მარაგის ცნების განმარტებას, რომლის მიხედვით „კორომის მთლიანი (საერთო) მარაგი მოიცავს ყველა ზომის ხეს მოზარდიანად“.

7. წესიერი მეურნეობის წარმოება და ამასთან საქართველოში ტყის აღდგენითი ჭრის წესებიც მოითხოვს, რომ დასახული იქნება ჭრის წარმოების თოთოეულ ადგილზე ტყის აღდგენითი ხერხი, მაგრამ მეურნეობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის დროს ძირითადად ეს მოთხოვნა არ სრულდება.

8. გასაცემი ტყის აღრიცხვა სამეურნეო სააღრიცხვო ერთეულის ფარგლებში იანგარიშება სარევიზიო (ათი წელი) პერიოდის განმავლობაში, ფაქტიურად გაცემული კი აღმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში და ისიც ორი წლის მანძილზე და არა სარევიზიო (ათი წლის) პერიოდის განმავლობაში; ეს ორი წელი ძალიან ხშირად დამახასიათებული არ არის ტყის გაცემის სიდიდის თვალსაზრისით და ვერ იძლევა მერქნის ხარჯვის სწორ ორიგნტირს.

9. მართალია პრაქტიკულ სატყეო საქმიანობაში განსაზღვრის სიმარტივის მიხედვით უპირატესობა საშუალო შემატებამ მოიპოვა, მაგრამ ნამდვილ წარმოდგენას არ გვაძლევს იმის შესახებ თუ რა ზომით იცვლება მერქნის ძირითადი მარაგი: მცირდება ის, დიდდება თუ რჩება უცვლელი. ამრიგად საშუალო შემატება არ ასახავს მერქნის შემატების ხარისხის ნამდვილ სურათს. ამსთან დაკავშირებით ინტენსიური მეურნეობის წარმოების პირობებში საჭიროა ტყის ფონდის მაჩვენებლების ნუსხაში იმისი ჩვენება, თუ რა ოდენობისაა მიმდინარე შემატება ტყეების თითოეულ კატეგორიაში ცალკეული ჯიშების მიხედვით, აგრეთვე იგი ზუსტი ელემენტთაგანია, მერქნით სარგებლობის ოდენობის გაანგარიშებისათვის, მისი კონტროლისათვის და სარევიზიო (ათი წელი) პერიოდის განმავლობაში ტყის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის. მერქნის მიმდინარე შემატების აბსოლუტური სიდიდე შეიძლება გამოვიყენოთ ამორტევითი მეურნეობის სექციაში ცალკეულ სატაქსაციო უბანში მარაგის დაგროვების, შემცირების ან მისი უცვლელად დატოვების საჭიროებისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენება ფორმულა:

$$A = M:Z;$$

სადაც,  $A$  არის ჭრის განმეორების პერიოდი (წელი) სატაქსაციო უბანში,

$M$  1 პექტარზე საშუალოდ მოსაჭრელი მარაგი მეტრ კუბობით,

$Z$  მიმდინარე შემატება საშუალოდ 1 პექტარზე მეტრ კუბობით.

ტყეში ადამიანის სამეურნეო დონისძიებების გატარების შედეგად იზრდება მერქნის მწარმოებლობა. მიმდინარე შემატების სიდიდე და მისი ცვლილების ხასიათი დროში, იძლევა ობიექტურ მაჩვენებელს ტყის მეურნეობის ინტენსიფიკაციის და სწორი სატყეო სამურნეო დონისძიებების გატარებისათვის. ეს კი

მარაგის რეგულირებისა და მერქნით სარგებლობის კონტროლის საშუალებას გაძლევს.

ამორტევითი მეურნეობის პირობებში, მერქნით სარგებლობა კორომების საშუალო წლიურ ნამატის მაჩვენებლებზეა დაქვემდებარებული და საქართველოს ტყის ჭრის წესების (2000 წ.) თანახმადჭრის ინტენსივობა შეადგენს 10 %დან 25%მდე, ხოლო ჭრის განმეორების პერიოდი 10-30 წლით განისაზღვრება რაც ფორმულით ასე შეიძლება გამოისახოს:

$$A = U \times 0,0P ;$$

სადაც,  $A$  არის ჭრის განმეორების პერიოდი (წელი),

$$U - \text{მთავარი ჭრის ხნოვანება (წელი)}, \\ 0,0P \text{ მოსაჭრელი მარაგის \%}.$$

ფორმულის თანახმად ჭრის განმეორების პერიოდის ხანგრძლივობა აღემატება ტყის ჭრის წესებით განსაზღვრულ (10-30 წ.) ხნოვანებას; იგი მკვეთრად ცვალებადობს, როგორც მთავარი ჭრის, ისე მოსაჭრელი მარაგის \%-ის მნიშვნელობის შეცვლის დროს. ამიტომ ჭრის ინტენსივობა და ჭრის განმეორება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ბევრი ან მცირე გვაქვს უბანში დაჩაგრული ეგზემპლიარები, რომლებიც საჭიროებენ ამოღებას („მჩაგვრელებისგან“ განთავისუფლებას).

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დონეზე მთლიანად შესაძლებელია მნიშვნელოვნად გავზარდოთ გაუტყევებელი ფართობების ათვისების ტექნიკი, ავამაღლოთ ტყეების პროდუქტიულობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები, უზრუნველვყოთ ტყის რესურსების ეფექტურად გამოყენება-კვლავ-წარმოება, გავაუმჯობესოთ მისი სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიურ-რეკრიაციული მნიშვნელობა, და რა თქმაუნდა ყველაფერი ეს მიიღწევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიხელმძღვანელებთ ტყის მეურნეობის გაძლოლის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებით.

## ლევან გოცირიძე, ზვიად გოცირიძე, ირაკლი გოცირიძე

### **ბორჯომის ხეობის ტყეების პუნქტიზე განახლებისა და მერქნიან სახორცათა ცვლის პროცესების გამოკვლევა**

1950-იანი წლების მეორე ნახევრი-დან დაწყებული, განსაკუთრებით უკანასკნელ ორ ათწლეულში (1992-2012 წ.წ.), დიდი ზოანი მიადგა ბორჯომის ხეობის უნიკალურ ტყის მასივებს. ამ უარყოფითი ფაქტორებიდან, განსაკუთრებულად, შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

1. გასული საუკუნის 5060იან წლებში – ტყის სასტიკი მავნებლის – ნაძვის დიდი ლაფანჭამიას აღზევება, რამაც ნაძვნარების, თითქმის მასიური, ხმობა გამოიწვია. დაავადებული ხეების ინტენსიურმა ჭრამ კი განაპირობა კორომების გამეჩერება;

2. 2001 წლიდან ხეობაში იმძლავრა ტყის სხვა მავნებელმა ე.წ. „მბეჭდავმა ქერქიჭამიაზ”, რომლის აღკვეთის მიზნით დღემდე არავითარი ბრძოლის დონისძიება არ ტარდება;

3. უკანასკნელად (2008 წ. აგვისტო) გაჩენილი ხანძრის შედეგად გადაიწვა 1500 ჰექტარზე მეტი ნაძვნარ-სოჭნარი კორომები. ხანძარგავლით ფართობები დღემდე უფრადდებოდ, გაუწმენდა ვადა მიტოვებული და მათ გატყევებაზეც არავის უზრუნია;

4. 1991-2012 წლებში პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და ენერგეტიკულმა კრიზისმა, ხეტყის მომხმარებელთა აღზევებამ გამოიწვია უნებართვო ჭრები: უტრანსპორტობამ და საწვავსაცხები მასალების სიმცირემ, აღრე ჭრაგავლით ფარ-

თობებში დამატებით ინტენსიურმა ჭრებმა განაპირობა სამასალე ხე-ტყის მოხმარებადატაცების ზრდა და კონტრაბანდული წესით საზღვარგარეთ გატანა. ყოველივე ამან ძალიან სერიოზული დაღი დაასვა ხეობის წიწვიანი და ფოთლოვანი ტყის კორომებს და ბევრ უბანში ტყეები საგრძნობლად გამეჩერდა.

ექსპერიმენტალური მასალების მოპოვებისა და კამერალური დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კორომის ტაქსაციური მონაცემების დეტალურ აღწერას (კორომის შემადგენლობას, სიხშირეს, ზღვის დონიდან სიმაღლეს და ნიადაგებს) და, რაც მთავარია, ტყეების ბუნებრივ განახლებას ჭრაგავლილ და ჭრაგაუვლელ ფართობებზე, ასევე, წინა წლებში ნაძვის დაღი ლაფანჭამიით დაზიანებულ და გამეჩერებულ კორომებში და ხელოვნურად გაშენებულ ტყის კულტურებში.

სატყეო უბნების, კვარტლებისა და ლიტერების მიხედვით, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე სხვადასხვა წლებში აღებული იქნა 26 სანიმუშო ფართობი, ხოლო ბორჯომბაკურიანის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე 38 სანიმუშო ფართობი.

სანიმუშო ფართობებზე ვიღებდით სხვადასხვა ზომის სააღრიცხვო ბაქნებს და ხდებოდა აღმონაცენტრიზარდის სიმაღლისა და წლოვანების მიხედვით გა-

დათვლა. საველე მასალების კამერა-ლური დამუშავების შემდეგ გაანალიზ-და კვლევის შედეგები.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების განხილვამდე საჭიროდ მიგ-ვაჩნია მოკლედ მიმოვისილოთ შეტყვევე-მეცნიერების მიერ სხვადასხვა დროს, განსხვავებული ფორმაციის ტყვებში ბუ-ნებრივი განახლების შესწავლის მო-ნაცემები.

ვ. გულისაშვილი (1957, 1974), გ. გო-გაური (1980, 2000, 2004) და სხვათა მო-ნაცემებით, ნაძვი, სოჭი და წიფელი ძირ-ითადად ქმნიან ნაირსახოვან, რთული აღნაგობის კორომებს. მათი მოზარდი დიდხანს უძლებს დაჩრდილვას, რის გა-მოც იჩაგრება, მაგრამ გადაბერებული ხეების ამოვარდნის, ქარქცევის და სხვა მოვლენების გამო, საბურველის განათე-ბის შემდეგ სწრაფად იზრდება სიმაღ-ლესა და სიმსხოზე. თვისი ზრდისა და განვითერების ვერტიკალურ სარტყე-ლებში ისინი ქმნიან შერეულ კორომებს.

ვ. გულისაშვილის (1974) მიხედვით, სოჭის, ნაძვის და მითუმეტეს წიფლის კორომებში შერეულად ვითარდება რცხ-ილა, რომელიც ჩრდილისამგან, მეზოფი-ტურ მერქნიან სახეობებს მიეკუთვნება. რცხილა სითბოს დიდ მოთხოვნილებას არ უყენებს. მისი აღმონაცენი და მოზარ-დი ადრეულა და გვინა ყინვებით არ ზიანდება, რაც მას დია ადგილებზე და-სახლების საშუალებას აძლევს. ნიადაგის მიმართ იგი მომთხოვნია, კარგად იზრდე-ბა ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე, ქარ-გამძლეა. აქვს ღრმა ფესვთა სისტემა, განახლება მიმდინარეობს თესლით და ძირკვის ამონაყრით. ამონაყრით გამრავ-ლების უნარს იგი 80100 წლამდე ინარ-ჩუნებს. მსხმოიარობას იწყებს 1520 წლი-დან, მსხმოიარობს ყოველ 12 წელიწადში, ამიტომ ვ. გულისაშვილის (1974) აზ-რით, აღმოსავლეთის წიფლის პირწმინ-დად ჭრის ან ზედმეტად გამეჩერებების

პირობებში წარმოებს სახეობათა ცვლა – წიფელი იცვლება რცხილით ან სხვა ფოთლოვანებით.

ნაირსახოვანი ტყეების ბუნებრივი გა-ნახლების, სახეობათა ცვლის, ხნოვანები-თი სტრუქტურის, აღნაგობისა და სხვა საკითხები განხილულია ცნობილი მეტ-ყევე-მეცნიერების მიერ სხვადასხვა სა-მეცნიერო შრომებსა და მონოგრაფიებ-ში.

6. მარგველაშვილი (1954) წიფლის კორომების ზრდის მსვლელობის განხი-ლვისას აღნიშნავს, რომ წიფლის მოზარ-დი ერთხნოვან კორომებში, სიცოცხლის ადრე პერიოდში საბურველის ქვეშ მო-ზარდის ძლიერი დაჩრდილვით ხასი-ათდება.

ი. პოპოვი (1962, 1967) აღნიშნავს, რომ მოზარდის დაჩაგვრა შეიძლება გაგრ-ძელდეს 70100 წელი. ამასთან, ძლიერ დაჩაგრული მოზარდი სიმაღლეში იზრ-დება ცუდად და მისი ტოტები ილტვის სინათლისკენ, რაც იწვევს ქოლგისებური ვარჯის შექმნას.

ვ. მირზაშვილისა და გ. გიგაურის (1964) მიხედვით, აღმოსავლეთის წიფ-ლის, როგორც ჩრდილის ამგანი სახეო-ბის, ბუნებრივი განახლება ხდება დედა საბურველის ქვეშ და იგი დიდხანს იტანს დაჩრდილვას. დაჩრდილვის (დაჩაგვრის) პერიოდი წიფლისთვის გრძელდება თითქმის 170 წელი, ხოლო სინათლის რეჟიმის გაუმჯობესების პირობებში მი-სი ზრდის ინტენსივობა 5-ჯერ იზრდე-ბა.

მ. სვანიძის (2001) მონაცემებით, სა-ბურველის მაღალი შეკრულობის პირო-ბებში (0.8 და მეტი) წიფლის 12 წლის აღმონაცენი დიდი რაოდენობით არის გავრცელებული. 35 წლიდან 20 წლამდე წიფლის მოზარდის რაოდენობა კლე-ბულობს, ხოლო რცხილისა კი მატუ-ლობს. საბურველის საშუალო შეკრუ-ლობისას (0.50.7) 620 წლის ხნოვანების

წიფლისა და რცხილის მოზარდის რაოდენობა თითქმის თანაბარია. მ. სვანიძის მონაცემებიდან შეიძლება მივიღეთ დასკვნამდე, რომ სახეობათა ცვლის პირველადი პროცესი აღნიშნულ ტყეებში დიდი ხნის დაწყებულია და დღესაც მიმდინარეობს.

გ. გიგაური (1971, 1980, 1987) წიფლის ტყეების პროზონტარული სტრუქტურისა და წიფლის მოზარდის ხნოვანებითი სტრუქტურის შესწავლის შედეგად აღნიშნავს, რომ წიფლის კორომებში ხეების პროზონტარული გადაადგილება ძირითადად ჯგუფური ხასიათისაა და მოზარდი სხვადასხვა ხნოვანებისაა. ამასთან, იგი ადასტურებს იმ აზრს, რომ სიცოცხლის წინა პერიოდში დედა საბურველის ქვეშ და საშუალო ზომის (1520 მ დიამეტრის) ყალთადებში წიფელს ახასიათებს შენელებული ზრდა, რაც გამოწვეულია საბურველის არათანაბარი განვითარებით. გ. გიგაური (1987) მიხედვით, წიფლის მოზარდი თავისი გარეგნული ნიშანთვისებებით შეიძლება მიეკუთვნოს მოზარდის კატეგორიას, ხოლო ხნოვანებით იგი გაცილებით მეტია და მიეკუთვნება ლატნარს, შუახნოვან ან მომწიფარ ხნოვანებით ჯგუფებს, ამიტომ ერთხნოვანი კორომებისთვის ამჟამად მოქმედი ბუნებრივი განახლების შეფასების შკალა ნაირხნოვანი (1580 წლის) წიფლის მოზარდის შესაფასებლად არ ვარგა. გ. გიგაურის (1987) გამოთქვამს აზრს, რომ ბუნებრივი განახლების შეფასებისას ვიხელმძღვანელოთ არა მოზარდის ხნოვანებით, არამედ მისი სიმაღლითა და სიმსხოთი.

ფიჭვნარების, ნაძვნარებისა და წიფლნარების ნახანძრალებზე ტყის ბუნებრივი განახლების შესწავლის შედეგად ა. ფანჩულიძე (1971) მიღის დასკვნამდე, რომ ხანძრის ფართობისა და ნიადაგის მინერალიზაციის ინტენსივობის მი-

ხედვით, ტენიან ადგილსამყოფელში ფიჭვი იცვლება ნაძვით და ფოთლოვანი სახეობებით.

მ. სვანიძე (1998) მიუთითებს, რომ დაბალი სიხშირის (0.30.4) წიფლნარებში სინათლის რეჟიმის გაუმჯობესება იწვევს ბალახეული საფარის ძლიერ განვითარებას, რაც უარყოფითად მოქმედებს წიფლის აღმონაცენისა და მოზარდის ზრდა-განვითარებაზე. აღნიშნულ პირობებში რცხილა ავლენს თავის ბიოეკოლოგიურ ხასიათს და მისი აღმონაცენი და მოზარდი კარგად ვითარდება, ამიტომ ახალგაზრდა და შუახნოვანი წიფლნარი ტყეების შემადგენლობაში რცხილის ოდენობა იზრდება და ამდაგვარ რცხილნარ-წიფლნარებში უსისტემო კრისგან გამეჩერების შედეგად ხდება წიფლის ცვლა რცხილით.

ბორჯომის ხეობის ტყემცენარეულობას ვერტიკალური სარტყელიანობა ახასიათებს, რაც განპირობებულია ნიადაგური-კლიმატური პირობების ნაირგვარობით, მთიანი რელიეფით და მისი დანაწევრებით. ვ. გულისაშვილი (1964) ყოველი ბუნებრივი ზონის ან სარტყელის ინდიკატორად თვლის იმ ზონაში ან სარტყელში გაბატონებულ მცენარეულობას. მისივე მონაცემებით, საქართველოში პირველადი ბუნებრივი ზონების გადანაწილება კანონზომიერ ხასიათს ატარებს და სრულიად ექვემდებარება ვერტიკალური ზონალობის ზოგად კანონებს.

ბორჯომის ხეობაში ჰავა მეტად მშრალი და კონტინენტურია. ამ ზონის ტყეებში ნაძვია გაბატონებული, შემდეგ ფიჭვი, ხოლო სოჭს დაქვემდებარებული ადგილი უკავია. ზოგჯერ მშრალ პირობებში, თხელ განუვითარებელ ნიადაგუბზე სოჭი მთლიანად გამოიდევნება და იქმნება ნაძვის ტყეები.

წიწვიან, ხელუხლებელ, ნაირსახოვან კორომებში, ისევე როგორც მოწესრიგუ-

ბულ ამორჩევით მეურნეობებში, ყველა სიმსხოს ხე გვხვდება დაწყებული ყველაზე მცირე, სააღრიცხვო ზომიდან (48სმ), დამთავრებული ყველაზე მსხვილი ზომით (120-140-200 მ და მეტი). ხის სიმსხოს მატებასთან ერთად მცირდება დიდი ზომის ხეების რიცხვი. ასეთ ტყეებში თავისებურად მიმდინარეობს ტყის ბუნებრივი განახლება, რაზედაც დამოკიდებულია მისი მომავალი არსებობა. მრავალწლოვანმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ტყის საბურველის მაღალი შეკრულობის ქვეშ, სინათლის ნაკლებობის გამო, აღმონაცენის დიდი რაოდენობა იმავე წელს ან 2-3 წლის შემდეგ უკვალოდ ქრება (მიუხედავად ნაძვის, სოჭისა და წიფლის ჩრდილის ამტანობისა). ასეთ ტყეებში ბუნებრივი განახლება დაკავშირებულია ხეების წაქცევის შედეგად დიდ ან მცირე ფანჯრებში (ყალთაღების) წარმოქმნასთან. ამ ფანჯრებში ან გელობებში განვითარდება მოზარდობა დიდი ან მცირე ჯგუფები. იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირია ასეთი ფანჯრები და რამდენად სწრაფად იკვრება ტყის მთავარი საბურველი, ბუნება დამოუკიდებლად გვიჩვენებს ერთგვარ გადასვლებს ხელუხლებელი ტყის წმინდა ამორჩევითი ფორმის მეურნეობისაკენ. ბუნებას შეცდომები არ მოხდის, ამბობდა უდიდესი პოეტი და მოაზროვნე გოეთე, შეცდომები და გაუგებრობანი თვით ბუნებაში მყოფი ადამიანისგან გამომდინარეობს. ამ სიბრძნის დამადასტურებელია წარსულში ბორჯომის ხეობის ნაძვნარფიჭვნარი ტყეების არასწორი ექსპლუატაცია, რამაც საგრძნობლად გააუარესა ამ ტყეების საერთო მდგრადობა.

ტყის უსისტემო ჭრები სპობს ამ ცოცხალ ორგანიზმს. ძლიერ გამეჩერებულ ფართობებზე ბუნებას დიდხანს არ შეუძლია სიცოცხლის აღდგენა. ასეთი ჭრების შემდეგ ხშირად იწყება ერთზოული

პროცესები, დიდი დაქანების ფერდობებზე ქვათაცვენა, ნიადაგის ჩამორეცხვა და სხვ.

ტყეთმცოდნეობის მეცნიერება და პრაქტიკა ყოველთვის ტყის ჭრასა და აღდგენას შორის არსებული წინააღმდეგობის რაციონალური გადაწყვეტისაკენ ისწრაფოდა. ახლა ტყეში ხე-ტყის დამამზადებელი ახალ ტექნიკასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მეტი სირთულის წინაშე აღმოჩნდა. ახალმა მანქანა-ტრაქტორებმა ხე-ტყის მჯრელების შრომა შეამსუბუქა, აამაღლა მათი შრომისნაფორება. ახლა ტყის მჭრელები ტყეკაფზე ფეხით აღარ დადიან, მათ შეუძლიათ ტრაქტორით თითოეულ ხემდე მივიდნენ, მაგრამ გზად ბორბლებითა და მუხლუხებით ყოველივე ცოცხალს ანადგურებენ. ხეტყის დამზადების ასეთი უბრალო და მსუბუქი ხერხი საზოგადოებისთვის ყველაზე საზიანოა.

საჭიროა ტყეკაფზე ჭრების შემდეგ ახალი, ჯანსაღი, პროდუქტიული ტყეების გაზრდაზეც ვიზრუნოთ. მომავლის ტყეები აქვეა, ჭრაში დანიშნულ ხეების საბურველებეში.

მეცნიერული კვლევებითა და პრაქტიკული გამოცდილებით დადგენილია, რომ ტყის აღდგენის უპირატესობა, სადაც კი ეს შესაძლებელია, ტყის ბუნებრივ (თესლითი) განახლებას უნდა მიენიჭოს. ბუნებრივად განახლებული ტყეები ხასიათდებიან ბიოლოგიური თუ ეკოლოგიური მდგრადობის, პროდუქტიულობის, სიცოცხლისუნარიანობის გაცილებით მაღალი მაჩვენებლებით, ვიდრე ხელოვნურად გაშენებული კორომები. გარდა ყოველივე აღნიშნულისა, ტყის ხელოვნურად გაშენება, მითუმეტეს მთიანი რელიეფის პირობებში, სადაც ტექნიკის გამოყენება თითქმის შეუძლებელია, საკმაოდ ძვირად ღირებული და შრომატევადი საქმიანობაა.

ტყის ბუნებრივი განახლების პრო-

ცესი ნაირსახოვან, ვერტიკალურად შეკრულ კორომებში, თავისებური კანონზომიერებით ხასიათდება. ნაძვის, წიფლის და სოჭის ნაირსახოვან ტყეებში მუდმივად (უწყვეტად) მიმდინარეობს ბუნებრივი თვითგამოხმირვა და თვითგანახლების პროცესი. აქ თითქმის გამორიცხულია ფართო მასშტაბის ერთხოვანი თაობის ერთდროულდად წარმოშობა, რომელიც მომავალში კორომის ერთიან შეკრულ კალთას შექმნის. გ. გიგაურის (1980) გამოკვლეულით, წიფლის, სოჭისა და ნაძვის ნაირსახოვან კორომებში ბუნებრივი განახლება, დროის რადაც მონაკვეთის გასვლის შემდეგ მასიურად არ აღინიშნება. ამას შეიძლება პქონდეს ადგილი კორომში ბუნებრივი ყალთადის წარმოშობის შემდეგ.

ტყეების ბუნებრივი განახლება მნიშვნელოვან სამეურნეო პროცესს წარმოადგენს, რაც ზოგჯერ ადამიანის ჩაურევლად ძლიერ ჭიანურდება და მრავალ შემთხვევაში, შეიძლება მეურნეობრივად სასურველი შედეგი ვერ მივაღწიოთ. მიუხედავად ამისა, მთიან პირობებში იგი

დღესაც ტყეების განახლების ერთადერთ ძირითად ფაქტორად რჩება.

როგორც ცნობილია, ტყის განახლების ძირითადი პირობებიდან ადსანიშნავია სითბოს, სინათლისა და ტენის ელექტრიცების შეზავება იმგვარად, რომ ნიადაგში განუწყვეტლივ მოგვეპოვებოდეს პუმუსის გახრწისა და დაშლის ყველა სტადია, რათა ჩამონაცვენ თესლს გაღვივების საუკეთესო პირობები დაუხვდეს, ხოლო აღმონაცვენს ხელი შეეწყოს ზომიერად განვითარებისთვის.

ჩვენს მიერ ბორჯომის ხეობაში ჩატარდა რიგი გამოკვლევები ფიჭვით, ნაძვით, სოჭით გაბატონებულ კორომებში, აგრეთვე ფიჭვნარნაძვნარებში ბუნებრივი განახლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით (იხ. ცხრ. №1). ცხრილში მოცემულია ბორჯომის ხეობის ფიჭვის სამეურნეო სექციის სხვადასხვა სიხშირის კორომებში ბუნებრივი განახლების მდგომარეობის შესწავლის შედეგები. ბუნებრივი განახლება შეფასებულია აკადემიკოს ვ. გულისაშვილის შკალით.

#### ცხრილი №1

#### ზოგის განებრივი განახლება კორომის სიხშირის სიხშირის დაკავშირები

№	კორომის სიხშირის ჯგუფი	ტყს ბუნებრივი განახლების ხასიათი სხვადასხვა სიხშირის კორომებში				
		კრგი	დამატებული	ცლი	არ არის	სულ
1	დაბალი სიხშირის (0.3-0.4) %	788	1751	2130	2425	7094
		11.1	24.7	30.0	34.2	100
2	საშუალო სიხშირის (0.5-0.7) %	1506	5412	7919	6364	21201
		7.1	255	37.4	30.0	100
3	დაბალი სიხშირის (0.8 და მეტი) %	218	888	2013	3470	6589
		34	13.5	30.5	52.6	100
	სულ	2512	8051	12062	12259	34884
	%	72	23.1	34.6	35.1	100

ცხრილიდან ჩანს, რომ ბორჯომის ხეობაში ფიჭვის ბუნებრივი განახლების პროცესი საერთოდ, შეიძლება ითქვას, არადამაკმაყოფილებელია, თუმცა სხვადასხვა სიხშირის ფიჭვნარებში ნაირგვარი მაჩვენებლებით ხასიათდება. მაგალითად, დაბალი სიხშირის ფიჭვნარებში კარგი და დამაკმაყოფილებელი განახლება მთლიანი ოდენობის 35.7% შეადგენს, საშუალო სიხშირის კორომებში 32.6%, ხოლო მაღალი სიხშირის (0.8 და მეტი) კორომებში 17%ს არ აღემატება. ეს გასაგებიცაა, კორომებში განათების რეჟიმის ცვალებადობის გამო ფიჭვის განახლება თანდათან უარესდება.

ფიჭვნარნაძვნარებში ბუნებრივი გა-

ნახლების ხასიათი ვარჯის სხვადასხვა შეკრულობის ფიჭვნარნაძვნარებში განსხვავებულია (ცხრილი №2). ვარჯის 0.30.4 შეკრულობის ფიჭვნარნაძვნარებში, 1 ჰაზე გადაყვანით 4.5 ათასი აღმონაცენმოზარდია, მაგრამ მისი ნაწილი 1.8 ათასი ცალი, მოდის 13 წლამდე 0.50.6 ვარჯის შეკრულობის კორომებში 13.8 ათას ცალს შეადგენს. 0.70.8 ვარჯის შეკრულობის კორომებში 7.9 ათასი მოზარდალმონაცენიდან 3.3 ათასი მოდის 13 წლის აღმონაცენზე, ხოლო 4.6 ათასი კი 3 წელზე მეტი ხნისაა. 0.91.0 ვარჯის შეკრულობის კორომებში კი – 2.5 ათასი მოზარდალმონაცენიდან 1.3 ათასი ცალი მოზარდი 3 წელზე მეტისაა.

## ცხრილი №2

### უიზვისა და სოჭის გუნდერივი განახლების მაჩვენებლები

#### კორომის საბურცვლის შპცულობის მიხედვით

საბურცვლის შეკრულობა	აღმონაცენ- მოზარდის ხნოვანება (წელი)	მოზარდალმონაცენის რაოდენობა 1ჰაზე 1000 ცალი		აღმონაცენ- მოზარდის სოჭი	აღმონაცენ- მოზარდის რაოდენობა
		ფიჭვი	ნაძვი		
0.30.4	1-2	0.2	1.3	0.3	1.8
	3-5	1.2	0.1	-	1.3
	6-10	0.7	-	0.1	0.8
	11-ზე მეტი	0.3	0.2	0.1	0.6
	სულ	24	1.6	0.5	4.5
0.50.6	1-2	0.4	2.1	1.7	4.2
	3-5	0.6	2.6	0.7	3.9
	6-10	1.1	1.6	0.5	3.2
	11-ზე მეტი	1.4	0.8	0.3	2.5
0.70.8	სულ	3.5	7.1	3.2	13.8
	1-2	0.6	2.4	0.3	3.3
	3-5	0.3	1.3	0.4	2.0
	6-10	0.4	1.0	-	1.4
	11-ზე მეტი	0.3	0.9	-	1.2
0.9-1.0	სულ	1.6	5.6	0.7	7.9
	1-2	0.2	0.8	0.2	1.2
	3-5	-	0.6	3	0.9
	6-10	-	0.1	-	0.1
	11-ზე მეტი	-	0.3	-	0.3
	სულ	0.2	1.8	0.5	2.5

ძირითადად ყურადღება უნდა მიექცეს 0.30.6 სიხშირის კორომებს, რათა უფრო მეტი აღმონაცენი გადავიდეს მოზარდში. გარდა ზემოაღნიშნულისა, ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ფიჭვნარნაძვნარ კორომებში ბუნებრივი განახლება ძირითადად ნაძვით მიმდინარეობს, რაც სახეობათა ცვლის მომასწავლელია. უნდა გატარდეს სათანადო ღონისძიებები, რათა ფიჭვნარნაძვნარ კორომებში ფიჭვის მოზარდის გაბატონება მივიღოთ და საკურორტო ტყეებში უპირატესი სამომავლოთ ფიჭვის კორომების ფორმირება უზრუნველყოთ.

#### **ფიჭვის (*Pinus Sasinowsky Nakai*)**

კორომების ბუნებრივი განახლების საკითხმა დიდი ხანია, რაც სატყეო საქმის მკვლევართა და პრაქტიკოს მეტყველთა უურადღება მიიპყრო.

ჯერ კიდევ პროფესორი გ. მოროზოვი სატყეოსამეურნეო მნიშვნელობის სხვა საკითხებს შორის, მას ერთერთ „მტკივნეულ“ საკითხად თვლიდა. ფიჭვნარი კორომების საკითხი ამჟამადაც უფრო მეტად ყურადღების ცენტრში დგას.

ეს მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ფიჭვნარების განახლება გარემოს სხვადასხვა პირობებში არაა ერთნაირად უზრუნველყოფილი. ამავე დროს გარემო პირობებით მსგავს ფიჭვნარებშიც კი მეურნეობის სხვადასხვა წესების გატარება იძლევა განახლების ხან უარყოფით, ხანაც დადებით შედეგს.

ფიჭვი და ნაძვი დიამეტრიულად განსხვავებული ბიოეკოლოგიური თვისებებით ხასიათდებიან. ამის გამო გამოთქმულია აზრი, რომ ფიჭვსა და ნაძვს ისტორიულად გამოუმუშავდათ ისეთი ბიოლოგიური თვისებურებანი, რაც მეტის მეტად მტკიცედ აკავშირებს მათ ერთომეორესთან.

ვ. გულისაშვილი (1975, 1974) აღნიშ-

ნავს, რომ ვერტიკალური გავრცელების მიხედვით ფიჭვი აზონალური სახეობაა. ამასთან ერთად იგი მიუთითებს, რომ ბორჯომის ხეობაში ფიჭვი ხშირად იცვლება ნაძვითა და სოჭით. დასავლეთ საქართველოს ნაძვნარსოჭნარები განვითარებული არიან ფიჭვნართა ადგილზე, საიდანაც ეს უკანასკნელი მათ მიერ განვიღებულია. ამის ტიპიურ მაგალითად ბორჯომის ხეობაში ითვლება ნაძვის „ნაღვარები“ დაბის და ზოგიერთი მიკრო სატყეო უბნები და კვარტლები, სადაც ძირითადად სოჭი და ნაძვია გავრცელებული. ხეობაში ზღვის დონიდან 1400 მეტრის ზევით ბაკურიანის რეგიონში სოჭი არ გვხვდება.

ბორჯომის ხეობაში ფიჭვნარები გავრცელებულია ზომიერი ჰავის პირობებში, რომელიც ხასიათდება ზაფხულში ჰაერის მაღალი შეფარდებითი ტენიანობით, საქმაო ან ჭარბი ნალექებით, სადაც ფიჭვნარების განახლება (წარმოშობა) და განვითარება თავისებური გზით მიიმართება. ფიჭვი, როგორც ცნობილია, სინათლის მოვარული სახეობაა, მისი კორომის წარმოშობა და განახლება სხვა სახეობის კორომის კალთის ქვეშ გამორიცხულია. იგი, როგორც წესი, წარმოშობა დია ადგილზე, მისი დასახლების ათიოდე წლის შემდეგ, როცა იგი ინტენსიურ ზრდას იწყებს სიმაღლეზე, მის ქვეშ ასევე ინტენსიურად სახლდება ნაძვი და სოჭი, რომლებიც თავდაპირულად რაღაც პერიოდის განმავლობაში დაჩრდილული არიან საბურველის ქვეშ და ნელა იზრდებიან. ფიჭვი პირიქით, თავიდანვე სწრაფად იზრდება, წარმოქმნის ზედა სართულს და ასეთი კორომის საბურველის ქვეშ ფიჭვი აღარ წარმოიშობა. ნაძვი და სოჭი კი პირიქით, განუწყვეტლივ იძლევიან განახლებას და მათი მომავალი უზრუნველყოფილია, თუმცა ხშირად გარკვეულ გარემო პირობებში (ნახანძრალებზე, ველობებ-

სა და დია, ტყით დაუფარავ ფართობებზე) წარმოშობა წმინდა ფიჭვნარნაძვნარები.

ფიჭვი ქსეროფიტია, იზრდება თხელ ნიადაგებზე, გვალვისა და სიცივის ამტანია და ასეთ პირობებში ნაძვი და სოჭი ვერ იზრდებიან. ფიჭვი ასეთ ადგილებზე მეტოქეების გარეშე რჩება, ქმნის დაბალი წარმადობის წმინდა კორომებს, ეს ადგილები მომავალი ფიჭვნარების განახლების წყაროა. ფიჭვი, როგორც ცნობილია, ნახანძრალებზე კარგი განახლებით ხასიათდება, მნიშვნელოვან ფართობს მოიცავს, სადაც ფიჭვის თანამგზავრი სახეობები – სოჭი და ნაძვი, როგორც აღრეული და ასევე გვიანი ყინვების მიმართ მგრძნობიარენი, უშუალოდ ვერ სახლდებიან. ასეთი ფართობი კვლავ ფიჭვნარებმა უნდა დაიკავონ, ზოგჯერ ვერხვისა და არყის შერევით, რომლებიც ბიოლოგიური თვისებებით ახლოს დგანან ფიჭვთან. აქვე აღსანიშნავია, რომ ხანძარი ნაძვისა და სოჭისათვის უფრო დიდი მტერია, ვიდრე ფიჭვისათვის. ვინაიდან ნაძვი ძირამდე დატოტვილი დიდხანს რჩება, უფრო ხშირი ხვევნარით ხასიათდება და უფრო მკვრივი ვარჯი აქვს, ქერქი კი – უფრო თხელი. ხანძრის შემთხვევაში, თუ ცეცხლი საგრძნობლად მოედო ფიჭვნარნაძვნარს პირველ რიგში დაზიანდება ნაძვი, ხოლო ფიჭვი, რომელსაც ვარჯი ძლიერ მაღლა აქვს შერჩენილი, ძირზე განვითარებული აქვს სქელი ქერქი, რის გამოც ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც გადარჩება. ი. მელისოვი (1980) მიუთიებს, რომ ხანძრის შემდეგ სანიმუშო ფართობზე 144 ნაძვის ხიდან მხოლოდ 4 ხე, ე.ი. 3% გადარჩა ცოცხალი, დანარჩენი დაიღუპა, მაშინ, როდესაც 516 ფიჭვის ხიდან ამავე ხანძარს ცოცხლად გადაურჩა 332 ხე ანუ 65%. ამასთან ერთად, ხანძარი სპობს ბალახს, ამით აადგილებს ფიჭვის განახლებას.

შემდეგი ფაქტორი ის არის, რომ ადამიანი ტყის ექსპლუატაციის დროს ატარებს სხვადსხვა სისტემის ჭრებს, იმ ვარაუდით, რომ ფიჭვის განახლებას შეგნებულად ხელი შეუწყოს. ხელსაყრელ პირობებში ფიჭვის პირწმინდა ტყეებაფი პკლაგ ფიჭვნარებით იფარება.

ფიჭვნარების წარმოშობის საკითხით ბევრი მკვლევარი დაინტერესდა, მათ შორის ბორჯომის ხეობის ფიჭვნარები შესწავლილი აქვს პროფესორ ვასილ გულისაშვილს (1966). ზოგი იზიარებდა იმ აზრს, (ტკაჩენკო, 1952), რომ ფიჭვნარები ერთხნოვანია, მაგრამ ზოგან გახვდება ორი ან სამხნოვანი ფიჭვის კორომები. პროფესორ ვ. გულისაშვილის გამოკვლევის შედეგად მტკიცდება, რომ ჩვენს პირობებში ფიჭვნარები შეიძლება იყოს ერთი, ორი, სამი და ზოგჯერ მრავალხოვანიც. ფიჭვნარების წარმოშობის საკითხით დაინტერესებულნი იყვნენ აგრეთვე მაღალკვალიფიცირებული ქართველი მეტყველები: პროფესორი ს. ქურდიანი, ასევე ვ. მირზაშვილი, ს. კიკაბიძე, ლ. ჩიბურდანიძე, პ. მეტრეველი, დ. სარაჯიშვილი, შ. ხიდაშელი და სხვა.

ჩვენი გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიადაგის ზედა ფენა მშრალი ფიჭვნარის კალთის ქვეშ იზრდება, მეზობლად არსებულ დია ადგილზე თითქმის თანაბარი ტენიანობით ხასიათდება და ამ მხრივ კალთის ქვეშ ნიადაგი მხოლოდ გაზაფხულზე უკეთეს პირობებში. სანიმუშო ფართობებზე აღმონაცენმოზარდის აღრიცხვა 2003 წლის აგვისტოში ჩატარდა, უფრო ადრე იმავე წლის ივნისის 510 რიცხვებში (15 სანიმუშო ფართობიდან) 5 სანიმუშო ფართობის ყველა პექტარზე ბაქნობრივი გადათვლით საშუალოდ აღმონაცენის შემდეგი რაოდენობა მიიღეს (იხ. ცხრ. №3).

**აღმონაცენის რაოდენობა 1 ჰექტარზე ფერდობის ემსარჩივიასთან,**  
**დაძანებასთან და კორომის სიხშირესთან დაკავშირებით**

სანიმუშო ფართობი №	ექსპოზოცია	ფერდობის დაჭანება გრაფულიბით	კორომის სიხშირე	აღმონაცენის რაოდენობა 1ჰაზე
1	სამხრეთი	30	0.3	12000
5	სამხრეთი	45	0.4	76000
9	სამხრ.აღმოს.	40	0.3	16000
14	სამხრ.დასავ-	30	0.8	21000
15	სამხრეთი	55	0.4	19000

ივნისსა და აგვისტოში წარმოებული აღრიცხვის შედეგების შედარება გვიჩვენებს, რომ მშრალი ტიპის ფიჭვნარებში უხვი თესლნაყოფიერების მეორე წელს მიიღება ფიჭვის მასიური აღმონაცენი, მაგრამ ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისისათვის ამ აღმონაცენის უმეტესი ნაწილი იღუპება, ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზად ნიადაგის ზედა ფენის ზედმეტი გამოშრობა უნდა მივიჩნიოთ.

ფიჭვის განახლების მდგომარეობის თვალსაზრისით, კორომები სიხშირეების მიხედვით შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს:

1. მაღალი სიხშირის (0.8-1.0) კორომები, რომლებიც ცოცხალი საფარის შედარებით სუსტი განვითარებით ხასიათდებიან. აქ განახლებას ხელს უშლის სინათლის ნაკლებობა, კალთის ქვეშ არსებული მოზარდი მცირე ოდენობით და სუსტი განვითარებით ხასიათდება;

2. საშუალო სიხშირის (0.5-0.7) კორომები, სადაც ფიჭვის ნორმალურ განახლებას ხელს უშლის ბალახეული საფარი და ფიჭვისთვის არასაკმარისი განათება;

3. დაბალი სიხშირის (0.3-0.4-ზე ქვევით) კორომები, რომლებშიც უმეტეს შემთხვევაში, ძლიერ განვითარებული ბალახეული საფარის არსებობის გამო, განახლება არადამაკმაყოფილებელია და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაშია ასეთ სიხ-

შირეებში მიღებული კარგი განახლება. ეს აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი პქონდა ხშირი კორომების ერთჯერად გამოხშირვას; სასურველი განახლებაა მიღებული ასეთი სიხშირის კორომებში იმ ფართობებზეც, სადაც გავლით ხანძრებს პქონდათ ადგილი.

სათანადო დაკვირვებით, მაღალი სიხშირის (0.8-1.0) კორომებში აღმონაცენმოზარდის საერთო რაოდენობიდან მეტ ნაწილს შეადგენს აღმონაცენი. მოზარდი ამ კორომებში მცირეა და რაც მთავარია, სუსტი განვითარებისაა.

საშუალო სიხშირის (0.5-0.7) კორომებში მოზარდის რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში დამაკმაყოფილებელია, მაგრამ იგი აქაც არასკამო განათებისა და ძლიერ განვითარებული ბალახეული საფარის კონკურენციის შედეგად სუსტი განვითარებით ხასიათდება.

დაბალი სიხშირის (0.3-0.4-ზე ქვევით) კორომებში კი მიღებულია ხშირი და საიმედო განვითარების მოზარდი.

ბორჯომის ხეობის ტერიტორიაზე განახლებულ ფიჭვნარებში, როგორც ეს ჩვენი მასალებით დასტურდება, მიმდინარეობს საკმაოდ კარგად გამოხატული სახეობათა ცვლა.

ბორჯომის ნაკრძალის კვ.№17 ჩვენს მიერ აღებულ სანიმუშო ფართობზე, რომლის საერთო ფართობის 221ჰა. შემადგენლობის მიხედვით აქ აღირიცხება 10ფიჭვი+ნაძვი, დაქანება 510<sup>0</sup>, ექსპო-

ზოცია სამხრეთი, კორომის ხნოვანება 140წ., კორომის საშუალო სიმაღლე 25მ., სიმაღლე ზღვის დონიდან 950მ. ბორჯომის ხეობაში ჩვენს მიერ აღებულ სანიმუშო ფართობიდან იგი ძალიან განსხვავებულია, იქ ვხვდებით ფიჭვის მოზარდს, რაც ჩვენი აზრით, იშვიათი შემთხვევაა.

აღებულ სანიმუშო ფართობზე 20 წლიანი ხნოვანების ფიჭვის მოზარდის სიმაღლე  $H$  და სიმსხო  $D$  შევაჯამეთ, გაფუვავით მოზარდის რაოდენობაზე და მივიღეთ საშუალო სიმაღლე 2.8მ. და სიმსხო 2.20სმ. ეს მონაცემები შევადარეთ ვ.მირზაშვილის III ბონიტეტის ცხროლებს და მივიღეთ სიმაღლე 5.6მ და სიმსხო 5.9სმ. ამ შემთხვევაში 1 ჰა-ზე უნდა იყოს 6200 მირი 20 წლიანი ფიჭვის მოზარდი, მაგრამ სულ სხვა სურათი გვაქვს ზემოაღნიშნულ ფართობზე. 1მ<sup>2</sup>-ზე საშუალოდ აღირიცხა 9 ცალი ფიჭვის მოზარდი ანუ 1 ჰა-ზე 90000 მირი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული რაოდენობის მოზარდის აღმონაცენის წარმოშობა მოხდა 0.5-0.6 სიხშირის დროს, ძლიერი თესლმსხმოიარობის შედეგად ერთბაშად მოთესვით და ტყის კალთის ქვეშ ნელი ზრდით.

**აღმოსავლური ნაძვი (Picea orientalis Link)** – გავრცელებულია კავკასიის დასავლეთ ნაწილში. საქართველოში მისი აღმოსავლეთი საზღვარი თბილისის მერიდიანზე მოდის, ქმნის როგორც წმინდა, ისე შერეულ კორომებს ძირითადად სოჭთან, წიფელთან, იშვიათად ფიჭვთან. მისი კარგი კორომები გვხვდება ბორჯომბაკურიანის ხეობაში. ნაძვის ტყეებში ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მისი აღმოცენებისათვის საუკეთესო პირობები იქნება ტყის 0.5-0.6 სიხშირის დროს. ვინაიდან ნაძვის აღმონაცენი და მოზარდი საკმაოდ მგრძნობიარეა ყინვებისა და დიდი ტემპერატურების მიმართ, ამიტომ იგი

ახალგაზრდობაში მოითხოვს ზედა სართულების მფარველობას, როდესაც ნაძვის მოზარდი ხორმალური ზრდის პირობებში მიაღწევს 68 წლის ხნოვანებას, მას უკვე აღარ ეშინია ამ მავნე ეკოლოგიური ფაქტორების მოქმედებისა.

ნაძვის მოზარდი თავიდანვე ძალიან ნელი ზრდით ხასიათდება. 15 წლის შემდეგ საგრძნობლად ემჩნევა შემატების გადიდება, მაგრამ მაინც ნელ მოზარდ სახეობად უნდა ჩაითვალოს. თავისუფლად აღზრდილი ნაძვი თესლმსხმოიარობის იწყებს მეტწილად 30 წლის ხნოვანებაში, ტყის პირობებში აღზრდილი კი 60-70 წლიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლური ნაძვი კავკასიურ სოჭზე უფრო ჩრდილის ამტანი სახეობაა, იმ დროს, როდესაც ეკვროპული სოჭი ჩვეულებრივ ნაძვზე უფრო ჩრდილის ამტანია.

აღმოსავლეთის ნაძვის ჩრდილის ამტანობას გვიჩვენებს მისი ხშირი წიწვები, ღეროს ტოტებისგან ნელი გაწმენდა, ტყეების ნელი ბუნებრივი შეთხელება და მოზარდის დიდი ხნის მანძილზე არსებობა ხშირ ტყეში.

არსებობს მოსაზრება (დ. მანჯავიძე, 1967, 1982; რ. ქვაჩაკიძე, 2002), რომ აღმოსავლეთის ნაძვის წინაპრები ცოცხლობდნენ დასავლეთ კვიპროსში ცარცის პერიოდში. მასვე აკუთვნებენ დანალექ ფენებში ანაბეჭდების სახით ნაპოვნ ინუს ბრიან თიკალმს. აღმოსავლეთის ნაძვი კავკასიისათვის რელიქტური და ენდემური მეტწინიანი სახეობაა, რომელიც პონტიის კოფილი მდიდარი ფლორის ნარჩენს წარმოადგენს. ეს ნაძვი წარსულში ყინულოვან პერიოდამდე უფრო მეტი გავრცელებით ხასიათდებოდა, ვიდრე ამჟამად.

ცნობილია, რომ აღმოსავლური ნაძვი ჩრდილის ამტანი სახეობაა და ძირითადად ნაირსახოვან კორომებს ქმნის. მისი მოზარდი კარგად იტანს კალთის

მიერ დაჩრდილვას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კორომის საბურველი ძლიერ შეთხელებულია, ნაძვის აღმონაცენი აღვილად ზიანდება ადრეული და გვიანი ყინვებით და მზის ჭარბი რადიაციონ.

ძლიერ გამეჩხერებულ კორომებში ბუნებრივი წარმოშობის ნაძვის მოზარდების დარგვამ არ გაამართლა. ამის მაგალითს იძლევა ბაქურიანის სატყეო მეურნეობის თორის სატყეოში 1971 წლის გაზაფხულზე გაშენებული ფიჭვის კულტურები, სადაც სანერგეში ადგრდილ ფიჭვის ნერგებთან ერთად დარგული იქნა ტყიდან გადმოტანილი ნაძვის ბუნებრივი მოზარდი, რომელიც შემოწმების პერიოდისათვის მეტად დაკნინებული და ფერდაკარგული იყო, ვიდრე ასეთივე ხნოვანების მოზარდი ტყის კალთის ქვეშ, სულ რაღაც 50 მეტრის დაშორებით. ფიჭვის ნერგები საკმაოდ ძლიერად გამოიყურებოდნენ და კარგი ნაზარდიც ჰქონდათ, ამიტომ საჭიროა ძლიერ მეჩხერ კორომებში, სადაც დარღვეულია ნაძვის ბუნებრივი გავრცელებისათვის სათანადო გარემო, საჭიროა გაშენდეს ფიჭვის ან სხვა სინათლის მოყვარული ფოთლოვანი სახეობების კულტურები.

ბაკურიანის სატყეოში ნაძვნარ კორომში, ბაქნებში შეთესილია სოჭი, რომელიც კარგ მდგომარეობაშია, ამიტომ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ბაქნების ირგვლივ ბუნებრივად წამოსულია ნაძვის აღმონაცენი, ბაქნების მომზადების დროს აიჩიქნა მკვდარი საფარი და შეიქმნა ბუნებრივად აღმოცენების კარგი პირობები, ამიტომ ასეთ კორომებში საჭიროა ჩატარდეს ბუნებრივი განახლების სელისშემწყობი ღონისძიებები (აჩიქნა, შეღობვით), რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს ტყეების აღდგენას.

**კავკასიური სოჭი (Abies Nordmanniana Stear)** თავისი ბიოგოლოგიური ფიჭვისებით თითქმის ისეთივეა, როგორც

ნაძვი, ამიტომ ეს ორივე მერქნიანი სახეობა უმეტესად ერთად გვხვდება.

სოჭი ითვლება ნაკლებად ჩრდილისამგან სახეობად, ვიდრე ნაძვი (ვ.მირზაშვილი, 1959; გ.გიგაური, 1980). ალბათ, სოჭის ეს ფიჭვება უნდა ჩაითვალოს იმის მიზეზად, რომ მისი მოზარდი განლაგებულია ყალთაღების ცენტრში, ხოლო ნაძვის მოზარდი კი ტყის კედელთან.

მოზარდების ასეთი განლაგება ყალთაღებში ნაძვის მეტ ჩრდილის ამგანობაზე მიუთითებს.

ბორჯომის ხეობაში კავკასიური სოჭის შერეული კორომები უფრო დამახასიათებელია ნეძვის, ყურძნისწყლის, დაბის, ნაღვარევის უბნებისათვის. იგი უმნიშვნელო რაოდენობითად აგრეთვე „მთის ხეობაში”, საერთოდ ბორჯომის რაიონში სოჭით გაბატონებულ კორომებს უჭირავს 3600ჰ. ბაკურიანში (თუ არ მოვიდებთ მხედველობაში ბაკურიანის ქედის ახლოს მიდამოებში „შუღლიანთუბანში” არსებულ 45 ეგზემპლიარს) სოჭი არ გვხვდება, ასევე არ გვხვდება თორისა და ციხიჯვრის სატყეო უბნებში.

ჩვენი გამოკვლევებით, ბორჯომის ხეობაში სოჭი ნაძვთან ერთად ქმნის საკუთარ ვერტიკალურ სარტყელს. მშრალი კონტინენტური ჰავის პირობებში იგი ზღვის დონიდან 800-900 მეტრის ქვემოთ არ ჩამოდის. იგი მეზოფიტია, სიცივის ამტანი, მოთხოვს მდიდარ ნიადაგს; ღრმა და საშუალო ნიადაგებზე ქმნის გაბატონებულ კორომებს. ჰაერის ტენიანობის მიმართ სოჭი გაცილებით მომთხოვნი სახეობაა, ვიდრე ნაძვი. იგი ნაძვთან შედარებით ნაკლებად ქარქუვადია. სოჭი ქმნის წმინდა და შერეულ კორომებს. სოჭის ჩრდილის ამგანობა, როგორც მისი ერთერთი ბიოლოგიური ფიჭვება, განაპირობებს ნაირსახოვანი კორომების შექმნას და სხვადასხვა ადგილსამყოფელის პირობებში განსხ-

გავებულ ბიომრავალფეროვნების ტყის ეკოსისტემების ზრდაგანვითარებას და ფორმირებას.

წიწვიანი და ფოთლოვანი მერქნიანი სახეობების მოზარდების და ნაყოფის შეტყვეობაში დამკვიდრებული შეფასება, მათი „საიმედო და უიმედო“ კატეგორიების მიხედვით, ჩრდილის ამტანი მერქნიანი სახეობებისათვის (ნაძვი, სოჭი, წიწველი და სხვა) არასწორად მიგვაჩნია, ვინაიდან აღმოსავლურ ნაძვს და კავკასიურ სოჭს დიდი ხნის განმავლობაში შეუძლიათ მაღალი სიხშირის კორომის მთავარი საბურველის ქვეშ არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი წლების განმავლობაში სიმაღლეზე შემატებას არ იძლევიან და არიან ე.წ. „მჯდომარე“ მდგომარეობაში, სასინათლო პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში, მოზარდი ამჟღავნებს სიმაღლეზე ისეთ ინტენსიურ ზრდას, თითქოს არავითარი დაჩაგვრის პერიოდი არ განეცადოს. აქვდან გამომდინარე, ნაძვისა და სოჭის მოზარდის შეფასება მორფოლოგიური ან სასიცოცხლო ფორმით მცდარია, რადგან სათანადო სამეურნეო ღონისძიებების ჩატარებით თითქოს „უიმედო“ მომაკვდავი სასიცოცხლო ფორმის მოზარდი ადვილად გადადის „საიმედო“ მოზარდის კატეგორიაში.

### **წიწველი (*Fagus Orientalis Lipskii*)**

საქართველოში და კერძოდ, ბორჯომის ხეობაში გავრცელებულია აღმოსავლური წიწველი, რომელიც ჩვენი ტყეების მთავარ ედიფიკატორს წარმოადგენს. წიწველი ჩრდილის ამტანი სახეობაა, ახასიათებს ხშირი გატოვვა და როკებისაგან მცირე გაწმენდა. წიწველის მოზარდი დიდხანს ძლებს საბურველის ქვეშ. ქარის მიმართ მეტად მგრძნობიარეა, მიეკუთვნება ქარქცევად სახეობას, ახასიათებს როგორც ვერტიკალური, ისე პორიზონტალური ფესვთა სისტემა.

გამოკვლევებით დავადგინეთ, რომ

წიწველი თავისი გავრცელების ზონაში უკეთესად თესლმსებმოიარობს ზღვის დონიდან 1000-1300 მ-ის სიმაღლის ფარგლებში. წიწველის თესლის უდიდესი რაოდენობა გვხვდება ჩრდილოეთი ექსპოზიციის 0.7-0.8 სიხშირის კორომებში, სამხრეთი რუმბის ექსპოზიციებზე მისი რაოდენობა ნაწილობრივ კლებულობს. თესლის ძირითად თდენობას იძლევიან 150200 წლის ხნოვანების ხეები. თუ ხეების ვარჯი კარგადაა განვითარებული, ფაუტიანობა არ მოქმედებს თესლმსებმოიარობაზე, რადგან წიწველის აღმონაცენი ექსტრემალურ პირობებში ხშირად იღუპება 23 წლის შემდეგ, ადგილზე რჩება წიწველის პირვანდელი აღმონაცენის 2030%. რაც შეეხება რცხილას, მისი აღმონაცენი მეტი რაოდენობითაა, ვიდრე წიწველისა; იგი გვხვდება საშუალო (0.5-0.7) და დაბალი (0.3-0.5) სიხშირის წიწველნარებში. დაბალი სიხშირის პირობებში რცხილის აღმონაცენი, ისევე როგორც წიწველისა, სიცოცხლის პირველივე წლებში ნაწილობრივ იღუპება, მაგრამ დია ადგილებსა და ყალთაღებში იგი კონკურენციას უწევს წიწველს.

ცნობილია, რომ წიწველი ზრდაგანვითარების პირველ წლებში დედასაბურველის ქვეშ ნელა იზრდება, ხოლო ყალთაღებში, ქვეტყველა და სხვა მეორეხარისხოვანი სახეობების განვითარებასთან დაკავშირებით, ძლიერ იჩაგრება. ამიტომ ამ პერიოდში მისი სიმაღლე და ხნოვანება არ არის კორელაციურ კავშირში, რადგან 2მ. სიმაღლის მოზარდს შეიძლება პქონდეს 10-15-20წ. და მეტი ხნოვანება. სხვადასხვა სიხშირის კორომებში 1.0მ. და მეტი სიმაღლის წიწველის მოზარდის ხნოვანება მერყეობს 20-40 და მეტი წლის ფარგლებში.

აღნიშნულ პირობებში რცხილა ავლენს თავისი ბიოეკოლოგიურ მდგომარეობას, მისი აღმონაცენი და მოზარდი კარგად ვითარდება, ამიტომ ახალ-

## სხვადასხვა სისშირის წიფლნარებში მოზარდის რაოდენობის

## განაწილება სიმაღლის მიხედვით 1პ-ზე

კორომის სისშირე	მერქნიანი სახეობა	მოზარდის რაოდენობა (ათასი 1პ-ზე) სიმაღლის მიხედვთ 0.2მ-მდე 0.2-0.4მ. 0.4-0.6მ. 0.6-0.8მ. 0.8-1.0მ. 1მ. და მეტი						სულ (ათასი ცალი)
		0.2მ-მდე	0.2-0.4მ.	0.4-0.6მ.	0.6-0.8მ.	0.8-1.0მ.	1მ. და მეტი	
0.8-0.9	წიფლი რცხილა და სხვა სახეობები	3.57	2.32	1.93	131	0.94	0.43	10.50
		1.78	1.46	0.89	0.54	0.34	0.15	5.16
		1.10	0.72	0.58	0.40	0.21	0.11	3.12
	სულ:	6.45	4.50	3.40	2.25	1.49	0.69	18.78
0.6-0.7	წიფლი რცხილა და სხვა სახეობები	7.81	5.43	2.71	237	1.72	1.16	21.20
		4.79	3.82	2.34	191	1.37	0.87	15.10
		3.61	2.54	1.98	1.75	1.39	0.75	12.02
	სულ:	16.21	11.79	7.03	6.03	4.48	2.78	48.02
258. დიამეტრის და სხვა ყალთადი	წიფლი რცხილა და სხვა სახეობები	1.44	1.87	1.61	1.07	0.82	0.36	7.17
		5.72	4.58	3.87	2.65	1.96	1.11	19.09
		0.78	0.51	0.42	0.42	0.32	0.17	2.60
	სულ:	7.94	6.96	5.90	4.12	3.10	1.64	29.66

გაზრდა და შუახნოვანი წიფლნარების უსისტემო ჭრის ან გამეჩხერების შედეგად წიფლის დროებითი ცვლა ხდება რცხილით (ვ. ულისაშვილი, 1974).

ქვემოთ მოგეყვას მ. სვანიძის (2001) მონაცემები წიფლისა და რცხილის მოზარდის რაოდენობის შესახებ (იხ. ცხრილი №4).

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ მაღალი სისშირის (0.8-0.9) წიფლნარებში, წიფლისა და რცხილის მცირე ზომის მოზარდის რაოდენობა უფრო მეტია. სიმაღლეზე ზრდასთან ერთად მისი რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს. თუ 20სმ-მდე წიფლის მოზარდის რაოდენობა 1-პაზე შეადგენს 3750 ცალს, ხოლო რცხილისა 1780 ცალს, მაშინ 1მ-ზე მეტი სიმაღლის წიფლისა და რცხილის მოზარდის რაოდენობა 1პ-ზე შესაბამისად შეადგენს 430 და 150 ცალს. იგივე მდგომარეობაა საშუალო სისშირის (0.60.7) კორომებსა და ყალთადებში; ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წიფლის მოზარდი ჯგუფურადაა გავრცელებული და მისი რაოდენობა საშუალო სისშირის წიფლნარებში შედარებით მეტია სიმა-

ღლის მოცემული კატეგორიების მიხედვით, კიდრე მაღალი სისშირისა და ყალთადების პირობებში. მაგალითად, 0.6-0.7 სისშირის კორომებში 1მზე მეტი სიმაღლის წიფლის მოზარდის რაოდენობა შეადგენს 1160 ცალს, ხოლო მაღალი სისშირის კორომებსა და ყალთადებში შესაბამისად, 430380 ცალს.

რცხილის მოზარდის რაოდენობა საშუალო სისშირის კორომში საკმაოდ დიდია და 1მ-ზე მეტი სიმაღლის მოზარდის შემაღებელობა 4 წიფელი, 3 რცხილა და 2 სხვა სახეობა. რაც შეეხება ყალთადებში აღრიცხულ მოზარდს, აქ 1პ-ზე გადაყვანით ძლიერ ჰარბობს რცხილის მოზარდი, მაგალითად, 1მ-ზე მეტი სიმაღლის რცხილის მოზარდის მოზარდების შეადგენს 1110 ცალს, წიფელისა 360 ცალს, სხვა სახეობისა 170 ცალს, ანუ შემაღებელობა შემდეგნაირია: 6 რცხილა, 3 წიფელი და 1 სხვა სახეობა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ყალთადებსა და მითუმეტებს, დიდი ზომის ყალთადებში, შეიმჩნევა წიფლის სხვა სახეობით (ძირითადად რცხილით) ცვლის ნიშნები. ეს არასასურველი პროცესი შეიძლება

ბა თავიდან ავიცილოთ განათებითი და გაწმენდითი მოვლითი ჭრების განხორციელებით. ამ შემთხვევაში განათების მიზანია, გათავისუფლდეს ძირითადი მერქნიანი სახეობის მოზარდი სარეველა ბალახებისგან, ქვეტყისგან, იაფფასიანი მერქნიანი სახეობებისგან და გაუმჯობესდეს მომავალი კორომის შემადგენლობა. გაწმენდა მიზანდ ისახავს წიფლის ხარჯზე მოზარდის შემადგენლობის გაუმჯობესებას.

ცნობილია, რომ ჭრაგავლილ წიფლნარებში წიფლისა და რცხილის მოზარდი შედარებით კარგად იზრდება 0.5-0.7 სიხშირის კორომში. ამასთან, აღინიშნება რცხილის საიმედო მოზარდის უფრო ადრე წარმოშობა, ვიდრე წიფლისა, ამიტომ რცხილა პირველ წლებში ხასიათდება უკეთესი ზრდაგანვითარებით, ხოლო წიფელი დაწრდილვის გამო იჩაგრება. ორივე მერქნიანი სახეობა დიდხანს ზის დედასაბურველის ქვეშ, სანამ ხეთა ამოვარდნის ან ქარქულების შედეგად არ მოხდება კორომის სასინათლო პირობების გაუმჯობესება. წიფლისა და რცხილის 30-40 წლისა და მეტი წელის მოზარდი შეიძლება 1მ. სიმაღლეს არ აღემატებოდეს (მ. სვანიძე, 2001).

ჩვენს მიერ აღრიცხულია წიფლისა და რცხილად ბუნებრივი განახლების რაოდენობა სიმაღლის მიხედვით (იხ. ცხრილი №5).

როგორც ცხილიდან ჩანს, წიფლისა და რცხილის მოზარდის ხნოვანება მაღალი სიხშირის (0.8-0.9) წიფლნარებში შედარებით მაღალია, ვიდრე საშუალო (0.6-0.7) სიხშირის კორომებში და მეტადრე 25მ დიამეტრის ყალთაღში. რცხილის მოზარდი უფრო ადრე სახლდება როგორც მაღალი და საშუალო სიხშირის კორომში, ისე ყალთაღში.

ამრიგად, ორივე მერქნიანი სახეობის მოზარდის ხნოვანება დამოკიდებულია კორომის სიხშირეზე, მისი საბურველის შეკრულობაზე; რაც უფრო მეტია სიხშირე, მით ნაკლებია მოზარდის სიმაღლე და მეტია მისი ხნოვანება.

მართალია წიფლის ბუნებრივი განახლება საბურველის ქვეშ მიმდინარეობს, მაგრამ იგი ყალთაღებში ძირითად ჯგუფებად წარმოიშობა, სადაც აღმოჩენების ზრდაგანვითარებისა და ტყის მომავალი თაობის ჩამოყალიბებისათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი.

ტყის ბუნებრივი განახლების მდგომარეობის შესწავლის შემდეგ სპეციალურად უნდა გამოიყოს უბნები, სადაც სხვადასხვა მიზეზის გამო ბუნებრივი განახლება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და მთავარი მერქნიანი სახეობების განახლების უზრუნველსაფრთხოები ბუნებრივი განახლების სელისშემწყობი დონისძიებები უნდა დაისახოს.

## ცხრილი №5

### სხვადასხვა სიხშირის წიფლნარებში მოზარდის ხნოვანება სიმაღლის მიხედვით

კორომის სიხშირე	მერქნიანი სახეობა	მოზარდის ხნოვანება (წელი) სიმაღლის მიხედვით (მ.)					
		0.2მ-მდე	0.2-0.4მ.	0.4-0.6მ.	0.6-0.8მ.	0.8-1.0მ.	1 მ-ზე მეტი
0.8-0.9	წიფელი	9	13	16	26	30	38
	რცხილა	14	19	22	31	34	41
0.6-0.7	წიფელი	6	9	13	17	22	27
	რცხილა	10	15	18	22	25	23
25მ დიამეტრის ყალთაღი	წიფელი	4	7	10	12	16	20
	რცხილა	7	9	12	15	19	25

ტყის ბუნებრივი განახლების ხელ-შემწყობი ძირითადი ღონისძიებებიდან საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ქმედებები:

– პირუტყის არარეგულირებული და არანორმირებული ძოვების შედეგად დაზიანებული კორომების შეღობვა;

– ტყის დაკორდებული ნიადაგების გაფეხვიერებისა და სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის მისი აჩიჩქვნა;

– მთავარი მერქნიანი სახეობების პირობებში ბუნებრივი განახლების უზრუნველყოფისათვის ხარისხოვანი, კარგი მექანიზრებითი თვისებების თესლების შეთვესვა შესაბამის ფართობებზე.

სატყეო მეურნეობის უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანაა ტყების შემადგენლობის, პროდუქტიულობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება-გაუმჯობესება. ამის მიღწევის ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად კორომების რეკონსტრუქციაა მინეული. კორომების შერჩევა მათი წარმოშობის, სახეობრივი შემადგენლობის, წარმადობის, ტყის ბუნებრივი განახლებისა და სხვა მაჩვენებლებით უნდა წარმოებდეს. ამ მიზნით, რეკომენდაციას ვიძლევით განხორციელდეს:

– დაბალი ღირსებების იაფფასიანი სახეობების ძირებული შეცვლა სამეურნეო თვალსაზრისით უფრო ძვირფასი და მაღალპროდუქტიული მერქნიანი სახეობებით:

– ამონაყრითი წარმოშობის ანუ დაბლარი კორომების შეცვლა თესლითი წარმოშობის ანუ მაღლარი მეურნებოს კორომებით;

– დაბალი სიხშირის (0.3-0.4) მცირე პროდუქტიულობის, განუახლებელი კორომების რეკონსტრუქცია, მათი სახეობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით.

საკურორტო ტყეებში, მ.შ. ახლო და შორეულ ზონებში, მეურნეობის წარმოე-

ბის ძირითად მიზანს კორომების კურორტოლოგიური და რეკრეაციული ფუნქციების შენარჩუნება და გაძლიერება წარმოადგენს. კურორტოლოგიის თვალსაზრისით, ამ ორ ზონას ნაირგვარი ფუნქციები გააჩნიათ, ამიტომ განსხვავულიც უნდა იყოს მათში მეურნეობის წარმოების ხასიათი და რეჟიმი. ისინი წარმოადგენებ თრ ცალკე დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულებს. შორეული ზონის ტყეებს ძირითადად ნიადაგდაცვითი, წყალშემნახი და ქარდაცვითი დანიშნულება აქვთ და მეურნეობაც ტყის ამ თვისებების დაცვისა და გაძლიერების შესაბამისად უნდა წარიმართოს. ახლო ზონის საკურორტო ტყეებში მეურნეობის მთავარ მერქნიან სახეობად ის სახეობა უნდა იქნას შერჩეული, რომელიც კურორტოლოგიის თვალსაზრისით საუკეთესოდ არის შეფასებული. ბორჯომის ხეობის პირობებისათვის ასეთ მთავარ სახეობად ფიჭვი უნდა იყოს. ამიტომ მეურნეობამ მფარველობა ფიჭვს უნდა გაუწიოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფიჭვთან ერთად სხვა მერქნიანი სახეობებიც (ნაძვი, სოჭი, წიფელი, მუხა, იფანი, ნეკერჩხალი და ა.შ.) არ უნდა იყოს წარმოდგენილი. ე.ი. საჭიროა დარეგულირდეს მათი ურთიერთშეფარდება შემადგენლობის მიხედვით.

ბორჯომისა და ბაგურიანის კოფილი სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე ნახევარი საუკუნის წინ ფიჭვი 45-50% შეადგენდა, 1997 წლის ტყის მოწყობის მონაცემებით კი იგი შეადგენს 16.6%ს. მის შემდეგ გავიდა საკმაო დრო და ეს ციფრი, ალბათ ამჟამად, კიდევ უფრო დაბალი იქნება, რაც კარგად ჩანს ჩვენს მიერ აღებულ სანიმუშო ფართობებზე. ამიტომ გამეჩხერებულ და ნახანძრალ აღგილებში თუ არ მოხდა ფიჭვით განახლების ხელშეწყობა, ბორჯომის ხეობა დაკარგავს კურორტოლოგიურ დანიშნულებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე ი. – დენდროლოგია, I ნაწ., თბილისი, 1959, გვ. 116-132, 140-158, გამომცემლობა „განათლება”, თბილისი 1985, გვ. 281-310;
2. გულისაშვილი ვ. – ზოგადი მეტყევეობა, 1957-1974, თბილისი, გვ. 210-228;
3. გიგაური გ. – საქართველოს ტყეების კურორტოლოგიური მნიშვნელობა. თბილისი, 1960, გვ. 58-64;
4. გიგაური გ. – საქართველოს ტყეებში მეურნეობის გაძლიერების საფუძვლები. 1980, გვ. 43-59, 89-104, 178-191;
5. გიგაური გ. – საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება. თბილისი, 2000, გვ. 755, 104-145;
6. გოცირიძე ლ. – ტყის მეურნეობის განვითარება, ნაკრძალის შექმნა და ეროვნული პარკის ჩამოყალიბება ბორჯომის ხეობაში. თბილისი, 2001, გვ. 14-23;
7. გოცირიძე ლ. – ბორჯომის ხეობის ეკოლოგიური მდგომარეობა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის წლებში. თბილისი, 2003, გვ. 13-107;
8. გოცირიძე ლ., გოცირიძე ზ. – ვიზუალოთ ბორჯომის ხეობის ტყეების ბუნებრივი განახლებისთვის. ალმანახი „ბორჯომი”, №1, 2004, გვ. 34;
9. გოცირიძე ზ. – ბორჯომის ხეობის ტყეების ბუნებრივი განახლების საკითხებისათვის. 2005, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. XXXI, გვ. 127-131;
10. გოცირიძე ზ. – ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის (ეროვნული პარკის) ნაძვნარების ბუნებრივი განახლება ნაძვის დიდი ლაფანჭამიით დაზიანებულ და გამეჩერებულ კორომებში. 2006, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. XXXIV, გვ. 88-90;
11. სვანიძე მ. – საქართველოს წიფლის ტყეების ბუნებრივი განახლების თავისებურებანი. კრებული „აგროეკოლოგიის აქტუალური პრობლემები”. აგრ. უნივერს. გამომც. თბილისი, 1998.
12. მეტრეველი პ. – აღმოსავლეთის ნაძვის (*Picea orientalis* Link) ცვლა ფოთლოვანი ჯიშებით და ღონისძიებანი მის აღსაღებად საქართველოს პირობებში. თბილისის სატყეო ინსტიტუტის შრომები, II, 1949, გვ. 53-73.

### რეზიუმე

ლეგან გოცირიძე, ზვიად გოცირიძე, ირაკლი გოცირიძე

ბორჯომის ხეობის ტყეების პუნქტიზოვი განახლებისა და მერქნიან  
სახეობათა ცვლის პროცესების გამოკვლევა

საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი ქართული ტყის გასაჭირი, სადაც 2022 წელია შეწყვეტილია ტყის რესურსების კვლავწარმოების პროცესები, რაც შორეული და უახლესი პერიოდებისა და უხეში დარღვევების, ბორჯომის ხეობაში წიწვიანი სახეობების (ფიჭვი, ნაძვი, სოჭი) შემცირებისა და გამეჩერების შედეგია.

ტყის ბუნებრივი განახლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით სპეციალუ-

რად უნდა გამოიყოს უბნები, სადაც სხვადასხვა მიზეზების შედეგად ბუნებრივი განახლება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და მთავარი მერქნიანი სახეობების განახლების უზრუნველსაყოფად ბუნებრივი განახლების ხელისშემწყობი ღონისძიებები უნდა დაისახოს.

ტყის საბურველის ქვეშ ტყის ტიპების მიხედვით ბუნებრივი განახლების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ნაძვით გაბატონებული კორომები ნაძვისა და სოჭის კარგი განახლებით ხასიათდებიან საშუალო (0.5-0.7) სიხშირის მკვდარსაფარიანი და წვრილბალახოვანი ტყის ტიპები. განახლება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს წიწვიანი ტყის ტიპებში, სუსტი განახლებით ხასიათდება დაბალი (0.4) სიხშირის ნაძვნარები მაყვლის საფარით. ნაძვისა და სოჭის მოზარდი თანაბარი რაოდენობით მონაწილეობს ბორჯომის ხეობაში.

რაც შეეხება გამეჩხერებულ და ნახანდრალ (წაღვერი 1500ჰა) ტყის აღდგენაგანახლებას ხელისუფლებისაგან დიდ ყურადღებას მოითხოვს.

## РЕЗЮМЕ

ГОЦИРИДЗЕ Л., ГОЦИРИДЗЕ З., ГОЦИРИДЗЕ И.

### СВОЕОБРАЗИЕ ПРОЦЕССОВ ЕСТЕСТВЕННОГО ОБНОВЛЕНИЯ И СМЕНЫ ДРЕВЕСНЫХ ВИДОВ В ЛЕСАХ БОРЖОМСКОГО УЩЕЛЬЯ

Общественности хорошо известны проблемы леса в Грузии, где уже 2022 года, как прекращены процессы воспроизведения леса, что является итогом грубых нарушений в разные периоды времени и в результате обернулось резким сокращением и поредением в лесах Боржомского ущелья, как сосна, ель, пихта.

В целях изучения состояния естественного обновления леса необходимо специально выделить участки, где вследствие разных причин естественное обновление происходит неудовлетворительно, и для обеспечения обновления главных древесных видов следует наметить и провести мероприятия, благоприятствующие естественному восстановлению.

В результате изучения состояния естественного обновления под пологом леса по лесным типам установлено, что в ельниках хорошим темпом обновления характеризуется ель и пихта в типах леса с мертвым и мелкотравным покровом, в среднем (0.50.7) частотой, обновление происходит удовлетворительно в лесах хвойных типов.

Слабым обновлением характеризуются ельники с ежевичным покрытием с низкой (0.4) частотой.

Подростковые ель и пихта в равном количестве присутствуют Боржомском ущелье.

Что касается поредевшего леса и пожарищ (Цагвери, 1500га) его восстановление и обновление требует от властей особого внимания.

GOCIRIDZE L., GOCIRIDZE Z., GOCIRIDZE I.

THE ORIGINALITY OF NATURAL REPAIR PROCESSES AND CHANGES  
OF TREE SPECIES IN FOREST OF BORJOMI GORGE

SUMMARY

Public is well aware about the problems of forest in Georgia. It's almost 2022 years that reproduction processes of forest is stopped what is the result of gross violations in different periods of time that finally has turned into a sharp decline and thinning of forest in Borjomi gorge. Trees like pine, spruce, fir.

In order to explore condition of natural repair of forest it is necessary to highlight areas specially where for different reasons the process of natural repair goes unsatisfactorily and to ensure repair of main tree species activities favoring natural regeneration should be identified and arranged.

In consequence of study of the state of natural regeneration of forest the forest types found, that spruce and fir show good pace of regeneration, in forests covered with dead and small herbs, average (0.50.7) frequency, regeneration goes satisfactorily in forests of conifer types.

Young spruce and fir in equal numbers exist in Borjomi gorge. As for thinning forests and fires (Tsagveri, 1500 hectares) their regeneration and repair needs special attention of government.

# მიმართვა სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და გდგრადი მართვის პრინციპების განხორციელების საპირისპირო

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და  
ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს  
**პ-ნ გიორგი ცაგარევიშვილს**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს  
**ქ-ნ ხათუნა გოგალაძეს**

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსს **პ-ნ ბიძინა გიორგობიანს**

მოგახსენებთ, რომ 2013 წლის ნოემბრში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო განყოფილებამ მოისმინა პროფ. ლევან გვაზავას მოხსენება „სატყეო დარგის ეფექტურად მართვის“ შესახებ, რის საფუძველზეც შემუშვებულ იქნა სათანადო წინადადებები. ვფიქრობთ, ისინი ხელს შეუწყობენ დღეს, დარგში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელებას.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ განუზომელი და ფასდაუდებელია ტყების მნიშვნელობა, მით უმეტეს, ისეთი მთავორიანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. მისი აზრით ტყე, არა მარტო ხეთა ერთობლიობაა, არამედ ტყე – „ხე-მცენარეთა და ცოცხალ არსებათა თანაარსებობის რთული ეკოსისტემაა, რომელიც ბიოსფეროს კოსმიურ-ეკონომიკური მდგრადი გარემოს შენარჩუნება-გაუმჯობესებისა და სამყაროს მარადიული სიცოცხლის გარანტია – წყალთან, ნიადაგთან და ჰაერთან ერთად.

ცხადია, ტყეში წარმოებული სამეურნეო დონისძიებათა ეფექტურობის შეფასებაც, ამ ფუნქციათა გაუმჯობესებაში უნდა აისახოს, რაც პრაქტიკაში იშვიათად ხდება. ამას ადასტურებს საქართველოში

უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენებიც. სახეზე გვაქვს უსისტემოდ გაჩეხილ-განადგურებული ტყეები, რასაც მოჰყვა კლიმატის მკვეთრი ცვლილებები თანმდევი კოკისპირული წვიმებით, წყალდიდობებით, დვარცოფებით, მეწყერებით და სხვა, რამაც არა მარტო ნგრევა და განადგურება გამოიწვია, არამედ ადამიანების სიცოცხლეც შეიწირა. ამის მიზეზი კი, ტყეების გაჩეხვის შედეგად გამონთავისუფლებული მზის სხივების თბერი ენერგიაა, რომელიც 1 ჰა-ზე ყოველწლიურად 10 მლლ/კკალ შეადგენს და რასაც მცენარეული საფარი შთანთქავს ფოტოსინთეზის პროცესში. ამდენად, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა სიძლიერის თბერ ენერგიას გამოანთავისუფლებს თოთოეული მოჭრილი ხეც კი, რომ ადარავერი ვთქვათ ათასობით ჰა გაჩეხილი ტყის ფართობებზე.

რაც შეეხება დარგის ეფექტურად მართვას, პირველ რიგში საჭიროა:

1. პროფესიული, პოლიტიკური და იურიდიული შეფასება მიეცეს 2007 წელს გატარებულ რეფორმებს „სატყეო მეურნეობის“ გაუქმების შესახებ, რამაც არა მარტო ტყეების განადგურება, არამედ ქვეყნის ეკონომიკაზეც მოახდინა გაფლენა;

2. დღეს ტყეში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება, ტყეების მოვლა-პატრონობისა და ტყიდან მერქნით სარგებლობის სამუშაოთა დარღვეული ტექნოლოგიური ციკლის აღდგენა, დამზადებული მერქნის რაციონალურად და მომჭირნეობით ხარჯვის დონისძიებების შემუშვებასთან ერთად;

3. ამასთან ერთად, საჭიროა დარგის სისტემური ცვლილებები, რაც გულისხმობს დარგის ინსტიტუციურ მოწყობას, დაწყებული არა მარტო ზედა რგოლებიდან, არამედ ქვედა, პირველადი – საშემსრულებლო რგოლების გათვალისწინებით. ეს ეხება როგორც სატყეო-სამეურნეო საქმიანობას, ისე ტყიდან მერქნით სარგებლობას, ანუ ხე-ტყის დამზადებასა და დამზადებული მერქნის რაციონალურად გამოყენების საკითხებს;

4. ტყეში სამეურნეო საქმიანობის სრულყოფის მიზნით, საჭირო იქნება სატყეო მეურნეობის აღდგენა და მის ბაზაზე ეწ. „სერვის-ცენტრების“ შექმნა. ამით მიღწეულ იქნება ცენტრალიზებული მართვის სისტემიდან, თვითმმართველობაზე გადასვლა, რაც დარგის დამუკიდებლობას გულისხმობს;

5. „სერვის-ცენტრების“ სამეურნეო საქმიანობასთან ერთად, დაევალებათ, მერქნის დრმა გადამუშავებისა და მისი მკაცრი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით გამოყენებასთან ერთად, მთაში მცხოვრები მოსახლეობისათვის მცირე სააქტორების მშენებლობაში დახმარების აღმოჩენა;

6. დასახული დონისძიებების ეფექტურად განხორციელების მიზნით განსაკუთრებულ უურადღებას მოითხოვს ხეტყის დამამზადებელი სპეციალისტების მომზადებისა და ტრენინგების ჩატარების საკითხი, ტრენინგების გეგმების შემუშავებაში კი, სასურველია, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ს/მ მეცნიერება-

თა აკადემიის სატყეო განყოფილების სპეციალისტებმაც;

7. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს საქართველოს ტყეების ნახევარზე მეტი გამეჩერებული და დაბალპროდუქტიულია, და შესაბამისად მოითხოვს აღდგენას რეკონსტრუქციის გზით, გამონთავისუფლებულ ფართობებზე, შეიძლება გაშენდეს სწრაფმზარდი ჯიშები, რომელთა გამოყვანა სპეციალურ სანერგე მეურნეობებში უნდა მოხდეს. ამავე დროს, ეს ფართობები ნაწილობრივ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოფლის მეურნეობის ერთწლიანი კულტურების გაშენების მიზნითაც და ასევე, მიზნობრივი პლან-ტაციების გასაშენებლადაც;

8. რაც შექება რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული მერქნული თანამდებარებას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არა მარტო საწვავ შეშად, არამედ ტექნოლოგიური ნაფოტის საწარმოებლადაც, რომლის დეფიციტსაც განიცდის ცელულოზის წარმოება, ხოლო რაც შექება მწვანე მასას – იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვიტამინოვანი ფქვილის დასამზადებლად, ფრინველთა და ცხოველთა საკვებში შესარევად, რომელიც ასევე დაფიციტია (ასეთი წარმოება მუშაობდა 70-იან წლებში ოზურგეთის სატყეო მეურნეობაში).

9. ტყეების პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით, საჭიროა მოვლითი ჭრების ჩატარების მასშტაბების გაზრდა. საქართველო პროდუქტიულობით 2-ჯერ და მეტჯერ ჩამორჩება ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოვლითი ჭრების მასშტაბების ზრდა, სანიტარული ჭრების შემცირებას იწვევს, რაც ტყეების სასაქონლო სტრუქტურის გაუმჯობესების საფუძველია.

ა) მკაცრად უნდა გავმიჯნოთ ტყისა და მისი რესურსებისადმი მომხმარებლური კომერციული დამოკიდებულება.

ტყე, როგორც კოსმიურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური ფუნქციების მატარებელი, მხოლოდ ამ ფუნქციებზე ზრუნვას მოითხოვს და მისადმი მომსმარებლური-კომერციული მიღგომა დაუშვებელია, რადგანაც იგი ტყის განადგურების იწვევს. ამდენად, რეფორმის გატარების დროს, ამ მოთხოვნების გათვალისწინება აუცილებელია.

10. ტყის რესურსების მოხმარების ოპტიმიზაციის მიზნით, საჭიროა დადგენილი იქნეს რეგიონების მიხედვით მოსახლეობის მოთხოვნილება, როგორც საწვავ შეშაზე, ისე სამასალე მერქანზე და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა მიმდებარე ტყეების რესურსებით, ტყისადმი ზიანის მიყენების გარეშე, რითაც შესაძლებელი იქნება აღმორიფხვრას ამ სფეროში დამკვიდრებული ქაოსი, შესაბამისად, საჭიროა ვეძებოთ დეფიციტის შევსების ალტერნატიული გზები. ამით თავიდან ავიცილებოთ ტყეების განადგურებას, რაც მეურნეობის მოუწესრიგებლობის შემთხვევაში გარდაუვალია. სერიოზულ კვლევას მოითხოვს მთაში მცხოვრები მოსახლეობისათვის მიმდებარე გამეჩერებებული, სარეკონსტრუქციო ტყის ფართობების დამაგრების საკითხიც;

11. კატეგორიული უნდა ვთქვათ ტყეში არაპოვესიონალი მომსმარებლის შეშვებაზე, მისთვის ხეების ძირზე ჭრის უფლების ჩამორთმევით. მომსმარებელზე, როგორც საწვავი შეშა, ისე სამასალე მერქანი შეიძლება მხოლოდ ზედა საწყობიდან გაიცეს. ამასთან, ტყეკაფების დამუშავების სამუშაოები, რომელიც ურთულეს სამუშაოთა კატეგორიას მიეკუთვნება, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა აიღოს თავის თავზე.

12. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ტყეების გასხვისებისა და ლიცენზიანტებთან სახელმწიფოს, კერძოდ, ეროვნული სატყეო სააგენტოსთან

ურთიერთობის საკითხი, რომ გასხვისება არა ფართობების, არამედ რესურსების და ისიც, სპეციალიზირებულ საწარმოებზე უნდა მოხდეს. ლიცენზიანტები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის მოთხოვნათა წესები, პასუხისმგებლობა კი ეროვნულ სატყეო სააგენტოს უნდა დაეკისროს;

13. მოქმედ „ეროვნულ სატყეო პოლიტიკის“ კონცეფციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა დარგის „მდგრადი მართვა“, რასაც ტყიდან „უწყვეტი“ სარგებლობა უდევს საფუძვლად. ეს მოთხოვნა ახალი არ არის, თუმცა მისი განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც არც საწარმოო ბაზა და არც ბიუჯეტი შესატყვისად არ იგვმება, რაც დარღვევების მიზეზი ხდება. ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ტყეების ინვენტარიზაციის ჩატარების ხარისხზეც, რის გამოც, დღეს, არ არსებობს ტყეების მდგომარეობის ზუსტი მაჩვენებლები, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ტყეში მეურნეობის სრულყოფილად წარმოების საქმეს, არ ხდება ჭრის სისტემების და სახეების შერჩევა, შესაბამისად, არ ხდება ტყეკაფების წინასწარი გამოყოფა და, შესაბამისად, არ დგება მათი ეფექტურად ათვისებისთვის საჭირო ტექნოლოგიური რუქები, არ არის ტყეკაფების ათვისების კალენდარული გეგმები და არ არის ის მიბმული ხე-ტყის საზიდი გზების მშენებლობის კალენდარულ გეგმასთან, „უწყვეტი“ სარგებლობის პრინციპის ეფექტურად განხორციელების მიზნით, საჭიროა მუდმივ მოქმედი უბნების შექმნაც, მუდმივ მოქმედ საგზაო ქსელთან ერთად.

ა) ტყეების ფართომასშტაბიანი ინვენტარიზაციის სამუშაოთა ჩატარების გამარტივებისა და ხარჯების შემცირების მიზნით, ფართოდ უნდა იქნეს გაზიარებული საზღვარგარეთის ქვეყნების

ის გამოცდილება, აგროკოსმური სურა-  
თების დეშიფრირებასა და კომპიუტერ-  
ული სისტემის პროგრამული ცენტრის  
შექმნის თაობაზე, რისთვისაც საჭირო  
იქნება სპეციალისტების მომზადება და  
ტრენინგების ჩატარება;

14. დღეს, როცა ახალ ხელმძღვანე-  
ლობას უწევს დარგში არსებული დარ-  
ღვევების გამოსწორების მიზნით, პირვე-  
ლი ნაბიჯების გადადგმა, სხვა პრობ-  
ლემურ საკითხებთან ერთად, არანაკლებ  
პრობლემურია დარგის ბიუჯეტიდან  
დაფინანსების საკითხიც, თუმცა, თუ გავ-  
ითვალისწინებთ, რომ ტყე, თითქმის უს-  
ასეყიდლოდ ემსახურება ხალხს და ქვეყ-  
ანას, მათთვის კოსმიურ-ეკოლოგიური  
ფუნქციების შესრულების შედეგად მი-  
დებული სასიცოცხლოდ აუცილებელი  
სიკეთით (ჟანგბადი, მდგრადი ეკოლო-  
გიური გარემო და სხვა), ეს საფუძველს  
გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ტყეს ბიუ-  
ჯეტიდან მის მიერ შესრულებული  
ფუნქციების ტოლფასი ასიგნებანი უნდა  
გამოეყოს, რაც მრავალჯერ აღემატება  
ნატურალურ შემოსავლებს;

15. ცხადია, აქ განხილული წინადა-  
დებები ნაწილია იმ პრობლემებისა, რო-  
მელიც, დღეს, დარგის წინაშე დგას. მათი

ეფექტურად გადაწყვეტის მიზნით, საჭი-  
როა შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც შეაფასებს დარგში შექმნილ  
მდგრმარეობას და შეიმუშვებს მისი გან-  
ვითარების „გრძელვადიან სახელმწიფო  
პროგრამას“, ამასთან ერთად, მიმდინარე  
საკითხების ეფექტურად გადაწყვეტის  
მიზნით, ეროვნულ სააგენტოსთან საჭი-  
როა შეიქმნას მრჩეველთა საბჭო;

16. მოტანილი მასალიდან ნათლად  
ჩანს, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ  
წინადადებათა უმეტესობა თავისი ში-  
ნაარსით პრობლემატური ხასიათისაა,  
რაც თემატურ პილიოტური პროგრამუ-  
ბის დამუშავებას მოითხოვს, რაშიც აქ-  
ტიური მონაწილეობის მიღება შეუძლია  
ს/მ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო გან-  
ყოფილებას, რომელიც დღეს ერთადერ-  
თი სამეცნიერო ცენტრია, ტყის ინსტი-  
ტუტის გაუქმების შემდგომ;

17. და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ,  
რომ სატყეო დარგი „მდგრადი მართვი-  
სა“ და „უწყვეტი სარგებლობის“ პირო-  
ბებში, არა მარტო დარგის, არამედ ქვეყ-  
ნის ეკონომიკის განვითარების მნიშ-  
ვნელოვან რესურსს წარმოადგენს და  
მასში ფინანსების დაბანდება დროში,  
სარგებლობის მომტანია.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის,  
სატყეო განყოფილების ხელმძღვანელი  
**აკად. რევაზ ჩაბეჭიშვილი**

ამავე აკადემიის საკორდინაციო საბჭოს წევრი  
**პროფ. ლივან ბგაზავა**

## 0. ყარალაშვილი

### **კულტურულ ფლორაზი ზოგიერთი მცენარის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ**

დიდი ხნის წინ ადამიანმა დაამკიდრა და თავისი შრომისა და ფანტაზიის შედეგად შექმნა მათი მრავალფეროვანი ჯიში. თითოეულ მათგანს თავისი წარმოშობის ისტორია აქვს, რაც ასევე საინტერესოდ გვაცნობს მათ გავრცელებას თანამედროვე ფლორაში.

1. ხორბალი (რბილი) – *Triticum aestivum L.* ველურად მოზარდი ხორბალი ცნობილი არ არის - მისი წარმოშობა ბუნდოვანია და შეუცნობელი. ამიერკავკასია, ავღანეთი და ირანი არის ქვეყნები სადაც აღმოჩენილია შედარებით მრავალფეროვანი სახეობები და ფორმები რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს რეგიონებია ძირითადი ამ მცენარის ფორმათა წარმოქმნაში. არქეოლოგიური ცნობები გვამცნობენ, რომ ხორბალი მოჰყავდათ ჯერ კიდევ 5-7 ათასი წლის წინ წინა და შეა აზიაში, ეგვიპტეში. რბილი ხორბალიგავრცელებულია მთელ მსოფლიოში, ყველა კონტინენტზე - თითქმის პოლარული ზონიდან სამხრეთ აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკამდე. მთელი პლანეტის 228 მილიონი ჰა ამ კულტურას უჭირავს.

2. სიმინდი - *Zea mays L. [familia GRAMINEAL CPOACEAL]* ველურად ბუნბაში უცნობია, კულტურა შემოტანილია მექსიკაში, სახეობების წარმოშობა გაურკვეველია, შესაძლებლად მიაჩნიათ წინასწარად ჩაითვალოს *Fuchlaena mexicana Schrad.*, რომელიც ველურად გვხვდება მექსიკაში. სარგველად თვით სიმინდის

ნათესებშიც, არსებობს სხვა ჰიპოთეზებიც. უძველეს დროში სიმინდი წარმოადგენდა მთავარ სასურსათო პროდუქტს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. ევროპაში შემოვიდა XV საუკუნის ბოლოს კოლუმბის მოგზაურობის შემდეგ. თავიდან ის მოჰყავდათ როგორც ბალის კულტურა, შემდეგ კი შეიძინა მნიშვნელოვანი სასურსათო - საკეთი დირებულებაც. XVI საუკუნეში შემოაღწია ამიერკავკასიაში. მისი ნათესები მესამე ადგილს იკავებს მსოფლიოში ხორბლისა და ბრინჯის შემდეგ.

3. ქერი - *Hordeum vulgare L.* ქერი ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა, ველურად მოზარდი არ არის ცნობილი. მისი წარმოშობის ცენტრად მიჩნეულია ხმელთაშუა ზღვისპირეთი, წინა შუა და აღმოსავლეთი აზია. დადგენილია, რომ 3-4 ათასი წლის წინ, ჩვენ ერადე, ქერი მოჰყავდათ ჩრდილო შუამდინარეთში. რამოდენიმე ათასი წლის წინ ეს კულტურა ცნობილი იყო ძველ ეგვიპტეში, ასირიაში, ბაბილონში, ჩინეთში. თურქეთის ტერიტორიაზე მოჰყავდათ 3 ათასი წლის წინ ჩვენს ერამდე.

4. ბრინჯი - *Oruza sativa L.* კულტურული ბრინჯის სამშობლოა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. შესაძლებელია მისი წინამორბედი იყოს მრავალწლიანი ველური ბრინჯი (*O. perennis Moench*), რომელიც ასევე ტროპიკულ აზიაში, აფრიკაში და ამერიკაში იზრდება. ფრიად საყურადღებოა, რომ მიწათმოქმედების გარიურაჟზე კულტურული ბრინჯი ერთ-

დროულად გაჩნდა ინდოეთსა და ინდოეთ-ჩინეთში. არქეოლოგიური განათხრები გვიჩვენებს, რომ ამ ადგილებში ბრინჯი მოჰყვავდათ ჯერ კიდევ 6,5 ათასი წლის წინათ, შემდეგ კი ეს კულტურა გავრცელდა აზიის სხვა ქვეყნებშიც. შუა აზიაში ბრინჯის, მოჰყვანა დაიწყეს 2,5 ათასი წლის წინ, ეგვიპტეში და ესპანეთში ბრინჯი არაბებმა შეიტანეს VII საუკუნეში, ხოლო ამერიკაში ბრინჯის თესვა დაიწყეს XVII საუკუნეში. ამჟამად ბრინჯის მოჰყვანას მისდევენ ყოფილი საბჭოთა კავშირის შემდეგ რესპუბლიკებსა და მხარეებში: შუა აზიაში, აზერბაიჯანში, სამხრეთ უკრაინასა და ყაზახეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგის ქვემო წელში და სანაპირო ზოლში.

5. ხახვი - *Allium cepa* L. ველურად არსად არ გვხვდება, წარმოშობა უცნობია, მიაჩნიათ რომ ხახვი კულტურაში შემოვიდა შუა აზიისა და კავკასიის მთიანეთში 6 ათასი წლის წინათ. ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული მთელს მსოფლიოში - 1,5 მილიონი ჰა.

6. ნიორი - *Allium sativum* L. ველურად არ გვხვდება. ვარაუდობენ, რომ კულტურაში შემოვიდა შუა და სამხრეთ დასავლეთ აზიაში, რამოდენიმე ათასწლეულით ადრე ჩვენს ერამდე. ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ეგვიპტეში ამჟამად მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული.

7. ალოე (ხემაგვარი) – *Aloe rubescens* Mill (LILACEAE) ველურად იზრდება სამხრეთ აფრიკაში. როგორც დეკორატიული მცენარე იშვიათად კულტივირდება ტროპიკულ ქვეყნებში. ღია ბუნებაში გავრცელებულია მთელს მსოფლიოში, როგორც ოთახის მცენარე („ასწლიანი“). ოთახის პირობებში ყვავის იშვიათად თესლებს არ ივითარებს. გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან მოჰყავთ საქართველოში შავი ზღვისპირეთში.

8. სატაცური - *Asparagus officinalis* L. ველურად იზრდება ევრაზიაში და წინა კავკასიაში, ციმბირში. კულტურაში შემოტანილია ხმელთაშუა ზღვისპირეთში ჩვენ ერამდე დიდი ხნით ადრე. XV საუკუნიდან დაიწყეს მოყვანა საფრანგეთში, ხოლო შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ფართოდ აწარმოებენ დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

9. თუთა (თეთრი) - *Morus alba* L. (familia – MORACEAL). მის საშობლოდ აღმოსავლეთ ჩინეთი ითვლება, სადაც იგი ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიფრაჟზე იყო ცნობილი. ჩინეთიდან გავრცელდა შუა აზიაში, ავღანეთში, ჩრდილო ინდოეთში, პაკისტანში, ირანში და შედარებით გვიან - კავკასიაში. დაახლოებით მეორე-მესამე საუკუნეში გაჩნდა საქართველოში. ევროპაში ცნობილი ხდება XII საუკუნიდან, ამერიკაში არაუდრეს XVI საუკუნისა. ამჟამად ცნობილია მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ჩინეთში, იაპონიაში და შუა აზიის ქვეყნებში.

10. კაკალი - *Juglans regia* L. [familia IUGLANDACIAL] ველურად იზრდება მცირე აზიაში და კავკასიაში, შუა აზიაში ირანსა და ავღანეთში. ამ რეგიონებში დიდი ხნით ადრე ჩვენს ერამდე წარმოშვა მისი კულტურული ფორმები. კულტურაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში - თბილი და ზომიერი კლიმატის პირობებში. ამჟამად მისი კულტურული ფორმები ძირითადად ცნობილია სამხრეთ უკრაინაში, მოლდავეთში, ყირიმში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში, შუა აზიაში.

11. ლელვი - *Ficus carica* L. ველურად იზრდება ხმელთაშუა ზღვის ევროპულ რეგიონებში, მცირე აზიაში, კავკასიაში, შუა აზიაში, ახლო და შუა აღმოსავლეთში კულტურაში შემოვიდა უძველეს არაბეთში, საიდანაც გავრცელდა

მთელს წინა აზიაში და შეაღწია ეგვიპტეში IX-VIII საუკუნეებში. კულტურული ლელვი გაჩნდა უძველეს საბერძნეთში, შემდეგ კი მეზობელ ქვეყნებში. ამერიკაში შეტანილია XVI საუკუნის ბოლოს.

12. წიწიბურა - *Fagopyrum sagittatum* Gilid (Familia – POLIGONACEAL) ველურად არ გვხვდება. ვარაუდობენ, რომ მისი სამშობლო ინდოეთია. მოჰყავდა ინდოეთის ძველ მოსახლეობას, ასევე მოჰყავდათ ძველ ჩინეთშიც. წიწიბურა გამოჩნდა რუსეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში. სავარაუდოა, რომ აქ ეს კულტურა შემოიტანეს ძველმა ბერძნებმა, რომლებსაც მისი მოვლა-მოყვანა სომხებისგან ისწავლეს, ამ უკანასკნელებს კი სავაჭრო კავშირი ჰქონდათ ინდოეთთან. დასავლეთ ევროპაში წიწიბურა გაჩნდა XV-XVI საუკუნეებში.

13. ვაშლი-მაჟალო - *Malus domestica* Borkh. ველურად არ გვხვდება. სამშობლოდ ითვლება კავკასია და შეა აზია. ვარაუდობენ, რომ გაკულტურება დაიწყო 5 ათასი წლის წინ. ძველი კულტურებიდან გავრცელდა ჯერ ევროპაში და აფრიკაში, ხოლო XVI-XVIII საუკუნეში შეტანილ იქნა ამერიკაში, ავსტრიასა და ახალ ზელანდიაში.

14. მსხალი - *Pyrus communis* L. ველურად ფართოდ არის გავრცელებული ევროპაში. თვლიან რომ მსხალი კულტურაში შემოიტანეს ძველმა ბერძნებმა დაახლოებით 2 ათასი წლის წინ, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კულტურა წარმოიშვა გვარ *Pyrus*-ის სხვადასხვა სახეობებიდან, რომელთაც საჭმელად ვარგისი ნაყოფი ჰქონდათ. მალე ის გავრცელდა კავკასიაში, ჩინეთში, შეა აზიაში, ხოლო ამერიკაში შეიტანეს XVI საუკუნის ბოლოს. ამჟამად კულტურაშია მთელ მსოფლიოში.

15. კომში - *Cydonia oblonga* Mill (familia ROSACEAE) ბუნებრივ პირობებში იზ-

რდება კავკასიაში, შეა აზიასა და ირანში. კულტურაში შემოტანილია კავკასიაში და ჩრდილოეთ ირანში არანაკლებ 4000 წლის წინ. უძველეს დროში მოხვდა საბერძნეთში, საიდანაც გავრცელდა სმელთაშეა ზღვის აუზის ქვეყნებში, ჩრდილოეთ აფრიკაში და ევროპაში. დასავლეთ ევროპაში კულტივირდება თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის ნორვეგიაშიც.

16. ზღმარტლი - *Mespilus germanica* L. ველურად მოზარდი ზღმარტლი იზრდება კავკასიაში, ყირიმში, წინა აზიაში. კულტურაში შემოიტანეს 1000 წლის წინ ჩვენ ერამდე, ვარაუდობენ რომ ეს მოხდა კავკასიაში და წინა აზიის ქვეყნებში, აქედან მოხდა ძველ საბერძნეთში (თეოფრასტეს მიხედვით) შემდეგ სამხრეთ საფრანგეთში, იტალიასა და თურქეთში, შემდეგ აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში.

17. ქლიავი - *Prunus domestica* L. ველურად არ გვხვდება. წარმოიშვა ბუნებრივი ჰიბრიდი და დოღნაშოს შორის (*P.spinosa* L.) - კავკასიაში, აქვე შემოიდა კულტურაში უძველეს წარსულში. ქლიავი მალე გავრცელდა შეა აზიაში და ევროპაში, სადაც ირგვება უკვე ორი ათასი წელია. კოლონიალური ომების შემდეგ შეტანილი იქნა ამერიკაში, აფრიკაში, აქბრიალიაში. მასზე შეიძლება დაემყნოს ატამი, გარგარი, ნუში.

18. ალუჩა - *Prunus cerasifera* Ehrh. ველურად არ გვხვდება, სავარაუდო რომ წარმოეშვა გარკვეული სახეობა - ტყე-მალისგან (*P.divarikata*). გავრცელებულია კავკასიაში, მცირე და შეა აზიაში. სამშობლო კავკასია და წინა აზიაა. გაკულტურება მოხდა ჩვ. წთ. აღ- მდე. მოგვიანებით გავრცელდა თურქეთში, ბულგარეთში, ალბანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, მოლდავეთში და ამიერკავკასიის ყველა ქვეყანაში.

19. ნუში - *Amygdalus communis* L. გელურად გვხვდება შუა აზიაში, ავღანეთში, ირანში, სამხრეთ კავკასიაში, მცირე აზიაში. კულტურაში იქნა შემოტანილი ბუნებრივი გადარჩევის შედეგად დიდი ხნის ადრე ჩვ. წთ. აღ-მდე. 3-4 ათასი წლის წინ ჩვენს ერამდე დაიწყეს მისი მოყვანა უძველეს საბერძნეთში, საიდანაც შევიდა რომის იმპერიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში და პირინეის ნახევარკუნძულებზე. საფრანგეთში შეაღწია VIII-IX საუკუნეებში, XIX საუკუნეში გავრცელდა ამერიკაში, განსაკუთრებით კი შეერთებულ შტატებში. ამჟამად მის მა- დალ მოსავალს იღებენ იტალიაში, ეს- პანეთში, აშშ-ში, მაროკოში.
20. მუშმულა - *Eriobotrya japonica* (Thunb) Lindl. გელურად იზრდება ცენტრალურ ჩინეთში. კულტურაში სემოვიდა 1000 წლის წინ იაპონიაში და ჩინეთში, ევროპაში გაჩნდა XVIII საუკუნის ბოლოს. ფართოდ მისდევენ მის მოყვანას იაპონიაში. მცირე ფართობებით არის ცნობილი სამხრეთ ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და აშშ-ში. ასევე ავსტრალიაში და ლათინურ ამერიკაში. მო- ჰყავთ ასევე ყირიმში და ამიერკავკასიაში.

## И. КАРАЛАШВИЛИ

### ИСТОРИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА НЕКОТОРЫХ КУЛЬТУРНЫХ РАСТЕНИЙ

В работе дается историческое происхождение и ареал некоторых культурных растений в современной культурной флоре.

Следует отметить, историческое происхождение и распространение некоторых растений культурной флоры связано как с давней, так и современной географической территорией Грузии.

Палеонтологические раскопки показывают, что на территории Грузии найдены остатки таких растений как горох, виноград, пшеница, которые возделывались здесь в десятом тысячелетии до нашей эры.

## I. KARALASHVILI

### HISTORICAL CHARACTER OF SOME CULTURAL PLANT

In the work is given some cultural plant's historical generation and geographical spreading in contemporary cultural flora.

## **II. სამუშაო რესურსების ათვისების მემანიზაციის პრიგლებები მთავრობის პირობები**

**დ. მოსალიშვილი, 6. კალიძე ზ. ბალაშენაშვილი,  
რ. ტყემალაძე, მ. გოგოძიშვილი**

### **მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატის ძარა ანის მექანიზმის ძიება და სტრუქტურული კვლევა**

საქართველოში არსებული ბუნებრივი-საწარმოო ფაქტორები და ხე-ტყის დამზადების ურთულესი, სპეციფიკური პირობების გამო, მთაგორიანი ტექნიკურის ასათვისებლად, საჭიროა დამუშავდეს ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგიები და მათ განსახორციელებლად საჭირო ახალი ტექნიკა, მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების სახით. 20<sup>0</sup>-მდე კუთხით დახრილობის ტყეკაფებზე ძირითად მანქანა-მექანიზმებად, რომლებიც აწარმოებენ ხე-ტყის მორთრევა-ტრანსპორტი-რების ოპერაციებს, მიჩნეულია სპეციალიზებული მორსათრევი ტრაქტორ თ-4-ის ბაზაზე სტუ-ის სატყეო ტექნიკურ დეპარტამენტში შექმნილი მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი (მთა) ახალი ტექნოლოგიური აღჭურვილობით, რომელიც ახორციელებს ხე-ტყის ტრანსპორტირებას მთლიანად დატვირთულ მდგომარეობაში რის დროსაც, ნახევრად დატვირთულ მორთრევასთან შედარებით, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა მცირდება: მოზარდზე 5-ჯერ, ნიადაგზე 3,5-ჯერ, ხოლო რაც შეეხება მიწაზე თრევასთან შედარებით იგივე მაჩვენებლები მცირდება შესაბამისად 9-ჯერ და 5-ჯერ.

მთაგორიან პირობებში ხე-ტყის დამზადებაზე მთა-ის გამოყენება ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად წყვეტს ორ მნიშვნელოვან ამოცანას: უზრუნველყოფს ტყეკაფიდან ნარჩენების მაქსიმალურად გამოზიდვას და გამოიყენება ციცაბო ფერდობების ტყით განახლებისათვის.

ხე-ტყის ტრანსპორტირების მექანიზებული ტექნოლოგიური პროცესი მთა-ის მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

– აგრეგატის მოძრაობა უქმი სვლით ავტოტყესაზიდი გზიდან ტყეკაფის გაფლით, წაქცეული ხის ადგილამდე;

– მუშა მდგომარეობაში დადგომა და ძარას დაშვება;

– სატვირთო ბაგირის კაკვით გათრევა და ხის ჩაბმა ჩოქერით;

– ხის მოთრევა ძარამდე ჯალამბრით, დამორვა 4 მ სიგრძის სორტიმენტებად და თვითდატვირთვა ჯალამბრისა და თაღოვანი ანბის საშუალებით;

– ტვირთის დაბმა ძარაზე და ტრანსპორტირება საავტომობილო გზამდე დატვირთულ მდგომარეობაში;

– აგრეგატის თვითგანტვირთვა ზედა საწყობზე და ტყეკაფზე დაბრუნება ნარჩენების გამოსაზიდად.


მთა-ის ერთ-ერთ ძირითად კვანძს წარმოადგენს ძარა-ანძის მექანიზმი, რომელიც მონაწილეობს მოჭრილი ხეების ძარამდე მოთრევის, მორების თვით-დატვირთვის და თვითგადმოტვირთვის ოპერაციების შესრულებაში. თავდაპირველად დამუშავებული იყო მთა ძარა-ანძის სახსრულ-ბერკეტული მექანიზმით (ნახ. 1, 2, 3).

მთა-ის დამტვირთავი მოწყობილობა ძარა-ანძის მექანიზმის სახით შეიცავს: ჯალამბარს 1 საწევი ბაგირით 2, რომელზედაც დამაგრებულია საბჯენი 3 და კაუჭი 4; მხრეულა 5, რომელიც სახსრულად არის მიერთებული ტრაქტორის ლონჟერონის 7 უკანა კრონშ-

დამაგრებულია კრონშტეინი 14 და მასზე დაკიდებული მიმმართველი ბლოკი 15, რომლის გორგოლაჭში 16 გატარებულია საწევი ბაგირი. გორგოლაჭი 16 დაყენებულია კრონშტეინზე 17, რომელიც თავის მხრივ ხისტად არის დამაგრებული ზედა ნახევარჩარჩოს 19 კადონზე 18. ზედა ნახევარჩარჩო 19 ღია სახსრებით 20 დაკავშირებულია ქვედა ნახევარჩარჩოს 21. ზედა ნახევარჩარჩოს დგარებზე 22 დაყენებულია ცოციები 23 და საბჯენები 24. ცოციებთან სახსრულად არის მიერთებული შტოკები 25, რომლებიც მეორე მხრიდან ასევე სახსრულად უკავშირდებიან ქვედა ნახევარჩარჩოს დგარებს 26. ცოციები და ზედა ნახევარჩარჩოების დგარები შესრულებულია ნახევრეტებით, მათი ერთმანეთთან თითებით 27, დასაფიქსირებლად. სახსრები 20 შესრულებულია ღრუებით, მათი მიღსაყებთან 29 თითებით 28, დასაფიქსირებლად. მიღსაყები 29 ხისტად არიან დამაგრებული ძარას ბორტებთან 12. ძარას წინა მხარეს ხისტად არის დამაგრებული საყრდენები 30.

პოლკიკები 31 კრონშტეინით 32 იდება ბუდეში და მაგრდება ტრაქტორის ლონჟერონებზე 7. ჩასაკეტად კრონშტეინებს აქვთ მოსაბრუნებელი ბერკეტები 33. ძარას უკანა ორივე მხარეს დამაგრებულია დაჭური გორგოლაჭები 34. ქვედა ნახევარჩარჩო შეა ნაწილში მხრიდით 35 სახსრულად უერთდება კრონშტეინს 36. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ ხისტად მაგრდება ტრაქტორის ლონჟერონებზე და უკავშირდება პიდროცილინდრის 38 შტოკს 37. პიდროცილინდრის 38 კორპუსი სახსრულად უკავშირდება ტრაქტორის ლონჟერონს. სორტიმენტების ჩაჭერა წარმოებს ჩოკერებით 39.


მოწყობილობის მუშაობა ხორციელდება შემდეგნაირად: ტრაქტორი მიღის ტყევაფზე, ამასთან ტექნოლოგიური მოწ-




ნახ. 1. ტრაქტორ T-4-ის ბაზაზე შექმნილი მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი ანძის მუშა მდგრმარეობაში

ტეინზე 6; ბარბაცას 8, რომელიც ერთი ბოლოთი სახსრულად არის მიერთებული მხრეულასთან 5, ხოლო მეორეთი ძარასთან 9. ეს უკანასკნელი დაყენებულია საყრდენებზე 10 ტრაქტორის ლონჟერონების 7 პარალელურად-გორგოლაჭებთან 11 შეხებით. ძარა შესრულებულია ბრტყელი, მყარი შედუღებული კონსტრუქციის სახით, გვერდითი ბორტებით 12. ძარას წინა ბორტზე 13, ხისტად

ყობილობა იმუოფება სატრანსპორტო მდგომარეობაში (ნახ. 1), ანუ ძარა 9 განლაგებულია ტრაქტორის ლონჯერონების 7 პარალელურად, დაფიქსირებულია მათთან საყრდენებით 30 და ბერკეტებით 33. დამტვირთავი მოწყობილობის ნახევარჩარჩოები 19 და 21 ჩაკეტილია და ფიქსირებულია მიღსაყებში 29 თითებით 28, ძარას გვერდით ბორტებზე 12. სატრანსპორტო მოწყობილობის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ჯირკიდან ხეების მოსათრევად, აუცილებელია მიწაზე დავაყირავოთ ძარა (ნახ. 3), რისთვისაც ის მოსაბრუნებელი ბერკეტებით 33 თავისუფლდება ტრაქტორის ლონჯერონებისაგან. ირთვება ჰიდროცილინდრი 38, ძარა და ანბა ერთად გადადიან მიწაზე დაყირავებულ მდგომარეობაში. შემდეგ საწევი ბაგირი 2 ხელით გადაიტანება წაქცეულ ხემდე (არა უმეტეს 50 მ) და ჩოკერდება ხის ძირის ნაწილთან. ჩაირთვება ჯალამბარი 1 მუშა სვლაზე, ბაგირი ეხვევა დოლზე და ხე მოითრევა აგრეგატთან (ნახ. 3). 5-6 მ³ ხეების ტრაქტორთან მოთრევის შემდეგ, ხეები დამუშავდება სორტიმენტებად 4 მ სიგრძეზე, ხოლო საშეშე – 1 მ სიგრძეზე. იწყება დატვირთვა, რისთვისაც დაყირავებული ძარა ჰიდროცილინდრის საშუა-



ნახ. 2. მოწყობილობის სატრანსპორტო მდგომარეობაში



ნახ. 3. მოწყობილობის მოთრევის მუშა მდგომარეობაში

ლებით, ბრუნდება სატრანსპორტო ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და მაგრდება ტრაქტორის ლონჯერონებზე 7, მოსაბრუნებელი ბერკეტებით 33. ნახევარჩარჩოები 19 და 21 თავისუფლდება ძარასაგან თითის 28 მოხსნით. ჰიდროცილინდრი 38 გორვით უკან გადაადგილებს ნახევარჩარჩოებს დამჭერ გორგოლაჭზე 34, ცოციების 23 საბჯენებთან 24 შეხებამდე და ცოციაზე ნახვრეტის ზედა ნახევარჩარჩოს დგარაზე ნახვრეტთან დამთხვევამდე. ნახევარჩარჩოები ფიქსირდებიან თითებით 27 და იქმნება ანბის მთლიანი ხისტი კონსტრუქცია, რომელსაც მუშაობის დროს შეუძლია ნებისმიერი მდგომარეობის დაკავება-ვერტიკალურიდან ჰორიზონტალურამდე. საწევი ბაგირი 2, ამ დროს გადადებულია ზედა ნახევარჩარჩოს ბლოკზე 16. ბაგირის კაკვზე 4 ეკიდება დამტვირთავი ჩოკერი 39 (ნახ. 1). მომზადებული სორტიმენტების დასაჩუქრებლად. ჰიდროცილინდრი გადადის მცურავ მდგომარეობაში და ირთვება ჯალამბარი ტვირთის ასაწევად. ტვირთის აწევის შემდეგ ჯალამბარი გამოირთვება და მუხრუჭდება, ხოლო ჰიდროცილინდრი იკეტება. ეს გაჩერება საჭიროა სორტიმენტის ძარას გასწვრივ მდგომარეობაში მოსაბრუნებლად. შემდგომში სორტიმენტების მდგომარეობის კორექტირება ძარას ზე-

მოთ ხორციელდება ჰიდროცილინდრით (ნახაზებზე ნაჩვენები არ არის), რის შემდეგაც ისევ ჩაირთვება ჯალაშბარი და სორტიმენტი ეშვება ძარას ძირზე. ჩაეხსნება ჩოკერი 39 და ანდა ბრუნდება ქვედა განაპირა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. სორტიმენტების დატვირთვის ციკლი მეორდება საზიდარის შეგროვებამდე, რის შემდეგაც სორტიმენტები შეიკვრება საწევი ბაგირით. ცოციები თავისუფლდებიან თითებისაგან და ნახევარჩარჩოები 19 და 21 ჰიდროცილინდრის საშუალებით ბრუნდებიან სატრანსპორტო მდგომარეობაში. საშეშე პროდუქციის მორთრევა ტყეეკაფიდან ზემო საწყობამდე ხორციელდება სორტიმენტების ანალოგიურად, ამასთან შეშა შეკრაში შეიკვრება წინასწარ ცნობილი ხერხით.

მთა-ის თვითმტვირთავი სახსრულ-ბერკეტული მექანიზმი მორსათრევა, დამტვირთავ და სატრანსპორტო ოპერაციების შესრულების დროს, ანუ აგრეგატის ერთი მდგომარეობიდან მეორეში და მესამეში გადასაყვანად, შემდეგ პირვანდელ პოზიციაში დასაბრუნებლად სხვადასხვა რაოდენობის რგოლებითა და სახეობის (ბრუნვითი, წინსვლითი და უმაღლესი კლასის) კინემატიკური წყვილებით, გარდაიქმნება სამ სხვადასხვა ფუნქციის მატარებელ სახსრულ-ბერკეტულ ბრტყელ მექანიზმად:

I – ძარა-ანძის მექანიზმს ერთდროულად გადაყავს ძარა და ანძა სატრანსპორტოდან მიწაზე დაყირავებულ მდგომარეობაში (ნახ. 2 და 3). ძარა-ანძის სახსრულ-ბერკეტული მექანიზმი შედგება შემდეგი რგოლებისაგან: დგარა 0 (აგრეგატის შასი), ჰიდროცილინდრი 37 და 38, შესაბამისად დგუშითა და კორპუსით, მხრეულა 21, ბარბაცა 19, ბარბაცა 25, მხრეულა 8 და ბარბაცა 5, ცოცია 23, აგრეგატის ძარა 9; მექანიზმი შეიცავს ცხრა მოძრავ რგოლს, თორმეტ უდაბლეს

V კლასის კინემატიკურ წყვილს და ორ უმაღლეს IV კლასის კინემატიკურ წყვილს; მაშინ მექანიზმის თავისუფლების ხარისხი ჩებიშევის ფორმულით ტოლია

$$W = 3n - 2P_5 - P_4 = 3 \cdot 9 - 2 \cdot 12 - 2 = 1.$$

II – ძარას მექანიზმს ანძის გარეშე, ძარა გადაყავს სატრანსპორტოდან მოთრევის დაყირავებულ მდგომარეობაში და პირიქით. მექანიზმი შედგება შვიდი რგოლისაგან: დგარა 0, ცილინდრის კორპუსი 38, ცილინდრის დგუში 37, მხრეულა 21, ძარა 9, ბარბაცა 5, მხრეულა 8, რვა V კლასის კინემატიკური წყვილისაგან და ერთი უმაღლესი IV კლასის კინემატიკური წყვილისაგან, მაშინ მექანიზმის თავისუფლების ხარისხი ტოლია:

$$W = 3 \cdot 6 - 2 \cdot 8 - 1 = 1.$$

III – ანძის მექანიზმი მუშაობს ორ რეჟიმში:

1. როცა მთა-ის სატრანსპორტო მდგომარეობიდან საჭიროა ანძის გაშლა. ამ შემთხვევაში, ანძა განცალკევებულია ძარასაგან, ე.ი. თითო 28 ერთმანეთთან აკავშირებს მხრეულას 21 ანძის ქვედა ჩარჩოს ბარბაცასთან 19. მოქმედებაშია ექვსრგოლა მექანიზმი: ჰიდროცილინდრი 37 და 38, მხრეულა 21, ბარბაცები 19 და 25, ცოცია 23; რვა V კლასისა და ერთი უმაღლესი IV კლასის კინემატიკური წყვილებით. ეს უკანასკნელი შექმნილია ბარბაცით 19 და ძარაზე 9 დაყენებული გორგოლაჭით 34. მექანიზმის თავისუფლების ხარისხი ტოლია:

$$W = 3 \cdot 6 - 2 \cdot 8 - 1 = 1.$$

2. ანძის მეორე მექანიზმი მოქმედებას იწყებს აგრეგატის სატრანსპორტო მდგომარეობაში, როცა ანძის ნახევარჩარჩოები ფიქსირდებიან თითებით 27 და ქმნიან ანძის ერთ მთლიან ხისტკონსტრუქციას. ამ შემთხვევაში, მექანიზმის მოძრავი რგოლებია სამი: 37, 38 და

21, 19, 25, 23 რგოლებისაგან ერთ რგოლად ერთმანეთთან ხისტად დაკავშირებული რგოლი – თაღოვანი ანბა.

მექანიზმის თავისუფლების ხარისხი ტოლია:

$$W = 3 \cdot 3 - 2 \cdot 4 = 1$$

განხილული მთა-ის ძარა-ანბის მექანიზმები ჩატარებული სტრუქტურული პალევების შედეგად, დადგინდა, რომ ძარასი და ანბის გადაყვანა სატრანსპორტო, მორსათრევ და დასატვირთ

მდგომარეობაში და პირიქით, ხდება მექანიზმის გარკვეულწილად მონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად, რაც რასაკვირველია დაკავშირებულია ზედმეტი დროის ხარჯვასთან და აგრეგატის მწარმოებლურობის შემცირებასთან თუმცა ამ აგრეგატის დანერგვით, საქართველოს მთიან პირობებში მკვეთრად გაუმჯობესდება ის ცუდი ეკოლოგიური ფონი რომელიც თან ახლავს ტყეგაფვით სამუშაოებს.

## ლიტერატურა

1. ჭ.ბალამწარაშვილი. პ.დუნდუა. ზ.ჩიტიძე. ვ.აბაიშვილი. ი.გელაშვილი. ხელის დამზადებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგია. I ნაწილი. “ტექნიკური უნივერსიტეტი.” თბილისი 2013. გვ 185
2. ბალამწარაშვილი ზ., ჩიტიძე ზ., კოკაია გ., მჭედლიშვილი თ., მოსულიშვილი დ. მორსათრევი აგრეგატი. საქპატენტი. პატენტი GEP10332A. თბილისი. 10.04.09. № 7(275).
3. ბალამწარაშვილი ზ., მოსულიშვილი დ. ტყეგაფითი სამუშაოების ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგიები და მანქანები მთიან პირობებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო-წყალთა მუურნეობის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, 2009, № 64, 39-44 გვ.

ლ. მოსალიშვილი. 6. ჟალიძე ზ. ბალაშენაშვილი.  
რ. ტყემალაძე. მ. გოგობიშვილი


**მოდერნიზებული თვითმფირთავი  
მორსათრევი აზრებატის მექანიზმების  
დამუშავება**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატექნიკურ-ტექნიკურ დეპარტამენტში, ჩატარებულმა კვლევებმა გავჩვენა, რომ მთა აღჭურვილი სახსრულ-ბერკეტული მექანიზმით, წინ გადადგმული ნაბიჯია სატექნიკურ ეკოლოგიაში. თუმცა აღსანიშნავია ისიც რომ, ძარის და ანძის მექანიზმების ცალ-ცალკე მუშაობისთვის საჭირო ხდება მათი ნაწილობრივი დემონტაჟი, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება საწარმოო პროცესზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სტუ-ს სატექნიკურ-ტექნიკურ დეპარტამენტში დამუშავდა ძარა-ანძის სახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმები, რომლთა შედეგია მორსათრევი აგრეგატი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ავტომატურ რეჟიმში ტრაქტორისტის – ოპერატორის კაბინიდან გადმოუსვლელად, ყოველგვარი დემონტაჟისა და მონტაჟის გარეშე გადაიყვანოს აგრეგატი მორსათრევ, მორების დასატვირთ, სატრანსპორტო მდგომარეობაში და პირიქით.

დამუშავებულია ძარა-ანძის სახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმის რამდენიმე ვარიანტი:

I – ძარა-ანძის სახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმი (ნახ. 1 და 2) შედეგია შემდეგი რგოლებისაგან: დგარა – 0, პიდროცილინდრი – 1,2; კბილანები – 3,4; პარაზიტული კბილანები – 5; კბილანა – 6; ძარა – 7; ბარბაცები – 8,9; ცოცია –

10; ბარბაცა – 11; მხრეულა – 12 და საგორავები – 14, 15.



ნახ. 1. მთა-ის ძარა-ანძის სახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმის კინემატიკური სქემა – გვერდხედი.

ძარა-ანძის მექანიზმი აღჭურვილია კბილებგამოტოვებული კბილანით 4, რომელსაც ბრუნვითი მოძრაობის დროს, რაც ხორციელდება პიდროცილინდრის 1, 2 დახმარებით, აქვს საშუალება მორიგეობით შევიდეს მოდებაში ანძისა 3 და ძარას კბილანებთან, შესაბამისად 5 და 6.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძარა-ანძის სახსრულ-ბერკეტულ-კბილანურ, სამი სხვადასხვა ფუნქციის მატარებელ მექანიზმებთან:


I – ძარა-ანძის მექანიზმის მოქმედების დროს, როცა კბილანა 4 არ არის კბილებგამოტოვებული, საქმე გვაქვს თორმეტროლა მექანიზმთან: პიდროცილინდრი 1,2; კბილანები 3, 4, 6; პარაზიტული კბილანა 5, ძარა 7; ბარბაცები 8, 9, 11; ცოცია 10; მხრეულა 12; რომელიც

შეიცავს თხუთმეტ V კლასის და ხუთ უმაღლეს IV კლასის კინემატიკურ წყვილს. მექანიზმის თავისუფლების ხარისხი გროვია:

$$W = 3n - 2P_s - P_4 = 3 \cdot 12 - 2 \cdot 15 - 5 = 1$$

II – ანძის მექანიზმი შედგება ოთხი მოძრავი რგოლისაგან: ჰიდროცილინდრი 1, 2; კბილებგამოტოვებული კბილანა 4 და კბილანა 3, მხრეულათი და ანძით, რომლებიც ქმნიან ხუთ V კლასისა და ერთ უმაღლესი IV კლასის კინემატიკურ წყვილს. მექანიზმის თავისუფლების ხარისხი გროვია:

$$W = 3 \cdot 4 - 2 \cdot 5 - 1 = 1.$$



ნახ. 2. მთა-ის ძარა-ანძისსახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმის კინემატიკურისქემა – ზედხედი

III – ძარის მექანიზმი შედგება შვიდი მოძრავი რგოლისაგან: 1, 2, 4, 6, 7, 11, 12 ცხრა უდაბლესი V კლასის და ორი უმაღლესი IV კლასის კინემატიკური წყვილისაგან. მექანიზმის თავისუფლების ხარისხი გროვია:

$$W = 3 \cdot 7 - 2 \cdot 9 - 2 = 1.$$


მთა სახსრულ-ბერკეტულ-კბილანური ძარა-ანძის მექანიზმით (ნახ. 1, 2) მუშაობს შემდეგი თანმიმდევრობით: ჰიდროცილინდრის 1,2 საშუალებით ბრუნვით მოძრაობაში მოდის გამოტოვებულ კბილებიანი კბილანა 4. სატრანსპორტო მდგომარეობიდან მუშა მდგომარეობაში გადასაყვანად გამოტოვებულ კბილები-

ანი კბილანა 4, მოდებაშია კბილანასთან 3 და გარკვეული კუთხით მობრუნების შემდეგ ანძა გადაყვავს ვერტიკალურ მდგომარეობაში, რის შემდეგაც კბილანა 4 გამოდის კბილანა 3-თან მოდებიდან და შედის მოდებაში პარაზიტულ კბილანასთან 5, რომელიც ასევე მოდებაშია კბილანა 6-თან. იწყება ძარას მექანიზმით მისი მიწაზე დაშვება დაყირავებულ მდგომარეობაში. აგრეგატი მზად არის მოჭრილი ხელის მოსათრევად.

5-6 მ³ მორების დაგროვების შემდეგ იგივე მექანიზმით ძარა 7, ჰიდროცილინდრის შტრკის უკუსვლითი მოძრაობით გადაიყვანება ჰიორიზონტალური-ტრაქტორის ლონჯერონების პარალელურ დასატვირთ მდგომარეობაში. იწყება 4 მ სიგრძეზე დამორილი სორტიმენტების ანძის მექანიზმით ძარაზე დატვირთვა. ამის შემდეგ ჰიდროცილინდრი აგრძლებს უკუსვლას ბოლომდე და ანძა გადაყვას დაკეცილ სატრანსპორტო მდგომარეობაში. ხდება სორტიმენტის ზედა საწყობზე ჩამოტანა, სადაც გადმოტვირთვისათვის ანძა გადადის ვერტიკალურ მდგომარეობაში და იწყება მორების ჩამოტვირთვა, რის შემდეგაც ჰიდროცილინდრის შტრკი 2 იწყებს უკუსვლას და კბილებგამოტოვებული კბილანის 4 და კბილანის 3 დახმარებით, ანძა უბრუნდება დაკეცილ-ჰიორიზონტალურ მდგომარეობას. აგრეგატი გადაადგილდება ტყეპაფში ახალი უბნის ასათვისებლად.


განხილული თვითმტვირთვი მექანიზმით აგრეგატის მუშაობის დროს, მოჭრილი ხელის-შოლტების მოთრევა აგრეტატთან ხორციელდება ანძის აწეულ-ვერტიკალურ მდგომარეობაში, როცა ჯალამბარის ბაზირის ბლოკები განლაგებულია მაღლა ანძის წვეროზე. ეს კი შოლტების მოთრევის დროს იწვევს აგრეგატის არამდგრად მდგომარეობას – არსებობს მისი გადაყირავების ალბათობა. აქედან გამომდინარე, დამუშავდა სახს-

რულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმის ალტერნატიული ვარიანტი (ნახ. 3 და 4), რომელშიც ანძის მექანიზმს გააჩნია და-მოუკიდებელი კბილებგამოტოვებული კბილანა 4, რომელსაც შეუძლია ანძა გადაიყვანოს დატვირთვის მდგომარეობაში და დაბრუნოს უკან, ძარასაგან დამოუკიდებლად. ეს კი იძლევა იმის საშუალებას, რომ გარკვეული თანმიმდევრობით გადავიყვანოთ აღნიშნული მექანიზმებით ანძა და ძარა: მორსათრება, დასატვირთ და სატრანსპორტო მდგომარეობაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.



ნახ. 3. მთა-ის ძარა-ანძისსახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმის კინემატიკურის-ქმა – გვერდები.

ამ შემთხვევაში, შოლტების მოთრევა წარმოებს ანძასა და ძარას დაყირავებულ მდგომარეობაში, დატვირთვა – ანძის ვერტიკალურ და ძარას - ჰორიზონტალურ



ნახ. 4. მთა-ის ძარა-ანძისსახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმის კინემატიკურის-ქმა – ზედხედი,

მდგომარეობაში, ხოლო მორების ტრანსპორტირება კი – ძარის და ანძის დაკეცილ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაშიაც, სახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმი მოიცავს სამ სხვადასხვა ფუნქციის მატარებელ მექანიზმს: ძარა-ანძის მექანიზმს, როცა ძარა და ანძა მოძრაობაში მოდის ერთდროულად ერთი წამყვანი რგოლით და ძარასი და ანძის ცალკე მექანიზმებს.

მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი, ახალი მოდერნიზებული ძარა-ამძის მექანიზმებით, საშუალებას გვაძლევს მორების მორთრევა, ტრანსპორტირება და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები ვაწარმოოთ ტყეკაფის ათვისების ტექნოლოგიის მთლიანი დაცვით.

#### ლიტერატურა

1. ზ.ბალამწარაშვილი. პ.დუნდუა. ზ.ჩიტიძე. ვ.აბაიშვილი. ი.გელაშვილი. ხემის დამზადებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგია. I ნაწილი. “ტექნიკური უნივერსიტეტი.” თბილისი 2013. გვ 185
2. ბალამწარაშვილი ზ., ჩიტიძე ზ., კოკაია გ., მჭედლიშვილი თ., მოსულიშვილი დ. მორსათრევი აგრეგატი. საქატებრი. პატენტი GEP10332A. თბილისი. 10.04.09. № 7(275).
3. ბალამწარაშვილი ზ., მოსულიშვილი დ. ტყეკაფითი სამუშაოების ეკოლოგიურად უკნებელი ტექნოლოგიები და მანქანები მთიან პირობებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო-წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, 2009, № 64, 39-44 გვ.

## **III. სატემო მაურნობა საზღვარგარებელი**

### **ბიძინა თავაძე**

#### **ესპანეთი**

ესპანეთი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ეკვირკუნძულზე, პორტუგალიასთან ერთად, მას უჭირავს ამ ნახევარკუნძულის 5/6 ნაწილი. მას ეკუთვნის აგრეთვე ბალეარის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში, კანარის კუნძულები ატლანტის ოკეანეში და ანკლავი (ორი ქალაქი – სეუტა და მელილა) აფრიკის კონტინენტზე მარკოში.

ესპანეთს ჩრდილოეთით აკრავს ბისკაის ყურე, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ატლანტის ოკეანე სამხრეთით და აღმოსავლეთით ხმელთაშუა ზღვა, დასავლეთით ესაზღვრება პორტუგალია, ჩრდილოეთით – საფრანგეთი. აფრიკისაგან მას გამოყოფს ხმელთაშუა ზღვა, ატლანტის ოკეანე და გიბრალტარის სრუტე, რომლის სიგანეა 14 კმ.

ქვეყნის ფართობია 505.960 კმ<sup>2</sup>. მოსახლეობა, დაახლოებით, 40 მლნ. იგი დაყოფილია 17 ადმინისტრაციულ ერთეულად – ავტონომიად.

ესპანეთის ტერიტორიის 65%-ზე მეტი მდებარეობს 500 მეტრზე მაღლა; მათ შორის 25%-ზე მეტი 1000 მეტრზე მაღლა; ქვეყნის დიდი ნაწილი უჭირავს მესეტას ზეგანს (სიმაღლე 600-1000 მ-დე). ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთით მესეტა შემოფარგლულია იბერიის, კატალონიისა და ანდალუზიის მთებით. ამ უკანასკნელზეა ესპანეთის უმაღლესი მწვერვალი – მულასენის მთა, სი-მაღლე 3 478 მ. ქვეყნის ჩრდილოეთ-

ით და ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულია პირინეების მთები (სიმაღლე 3 404 მ-დე, ანეტოს პიკი) და კანტაბრიის მთები; ვაკეები უმნიშვნელოა – გამოირჩევა ანდალუზიის დაბლობი და არაგონის ვაკე.

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების ასეთი სიჭრელე განაპირობებს ქვეყნის ლანდშაფტზე მრავალფეროვნებას და კონტრასტებს.

ესპანეთის ტერიტორიაზე ძირითად გვხვდება კაშმიწა, კირნარი და თიხნარი ნიადაგები.

კაშმიწა ნიადაგები უმეტესად გაგრცელებულია იბერიის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში. ისინი განვითარებულია გრანიტებსა და ფიქალებზე, სადაც უხვად იზრდება მცენარეულობა.

კირნარები გვხვდება პირინეებისა და კანტაბრიის მთებში, იბერიის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და ბალეარიის კუნძულებზე. ისინი განვითარებულია სხვადასხვა სახის დედაქანებზე და ხასიათდებიან შედარებით ღრიბი მცენარეულობით.

თიხნარებს უკავიათ მესეტას ზეგნის უმეტესი ნაწილი და მდინარეების ებროსა და გუადალკუვირიის ხეობები.

რაც შეეხება ჰავას, ქვეყნის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ოკეანის ზომიერი ჰავაა. იცის რბილი ზამთარი და თბილი ზოფხული, ნალექები მოდის წელიწადში 1000-2000 მმ. სანაპირო რაიონებში იანვრის საშუალო ტემპერატურაა 7-9°C, ივლისისა 18-20°C.

მთებში, განსაკუთრებით პირინეებში, 2500 მ-ზე მაღლა, ზამთრის თვეების ტემპერატურები უარყოფითია. ზაფხულისა კი 10-დან 12°C-მდე.

ესპანეთის დანარჩენ რაიონებში სუბტროპიკული ხმელთაშუა ზღვის ჰავაა; იცის ცხელი მშრალი ზაფხული და რბილი ნოტიო ზამთარი; იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4-13°C, ივლისის – 23-29°C. ნალექების რაოდენობა მცირება – 300-500 მმ წელიწადში.

ფიზიკურ-გეოგრაფიული, კლიმატური და ნადაგობრივი პრობების მრავალფეროვნებამ, ათასეული წლების განმავლობაში ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შერწყმასთან ერთად, განაპირობა ესპანეთის ფლორის მრავალფეროვნება, რომელიც ითვლის 5500-ზე მეტ სახეობას, რომელთაგან მრავალი ენდემია.

იბერიის ნახევარკუნძულზე გამოყოფილია სამი ფლორისტული რეგიონი: - ბორეალური, - ალპური, ევრო-ციმბირული და ხმელაშუაზღვისპირული. რაც შეეხება კანარის კუნძულებს, იგი შედის ატლანტის არქიპელაგების მაკარონესიერის რეგიონში.

ბორეალურ-ალპური რეგიონი მოიცავს პირინეების განსაკუთრებულად მაღალი ზონას, რომელშიც წარმოდგენილია ტყეები შემდეგი სახეობებისაგან, როგორიცაა: *P. silvestris*, *Abies alba*, *Fagus sylvatica*; ტყეების ზემოთ კი წივანიანი მდელოებია.

ევრო-ციმბირული რეგიონი მოიცავს კანტაბრიის მთებს, დასავლეთ პირინეებს და გალიციას. აქ გვხვდება ბუნებრივი მუხნარები, რომელიც უპირატესად წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: *Quercus robur* da *Q. petrea*. ამ ზონაში, რომელიც წარმოადგენს ინტენსიური სოფლის მეურნეობის ზონას, ძლიერ დეგრადირებული, ფართობები გატყვევებულია ხელოვნურად, ისეთი სახეობებით როგო-

რიცაა: *Pinus pinaster*, *P. radiata*, *Castanea sativa* და *Eucaliptus* sp. აქვე უხვადაა წარმოდგენილი მანანა (*Erica* sp.).

ამავე რეგიონის აღმოსავლეთით კარგი წიფლნარებია. ხოლო იბერიის მთებში გვხვდება წიფლისა და ფიჭვის (*P. silvestris*) საინტერესო ფორმაციები. ცენტრალური მთების დასავლეთ ზონაში კი ერთადად წარმოდგენილი ზღვისპირა ფიჭვი (*P. pinaster*), წაბლი (*Castanea sativa*) და მუხები (*Quercus* sp.).

ზემოხსენებული 3 ფლორისტული რეგიონიდან ყველაზე დიდია მედიტერანული ზონა, ბალეარიის კუნძულებთან ერთად და იგი სასიათდება მდიდარი მცენარეულობით.

ამ ზონისათვის ტიპურია მარადმწვანე მუხისა (*Quercus ilex*) და კორპის მუხის (*Q. sufer*) მუხნარები და ფიჭვინარების მრავალფეროვანი ფორმაციები, რო-მელიც შედგება ისეთი სახეობებისაგან, როგორიცაა: *Pinus nigra*, *P. pinaster*, *P. halepensis*, *P. pinea*, *P. silvestris*; აქვე გვხვდება ერთადერთი ევროპული პალმა ჩამამაროს კუმილის.

რაც შეეხება კანარის კუნძულებს, მისი მაღალი ზონისათვის დამახასიათებელია კანარის ფიჭვისაგან (*Pinus canariensis*) შედგენილი ფიჭვნარები, ხოლო დაბლობი ზონის მთავარი მახასიათებელია რძიანასებრი (*Euphorbia* sp.).

ესპანეთში სატყეო მეურნეობა რეგულირდება ორი ძირითადი კანონით, ესენია: კანონი ტყის შესახებ (*Ley de Montes*) (1957) და ჩარჩო კანონი გარემოსა და ველური ფლორისა და ფაუნის დაცვის შესახებ (*Ley de Conservacion de Espacios Naturales y de la Flora y Fauna silvestres*) (1989). დამატებით, ავტონომიების უმრავლესობას აქვთ ძირითადი სადირექტივო კანონები სატყეო მეურნეობის შესახებ.

ესპანეთის საერთო ფართობია 50,6 მლნ. ჰა. აქედან სატყეო ფონდის მიწე-

ბია 22,5 მლნ. ჰა. ბუნებრივი და ხელოვნური ფარჯელების ფართობია 10,6 მლნ. ჰა. დანარჩენი ნაწილი სატყეო ფართობებისა წარმოდგენილია გამეჩერებული, დეგრადირებული, პირუტყვისაგან დაზიანებული ე.წ. მაკვისით, რომელიც შედგება ისეთი სახეობებისაგან, როგორიცაა: მუხები – *Quercus lusitanica* და *Q. pirenaica* და სხვადასხვა მარადმწვანე ბუჩქებისაგან, როგორიცაა: ველური ზეთისხილი, ფსტა, ხემარწყვა და ესპანური საკმლის ხე.

ასეთი და კიდევ სხვა სახის ბუჩქნარების საერთო ფართობია 12,1 მლნ. ჰა.

საერთოდ: ქვეყნის ტყიანობაა 45%. ტყების 52% თესლითი წარმოშობისაა, 30% ამონაყრითია, ხოლო 18% შერეულია.

მაღალი სიხშირის ტყეებს უკავიათ, დაახლოებით, 2 მლნ. ჰა, საშუალო სიხშირის კორომებია 3,6 მლნ. ჰა, ხოლო დანარჩენი დაბალი სიხშირისა.

ტყეების 52% წიწვიანია; მათ შორის სხვადასხვა სახეობის ფიჭვის ტყეებია 37%; შემდეგ მოდიან სოჭნარები და ნაძვნარები.

ფოთლოვანების წილად მოდის ტყეების 36%; მათ შორის სხვადასხვა სახეობის მუხის ტყეებია 23%; მნიშვნელოვანი ფართობები უკავიათ ევგალიპტებისა და ვერხვების ხელოვნურ ტყეებს, აგრეთვე წიფლნარებსა და წაბლნარებს; შერეული ტყეებია 12%.

ესპანეთში საექპლოატაციო ტყეების ფართობია 9,2 მლნ. ჰა, რომელთა წლიური შემატებაა 30 მლნ. კბმ. აქედან წიწვიანებზე მოდის 20,7 მლნ. კბმ მერქანი, ფოთლოვანებზე – 9,3 მლნ. კბმ.

ქვეყანაში ყოველწლიურად იჭრება წლიური შემატების 55-60%, რაც სრულიად შეესაბამება ტყის უწყვეტი სარგებლობის მეურნეობის პრინციპებს.

1998-2002 წლებში ხე-ტყის დამზადება შეადგენდა წლიურად, საშუალოდ,

წიწვიანებისა 8375 ათას კბმ-ს, ფოთლოვანებისა 6981 ათას კბმ-ს. აქედან დაახლოებით 14 მლნ. კბმ იყო სამასალე.

ესპანეთში მაღალ დონეზეა ტყის კულტურების გაშენება. ამჟამად ხელოვნური ტყეების ფართობი შეადგენს 4 მლნ. ჰა; აქედან სწრაფმზარდ სახეობებზე მოდის 30%; საერთოდ კი ტყის კულტურების 50%-ზე მეტი ფიჭვის სახეობებზე მოდის.

ხელოვნური ტყეების ფართობები სახეობების მიხედვით პროცენტულად მოცემულია №1 ცხრილში.

ქვეყნის სატყეო მეურნეობაში უშუალოდ დასაქმებულია 30 ათასი ადამიანი; აქედან 10% დასაქმებულია კორპის მოპოვებაზე, რომელსაც კორპის მუხისაგან ამზადებენ. საკუთრივ კორპის წარმოებაში კი მუშაობს 5 ათასი ადამიანი; კორპის მრეწველობაში წლიური ბრუნვაა 60 მლნ. ეკიუ.

საერთოდ მაღალ დონეზეა ხეტყის გადამუშავების ინდუსტრია, რომელიც მოიცავს საავეჯო, ქაღალდის და სხვა სახის წარმოებას და მათში დასაქმებულია ათი ათასობით ადამიანი.

ცალკე აღსანიშნავია ნადირობის მაღალი დონე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ტყეებთან და რომელსაც თავისებური „ინდუსტრიალიზაციის“ სახე აქვს. ნადირობის სექტორში დასაქმებულია 45 ათასამდე ადამიანი, 475 მლნ. ეკიუს ბრუნვით.

ესპანეთში სატყეო მეურნეობისათვის კადრებს სამ დონეზე ამზადებენ: პირველი ესაა ტყისმცველების მომზადება სატყეო სააგენტოების მიერ სპეციალური წრთვების ანუ თრეინინგების საშუალებით; მეორე დონე ესა მეტყევის დიპლომის მიღება მაღრიდისა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტებში, 3 წლიანი სწავლების კურსით. მესამე დონე ესა მეტყევე ინჟინრის წოდებით მომზადება მაღრიდისა და სხვა ქალაქების უნივერ-

## ცხრილი №1

ხელოვნური ტყეების ფართობები პროცენტებში სახეობების მიხედვით

სახეობა	ფართობი %
<i>Pinus silvestris</i>	15,9
<i>Pinus haleensis</i>	15,2
<i>Pinus pinaster</i>	21,2
<i>Pinus nigra</i>	11,0
<i>Eucaliptus</i> sp.	9,5
<i>Pinus pinea</i>	7,4
<i>Pinus radiata</i>	4,4
<i>Populus</i> sp.	2,5
სხვა სახეობები და	12,9
შერეული კულტურები	

სიტებებში, 5 წლიანი სწავლების კურსით.

ქვეყანაში სატყეო საკითხების კვლევას აწარმოებს აგრარული კვლევის ეროვნული ინსტიტუტების ტყეების კვლევის ცენტრი და ავტონომიების ანალიზიური კვლევითი ცენტრები. გარდა ამისა, მაღრიდში ფუნქციონირებს სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც კოორდინაციას უწევს ტყის მეურნეობის განხრით საერთოდ ქვეყანაში წარმოებულ სამეცნიერო საქმი-ანობას.

ესპანეთში სატყეო მეურნეობას განაგებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის, ნადირობის და სამდინარო მეთევზეობის გენერალური სამმართველო.

ტყეების საკუთრების მხრივ ესპან-

ეთში ასეთი სურათია: სახელმწიფო საკუთრებაშია ტყეების 30,2%, ხოლო კერძო მფლობელობაშია 69,8%.

ორთავე სექტორში სატყეო საქმიანობა მიმდინარეობს ზემოთაღნიშნული სატყეო კანონების მიხედვით, ხოლო ჭრის სისტემებიდან აქ გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

პირწმინდა ჭრები – წარმოებს ევკალიპტების და ვერხვებისა და ზოგიერთი ფიჭვის (*P. pinaster*, *P. radiata*) პლანტაციებში.

თანდათანობითი ჭრები – წარმოებს ევრო-ციმბირისა და ბორეალურ-ალპური ზონების წიფლნარებსა და ფიჭვნარებში.

ამორჩევითი ჭრები – ძირითადად წარმოებს პირინეების ნაძნარ-სოჭნარებში.

გავლითი ჭრები – ძირითადად წარმოქმნის თრივე სექტორის *Pinus radiata*-ს პლანტაციებში.

ახლაც და ისტორიულადაც, ქვეყნისა სატყეო მეურნეობისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა და წარმოადგენს პირზე ტყის მასობრივი მოვება, რომელიც, ერთი მხრივ აზიანებს ტყეებს და ხელს უშლის ტყის ბუნებრივ განახლებას, მეორე მხრივ, წარმოადგენს ნიადაგის ეროვნის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს; ნიადაგების ეროვნიები კი ესპანეთისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს.

რაც შეეხება ტყეების პათოლოგიურ მდგომარეობას, აქ ისევე როგორც ყველანი, სადაც წაბლია გაგრცელებული, მიმდინარეობს წაბლნარების ხმობა წაბლის კიბოსა და მელნისებრი დაავადებისაგან; ოელების ხმობა ოელის ჰოლანდიური დაავადებისაგან; მუხნარებში აღინიშნება სხვადასხვა დაავადებანი, ხოლო წიწვიანებული ჩვეულებრივად პრობლემაა ქერქიჭამიები.

ასეთია, მოკლედ, ესპანეთის სატყეო მეურნეობის მდგომარეობა.

TAVADZE B.L.

## FORESTRY OF FOREIGN COUNTRIES – SPAIN

### SUMMARY

In this paper are given some data about of forestry of Spain.

ТАВАДЗЕ Б.Л.

## ЛЕСНОЕ ХОЗЯЙСТВО ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН – ИСПАНИЯ

### РЕЗЮМЕ

В статье приведены некоторые данные о лесном хозяйстве Испании.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Forestry of Changing Societies in Europe. Silva Network. 1999 – 480 p.
2. Forest Resources of Europe, GIS, North America, Australia, Japan and New Zealand. Geneva Timber and Forest Study Papers #17 United Nation. New-York and Geneva. 2000 – 445 p.
3. Букштинов А.Д., Грошев Ю.И., Крылов Г.В. Леса Мира. М. «Мысль», 1981 – 147 стр.
4. Страна Мира. Краткий политico-экономический справочник. М. Политиздат, 1986.
5. ქანკ, გ. 4, თბ. 1979.
6. ბ.ლ. თავაძე – „ფიქრები ქართულ ტყეზე ანუ მწვანე ნოსტალგია“. თბ. 2008 – 183 გვ.

## IV. სამკარნალო მცენარეები

მაისაშვილი გ., აუკუნიძე ჯ., ზინკარაძე დ., ჯოხაძე გ.

### გვარი სახვის (Allium L.) სისტემის მიმოხილვა

თბილისის სახელმწიფო  
სამედიცინო უნივერსიტეტი,  
ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის  
დეპარტამენტი

გვარი სახვი (Allium L.) თანამედროვე სისტემატიკური მონაცემებით მიეკუთვნება სახვისებრთა (Alliaceae) ოჯახს. ის აერთიანებს 400-ზე მეტ სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ძირითადად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, წინა და შუა აზიაში. საქართველოს ფლორაში გვ. Allium-ის 38 სახეობაა მითითებული [3].

გვ. სახვი (Allium L.), შროშანისნაირთა (Liliopsida) სისტემატიკის მსგავსად ნაკლებადაა დამუშავებული, სადისკუსიო და ამჟამად ინტენსიური შესწავლის სტადიაშია [1].

ნიშან-თვისებათა უპირატესობის მიხედვით სისტემატიკოსები წარსულში ამ გვარს სხვადასხვა ოჯახს აკუთვნებდნენ. ი. ტურნეფორტმა თავის სისტემაში სახვის სამი გვარი გამოყო (Allium, Cepa, Porum), რომლებიც ნარგიზისებრთა (Amaryllidaceae) და ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახებში მოათვასა. ა. ჰალერმა ტურნეფორტის მიერ მითითებული გვარები შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახში Allium-ის სახელწოდებით ერთ ტრიბად გაერთიანა [11], ხოლო მ. ადანსონმა გვ. Allium ნარგიზისებრთა (Amaryllidaceae) წარმომადგენლებთან ერთად შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახში განიხილა [9].

ი. აგარდმა 1858 წელს პირველმა გამოყო ოჯახი სახვისებრნი (Alliaceae), რომელშიც გააერთიანა სამი ტრიბა - Allium, Agaranthe და Gilliesieae [10]. ა. ენგლერი უარყოფდა სახვისებრთა (Alliaceae) ოჯახს და მას შროშანისებრთა ოჯახის (Liliaceae) ქვეოჯახის რანგში (Allioideae) განიხილავდა. გვ. Allium-ს შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახში განიხილავდნენ აგრეთვე კრაუზე [14] და ჰერმანი [12], ხოლო ჰერმანისონი [13] მას ნარგიზისებრთა (Amaryllidaceae) ოჯახს აკუთვნებდა. ა. ტახტაჯიანი თავდაპირველად გვ. Allium-ის დამოუკიდებელ ოჯახად გამოყოფის საკითხს აყენებდა, თუმცა მოგვიანებით მან ეს გვარი მაინც შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახს მიაკუთვნა [6]. ა. ვედენსკი საბჭოთა კავშირის ფლორის მრავალტომეულში, ენგლერის სისტემაზე დაყრდნობით გვ. Allium-ს შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახში განიხილავდა [5]. ასევე საქართველოს ფლორის პირველ გამოცემაში, სადაც გვ. Allium შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახში განიხილული [2].

გვ. Allium-ის კავებასიის სახეობების მონოგრაფი ხ. ჩოლოფაშვილი ამ გვარს სახვისებრთა (Alliaceae) ოჯახს აკუთვნებს [8]. ანალოგიურად, საბჭოთა კავშირის ფლორის დამატებაში ხ. ჩერებანოვი მას სახვისებრთა (Alliaceae) ოჯახში განიხილავს [7].

საქართველოს ფლორის მეორე გამოცემაში გვ. Allium-ის 38 სახეობაა მოყვა-

ნილი, რომლებიც გაერთიანებულია 4 ქვეგვარში, 12 სექციასა და 5 ქვესექციაში [3].

6. ჩოლოფაშვილის სისტემაში გვარისათვის არსებითია ბოლქვიანი ან ბოლქვესურიანი ტიპის მიწისქვედა ორგანო, შეუფოთლავი დერო, ქოლგა ყვავილედი, საერთო საბურველი, ზედა ნასკვი, სპეციალიზირებული ჭურჭლები ფესვებში, ქრომოსომთა ჰაპლოიდური რიცხვი = 7, 8, 9; მტვრის მარცვლის გლუვი ან წვრილმარცვლოვანი ეგზინა [4].

გვ. Allium-ის სისტემა 6. ჩოლოფაშვილის მიერ მოწოდებული იხილეთ სქემა 1-ზე.

სქემა 1

გვარი Allium-ის სისტემა 6. ჩოლოფაშვილის მიერ მიღებული

Subgen. 1. Rhizideum. ფესურიან-ბოლქვიანი და ფესურიანი მცენარეებია.

Sect. 1. Anguinum. *A. victorialis* L.

Sect. 2. Rhizirideum. *A. albidum* Fisch. ex Bieb.

Sect. 3. Schoenoprasum. *A. schoenoprasum* L.

Sect. 4. Oreiprason.

Subsect. 1. Globosa. *A. saxatile* Bieb., *A. globosum* Bieb. ex Redoute, *A. ruprechtii* Boiss.

Subsect. 2. Dagestanica. *A. albovianum* Vved., *A. chevsuricum* Tscholok., *A. otschialuria* Tscholok.

Subsect. 3. Reticulato-bulbosa. *A. szovitsii* Regel., *A. pseudostictum* Albov.

Subgen. 2. Allium. ფესურას მოკლებული თითო ბოლქვიანი მცენარეებია.

Sect. 5. Allium.

Subsect. 1. Scorodoprason. *A. rotundum* L., *A. jajlae* Vved., *A. waldsteinii* G. Don f., *A. erubescens* K. Koch., *A. gracilescens* Somm. et Levier, *A. gramineum* K. Koch, *A. ponticum* Misch. ex Grossh., *A. leucanthum* K. Koch, *A. atroviolaceum* Boiss., *A. ledschanense* Conrath et Freyn.

Subsect. 2. Oenoprason. *A. fuscoviolaceum* Fomin., *A. affine* Ledeb., *A. aucheri* Boiss., *A. vineale* L.

Sect. 6. Scorodon.

Subsect. 1. Moschata. *A. moschatum* L.

Subsect. 2. Rubella. *A. rubellum* Bieb.

Sect. 7. Codonoprasum. *A. pseudoflavum* Vved., *A. paczoskianum* Tuzs., *A. kunthianum* Vved., *A. karsianum* Fomin, *A. rupestre* Stev., *A. oleraceum* L.

Subgen. 3. Amerallium. ბოლქვი თითოა, ფესურას მოკლებული, ხშირად ბოლქვაკებიანი მცენარეებია.

Sect. 8. Molium. *A. candelleanum* Albov.

Sect. 9. Briseis. *A. paradoxum* (Bieb.) G. Don f.

Sect. 10. Ophioscordon. *A. ursinum* L.

Subgen. 4. *Melanocrommyum*. თითო ბოლქვიანი ფესურას მოკლებული  
მცენარეებია.

Sect.11. *Porphyroprason*. *A. oreophilum* C. A. Mey.

Sect.12. *Melanocrommyum*. *A. cardiotemon* Fisch. et C. A. Mey.

6. ჩოლოფაშვილის მიხედვით საქართველოს ენდემია: *A.albovianum* Vved.,  
*A.chevsuricum* Tscholok., *A.otschiauriae* Tscholok., *A. gracilescens* Somm. et Levier;  
კავკასიის ენდემი: *A. ruprechtii* Boiss., *A. pseudostrictum* Albov., *A. leucanthum* K.  
Koch, *A. ledschanense* Conrath et Freyn, *A. candolleanum* Albov.

### ლიტერატურა


1. ქუჭუხიძე ჯ., ჯოხაძე გ.. ბოტანიკა. 2012.
2. საქართველოს ფლორა. გ. II. 1941.
3. საქართველოს ფლორა. მე-2 გამოც. გ. XVI. 2011.
4. ჩოლოფაშვილი ნ. გვარ *Allium*-ის სისტემის შესწავლისათვის. მც. სისტ. გეოგრ. ნარკვ. (თბილისი) ნაკვ. 31, 1975.
5. Введенский А. И. Род Лук – *Allium* //Флора СССР. Л.: изд. АН СССР. т. IV. 1935.
6. Тахтаджян А. Л. Система и филогения цветковых растений. Изд. Наука. М.-Л., 1966.
7. Черепанов С. К. Свод дополнений и изменений к “Флоре СССР”. Л. 1973.
8. Чолокашвили Н. Б. Обзор системы кавказских представителей *Allium* L. // Заметки систематики и географии растений. Тбилиси. 1977. Вып. 34.
9. Adanson M. Familles des plantes, 2, Paris. 1763.
10. Agardh I. G. Theoria systematis plantarum familiarum phanerogamarum, Lund. 1858
11. Haller A. Enumeratio metodica stirpium helveticae indigeranum. Gottingen. 1742.
12. Hermann K. Quercetin glycosides of onions (*Allium cepa*). Naturwissenschaften 43; 1956.
13. Hutchinson J. The families of flowering plants. vol.2, Monocotyledon. Clarendon Press. Oxford. 1959.
14. Krause K. Liliaceae in: Engler and Prantl., Nat. Planzenfam., ed. 2, 15a. 1930.

## V. ლიტერატურულ-კულტურული კუთხი

### რევაზ ობოლაძე

**ნიკო ნიკოლაძე -  
დიდი განმანათლებელი  
და მეცნიერებრივი  
საქამიანობის უმომენედელი -  
საქართველოს ტყეების  
შენარჩუნებისა და გონივრული  
გამოყენების უსახები**

**ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან  
170 წლისთავთან დაკავშირებით**



ნიკო ნიკოლაძე ბრწყინვალე წარმომადგენელია მე-19 საუკუნის სამოციანელთა იმ თაობისა, რომელთაც, რუსეთის იმპერიული მმართველობის ეპოქაში უდიდესი წელიდღი მიუძღვით ქართველი ხალხის სულიერი აღორძინების და ახალი ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრების საქმეში.

ნიკო ნიკოლაძე 1860-იანი წლების ბოლოს, ევროპის ელიტარულ უნივერსიტეტებში ღრმად განსწავლიული, დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს და, სრულიად ახალგაზრდა, დიდი რუდუნებითა და გამჭრიახობით შეუდგა თავის მრავალმხრივ შესაძლებლობათა წარმოჩენის რთულ, ცხოვრებისეულ აღმართებს.

მეტად ფართო და მრავალმხრივი გახლდათ ილია ჭავჭავაძის ერთერთი უახლოესი თანამებრძოლის – ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის სფერო, რომელმაც მოიცვა არა მარტო მწერლობა-პუბლიცისტიკა, არამედ ეკონომიკის, საბანკო საქმის, ბუნებრივ ეროვნულ სიმდიდრეთა ათვისების და სამრეწველო გამოყენების, თვითმმართველობის, განათლებისა და სხვა სფეროები. გზა თითქმის ყველგან გაუკვალავი იყო „...ვმუშაობდი სავსებით

გაუკაფავ ნიადაგზე, – აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძე, – და არ მყოლია წინაპრები...“

წევნ არ შევუდგებით საქმიანობის უველა ფრონტზე ამ „...ულმობელი საქმის კაცის“ (არჩილ ჯორჯაძის უკავშირი გამოთქმა) შემოქმედების და ნაღვაწის განხილვას, რაც ფართოდაა ცნობილი; მხოლოდ, მოკლედ შევეხებით იმ პუბლიცისტურ წერილებს და საარქივო მასალებს, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ ამ დიდებული პიროვნების ნააზრებს და საქმიანობას წევნი ეროვნული საუნჯის – ქართული ტყის იმჟამინდელი მდგომარეობის და მისი რესურსების უკეთ გამოყენების შესახებ.

ამ მიმართულებით გამოირჩევა გაზ. „ობზორში“ ნ. ნიკოლაძის მიერ, 1875-1880 წლებში, გამოქვეყნებული წერილები: 1. „ჩვენი სატყეო მეურნეობა“; 2. „აჯამეთის ტყე“; 3. „აჯამეთის საკითხი“ (წერილებს ვაქვეყნებთ სრულად).

#### **1. ჩვენი სატყეო მეურნეობა**

იყო დრო, როდესაც ამიერკავკასია მდიდარი იყო თითქმის გაუვალი ტყეებით, სადაც მოიპოვებოდა სამშენებლო და სადურგლო ხე-ტყის ძვირფასი ჯიშე-

ბი. ეს ყველას ახსოვს. ოციოდე წლის წინათ თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია დაფარული იყო ასეთი ტყეებით. იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში საუკეთესო ჯიშები – კაპალი, პალმა, ფიჭვი, მუხა, ჭადარი და სხვ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არც კი იცოდნენ, რომ ამ გავრცელებულ გარეულ მცენარეებს რაიმე ფასი ქონდათ, მაშინ ისინი მუქთათაც არავის მიქონდა.

მაგრამ შემდგომ მდომარეობა შეიცვალა. გამოჩნდნენ უცხოელები – ბერძნები, ფრანგები, ინგლისელები, ებრაელები და სხვ. და დაიწყეს ხე-ტყის მუქთად შეძენა და გემბით საზღვარგარეთ გაგზავნა. თხუთმეტი წლის განმავლობაში ქუთაისის გუბერნია უცხო სანახავს წარმოადგენდა – აუარება ადამიანი გაცხარებით ჭრიდა ძეირფას მცენარეებს და მიათრევდა მათ რიონისაკენ, ფოთიდან ინგლისსა და მარსელში გასაგზავნად. გარდა ქუთაისელი ვაჭრებისა, არავინ არ მიაქცია უერადღება ამ გამანადგურებელ საქმიანობას. ყველას ეგონა, რომ ეს ჩვეულებრივი საქმეა, რომ ესეც უნდა იყოს, რომ ეს მოწმობს ვაჭრობის განვითარებას და სხვ. პალმების მდიდარი ტყეების (კ.ი. ბზის ტევრები) მეპატრონენი სამეგრელოში, იმერეთში, რაჭაში კი თავს უბედნიერეს ადამიანებად თვლიდნენ, რადგან წელიწადში ხუთ-ექვს ათას მანეთს იღებდნენ. შემსყიდველი, გადამზიდავნი და ადვოკატები ქმაყოფილებით ისრესდნენ ხელებს, ხოლო სოფლის მეურნეობის საზოგადოება გიშრის ნაწარმს უჩვენებდა ვენისა და პარიზის გამოფენებზე. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა.

მაგრამ უეცრად – მიმდინარე 1875 წ. ზაფხულში – გამოირკვა, რომ კაპლის მორების შოვნა თითქმის შეუძლებელია, ხოლო ბზის კვალიც კი გაქრა. ბზას ასი ფუთობითაც კი ვედარ იშოვი ვერც

გურიაში, ვერც იმერეთში, ვერც რაჭაში და ვერც სამეგრელოში. უცხოელებმა, რომლებიც თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩვენი სტუმრები იყვნენ, ორიდ თვის წინათ გადაინაცვლეს უკანვე, სპარსეთში, რეშტის მიდამოებში, მაგრამ ხელცარიელნი დაბრუნდნენ უკან, რადგან იქაური ბზა როკიანი და უსწორმასწორო აღმოჩნდა. საით წარმართავს თავის მტაცებლურ მადას ეს ოთხფეხა კალია, არავინ უწყის, მაგრამ ჩვენთვის ეს არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს.

ახლა გავარკვიოთ ჩვენი მდგომარეობის სიმწარის გასადიდებლად ის, თუ რამდენს იღებდნენ ტყეების მეპატრონები, შემსყიდველი, გადამყიდველი და უცხოელი ვაჭრები, რომლებმაც ერთობლივად გაანადგურეს ამიერკავკასიის სახალხო სიმდიდრის ეს დარგი და მოვიცონოთ, სამარადისო სექნების ნიშნად, როგორი იყო ეს სიმდიდრე.

ევროპულ ვაჭრობაში ცნობილია ოთხი ჯიშის ბზა (Bois de buis): 1. ფრანგული, ანუ მთის პალმა; 2. ესპანური; 3. პოლანდიური და 4. აღმოსავლური, ანუ კავკასიური. ამ ჯიშებიდან ყველაზე მაღლა დგას პოლანდიური, მაგრამ იგი უკვე იშვიათობას წარმოადგენს და ძლიერ ძვირფასები ქანდაკებების შესაქმნელად, თითქმის ისე, როგორც სპილოს ძვალს. მარცვლების სიმკვრივით (grain) სიმაგრით, ბოჭკოს სისწორით, ფერით, ერთი სიტყვით, ყველა პალმის ყველა თვისების მიხედვით, პოლანდიურის შემდეგ, ყველაზე მაღლა დგას ჩვენი, კავკასიური პალმა. ფრანგული ბზა მასზე უფრო ნაკლებად ფასობს. ესპანური ბზა კი, იმდენად უფერული და რბილია, რომ მას იყენებენ ფლეიტების, როიალის ნაწილებისა და სხვა ამგვარის დასამზადებლად. ყველაზე დაბალი ხარისხის პალმები უკანასკნელ წლებში (ი. გოლომენის „*Dictionnaire de Commerce*“, გ. 1,

გვ. 330) ბიოუმად ფასობდა – კილოგრამი  
– 2,44 გირვანქა – 60 სანტიმიდან 1 ფრან-  
კამდე. ერთი ფუთი ჩვენი პალმა ახლა  
საფრანგეთში და ინგლისში იყიდება 4-  
7 მანეთად. ჩვენში კი უცხოელები ფოთ-  
ში ჩაზიდულ ბზას ყიდულობდნენ ფუთს  
50 კაპიკად. ყველაზე დიდი ფასი, რო-  
მელსაც ისინი იხდიდნენ ერთ ფუთ  
საუკეთესო ხარისხის ბზაში, არასოდეს  
არ აღემატებოდა 1 მ. 20 კ. და 1 მ. და 50  
კ. ამ ფასში შედის ყველაფერი, რაც უნდა  
მიეღოთ ტყის მეპატრონებს, მუშას, გადამ-  
ზიდველს და ყველა დაინტერესებულ  
პირს. ხოლო ფოთიდან მარსელამდე, ან  
ლონდონამდე, პალმის ჩაზიდვა თითქმის  
მუქთი იყო, რადგანაც იგი ბალასტად  
მიქონდათ გემებს, რომლებსაც ფოთში  
მოქონდათ საქონელი და სხვა ტვირთი.  
ყოველ შემთხვევაში, მარსელიდან ფო-  
თამდე ერთი ფუთი ტვირთის გადაზიდ-  
ვაში ჩქარი ხომალდები იღებდნენ 1 მან  
და 1 მ და 50 კ. ვერცხლით.

მაშასადამე, შეიძლება წარმოვიდგინოთ რამდენი მოიგო ჩვენმა ქვეყანამდა რამდენი ჩაიჯიბეს მისმა ექსპლოატაციონურებმა.

ყველაფერ ამას ჩვენ იმისთვის კი არ  
ვწერთ, რომ ვინძეს ვუსაყვადუროთ, რაც  
მოხდა, იმას უკვე ვერ დაიბრუნებ და  
საჭიროა ორმოცდათი წელი ტყის  
მეურნეობის რაციონალურად წარმოე-  
ბისა, რათა გამოვასწოროთ ის ზიანი, რაც  
თხუთმეტი წლის განმავლობაში ტყეების  
უაზრო განადგურებამ მოგვაყენა. ჩვენ  
გვინდა მივაქციოთ, როგორც ტყეების  
მეპატრონეთა, ასევე სოფლის მეურნეო-  
ბის საზოგადოების, დაბოლოს, უმაღლესი  
მთავრობის ყურადღება იმას, რომ ჯერ  
კიდევ სადაც შესაძლებელია, თავიდან  
ავიცილოთ ჩვენი მხარის სახალხო სიმ-  
დიდორის ასეთი ფლანგება.

ახლო მომავალში დაიწყება ჩვენი ქვეყნიდან მუხისა და ფიჭვის გაზიდვა. მართალია, ეს გაზიდვა ნებოციანტერესს

მაინცდამაინც დიდ მოგებას არ მისცემს,  
მაგრამ გაზიდვის ოდენობა, რაც გაცი-  
ლებით უფრო დიდი იქნება, ვიდრე ძირ-  
ფასი ჯიშებისა, ერთგვარად აუნაზღაუ-  
რებოთ მათ ამ დანაკლისს. ნუ თუ მუხაც  
ისე უნდა გაქრეს ჩვენს ქვეყანაში,  
როგორც გაქრა კაკალი და ბზა? ნუ თუ  
არ შეუძლიათ ბატონ სწავლულ მეტყე-  
ვებს უფრო რაციონალურად დაყენონ  
ჩვენი სატყეო მეურნეობის საქმე, დაყონ  
ყოველი ტყე გარკვეული რაოდენობის  
უძნებად, ანუ აგარაკებად, და წელიწადში  
მოჭრან ხეები მხოლოდ ერთ უბანში?  
ვფიქრობთ, რომ ევროპული მეცნიერების  
ამ დებულებათა გამოსაყენებლად სრუ-  
ლიად არ არის საჭირო ახალი გამოკვ-  
ლევები და ევროპელ მეცნიერთა შრო-  
მის გაკონტროლება.

ამის გარდა, ჩვენს ქვეყანაში არის კი-  
დევ ერთი კუთხე, სადაც დიდი რაოდე-  
ნობით მოიპოვება ბზის ტყეები. ეს კუთ-  
ხეა აფხაზეთი და შავიზღვისპირეთი. სა-  
აღილმამულო ურთიერთობათა გამო-  
ურკვევლობამ და ხაზინისა და აღი-  
ლობრივ მცხოვრებთა უფლებების განუ-  
საზღვრელობამ განადგურებას გადაარ-  
ჩინა ამ მსარის მდიდარი ტყეები. ახლა  
ეს ტყეები ხაზინამ ჩაიბარა და სახელმ-  
წიფოს საკუთრებას წარმოადგენენ. ჩვენ  
ვიმედოვნებთ, რომ ეს საკუთრება მაინც  
გადაურჩება ჩამოსულ და აღილობრივ  
ტყის გამანადგურებლებს.

ჩვენ ცნობა მივიღეთ, რომ ამჟამად  
ტყეთ გამჩანაგებლების განსაკუთრე-  
ბული კურადღება ამ ტყეებზეა მიკყრო-  
ბილი. ისინი არ კმაყოფილდებიან პალ-  
მების მოჭრის სურვილით. ეს მწარმოებ-  
ლები ცდილობენ შეისყიდონ ბზის ტყე-  
ები ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, იჯა-  
რით აიღონ, რაშიდაც მეტნაკლებად უმ-  
ცირესი ფასის გადახდას აპირებენ. მაგ-  
რამ რაც არ უნდა დიდი იყოს ფასი.  
უდავოა, რომ იგი იმ გაუსწორებელი ზი-  
ანის მეტილონები ნაწილსაც ვერ აანაზ-

დაურებს, რომელსაც განიცდის ჩვენი მხარის სატყეო მეურნეობა ძვირფასი ჯიშის ტყეების განადგურების გამო.

ჩვენი მხარის ყველა ოლქიდან მხოლოდ ერთი აფხაზეთია დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში სოციალური ეკონომიკის თვალსაზრისით: ტყეების, მინდვრების, და სხვ. უდიდესი ნაწილი იქ შეადგენს არა კერძო პირების, არამედ ხაზინის, ე.ო. სახელმწიფოს საკუთრებას. ასეთ მდგომარეობაში უფრო აღვილია მხარის სატყეო მეურნეობის არსებითი ინტერესების დაცვა, ვიდრე შეიძლებოდა იმერეთსა და სამეგრელოში, სადაც მიწის თითქმის მთელი ფართობი კერძო მსხვილ მესაკუთრეთა ხელშია. ამიტომ, ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ხაზინა აფხაზეთში თავისი სამეურნეო ინტერესების დაცვით გონივრულ მაგალითს მისცემს ჩვენი მხარის ყველა ოლქის ტყეების კერძო მესაკუთრეთ.

## 2. აჯამეთის ტყე

თბილისი, 16 თებერვალი, 1880 წ.

ქუთაისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რკინიგზის გასწვრივ, ვეებერთელი აჯამეთის ტყეს ვრცელი ფართობი უჭირავს; იგი ყოველი მხრიდან შემორტყმულია მჭიდროდ დასახლებული სოფლებით, რომელთა მცხოვრებლები ოდიოთგანვე ცხოვრობენ მარტოოდენ ამ ტყის პროდუქტებით. ქველად ეს ტყე სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ვორონცოვის დროიდან ტყის ერთი ნაწილი ფრანგ ქვეშევრდომს გამბას გამოუყვეს, რათა ამ ქუთხეში სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა ეპროპული ყაიდის მიხედვით განევითარებინა. თავისთვის ცხადია, რომ გამბას არავითარი ახალი სასოფლო-სამეურნეო წამოწყება არ დაუნერგავს. ის მხოლოდ შემოსავალს დებულობდა გარემომცველი სოფლების მცხოვრებლებისაგან და

გარდაიცვალა ამ საქმიანობაში. სიკვდილის შემდეგ ტყეს მისი მემკვიდრეები ამუშავებდნენ, სანამ საჯარო ვაჭრობით არ გაიყიდა. ტყე ცნობილმა მდიდარმა მოსკოველმა ბატ. ანანოვმა იყიდა, რომელიც დღემდე ფლობს მას და ამუშავებს.

ტყის მეორე ნაწილი, რომელიც სახაზინო საკუთრებად დარჩა, მთავრობამ საკუთრებაში გადასცა თავად დ.ი. სვიატოპოლკ-მირსკის, რომელიც ამ დროს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იყო...

ახლა, სავსებით სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ წასვლასთან დაკავშირებით, თავადმა დ.ი. სვიატოპოლკ-მირსკიმ გადაწყვიტა გაყიდოს თავისი ტყე და ეძებს შესაფერის მყიდველს.

რა თქმა უნდა, ჩვენს დროში, არცთუ ისე იოლია მოიძებნოს ადამიანი, რომელიც გაიღებს ნახევარ მილიონ მანეთს, – ამიტომ სენებული თავადის ტყე ჯერ კიდევ არ გაყიდულა და არც არავითარი საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ მალე გაიყიდოს...

ეს მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია, და კიდეც უნდა ეცადოს, შეიძინოს ტყის ეს ნაწილი თავის საკუთრებად. ცნობილია, თუ რამდენად გართულდა აქ მოსახლეობის ცხოვრება იმის შედეგად, რომ აჯამეთის ტყე გადავიდა კერძო ადამიანების ბბ. ანანოვის, სვიატოპოლკ-მირსკის, გრუზინსკისა და სხვათა ხელში. სამშენებლო მასალების მიწოდება ქუთაისის გუბერნიისათვის არახელსაყრელია სიძვირის გამო. ერთი საუკინე შეშა წინათ ქუთაისში 3 მანეთად იყიდებოდა, ახლა კი 35 მანეთი დირს – ადგილობრივ მცხოვრებთ დიდი ხარჯების გაუდებლად არ შეუძლიათ აწარმოონ არამც თუ მშენებლობა, არამედ უბრალოდ შემოღობვა და შენობების გათბობაც კი... ასეთი მდგომარეობის სიმძიმეს ყველა გრძნობს. თავისთვის ტყე უდიდესი ღირებულებაა და მისი გონიერი ექსპლუა-

ტაციით, შეიძლება, ერთი მხრივ, დაიბრუნო მასზე დახარჯული თანხა, ხოლო, მეორე მხრივ, შეუმსუბუქო მდგომარეობა ყველას, ვისაც სჭირდება სამშენებლო მასალა და შეშა. ამიტომ ძალიან გონიერი ნაბიჯი იქნებოდა შეერთებული ძალით ტყის ყიდვა თავად მირსკისაგან.

— მაგრამ საიდან მოვიტანოთ ნახევარი მილიონი მანეთი? — შემეკითხება მკითხველი.

რასაკვირველია, ამხელა თანხას იოლად ვერ იშოვი, მაგრამ თუ ოდნავ დაფიქრდებით, მისი გამონახვა არც ისე ძნელი უნდა იყოს.

ჩვენი სამიწათმოქმედო ბანკების სათავეში მდგომი ადამიანები, თუ ნამდვილად ახსოვთ მათი დაწესებულების აზრი და დანიშნულება და სერიოზულად მიიღებიან მისი განხორციელებისაკენ, ადვილად მოიფიქრებენ, რომ თავად დ.ი. სვატოპოლკ-მირსკის ტყის შესასყიდად ნადდი ფული საჭირო იქნება არა უმეტეს 150-200 ათასი მანეთისა; დანარჩენი თანხის მოპოვება შეიძლება ტყის დაგირავებით სამიწათმოქმედო ბანკში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიური შემოსავალი საკმარისი იქნება არა მარტო ხარჯების, არამედ ბანკის პროცენტების დასაფარავადაც... რაც შეეხება 200 ათას მანეთ ნარდ ფულს, მისი დაგროვება მაინც და მაინც ძნელი არ უნდა იყოს — მისი მიღება შეიძლება კერძო პირთა და სოფლის საზოგადოებათა შენატანებით, რომელთაგანაც შეიძლებოდა საჭირო კომპანიის მსგავსის შექმნა.

ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელთაც კარგად იციან აჯამეთის ტყის ფასი და სარგებლიანობა, შეეძლოთ ერთმანეთში გაენაწილებინათ 200-300 მანეთიანი აქციები. და ნუთუ მოელი ქუთაისის გუბერნიაში არ მოიქმენება ათასი კაცი, რომელიც შეძლებენ 200 მანეთის დაბანდებას უმჭველად სარგებლიან

საქმეში? ჩვენ უჭვი არ გვეპარება, რომ თვითონ თავადი დ.ი. მირსკი სიამოვნებით დათანხმდებოდა ნადდი ფულის სანაცვლოდ მიედო ასეთი კომპანიის აქციების საკმაო რაოდენობა; თვით თბილისის გუბერნიაშიც მოიქმენებოდა ბევრი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდნენ ამ საქმეში. საჭიროა მხოლოდ საქმის გონივრულად დაწყება — უნდა აღიწეროს მთლიანად მამული და მისი ყველა შემოსავალი, დინჯად უნდა დაანგარიშება ბანკისა და მმართველის ხარჯებს, და ბოლოს, ეს ყველაფერი უნდა ვაჩვენოთ ხალხს და ვთხოვოთ დახმარება ამ საქმეში, რომელიც ასე სასარგებლო იქნება როგორც მოსახლეობის, ისე აუქციონერთათვის.

სამიწათმოქმედო ბანკების მმართველობა გონიათ, რომ ჩვენი გაზეთი მათდამი მტრულადაა განწყობილი. დაე, მათ ერთხელ მაინც სცადონ სათავეში ჩაუდგნენ ისეთ საქმეს, რომელიც ნამდვილად გააუმჯობესებს მასების ეკონომიკურ მდგომარეობას და შესაბამისი იქნება ჩვენი სამიწათმოქმედო ბანკების ძირითადი დანიშნულებისა — ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მაშინ ისინი თვალნათლივ დაინახვენ, რა შემართებით ამოუდგება მათ გვერდში ჩვენი გაზეთი. ისინი დარწმუნდებოდნენ, რომ მათი სახით ჩვენ ვებრძგით მხოლოდ საქმისადმი აპათიურ დამოკიდებულებას და მათს დაუძლეველ ვნებას, ყველაზე გრანდიოზული საქმეც კი დაიყვანონ გირავნობის ფურცლებზე მექანიკურ ხელოწერასა და ყოველ 20 რიცხვში მეტისმეტად დიდი ჯამაგირის აღებამდევ.

ვნახოთ, ამჯერად თუ ადმოჩნდებიან ისინი იმ მდგომარეობის სიმაღლეზე, რომელზედაც ისე აფოფხდნენ, რომ არც კი იკითხეს, რა მოვალეობას აკისრებს მათ ეს მდგომარეობა...

### **3. აჯამეთის საკითხი**

-1-

აჯამეთის საკითხის შესახებ დღეს „ტიფლისსკი ვესტნიკში“ წავიკითხეთ ახალი სტატია, რომლის გაცნობაც საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მკითხველისათვის.

აი, ეს სტატიაც:

„ობზორის“ რედაქციის მიერ შემოთავაზებული პროექტი აჯამეთის ტყის გამოსყიდვის შესახებ 200.000 მანეთიანი სააქციო კაპიტალის შედგენის გზით და თვით ტყის დაგირავება ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სამიწათმოქმედო ბანკებში პირდაპირ მიუთითებს ზემოხსენებული ბანკების მმართველობის მხრიდან მსგავსი ოპერაციებით ხელმძღვანელობის შესაძლებლობაზე.

„მაგრამ, ვფიქრობთ, „ობზორი“ ძალიან ცდება, თუ ჰგონია, რომ ჩვენი სამიწათმოქმედო ბანკების ხელმძღვანელებს ასეთი სამოქალაქო გმირობის ჩადენის უნარი აქვთ.

„ობზორის“ რედაქციამ უნდა იცოდეს, თუ რამდენად გამოსადევნი არიან მსგავსი წამოწყების განსახორციელებლად მის მიერ ჩამოთვლილი პირები. პირველი სიტყვა, რომელიც უნდა წამოსცდენდათ ჩვენი სათავადაზნაურო ბანკების მოთავეებს – ეს არის სამიწათმოქმედო ბანკების მმართველთა არაკომპეტენტურობა, აიღონ საბანკო ოპერაციების გზით აჯამეთის ტყის გამოსყიდვის ინიციატივა. ამასთან, დარწმუნებული ვართ, სამიწათმოქმედო ბანკის თითოეულმა მმართველთაგანმა მიუთითათვისი ბანკის წესდებაზე, სადაც არ არის მუხლი, რომელიც მმართველს აკისრებდა საზოგადო მოდვაწეობას თავისი ბანკის გარეთ.

ვფიქრობთ, უნაყოფოა იმაზე მეტი მოითხოვ ადამიანებისაგან, რისი მოცვემაც შეუძლიათ მათ სინამდვილეში. საჭირო ადარც იყო აჯამეთის ტყის – ამ

ოდინდელი სახალხო ქონების – გამოსყიდვის პროექტით მიმართვა იმ ადამიანებისადმი, რომელთაც ყველაზე ნაკლებად შეეძლოთ ამ საქმეში დახმარების აღმოჩენა.

აჯამეთის ტყის მნიშვნელობა იმდენად დიდია ქვემო იმერეთის მთელი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, რომ გაიგებენ თუ არა ოკრიბის, სიმონეთის, არგვეთის, ლომსიანთხევის და საკუთრივ ქვემო იმერეთის მოსახლენი ამ ტყის ერთობლივი ძალით გამოსყიდვის შესაძლებლობის შესახებ, დაუყოვნებლივ შეკრებენ იმდენ თანხას, რამდენიც საჭირო იქნება. ამიტომ სრულიად ზედმეტია სამიწათმოქმედო ბანკების შუამავლობაცა და სააქციო კაპიტალის კანონიერი გზით შექმნაც.

ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ქუთაისის გუბერნიის ადგილობრივ ინტელიგენციაში მოიქცებიან ადამიანები, რომელთაც ეყოფათ იმდენი მოქალაქეობრივი მამაცობა, რომ შეასრულონ ეს ნაქები წამოწყება: ოდონდ კი ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს.“

„ტიფლისსკი ვესტნიკი“ ჩვენ ტყუილუბრალოდ მიგვათვლის სამიწათმოქმედო ბანკების მეთაურთა მომხრეებს. ყველა, ყველა, მაგრამ, ვუუქრობთ, შეუძლებელია ჩვენი გაზეთი დაადანაშაულო ბ.ბ. ჭავჭავაძისა და ლოდობერიძის მომართ გამოჩენილ ნაზ გრძნობებში. ჩვენს სტატიაში მეტისმეტად მკაფიოდაც კი იყო ეჭვი გამოთქმული, რომ ეს ბატონები ვერ აღმოჩნდებოდნენ თავიანთი მდგომარეობის სიმაღლეზე. ჩვენ დავსახეთ ამოცანა და მივუთითეთ, რომ მისი შესრულება თავს უნდა ედოთ ჩვენი სამიწათმოქმედო ბანკების მოთავეებს, მაგრამ იქვე დავუმატეთ, რომ ისინი, ამას, ალბათ, არ გააქეთებდნენ.

რადგან დასმულია საკითხი, ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმებით „ტიფლისსკი ვესტნიკ“, რომ ადამიანებს, რომელ

თაც გამოეპარათ ასეთი პირველხარის-ხოვანი მნიშვნელობის საქმე, მისი არც ხელში აღება შეუძლიათ და არც აღგო-ლობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ აღსრულება.

ულაპარაკოდ ვეთანხმებით რა ამაში „ტიფლის კი ვესტნიკს“, მთელი არსებით ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლია დავეთან-ხმოთ ციტირებული სტატიის დასკვნით სტრიქონებს. ეჭვი არ გვეპარება, რომ „ქუთაისის გუბერნიის ადგილობრივ ინ-ტელიგენციაში“ მართლაც არიან ადა-მიანები, რომელთაც უყვართ თავიანთი ხალხი და უსურვებენ მათ ყოველნაირ სიკეთეს, მაგრამ დიდი ხანია დავიდალეთ იმ ჰეშმარიტების გამეორებით, რომ მხოლოდ პლატონური სიყვარული და უნაყოფო „კეთილდღეობის მოსურნეობა“ არავის აძლევს უფლებას, იწოდებოდეს „ინტელიგენციად“.

ჩვენს უბედურ ქვეყანაში ისეთი ეგო-ისტები, როგორებიც არიან ბანკის მმართველები, სერიოზულ საზოგადოებრივ როლს ასრულებენ, მიუხედავად იმისა, რომ სავსებით უუნარონი არიან და თი-თის განძრევაც კი არ უნდათ საერთო საქმის სასარგებლოდ; ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდა ადამიანები, რომელთაც ჯერ არ შეჰქრიათ ეგოიზმის სენი, გულხელდაკრეფილები სხედან და თავს არიდებენ თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს. მათ არ სურთ წვრილმან საქმეებში ჩარევა და ელოდებიან იმ დროს, როცა შესაძლებელი იქნება „სარგებლობის ერთბაშად მოტანა“. ამა-სობაში კი ადგილობრივი საზოგადოება, ხედავს რა ეგოისტების ხარბ საქმიანობას საპირისპიროდ ნამდვილ ხალხის-მოყვარეთა უმოქმედობისა, იმულებულია პირველნი აირჩიოს ყველა საზოგადო-ებრივ თანამდებობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ „ცოტა რადაცას მაინც გააკეთებენ“.

ჩვენს ადგილობრივ ცხოვრებაში მოე-ლი სიმპათიები, რა თქმა უნდა, მიმარ-

თულია ჩვენი „ინტელიგენციისადმი“, რომელთა შორის ცოტა როდია ჩვენი საუკეთესო პირადი მეგობარი. მაგრამ ეს მდგომარეობა სრულიადაც არ გვიშლის ხელს გავუმეოროთ მათ: „დროა, დიდი ხანი დროა, მუყაითად ხელი მოჰკიდოთ მიმდინარე საკითხებსა და ჩვენი ცხოვრების ამოცანებს; დროა ამ ამოცანების საფუძვლიანი გადაწყვეტით დაიკავოთ ხალხში ინტელიგენციის დირსი მდგომარეობა, დაიმსახუროთ ხალხის ნდობა და მათი საქმე და ბედი ხელიდან გამოსტაცოთ ეგოისტებს, რომელნიც შენიდულნი არიან გესლიანი ფრაზებითა და ხელხის მოყვარის მანტიით მხოლოდ იმისთვის, რომ შესაძლებლობა პქონდეთ იზრუნონ ნათესავებზე და ჩაეფლონ ნეტარებასა და განცხოვანია!

დაე, ინტელიგენციამ მოჰკიდოს ბოლოს და ბოლოს ხელი საქმეს და ჩვენ მთელი არსებით მივესალმებით და მხარს დავუჭერთ მის პირველ პრაქ-ტიკულ ნაბიჯებს. მაგრამ, ვიმედოვნებთ, არავინ გვისაყველურებს ჩვენი პირველი განცხადებისათვის – ვინც კი ხელს მოჰკიდებს ისეთი საერთო სასარგებლო წამოწყების რეალიზაციას, როგორიცაა აჯამეთის ტყის გამოსყიდვა, ჩვენი გაზეთი მხარს დაუჭერს მას მთელი თავისი ძალებით, თუნდაც ეს იყოს თვით ნ. ბ. დოლობერიძე. არის ისეთის საქმეები და ამოცანები, რომელთათვისაც სირცხვილი არაა ხელი გაუწოდო გამოუსწორებელ ეგოისტსაც კი.“

„ქართული გაზეთი „დროება“ თავის როლს ერთგულად ასრულებს – კუდში მისდიოს ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებას და მცდარად იაზროვნოს. მას დღის წესრიგში უნდა დაესვა საჭიროროგო საკითხი – აჯამეთის ტყის გა-მოსყიდვა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, – მაგრამ, რადგანაც ეს საკითხი ადგილობრივმა პრესამ უკვე დააყენა, „დროებას“ ხელი უნდა შეეწყო ამ სა-

კითის დამაკმაყოფილებლად გადაჭრისათვის და არ უნდა წამოეყენებინა ისეთი ფანტასტიკური წინადადება, რომლის განუხორციელებლობა ყრმათათვისაც კი ნათელია. ის, რა თქმა უნდა, შეჩრდა ამ უკანასკნელზე...

„დროებამ“, როგორც იქნა, ხმა ამოიღო ამ საკითხზე და აღიარა მისი სერიოზული მნიშვნელობა; შემდეგ კი შეაჯამარა ძლიერდივობით „ობზორისა“ და „ტიფლისეკი ვესტნიკის“ აზრები, საკითხის გადაწყვეტა მოინდომა საკუთარი ჭკუით, რომლის ძალაც ყველასთვის საკმაოდ ნათელია. აი, მისი დასკვნაც:

„ჩვენის აზრით ერთიცა და მეორეც შემცდარნი არიან. აქციონერული კომპანიის შედგენა მნელია და არც მოეთხოვება ეს ჩვენ საადგილმამულო ბანკების გამგეობათ; ამათ ისიც ვაკმაროთ, იმის-თვისაც დიდი მადლობა შევსწიროთ, თუ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა კარგად შეასრულებს. ამას გარდა, ჩვენში ადვილია განა სააქციო მამულის მართვა და გაძლოლა?

„რაიცა შეეხება „ოფილისის მოამბის“ აზრს, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ მართლა ეს მამული ოვითონ ხალხს შეესყიდა. მაგრამ ვინ მისცა ახლა ჩვენ სოფლის ხალხს იმდენი საშუალება, რომ ნახევარი მილიონი ფული ამოიღოს ჯიბიდამ და ტყის პატრონს ჩააბაროს?

ამიტომაც, ჩვენის აზრით, ყველაზე უკეთესი ის იქნება, რომ რამდენიც შეუძლიან ხალხმა გამოიღოს და რაც დააკლდება, ხაზინამ მოუმართოს ხელი. ჩვენ გვგონია, რომ თუ აჯამეთის ისტორიას მოვიგონებოთ მთავრობას მოვალეობაცა აქვს, რომ გაუადვილოს ხალხს ხელახლად დაბრუნება იმ ქონებისა, რომელიც აღრე თითქმის იმის საკუთრებას შეადგენდა.

როგორ, რა პირობით დაეხმარება ხაზინა ხალხს „გამოსყიდვის მოწყობის“ საშუალებით, ნაღდი ფულის სესხებით,

თუ სხვა რამ ღონისძიებებით – ამის განხილვაში ჩვენ ახლა ვერ შევალოთ. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ მთავრობას შეუძლიან და ის უნდა დაეხმაროს ხალხს, რომ ამას მოითხოვს თვითონ იმისა და ხალხის პირდაპირი ინტერესიც.

ყველაზე უფრო სანატრელი და სასურველი კი ის არის, რომ აჯამეთის ტყე ვისმე კერძო პირს ან უცხო ქვეყნის სააქციო კომპანიას არ ჩაუვარდეს ხელში“.

უპირველეს ყოვლისა, მკითხველთა უურადღება უნდა შევაჩეროთ „ობზორის“ აზრების დამახინჯებაზე. ჩვენ არც კი გვიფიქრია ვამტკიცოთ, რომ სააქციო საზოგადოების მოწყობა თავს ედო ჩვენის სამიწათმოქმედო ბანკების გამგეობას. გასაგებია, რომ მათი წესდებები, რომელთა გადაწერა ქვაკუთხედი გახდა ბ.ბ. ჭავჭავაძისა და ღოღობერიძის კვარცხლბეკისა, გამგეობებს ოდნავადაც არ აძლევს ასეთი ოპერაციების წარმოების უფლებას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობდით, რომ ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ ჩვენი სამიწათმოქმედო ბანკების თავკაცებმა, ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც საქმაო თავისუფალი დრო და ავტორიტეტი აქვთ ახალი, განსაკუთრებული სააქციო საზოგადოების შესაქმნელად. ისინი ისე ბევრს ყოფილდენენ წესდებების „შემუშავების“ და „ბანკების“ შექმნის ხელოვნებით, რომ „როგორც ჩანს, მათვის ძნელი არ უნდა იყოს ორგანიზაცია გაუკეთონ ხალხისთვის ასეთ საჭირო საქმეს...“

„ტიფლისეკი ვესტნიკის“ აზრი სავსებით მართალია: აუცილებელია, რომ გამოსყიდვა ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ მოხდეს. მაგრამ „ოფლისეკი ვესტნიკი“ ვერ მოიაზრა, რომ მოსახლეობას არ შეძლია მართოს გამოსყიდული მამული და როგორც გამოსყიდვისათვის, ისე გამოსასყიდი ფულის შესაკრებადა და შემდეგ მამულის გამ-

გებლობისათვისაც, აუცილებლად საჭიროა რაიმე დაწესებულების დაარსება, რომელიც ცენტრალიზებას გაუკეთებდა ცალკეულ გლეხთა საზოგადოებების ანაბრებს. ჩვენი თანამედროვე ცხოვრების პირობებში სხვა გამოსავალი არ არის, გარდა სააქციო საზოგადოების დაარსებისა, რომელშიც გლეხთა ოჯახები და საზოგადოებანი სხვა პირებთან თანასწორად შეიქმნებოდნენ აქციონერები. რასაკვირველია, ხელს მოჰკიდებდნენ გამოსყიდვის საქმეს და სათანადო ორგანოებიც ეყოლებოდათ ამ საქმის მოსაგვარებლად. მაგრამ ერობები ჯერჯერობით არ არსებობენ; ამიტომაცაა აუცილებელი სააქციო საზოგადოების დაარსება, რომელიც ერობის დაარსების შემდეგ შეძლებს გადასცეს მაჟული ამ უკანასკნელს.

მაგრამ, სანამ გადაწყვება ჩვენი დავა – ვინ უნდა იკისროს გამოსყიდვა... თავადი მირსკი მიჰყიდის თავის ტყეს ბატ. ანანოვს ან სხვა რომელიმე კაპიტალისტს, რომელიც გამოსყიდვაზე სიტყვის გაგონებასაც ადარ ისურვებს. ქვემო იმერეთის მოსახლეობა ძველებურად ტყის მფლობელის მოხარკედ დარჩება.

გაზე „დროების“ საცოდავი წინადაღების შესახებ არც კი გვინდა ვიღა-პარაკოთ. ვინც იცის, რომ გამოსასყიდი დამოწმებანი კანონის მიხედვით განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ ნადელების გამოსაყიდად და საგარეულებისათვის, რომლებიც შესულია გლეხის ნადელში... ისეთმა პუბლიცისტებმა, როგორიცაა ი. გ. ჭავჭავაძე, რომელიც მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა და დაუსრულებლად წერდა სტატიებს გლეხთა საქმეებზე, სირცხვილია, არ იცოდეს ეს; ხოლო იცოდე და მაინც თავგზას ურევდე მკითხველს – ეს ორჯერ უფრო სირცხვილია. არანაკლებ სირცხვილია მთავრობას დააკისრო გამოსყიდვის საქმე...

ვიმეორებთ, გამოსავლის ქებნა შეიძლება, მაგრამ ცოტად თუ ბევრად საზრიანი კაცი დაგვეთანხმება, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია – სააქციო საზოგადოების დაარსება... 200.000 მანეთის კაპიტალით და მაჟულის დაგირავება სამიწამოქმედო ბანკში დანარჩენ თანხაზე. თუ თქვენ, უპირველეს ყოვლისა, გინდათ გამოსყიდვის საქმე მოაწყოთ, ძალაუნებურად უნდა შეჩერდეთ ამ ღონისძიებაზე. თუ თქვენ მაინც გინდათ აჩვენოთ, რომ შეგიძლიათ გამოსავლის მოქნა, რასაკვირველია, გამოძებნით ღონისძიებებს გამოსასყიდი დამოწმებების გამოსათხოვად. მაგრამ რა ხეირია ამაში, როცა გუბერნიის წვრილი ჩინოვნიკებიც კი პირში დაგცინებენ, როგორც კი ახსენებთ ასეთ „ღონისძიებებს“?

როგორც ირკვევა, ნიკო ნიკოლაძე შემდგომ აქტიურად ებმება საქართველოს ტყის რესურსების ათვისების სამართლებრივ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

მისი სატყეო ბიზნესინტერესების შესახებ უნიკალური მასალებია დაცული ნიკო ნიკოლაძის არქივში, რომელშიც ცალკეა გამოყოფილი სატყეო განყოფილება.

სატყეო არქივის გაყოფილება მოიცავს დროის ორ მონაკვეთს: პირველი – 1917 წლამდე პერიოდს, ხოლო მეორე – 1917-1931 წლებს. საარქივო მასალებში ფართოდაა წარმოდგენილი ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ნ. ნიკოლაძის საქმიანი მიმოწერები ამ მიმართებით, საქსპლუატაციო ტყების ტაქსაციური აღწერები, ტყის ასათვისებელი უბნების ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, შესაბამისი გამოკვლევები და სხვა.

ამ მხრივ, ჩვენი აზრით, უპირველესად, ყურადსაღებია შემდეგი დოკუმენტები:

1. გოფმეისტერ P. A.- კრატკო სტატИСТИЧЕСКОЕ описание городской лесной

- дари портового города Поти. Кутайской Губ. (1888 г.).
2. Описание лесов Сванетского лесничество и проект эксплуатации его лесных богатств.
  3. План Чубихевской лесной дари Лечхумского уезда, Кутайской Губ.
  4. Эксплуатация лесных богатств Закавказья, - Боржомское ущелье; Гагринская дача; Бзыбская дача; Низменные леса; Багдадская дача (1917 г.).
  5. Зактрегер Л; Доклад о лесах Грузии (Тифлис. 1918 г.).
  6. Contract (ხელშეკრულება საქართველოს ქალაქთა კაგშირსა და აკაკი ხოშტარიას შორის, საქართველოს ტყების ექსპლუატაციის შესახებ. თბილისი. 1919 წ. 14 ნოემბერი).
  7. "Лесные концесии Союза Городов" – Николаю Яковлевичу Николадзе (Подробное описание о лесах Эксплуатируемых союзом Городов Грузии; для дела о привлечении иностранных капитала к участию эксплуатации лесов Грузии). 1920 г.
  8. Николадзе Н. - леса Грузии (краткие сведения). 1922 г.
  9. Схематическая карта концесионных лесных массивов.
- 1 – Бзибский лесной массив;  
 2 – Кодорский лесной массив;  
 3 – Ингурский лесной массив; 1926 г
- მაგრამ, ამასთან ერთად, მიგვაჩნია, რომ არამარტო ჩვენს მიერ ზემოთ დასახვლებული საარქივო მასალები, არამედ 6. ნიკოლაძის მთელი სატყეო არქივის უკვე წყაროს გამოკვლევა-განალიზება მეტად საშური საქმეა, რაც სასიკეთოდ წაადგება მეტყევეთა დღევანდელ და მომავალ თაობებს ტყის რესურსების გამოყენების ისტორიის სწორედ გააზრებასა და სატყეო საქმის გონივრულად წარმართვაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიკო ნიკოლაძე – „ჩვენი სატყეო მეურნეობა“. თხზულებანი. გ. 4. გვ. 292-295. თბილისი. 1964.
2. ნიკო ნიკოლაძე – 1. „აჯამეთის ტყე“. 2. „აჯამეთის საკითხი“. თხზულებანი. გვ. 53-61. ქითაისი. 2003.
3. ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი, ნაწილი პირველი (1829-1917). თბილისი. 1964.
4. ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი, ნაწილი მეორე (საბუთები 1917-1931 წ. და ფოტოარქივი). თბილისი, 1964.
5. აკაკი ბაქრაძე – ნიკო ნიკოლაძე. თბილისი. 2011 (სერია – „დიდი ქართველები“)
6. ჭდ. ჭანიშვილი – ტყიბულის ქვანახშირის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები. თბილისი. 1974.

## რევაზ ობოლაძე, ნოდარ მაშანეიშვილი

**ვლადიმერ მაიაკოვსკის გამა -  
ვლადიმერ პონსტანტინეს გე  
მაიაკოვსკი**

### **ჩვილები წელი გაღდათის სატყეოში**

(ეძღვნება დიდი პოეტის – ვლადიმერ  
მაიაკოვსკის დაბადებიდან 120 წლისთავს)



ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში „მე თვითონ“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1922 წელს ბერლინში გამომავალ ჟურნალში „ნოვაია რუსსკაია კნიგა“ წერდა: „დავიბადე 7 ივლისს 1894 წელს\*. სამშობლო – სოფელი ბადდადი, ქუთაისის გუბერნია, საქართველო“. ამ მოგონებების ერთერთ თავში „რომანტიზმის ფესვები“, პოეტი განაგრძობს საუბარს ბადდათზე: „....პირველი სახლი, რომელსაც გარკვევით ვიგონებ, ორი სართული, ზედა ჩვენ გვეკუთვნოდა, ქვედა მარანი იყო. წელი წადში ერთხელ – ყურძნით სავსე ურმები. წურავდნენ. მე ვჭამდი. ისინი სვამდნენ... ზვინულებს იქით – თხრილები. თხრილებს იქით ტყეები და ტურები. ტყეებს მთები დაჟურებენ“.

შემდგომში, თავისი ხანძოელე, მაგრამ მშფოთგარე ცხოვრების მანძილზე, სადაც არ უნდა ყოფილიყო, პოეტი – ტრიბუნი, გულით და სულით, ყოველთვის მიიღებოდა საქართველოსაკენ, რათა კვლავ ეხილა მშობლიური საქართველო – თბილისი, ქუთაისი, ბადდათი. მას რომ ყოველთვის და ყველგან ეამაჟებოდა ქართველობა, ბადდადელობა, სხვა მრავალ ცხოვრებისეულ მომენტებთან ერ-

თად, ნათლად ჩანს დიდი ქართველი კინორეჟისორის – ნიკოლოზ შენგელაიას ერთ შესანიშნავ მოგონებაში, რომელიც გამოქვეყნებული გახდათ გაზეთ „იზვესტიის“ 1940 წლის 14 აპრილის ნომერში. ნ. შემგელაია წერდა: „მაიაკოვსკი მოგზაურობდა ამერიკაში. ჩიკაგოში გამართულ მის საღამოზე გამოცხადდნენ რეაქციონერები და მოაწევეს რადაც „კატების კონცერტის“ მსგავსი რამ. ვლადიმერ ვლადიმერის ძემ ქართულად ხმამაღლა შეუკურთხა მათ. ამ დროს ქანდარიდან ვიღაცამ სიხარულით ქართულად, მთალი ხმით ჩამოსძახა:

- სადაური ხარ, კაცო?!
- ბადდათელი ვარ, ბადდათელი! – ქართულად მიუგო მაიაკოვსკიმ.

პოეტი ამაყობდა მზიური საქართველოთი. 20 წლის ვალოდია უუბნებოდა თავის მეგობარ პოეტებს:

- წავიდეთ თბილისში. იგი ჩემი ქალაქია, იქ უყვართ ახალი პოეტები და სტუმრის მიღებაც რიგიანად იციან...

ბოლოს ვლადიმერ ვლადიმერის ძემ თქვა:

- თბილისში მუშაობის შემდეგ, საჯარო გამოსვლების შემდეგ წაგალ ბადდათში, მშობლიურ სოფელში“.

\* სინამდვილეში, ისტორიული წყაროებით, მისი დაბადების წელია – 1893;

**გაიაპოვსკების ოჯახი**  
(1905 წ. ქუთაისი)



გარჯვეოდან დგანან: კოეფის მამა – 1. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე  
გაიაპოვსკი (ბაღდათის გეზევე), 2. უფროსი ქალიშვილი ლუბა; კირველ  
რიგში სხვდან: 1. კოეფის დედა – ანა; 2. ქათაისის ბიბიაზინის მოსწავლე,  
მომავალი დიდი კოეფი ვლადიმერ გაიაპოვსკი;  
3. ოჯახის მეორე ქალიშვილი – ოდია

მეტად საინტერესო და შთამბეჭდავია ცნობები მაიაკოვსკების ოჯახის ბაღ-დადში დამკვიდრების შესახებ.

პოეტი ასე გადმოგვცემს ლექსად თა-  
ვის გვარტომობაზე:

„ერთი ბაბუა  
მყავს კაზაკი,  
ერთიც –  
სეჩელი  
დაბადებით კი  
მე  
ქართველი ვარ“.

ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა – ალექ-  
სანდრა ალექსის-ასული მაიაკოვსკაია,  
– თავის მოგონებებში „ვლადიმერ მაია-  
კოვსკის ბაგშვილა და სიჭაბუკე“\* წერს  
.... აქ ჩვენ (იგულისხმება სოფ. ბაღდადი)  
1889 წლის ოქტომბერში ჩამოვედით სომ-  
ხეთიდან, სადაც სოფელ კარაკლისეში  
ვცხოვრობდით, შემდეგ კი – სოფელ ნი-  
კიტენებაში, ალექსანდროპოლის სატყეო-  
ში (ყოფილი ერევნის გუბერნია). ჩემი  
ქმარი, ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე, მეტ-  
ევე იყო.“

აქედან ირკვევა, რომ პოეტის მამა ქუ-  
თაისის გუბერნიაში გადმოუყვანიათ  
ბაღდათის სატყეოს უფროსად (მეტყველ,  
ე.წ. „ლესნიჩაედ“), რის გამოც ის 1889  
წელს, მთელი თავისი ოჯახით, საქარ-  
თველოში ჩამოსულა და ბაღდათის სატ-  
ყეოში დაბინავებულა. პოეტის ბაბუა, –  
აზნაური კონსტანტინე კონსტანტინეს-  
ძე მაიაკოვსკი, ეროვნებით რუსი იყო  
და წარმოშობით მომდინარეობდა ზაპო-  
როჟიელთა სეჩის კაზაკებიდან. მას მდი-  
ვნად უმსახურია, ერთ დროს, ახალციხის  
საქალაქო სამართველოში. მისი მეუღ-  
ლე, ეფროსინე ოსიპის ასული დანი-  
ლევსკაია, ცნობილი რუსი მწერლის –  
გრიგოლ დანილევსკის დეიდაშვილი  
გახდათ.

ახალციხეში, 1857 წლის 7 ივლისს,  
მათ შეეძინათ ვაჟიშვილი, მომავალი პო-  
ეტის მამა, რომელსაც სახელად ვლადი-  
მერი დაარქვეს.

1869 წელს ვლადიმერ კონსტანტინეს  
ძე მიაბარეს ქუთაისის გიმნაზიაში. აქვე  
უსწავლია მის უფროს მმასაც – მიხეილ  
კონსტანტინეს ძეს. ოჯახს ორი ვაჟი-  
შვილის სწავლის საფასურის გადახდა  
გაძნელებია და მიუმართავს გიმნაზიის  
პედაგოგიური საბჭოსათვის, სასწავლო  
გადასახადებისაგან მათი ოჯახის განთა-  
ვისუფლების შესახებ. როგორც ირკვევა,  
ეს თხოვნა არ დაქმაყოფილდა, რის  
გამოც ვლადიმერ კონსტანტინეს ძემ გიმ-  
ნაზიაში სწავლა მიატოვა, უსახსრობის  
გამო მან ვერ მოახერხა თბილისის რეა-  
ლური სასწავლებლის დამთავრებაც, რის  
შემდეგ სატყეო მეურნეობის დარგში  
მოიკიდა ფეხი და თავისი სიცოცხლის  
ტრადიკულ დასასრულადე კეთილსინ-  
დისიერად ემსახურა ტყეების დაცვის  
და მოვლის კეთილშობილურ საქმეს.

პოეტის დედის გადმოცემით, ბაღდათი  
იმ დროისთვის მიყრუებულ სოფელს  
წარმოადგენდა. არც სკოლა იყო, არც  
მასწავლებელი და არც ექიმი. ქუთაისსა  
და ბაღდათს შორის დადიოდა დილი-  
ქანსი, თორმეტადგილიანი ეკიპაჟი, რო-  
მელშიც ოთხი ცხენი იყო შებმული.

მაიაკოვსკები სამაგიეროდ მოაჯადო-  
ვა ბუნების განუმეორებელმა სილამაზებმ.  
მაღალი მთები გადმოჰყურებდნენ ბაღ-  
დათს, რომლის დაბლობი და მთისწი-  
ნეთი დაფარული იყო ლაღად გაშლილი  
ბაღ-ვენახებით, ფერდობები – დაბურუ-  
ლი ტყეებით. ზაფხულის მთვარიანმა და-  
მებმა ხომ მთლად მოაჯადოვა ახლად-  
მოვლენილი სატყეოს თავკაცი. .... რა  
მშვენიერი ჰაერია, რა დიდებული დამე!  
იყო ერთი დამე – გოგოლოს, მეორე –

\*ა. მაიაკოვსკაია – „ვლადიმერ მაიაკოვსკის ბაგშვილა და სიჭაბუკე“, დედის მოგონებებიდან.  
თბილისი. 1961.

პუშკინის, ეს კი მესამეა – ბადდადის დამე.“

ბადდათის სატყეოს ახალმა უფროსმა საკანცელარიო და საცხოვრებელი ბინა დაიქირავა ვინმე კუჭუბიძისაგან. „იგი სამი ოთახისაგან შედგებოდა, – იგონებს პოეტის და – ლუდმილა მაიაკოვსკაია. ერთერთი მათგანი წარმოადგენდა მეტყველის კანცელარიას, მეორე საბავშვოს, მესამე, ყველზე დიდი ოთახი, გაყოფილი იყო კაცის სიმაღლის ოდენია ფარდით, კარის მაგიერ – ფარდაგი ეკიდა. მოწყობილობა ძალზე პრიმიტიული იყო: უბრალო რკინის საწოლები, ტახტები, კავკასიური წესის მიხედვით – ფარდაგგადაფარებული – ტახტებზე მუთაქები, ბალიშები, არაფითარი მორთულობა“.

სახლი ტყითდაფარულ მთის ფერდობზე იყო მიშენებული. სამი ოთახის გარდა, სახლს ჰქონდა დიდი და ფართოდ გაშლილი აივანი, საიდანაც კარგად იხსნებოდა მთის სწრაფი მდინარის – ხანისწყალის ხეობა. მის მოპირდაპირე ნაპირზე კი მთები აწვდილან, რომლის შესახებ მაიაკოვსკი წერდა: „ტჟებს მთები დაჰყურებენ. წამოვიზარდე, ავრბოდი ყველაზე მაღალზე“.

ბადდათის ეწ. ახალ „ლესნიჩს“ – (სატყეოს უფროსს), საკმაოდ რთული უბანი გადმოეცა სამართავად. სატყეოს მთლიანი ფართობი 65 ათას დესეტინას აღემატებოდა. ტყის მასივები განვრციბილი იყო მთიან ფერდობებზე, მდინარე წაბლარისხევის და ხანისწყლის ხეობებში. მაშინ ეს ტყები გამოკვლეული იყო მხოლოდ ფრაგმენტულად\*, თუმცა ბადდათის ტყების მდიდარი მასივებით (ნაძვის, სოჭის, წაბლის მერქნის დამზადების მიზნით) ტყის მრეწველები ადრიდანვე იყვნენ დაინტერესებიელნი. საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ ტყის ათვისებისათვის საჭირო ხდებოდა მნიშ-

ვნელოვანი ხარჯების გაღება წაბლარისევში 15 ვერსამდე რკინიგზის გაყვანისა და შემდგომ კიდევ 18 ვერსისა (ვაკეზე) თბილისი-ფოთის მთავარ მაგისტრალზე მიერთებისათის. ამას ემეტებოდა ხარჯები სახერხი ქარხნის მშენებლობაზე და დანადგარებით აღჭურვაზე, მორსაშვებების მოწყობაზე და სხვა. ამ ფაქტორებმა, გარკვეულად, გადასწიეს დროში ბადდადის ტყების სამრეწველო ათვისების საქმიანობა, მაგრამ დიდი იყო მოთხოვნილება საშემჟე ხეტყეზე სოფლის მცხოვრებთა მხრიდან.

სატყეოში შედიოდა სამი აგარაკი, რომელთაც თვრამეტი ტყის მცველი ემსახურებოდა. საინტერესოა, პოეტის დედის მონათხოვბი სატყეოს კოლექტივის საქმიანობის და ურთიერთობადგომის შესახებ. მათთან ერთად ბადდათში ჩამოსულა დაღესტნებით ლეკი ირმიზრაიმ-ოდლი, რომელიც ახალ სატყეოს უფროსს თავისთან ტყის მცველად მოუწყია. იმრიზი ძალზე კეთილი და თავდადებული ადამიანი გამომდგარა. ყოფილა ასეთი ეპიზოდი: ბავშვებს – ოლიასა და კოსტიას ქუნთრუშა შეჰყრიათ. აუცილებელი გამხდარა სასწრაფოდ ქუთაისიდან ექიმის ჩამოყვანა. არ იყო ტრანსპორტი. ერთი დილიჟანსი მოძრაობდა ქუთაისამდე, რომელიც დილით გადიოდა და საღამოს ჩამორახებდებოდა. ბავშვები კი შედამებისას ძალზე ცუდად გამხდარან და მეორე დღემდე დაცდა არაფრით არ შეიძლებოდა. იმრიზს ფეხით გაუვლია თორმეტი კილომეტრი სადგურ რიონამდე, რიონიდან მატარებლით ჩასულა ქუთაისში და დილაადრიან ექიმი ეტლით ჩამოუყვანია.

საერთოდ, ტყის მცველები ახლო მუგბრულ ურთიერთობაში იყვნენ სატყეოს უფროსის ოჯახთან. „ბადდათის სატყეოს საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა,

\* ბადდათის ტყები პირველად 1912 წელს მოეწყო

– მოგვითხრობს ანა ალექსის ასული, – საითაც გაიხედავდით, აღმართული იყო სხვადასხვა ჯიშის ხშირი ტყით დაფარული მაღალი მთები. ტყეში ბლომად იყო ნადირი: ირემი, ჯეირანი, გარეული დორი, მელა, კურდლელი, ციკვი და მრავალი ფრინველი. ზოგჯერ ტყის მცველებს ბავშვებისათვის პატარა მხეცები და ფრინველები მოჰყავდათ. ვალოდიას ცხოველები ძალიან უყვარდა. ცხოველებისადმი სიყვარული მან მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა... ბავშვებს საღამოობით მამასთან ერთად აიგნის საფეხურებზე ჯდომა და სიმღერა უყვარდათ. ხელიხეგდახვეულნი ხმაშეწყობილად მდეროდნენ რუსულ ხალხურ სიმღერებს: „წითლად შეღება განთიადმა აღმოსავლეთი“, „ძალდონეს იკრებს ბრძენი ოლეგი“, „ოკეანის ლურჯ ტალღებზე“, „არის ვოლგაზე კლდე“, ... უკრაინულ სიმღერას „ბალა მუტკ, გამოდი ქოხიდან“, ქართულ „სულიკოს“ და სხვა სიმღერებს, რომლებიც კი ბავშვებმა იცოდნენ“. ბავშვები დაუმეგობრნენ ქართველ პატარებს, მათგან სწავლობდნენ – ქართულ ენას.

სატყეოს უფროსს ძალზე დაძაბული სამუშაო დღე პქონდა. ის მუშაობას დილის ექვს საათზე იწყებდა და დამის თორმეტ საათზე ამთავრებდა... ჩვეულებრივ, სატყეოში ბევრი საქმე იყო გასაკეთებელი. გლეხები დილადრიან მოდიოდნენ, რომ ნებართვა მიეღოთ ხეების მოსაჭრელად. დიდი ეზო ხალხით ივსებოდა. თავიანთი უბნებიდან მოდიოდნენ ტყისმცველები, სახლის ახლოს, ხარებშებმული ორთვლიანი ურმები ჩამწკრივდებოდნენ.

ვლადიმერ კონსტანტინეს ძეს – ხშირად უხდებოდა ტყეში სიარული: ხანძარი გაჩნდებოდა თუ ტყეს ქერქიჭამია მაგნებელი შეესეოდა – მას უნდა მიედო საჭირო ზომები. აქვე აგროვებდნენ სო-

ჭის და ნაძვის გირჩებს რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში გასაგზავნად. ყოველ ზაფხულს, არდადაგებზე, მთელი ოჯახი დასასვენებლად მიემგზავრებოდა ე.წ. შიგა სატყეოში – ზეკარის მინერალურ წყლებზე (ამჟამად სახელგანთქმული და კეთილმოწყობილი კურორტი „საირმე“). მაშინ სასტუმროს მაგივრობას იქ, ვიწრო ხეიობაში, აშენებული ხის სახლები ასრულებდნენ. მასში ბაღდათის მეტყველის ოჯახისათვის ორი დიდი ოთახი იყო განკუთვნილი. დილის საუზის შემდეგ მთელი შემადგენლობით ადიოდნენ ცვრიანი ბალახით დაფარულ მთაზე. სეირნობის შემდეგ, იქვე ტყეში, მწვანეზე იშლებოდა ტრადიციული მეტყველერი სუფრა, რომელზეც უხვად ეწყო მჭადი, ქართული ყველი, კვერცხები, ცივად მოხარული ვარიები და სხვა. უკან დაბრუნებისას გზას ჩირაღდნებით ინათებდნენ. სიბნელესა და სიჩუმეში სიმღერასაც წამოიწყებდნენ ხოლმე და ტყეც გამოძახილით ეხმაურებოდა.

მომავალი პოეტი შვიდი წლისაც არ იყო, რომ ტყის მცველების დახმარებით ცხენზე ჯდომაც ისწავლა. დედამისს ძალზე ეშინოდა, რაღგან ცუდი გზები იყო, მაგრამ ტყის მცველები ამშვიდებდნენ.

– დარდი ნუ გაქვთ, თვალს არ მოვაშორებთო.

შემდეგ ვალოდია ისე გაიწვრთნა, რომ მამას, სატყეო უბნების შემოვლისას, ხშირად შემოუსკუპდებოდა ცხენზე და ოღროჩოდროებისაც კი არ ეშინოდა... ტყეში, სატყეოს ერთეულთ უბანზე, ვალოდიამ პირველად ნახა ელექტრონის სინათლე, რამაც აღფრთოვანებში მოიყვანა იყი. იქ, ხეობაში, ქარხანა იყო, ხერხავდნენ ფიცრებს და კასრებისათვის ტკეჩს ამზადებდნენ. შემდეგში ინჟინერმა მიგვიწვია და დაგვათვალიერებინა ეს ქარხანა. ჩვენ მთელი დღე დაგვავდით იქ და შინ საღა-

მოთი, სინათლე რომ აანთეს, მერე დავბრუნდით.\*

ვალოდია მაიაკოვსკი და მისი და ოლია, რომელიც მასზე სამი წლით უფროსი იყო (დაიბადა 1890 წ.), უკვე კარგად დაეუფლენენ ქართულ ენას. მათ შეზობლად გაშლილი იყო დიდი ვენახები. უურძნის კრეფისას ქალები შეიპატიუებდნენ ბავშვებს თავისთან. „რუსის ბავშვები არიან, მაგრამ რა კარგად ლაპარაკობენ ქართულად“ – ამბობდნენ ისინი და ბავშვებს უურძნით უმასპინძლდებოდნენ.

ბაღდათში მუშაობის და ცხოვრების პირველსავე დღეებიდანვე სატყეოს უფროსმა, – ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკიმ, – თავისი უმწიდვლო სამსახურეობრივი მოღვაწეობით და ადგილობრივებთან გულთბილი, საქმიანი ურთიერთობით, გლეხების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმასახურა. სოფლის მცხოვრებლები მას ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვა თხოვნით დახმარებისათვის და მეტყველები არ იშურვებდა ძალებს, ენერგიას მათი საქმის მოსაგვარებლად. „საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეტყველე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, მან გარკვეული წვლილი შეიტანა რაიონში ბიბლიოთეკა-სამკითხაოს მოსაწყობად. რაიონში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ახვლედიანი გადმოგვცემს, რომ მეტყველე მონაწილეობას იღებდა დიმოროკითის არხის საკითხზე გამართულ თაობირში და სხვა.

ვლადიმერ კონსტანტინეს ძეს 1897 წელს რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველ აღწერაში აქტიური მონაწილეობისათვის დაუმსახურებია ბრინჯაოს მედალი, რომელიც დაცულია ამჟამად

ბაღდადში, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში.

ბაღდათში მეტყველის მეგობრებთან, კოლეგებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, საინტერესოდ აღიქმება გამოჩენილი ქართველი მეტყველის – მიხეილ მურვანიშვილის ქალიშვილის – თამარ მურვანიშვილის მოგონებების შემდეგი სტრიქონები: „1903 წლიდან მამა მუშაობდა აბასთუმნის სატყეოს გამგის თანაშემწედ. იქ მან ფართოდ მიჰყო ხელი წიწვიანი და ფოთლოვანი კულტურების გაშენებას, განადგურებისაგან დაიცვა ათობით ჰექტარი ტყე. აბასთუმანში ყოფნის დროს მან გაიცნო და დაუმუშაობდა ბაღდათის სატყეოს უფროსს, შემდგომში გამოჩენილი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის მამას. ისიც ვლადიმერ მაიაკოვსკი იყო.

მახსოვს, დედა გვიამბობდა, თუ როგორ კარგი მეგობრული განწყობილება ჰქონდათ მათ ერთმანეთთან, როგორ სიამოვნებით ბაასობდნენ და თავის აზრებს, შეხედულებებს უზიარებდნენ ერთმანეთს და ისე არ გავიდოდა თვე, რომ ერთმანეთი არ მოენახულებინათ. „მაღლი, ახოვანი, შავ წვერ-ულვაშა კაცი იყო“, იგონებდა დედა. დილადრიან, როცა თითქმის ყველას გვეძინა, შინაურულად, მოურიდებლად შემოადებდა ჩვენი სახლის კარებს და ხმამაღლა შეძახილით ყველას გაგვაღვიძებდაო. „ჩვენ მეტყველებს ერთი ოჯახი გვაქვსო“. თითქოს ბოდიშს იხდიდა მოულოდნელი შემოსვლის გამო. მერე მძინარე ბავშვებს გადახედავდა, სახე გაუნათდებოდა და იტყოდა – „ნამდვილი ბედნიერება აი ეს არისო“ (მაშინ მამაჩემს ოთხი შვილი ჰყავდა). მამასაც უყვარდა ბაღდადში ასვლა, მაიაკოვსკის ოჯახში ყოფნა. ხშირად ერთად შეუდგებოდნენ აღმართს ორი მეტყველე,

\* ა. მაიაკოვსკაია – ვლადიმერ მაიაკოვსკის ბავშვობა და სიყმაწვილე დედის ნამბობიდან. თბილისი, 1961. გვ. 27.

უყვარდათ ორივეს ტყეში სიარული და სრულებით არ აშინებდათ, არ უძნედდებოდათ ზეკარის უდელტეხილის გადალახვა და როცა მიაღწევდნენ უმაღლეს წერტილს, აღტაცებით დაჟურუებდნენ იმერეთისა და გურია-აჭარის მშენიერ სანახაობას“.\*

ბაღდადში ჩამოსვლის მომენტში მაიაკოვსკის ოჯახი შედგებოდა ხუთი სულისაგან. ვლადიმერი კონტანტინეს ძე მაიაკოვსკი (ბაღდათის სატყეო უფროსად მოვლინებული), მისი მეუღლე – ალექსანდრა ალექსის ასული, ხუთი წლის ქალიშვილი – ლიუდმილა, ორი წლის ვაჟიშვილი – კოსტია (დაიღუპა 3 წლის ასაკში ქუთორუშას გართულებით), მეტყველის მეუღლის, – ალექსანდრა ალექსის ასულის დედა – ევდოგია ნიკონორის ასული და და – მარიამ ალექსის ასული.

ოჯახის ბაღდათში ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ დაიბადა მეორე ქალიშვილი – ოლია; ხოლო 1893 წელს 7 ივლისს დაიბადა ვაჟიშვილი, რომელსაც მამის სახელი ვლადიმერი შეარქევს; რადგან ვლადიმერ კონსტანტინეს ძეც შვიდ ივლისს გახლდათ მოვლენილი ამქალებად. ოჯახი თანდათანობით კარგად შეეთვისა ახალ საცხოვრებელ გარემოს. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე დიდი ბუნების ადამიანი გახლდათ და დიდ მზრუნველობას იჩენდა არამარტო თავისი ოჯახის წევრებზე, არამედ სხვა ადამიანებზეც; იყო ლმობიერი, მაგრამ ამასთანავე მკაცრად მომთხოვნიც.

ვასილ ლაფერაშვილის წიგნში „მაიაკოვსკი და საქართველო“ აღწერილია სოფელ დიმის სანდაზმული მცხოვრების – ალმასხან ფულარიანის საინტერესო მოგონება ბაღდადის მეტყველის – ვლადიმერ კონსტანტინის ძის შესახებ. „...ერთხელ ნერგიერის საყარაულოში ვიყავი, – იხსენებს ტყის მცველი ფულარიანი,

– გამაფრთხილეს, რომ შეშა არ გამეცა უნებართვოდ. გამოჩნდნენ ცხენოსნები. საყარაულოში მოვიდნენ თავადი ერისთავები და კიდევ რამდენიმე კაცი, მაჩვენეს ნებართვა, მაგრამ იგი ძველი აღმოჩნდა. მაშინ მე არ გავატარე შეშით დატვირთული ურმები. ერისთავები სატყეოში წავიდნენ საჩივლელად. მეტყველმაც განუცხადა მათ, რომ ნებართვა უვარგისია და ტყის მცველი სწორად მოქცეულაო. ერისთავები იძულებულები გახდნენ ახალი ნებართვა აეღოთ.

მეტყვევა ხშირად ეხმარებოდა დარიბ გლეხებს. მასსოვს შემთხვევა. მოვიდა გლეხი გრძელიძე, მას ფული არ გააჩნდა და მოითხოვა, რომ მეტყვევს მოვლაპარაკებოდი, იქნებ მოუცა ნებართვა იმ პირობით, რომ ფულს მერე გადაიხდიდა. გრძელიძემ უკვე წასვლა დააპირა, მაგრამ მეტყვევს, თურმე, ყური მოუკრავს ჩვენი საუბრისათვის, მან დაუძახა გლეხს და ნებართვა მისცა. ასეთი შემთხვევა ცოტა როდი იყო. მეტყვევა ... ხშირად დადიოდა სტუმრად გლეხებთან და თვითონაც ხელგაშლილი ხვდებოდა მათ.“

ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას, რაც მას საშუალებას აძლევდა მჭიდრო კავშირი პქონოდა ხალხთან. მისი უფროსი ქალიშვილი – ლიუდმილა ვლადიმერის ასული იგონებს: „...წვერ გვიყვარდა მამასთან ერთად სატყეოში წასვლა, მხიარული შეხვედრები გლეხებთან და ტყის მცველებთან, მისალმებანი... ჯერ კიდევ შორიდან მოისმოდა: „ვლადიმერო, ვლადიმერო, გამარჯობა, შენი ჭირიმე.“ მამაჩემი თვითონეულს ასულს აძლევდა და თვითონეულის სახელს ამბობდა. იგი მათ ეკითხებოდა ოჯახისა და სხვა საშინაო საქმეების შესახებ, დარიგებას აძლევდა ყველა საკითხზე: სამედიცინო, სამეურნეო და სხვა. მე გაოცებული ვრჩებოდი მამის მეხსიერებითა და ყურადღებით.

\* მიხეილ მურვანიშვილი – მეტყვევის ჩანაწერი. 1976.

მამას უყვარდა შესვენაბა ტყეში, მდელოზე, ხის ქვეშ. კოცონი, მწვადი, შამფურზე წამოგებული სულგუნი, ქათამი აეცში. ტყის მცველები, გლეხები და ჩვენ, ვეხებს აღმოსავლურად მოვიყრიდით და წრისებრ დაგსხდებოდით ხოლმე. ხანდახან ცეკვავდბნენ ქართულ ცეკვას, ერთსულოვნად, უბრალოდ, სიმხიარულე იდგა... მამას უყვარდა ადამიანები, უყვარდა ცოცხალი ურთიერთობა ადამიანთან და ამიტომ, ადვილად გაიცნობდა ხოლმე ვინმეს და შინ ეპატიუებოდა... იგი კარგად ფლობდა ენას და შიგადაშიგ ჩაურევდა ხოლმე ანდაზებს, ნართაულსა და მოსწრებულ სიტყვებს... ტყის მოჭრაზე ნებართვის გაცემასაც ხუმრობასა და მოსწრებულ სიტყვებს გააყოლებდა ხოლმე. გლეხები თხოვდნენ ტყეზე ფასის შემცირებას, მამა კი მათ არწმუნებდა: „მამა ჩემის მამული კი არ არის, არ შეიძლება“. დარწმუნება ყოველთვის არ შველოდა“.

გადიოდა წლები. ვალოდია მაიაკოვსკი უკვე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის წარმატებული მოსწავლე გახლდათ. უფროსი ქალიშვილი ლიტერატურული მოსკოვში ცხოვრობდა და სწავლასთან ერთად მუშაობასაც ახერხებდა; ოლია, რომელიც ვალოდიაზე სამი წლით უფროსი იყო, თბილისის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი ისევ ქუთაისში დაბრუნება არჩია. ალექსანდრა ალექსეევნა შვილებთან გადმოვიდა ქუთაისში; ბელახვანზე ჰქონდათ ბინა დაქირავებული. მამა შვილებს შაბათკვირას ჩამოაკითხავდა. სწორედ ამ დღეებში იკრიბებოდნენ მათთან ნაცნობმებობრები და დროს საინტერესოდ ატარებდნენ; იმართებოდა წვეულებები, შეხვედრები... მაგრამ 1905 წლის რევოლუციურმა გამოსვლებმა ცხოვრება ყველგან ააფორიაქა. ქუთაისშიც აირდაირია ყველაფერი. ამ დღეებში ვლადიმერ კონსტანტინეს ძე წერდა უფროს ქალიშვილს მოსკოვში, რომ მას ადგილობრივი

ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როგორც ხელხის ნდობით აღჭურვილ პირს, სთხოვეს ეშუამდგომლა აჯანყებულებთან, რათა დაწყნარებულიყვნენ. ეს უესტი მეტყევის დიდ პოპულარობასა და სოფლის მცხოვრებლებში დათესილ სიყვარულზე მეტყველებდა.

დადგა 1906 წელი. ვლადიმერ კონსტანტინოვიჩმა ახალი განკარგულება მიიღო – ქუთაისში გადმოყავდათ სატყეო უფროსად. ოჯახი გაახარა ამ ცნობამ. ამიერიდან თითქმის მთელი ოჯახით ერთად იცხოვრებდნენ. პირობებიც, რა თქმა უნდა, ქუთაისში ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ბაღდადში.

ვლადიმერ კონსტანტინეს ძემ საბუთების მოწესრიგება დაიწყო საქმეების ახალი მეტყევისათვის გადასაბარებლად. საკანცელარიო საქმეების შესრულებისას მას უცცრად ხელში ნევსი (ქინძისთავი) ეჩხვლიტა, რასაც ერთხანს ყურადღება არ მიაქცია. შემდეგ ცუდად გახდა, სისხლი მოეწამლა და ოპერაცია დაგვიანდა. .... მამა მოკვდა, – წერს ავტობიოგრაფიაში მაიაკოვსკი, – ქინძისთავი იჩხვლიტა ქაღალდების კერვისას, – სისხლი მოეწამლა. მას შემდეგ ქინძისთავს ვერ ვიტან. კეთილდღეობა გათავდა... ხელზე დაგვრჩა მხოლოდ სამი მანეთი. ინტიმურად, სახწრაფოდ გავყიდეთ ყველფერი, რაც გაგვაჩნდა და მოსკოვისაკენ დაგიძარით“, სადაც მთავარი დასაყრდენი, მხოლოდ უფროსი და – ლიუდმილა იყო და სხვა არავინ.

ქნელი აღმოჩნდა მაიაკოვსკებისათვის საქართველოსთან განშორება... „ჩვენ ძალიან დავუახლოებით ქართველებს, – წერდა შემდეგ ანა ალექსის ასული, – მათთან მეგობრულად ვცხოვრობდით, გვიყვარდა მისი ხალხი, ზნე-ჩვეულებანი. აქ განსაკუთრებით კარგად გვეპყრობოდნენ.“

ასე დასრულდა მაიაკოვსკების ოჯახის საქართველოში ცხოვრების ჩვიდებებისანი ისტორია.

## ბაზობენებული ლიტერატურა

1. **Маяковский в Грузии. Тбилиси. 1936 г.**
2. ა. მაიაკოვსკია – ვლადიმერ მაიაკოვსკის ბავშვობა და სიჭაბუქე. თბილისი. 1961 წ.
3. ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმი – მეგზური (ავტ. მიქელ აბესალომიძე პატარიძე). ქუთაისი. 1959 წ.
4. ვასილ ლაფერაშვილი – მაიაკოვსკი და საქართველო. თბილისი. 1961 წ.
5. ანა ნიკოლაძე – მაიაკოვსკი (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება). თბილისი. 1963 წ.
6. В.В. Маяковский – фотоальбом; М., Планета. 1986 г.
7. მიხეილ მურვანიშვილი – მეტყველების ჩანაწერები. თბილისი. 1976 წ.

# VI. საიუგილო მოღრცვები

## თამაზ ქურდიანი - ნახევარ საუკუნეზე მეტი საქართველოს ტყეების სამსახურში

თამაზ ქურდიანი ქართველ მეტყველი მესამე თაობის იმ პლეადის დირსეული წარმომადგენელია, რომლებიც რესპუბლიკაში სატყეო მეურნეობის დარგის მართვის როულ პროცესებში 1960-იანი წლებიდან ჩაეძნენ.

დაიბადა 1937 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1955 წელს დაამთავრა დედაქალაქის 31-ე საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენისან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში – სატყეო სამეურნეო ფაკულტეტზე. წარჩინებეული სწავლით და მუჟაიორით თამაზმა თავიდანვე მიიქცია ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. შთამბეჭდავია, რომ ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტმა – თამაზ ქურდიანმა, მის თანაკურსელ მეგობარ დემნა ბლიაძესთან ერთად, პროფესორ ნიკოლოზ მარგეველაშვილის ხელმძღვანელობით, მაღალ დონეზე შეასრულა მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული, მუხნარ-რცხილნარი კორომის აგებმვის და ინვენტარიზაციის სავალუკამერალური სამუშაოები. ყურადღება მიიქცია და მაღალი შეფასება დაიმსახურა მის მიერ დამუშავებულმა სადიპლომო შრომამ ბორჯომის ხეობაში ნაირხსნოვანი ნაძვნარ-სოჭნარი კორომების ხნოვანებითი თაობების (სტუქტურის) შესახებ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, თამაზ ქურდიანი, როგორც წარჩინებით კურსდამთავრებული, იგზავნება სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ტყის ინტიტუტის



გორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობაში. სწორედ აქ, სამთო მეტყველის ამ უნიკალურ სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებაში, გაიარა თამაზ ქურდიანმა მაღალკალიფიციურ მეტყველ-სპეციალისტად ფორმირების მეტად როული და საინტერესო გზა სატყეო უბნის უფროსის თანაშემწიდან სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყველის (მთავარი ინჟინრის) თანამდებობამდე.

მართლაც, ფეხბეჭდინიერი გამოდგა თამაზ ქურდიანისათვის გორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობაში საქმიანობის დასაწყისი და შემდგომი მოღვაწეობა. კერძოდ, თამაზს აქ, ადგილზე დახვდნენ და მეტყველის როული პროფესიის დაუფლებაში მის გზამკვლევებად იქცნენ წინა წლებში სატყეო ფაკულტეტის, ასევე წარჩინებით კურსდამთავრებულები და იმქამად უკვე სრულყოფილ სპეციალისტებად დაღვინებულ-

ნი: ტრისტან ჩერქეზიშვილი, იოსებ (სოსო) ყიფშიძე, ირაკლი გაგოშიძე, ალ-ბერტ თოფჩიშვილი, ალიოშა ბოჟაძე... თამაზს სატყეო-სამეურნეო საქმიანობის მართვის მდიდარი გამოცდილება შესძინა, იმ წლებში სატყეო მეურნეობის დორექტორების რანგში მოღვაწე, შესანიშნავი პიროვნებების და პროფესიონალების – ესტატე აბულაძის, რევაზ გოცირიძის ხელმძღვანელობით, სატყეო ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებთან ერთობლივად, საცდელ-საჩვენებელი სატყეო სამეურნეო დონისძიებების ჩატარებამ. გორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობაში შესრულებული ეს აკლევები და კვლევის შედეგები, ასახული იქნა სათანადო ინსტრუქციებში, წესებში, დებულებებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში, რომელთა წარმოებაში დანერგამ ხელი შეუწყო მთიან პირობებში სატყეო საქმიანობის სწორად წარმართვას და ტყის სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების გაუმჯობესებას.

თამაზ ქურდიანმა გორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობაში (ატენის ხეობაში) მეტყველე-მეცნიერთა და წარმოების მუშაკებთან, ერთობლივად, ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევის შედეგები და საერთოდ, ატენის ხეობაში სატყეო საქმის განვითარება (ისტორიულ ასპექტში) შესანიშნავად, ჩამოყალიბა ნაშრომებში: 1. „გორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობა 50 წლისაა“, (გამოქვეყნებულია სამთო-მეტყველების ინსტიტუტის შრომათა კრებულში, გ.37; 1997 წ.); 2. „ატენის ხეობის ტყეები (წარსული და დღევანდელობა)“, ჟურნ. „სატყეო მოამბე“ №5. 2012 წ. მათში მკაფიოდაა წარმოჩენილი იმ მეტყველე-მეცნიერთა და სპეციალისტთა თვალსაჩინო, ათეული წლობით გაწეული, მიზანდასახული საქმიანობა, რომლის რეალური შედეგი იყო მდინარე ტანას დინების რეჟიმის დარეგულირება, ხეო-

ბის ტყეების წყალმარეგულირებელი ფუნქციების გაუმჯობესება და დვარცოფების თავიდან აცილება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, სამწუხაროდ, უკანასკნელ ორ ათწლეულში უგულებელყოფილი და იავარქნილი იქნა ატენის ხეობაში წარმოებული ტყეების გადამეტებული ჭრების შედეგად, რაც შეშფოთებას იწვევს და თუ ახლავე რადიკალური დონისძიებები არ იქნა გატარებული, ხეობას, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევით, დიდი საფრთხე მოელის.

თამაზ ქურდიანი შემდგომ წლებშიც მეტად მაღალნაყოფიერ საქმიანობას ეწერდა ჯერ რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს შრომის მეცნიერებლი ორგანიზაციის რესპუბლიკურ ცენტრში, ხოლო შემდგომ (1981-1985 წწ.) ამავე სამინისტროს ცენტრალურ აპარატში – სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველოს ჯერ უფროს სპეციალისტად, ხოლო შემედგომ – მთავარ ინჟინრად მუშაობის პერიოდში.

1986 წლიდან, აკადემიკოს გიორგი გიგაურის მიწვევით, თამაზ ქურდიანი სამუშაოდ გადადის სამთო-მეტყველების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის მთავარ ინჟინრად. ამასთან ერთად პარალელურად ახორციელებს ადგილებზე, ინსტიტუტთან არსებულ საწარმოო-კვლევით ობიექტებში ტყის აღდგენის, ტყის დაცვისა და ტყითსარგებლობის საქმიანობის კოორდინაციას; აქტიურად მონაწილეობს ინსტიტუტის სახელშეკრულებო თემების და სამეცნიერო გრანტების სამუშაოთა შესრულებაში, ახალი ტყის კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ნორმატიული აქტების შემუშავებასა და განხილვაში.

თამაზ ქურდიანს სატყეო მეურნეობის დარგში შეტანილი პრაქტიკული და სამეცნიერო წვლილისათვის მინიჭებული

აქვს საქართველოს დამსახურებული მეტყველის საპატიო წოდება. იგი ამჟამად აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ურნალ „სატყეო მოემბეჭი“, არის ურნალის სარედაქციო კოლეგის წევრი.

თამაზი შესანიშნავი მეოჯახეა. ჰყავს მეუღლე, ქალიშვილი და ვაჟი. ოჯახის სიხარულია შვილიშვილი, პატარა გოგონა.

ვაჟიშვილი – რევაზ ქურდიანი ეწევა პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (უმაღლესი მათემატიკის განხრით). არის

პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. ასევე მინიჭებული აქვს საზღვარგარეთის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის წოდება.

თამაზ ქურდიანი კვლავ მხნედ და აქტიურად ეწევა ცხოვრების ჭაპანს ბეჭითად, მუყაითად შრომობს სოფელ ატენში გაშენებულ თავის საკარმიდამოში.

ვუსურვებთ თამაზ ქურდიანს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებას.

#### **მებობრებისა და სარედაქციო კოლეგიის სახელი:**

**რევაზ რბოლაძე, ბიძინა თავაძე, ლევან ბგაზავა, ელიზაბარ ლომინაძე, დავით იმარავალი, გურამ ბერიშვილი, კონი ბეჭერიძე, დემეა ბლიაძე, გახტანგ გარდიაშვილი, სერგო კალმახელიძე, მაყვალა კუჭავა, ლამარა არბანაშვილი.**

## მაქსიმე ჭელგინიძე - 80



შშობლიური ბუნების თავდადებულ ქომაგს, რესპუბლიკის დამსახურებულ მეტყველეს – მაქსიმე ზედგინიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი მაქსიმე ექვს ათეულ წელზე მეტია შრომობს და იღწვის ჩვენი ეროვნული საგანძურის – ქართული ტყის შენარჩუნების, აღდგენისა და გაჯანსადებისათვის.

ბორჯომ-ბაკურიანის წიაღში აღზრდილი, თხუთმეტი წლის ჰაბუკი, 1949 წელში შედის, იმ დროისათვის საკმაოდ პრესტიულ, ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში და სამი წლის შემდეგ წარჩინებით ამთავრებს მას. როგორც წარმატებულად კურსდამთავრებული, მაქსიმე ზედგინიძე იგზავნება სარატოვის ოლქში, ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის მიხედვით, მშენებარე სახელმწიფო ქარსაფარი ზოლების წარმოების საპასუხისმგებლო უბანზე. აქედან მას იწვევენ სავალდებულო სამსედრო სამსახურში, რომლის შემდეგ უბრუნდება მშობლიურ ბორჯომის რაიონს და მუშაობას იწყებს ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში მეტყველების კომიტეტის შემდეგ მაქსიმე ზედგინიძე გადაყვავთ სატყეო-საწარმოო უბანზე – თბილისის სატყეო მეურნეობის წესრიგის სატყეოს უფრო-

ტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე (დაუსწრებელ განყოფილებაზე). უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მას აწინაურებენ ბაკურიანის სატყეო უბნის უფროსად. ახალგაზრდა სპეციალისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რამდენიმე წელში, მისი ხელმძღვანელობით და აქტიურობით, ეს სატყეო წარმოჩენილი იქნა ერთერთ საუკეთესოდ არა მარტო ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში, არამედ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

ბორჯომის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელს ბახვა კუხიანიძეს, შეუმწეველი არ დარჩა ახალგაზრდის მუყაოთობა, უნარი და იგი გადაიყვანა (ზედგინიძის უარის მიუხედვად) ბაკურიანის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის და მაშინდელი ელიტური სასტუმრო „ბაკურიანის“ დირექტორად, სადაც მან, ასევე წარმატებით, გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. თუმცა, რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარემ, მიტროფანე კუჭავაძე, მაინც მიაღწია მაქსიმე ზედგინიძის დაბრუნებას მეტყველეთა კოლექტივში და იგი დანიშნა ახლადორგანიზებული, თბილის-რუსთავის მწვანე ზოლის სამმართველოს მოსახლეობის მასიური დასვენების ორგანიზაციის განყოფილების უფროსად. ის, ახალ ადგილზე, განახლებული ენერგიით შეუდგა საქმეს, რის შედეგად, ერთმანეთის მიყოლებით, მოწყო მაღალორგანიზებული დასვენების კერები მამკოდაში, კიკეთის ტყეში, მარტყოფში და სხვა ადგილებში.

ამ წარმატებული საქმიანობის შემდეგ მაქსიმე ზედგინიძე გადაყავთ სატყეო-საწარმოო უბანზე – თბილისის სატყეო მეურნეობის წესრიგის სატყეოს უფრო-

სად. სწორედ, წენეთის სატყეოში, უფრო მეტი ევექტურობით წარმოჩინდა მისი მაღალი მეტყევური კვალიფიკაცია და ორგანიზაციული უნარი. ამის დასტურია ძველი თაობის მეტყევის – ერმილე ლომთათიძის თაოსნობით, ადრეულ წლებში ეწ. „შოლტების“ ტერიტორიაზე გაშენებულ ფიჭვნარ კორომებში ჩატარებული ინტენსეური, მოვლითი (გამოხირვითი) ჭრები; გალაქტიონის აგარაკის მახლობლად, წარმოებული გავლითი ჭრები; სარეკონსტრუქციო ჭრები ბაგებში და ასალდაბის მეჩხერ კორომებში; „სამადლოში“ ამომძირკველი ტრაქტორით დამუშევებულ ნიადაგზე, ასევე წენეთის შესასვლელში, დატერასებულ ციცაბო ფერდობებზე, შექმნილი ფიჭვის ნარგაობა და სხვა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისთვის, მშობლიურ ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში, დირექტორად მუშაობის წლები. მაქიმე ზედგინიძემ შემოიკრიბა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, განაახლა ავტოსატრაქტორო პარკი; ხის დამამუშავებელი საამქრო აღჭურვა უახლესი, უნივერსალური დაზგა-დანადგარებით; ააღორძინა დამხმარე სოფლის მეურნეობის დარგები, კერძოდ, შეიქმნა მეღორეობის, მესაქონლეობის... მაღალპროდუქტიული ფერმები და სხვა. მისი ინიციატივით დაბა აწყურის მაღალმთიან ზონაში მოგანიშვნული უფრობით იქნა ახალი

სატყეო უბანი, სადაც მეურნეობის მთავარი მეტყევის, ამირან კონსტანტინოვის და ამავე სატყეო უბის უფროსის, ზურაბ ოგანეზოვის ხელმძღვანელობით, ასეულ პექტარზე გაშენდა ფიჭვის, იფნის, ნეკერჩელის, პანტის ნარგაობა, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, უპატრონოდაა მიტოვებული.

კიდევ მრავალი სასიკეთო საქმის ჩამოთვლა შეიძლება, რომელთაც ხორცი შეესხათ ამ წლებში ბატონ მაქიმეს ხელმძღვანელობით, მაგრამ საუურნალო ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა. თუმცა მაინც, რამდენიმე სიტყვით, არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდზე მის მოღვაწეობაში, სადაც გამოიკვეთა ბატონ მაქიმეს ღრმა განსწავლულობა: მეურნეობას სტუმრობდა კემბრიჯის უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი ოჯახთან და თანამშრომლებთან ერთად. წაღვერის ბიოლაბორატორიის დათვალიერებისას, მიმდებარე ტყეში, ერთ-ერთ ჯირკვზე მან შენიშნა სოკო და დაინტერესდა მისი სახეობით. ბატონმა მაქიმემ ყველას დაასწრო და ლათინური ტერმინოლოგიის მოშველიებით მარდად მიაწოდა პროფესორს საჭირო ინფორმაცია მის შესახებ, რითაც უცხოელი ნასიამოვნები დარჩა. სტუმარი დაინტერესდა მისი აკადემიური სარისხით და როდესაც გაიგო, რომ მასპინძელს არა ვითარი სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა, გაკვირვებულმა თავის თანაშემწეს გადაულაპარაკა: „ნახეთ რიგითი ინჟინერი როგორ შესანიშნავად ფლობს ლათინურ ტერმინოლოგიას“. ასევე, მაღალკვალიფიციურად წარმოაჩინა თავი ბატონმა მაქსიმემ ავსტრიელ მეცნიერებთან შეხვედრაზე, როდესაც ისინი მოწვეულნი იყვნენ საქართველოში, სამ-

გითარი სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა, გაკვირვებულმა თავის თანაშემწეს გადაულაპარაკა: „ნახეთ რიგითი ინჟინერი როგორ შესანიშნავად ფლობს ლათინურ ტერმინოლოგიას“. ასევე, მაღალკვალიფიციურად წარმოაჩინა თავი ბატონმა მაქსიმემ ავსტრიელ მეცნიერებთან შეხვედრაზე, როდესაც ისინი მოწვეულნი იყვნენ საქართველოში, სამ-



თავრობო დონეზე, ჭრების ოპტიმალური მეთოდების შერჩევის მიზნით.

მაქსიმე ზედგინიძე თავის კოლექტივში, ბაკურიანის მთელ საზოგადოებაში სარგებლობს, დიდი პატივისცემით და სიყვარულით. მან ეს სიყვარული და პატივისცემა დიახაც, თავისი კაცურქაცობით, გულითადობით და საქმით დაიმსახურა. ბაკურიანის მოსახლეობას დღესაც არ დავიწყნია ავადსახსენებელი 1990-იანი წლები, როდესაც მაქიმე ზედგინიძემ თავისი ოჯახური დანაზოგით, არაერთხელ, აღმოუჩინა მატერიალური დახმარება გაჭირვებულ, ხელმოკლე ოჯახებს, ასევე პედაგოგ-მასწავლებლებს. მან საკუთარი სახსრებით, გაზეთ „ბორჯომის“ გამომცემლობას შეუძინა საბეჭდი და დაზგა და გადაარჩინა გაზეთი დახურვას, უმწეო მოსახლეობას უფასოდ მოუზიდა შეშა და სხვა.

მაქსიმე ზედგინიძემ და მისმა შესანიშნავმა მეუღლემ – ლიანა გელაშვილმა, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს აღარაა ცოცხალთა შორის, შექმნა შესანიშნავი მეტყევური, ტრადიციული ოჯახი.

ოჯახის დედა, ქალბატონი ლიანა, გახლდათ შესანიშნავი, მაღალკავალიფიციური ბუღალტერ-ეკონომისტი და მეტყევე-სპეციალისტი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის ახლოს, ბორის ძნელაძის სახელობის ახალგაზ-

რდული ტყეპარკის დაფუძნებასა და ჩამოყალიბებაში. მეტყევე-სპეციალისტები არიან მათი ვაჟიც და რძალიც, რომლებიც თავის ვაჟიშვილებთან ერთად ემსახურებიან ქ. თბილისის და მისი შემოგარენის გამწვანების კეთილშობილურ საქმეს.

მაქსიმე ზედგინიძე კვლავ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს, მოძრაობს, კითხულობს, იგონებს განვლილ წლებს და კრებს ინფორმაციას მეტყველეთა მეტად საინტერესო, რთულ და წინააღმდეგობებით აღსავს ცხოვრებაზე, აყალიბებს მათ მოგონებების, ნარკვენების სახით. ამაში მას ხელს უწობს ღრმა განსწავლულობა საქართველოს (მ.შ. სატყეო მეურნეობის) ისტორიაში, ქართულ მწერლობაში და პოეზიაში. გარდა ამისა, არის ქართული სპორტის ცოცხალი მემატიანე, რაიონის ერთერთი უძლიერესი მოჭადრაკე, მრავალი საჭადრაკო ამოცანების და ეტიუდების კონკურსში გამარჯვებული.

ვუსურვოთ მაქსიმე ზედგინიძეს ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და გახარება შვილებში, შვილიშვილებში, შვილთაშვილებში.

დიდ ხანს არ მოკლებოდეს მისი მზრუნველი ხელი ბორჯომ-ბაკურიანის ტყებს, და საერთოდ, საქართველოს ბუნებას. მრავალუამიერ!

**ურნალ „სატყეო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის და ახლო მეგობრების სახელით:** ტრისტან ჩერქეზიშვილი, რევაზ ობოლაძე, მერაბ დგალი, ბიძინა თავაძე, დუბნა ბლიაძე, ვახტანგ გარდიაშვილი, იური ლომიძე, ამირან კონსტანტინოვი, ზვიად მელიძე, ზურაბ ობანეზოვი. . . . .

**P.S.** ამავე ნომერში იბეჭდება მაქიმე ზედგინიძის შესანიშნავი მოგონებები სატყეო დარგის გამოჩენილ ადამიანებზე (მაკარ ჯაში, იოსებ ჩოდრიშვილი, მიტროვანე კუჭავა).

## მაქსიმა ზალგინიძე

საქართველოს დამსახურებული მეტყველე

### **მათი ახაგი და საქმე დაგიტყვებას არ უნდა მიეცეს**

საქართველოს სატყეო მეურნეობის არსებობის უკანასკნელ ექვს ათწლეულზე მეტი წელის მანილზე, დარგის მართვის სათავეებთან იდგნენ პიროვნებანი, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით, მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი ჩვენი ეროვნული საუნჯის – ქართული ტყის აღდგენის (კვლავწარმოების), გაჯანსაღების და მისი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების საქმეს.

ერთერთი ასეთი ბერმუხა იყო **მაკარ ჯაში**. ჯაში გახლდათ პარტიულ და სამეურნეო საქმიანობაში გამობრძმედილი მუშაკი. მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის, შემდეგ ცენტრალური კომიტეტის მდივნად (1930-40-იან წლებში). როდესაც დიდი სამამულო ომი დამთავრდა და შეიქმნა საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები, სწორედ მაკარ ჯაში გახდა პირველი, საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მინისტრი. ჯაშმა ჩამოაყალიბა სატყეო დარგის მართვის ძლიერი, დახვეწილი სისტემა, უმაღლესი რგოლიდან დაწყებული, რეგიონალურ ერთეულებამდე ჩათვლით. შემოიკრიბა ირგვლივ მაღალაკვალიფიციური, საქმიანი, შრომისმოყვარე მეტყველე სპეციალისტები, როგორც სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, ასევე ადგილებზე. მათ შორის იყვნენ სატყეო მეურნეობის დირექტორები: კოლხეთში – ქარუშაძე, დუშეთში – გრძელიშვილი, ბაღდაძეში – გიგლა ჩიქოვანი, ქუთაისში – ტრიფონ კარანაძე და სხვები. მინისტრი დიდ პატივს სცემდა თანამ-

შრომლებს, აფასებდა მათ შრომა-გარჯას. გაღმოცემით, გამორჩეულად კეთილგანწყობილი იყო ბაღდათის სატყეო მეურნეობის დირექტორის – გიგლა ჩიქოვანისადმი.

სწორედ, მათ შორის ურთიერთობის ერთ საინტერესო ეპიზოდზე მინდა გიამბოთ. ერთხელ, როდესაც კვირადლით, დილაადრიან, მაკარ ჯაში ბაღდათის რაიონში, საირმისკენ მიემგზავრებოდა, ხანისწყლის ხეობაში შეეჩეხა მეტყველის ფორმაში გადაცმული კაცი, რომელსაც მხარზე თოხი გაედო და რამდენიმე მუშასთან ერთად მიდიოდა გზაზე. ჯაშმა გააჩერა მანქანა, გადმოვიდა, მივიდა მათთან და შეეკითხა წინამდლოლს, თუ სად მიეშურებოდა ამ უთენია, ისიც კვირას, ამ ხალხთან ერთად. მან უპასუხება, რომ მუშაობს მეტყველე და მიჰყავს მუშები ტყის კულტურების გასათოხნად. იმავე საღამოს, უკანმომავალმა ჯაშმა, კვლავ შენიშნა იგივე ხალხი, რომელთაც მხარზე თოხებადებული მეტყველე მოუძღვდათ მინისტრი. ჯაშმა მათ ამჯერად უფრო დაწვრილებით გამოკითხა ყველაფერი, მოეწონა მუყაითო მეტყველე, დასვა მთელი თავისი ამაღლით მანქანაზე და სახლამდე მიაცილა. მინისტრი მეტყველის გვარითაც დაინტერესდა და გვარი – ტაბეშაძე უბნის წიგნაგში ჩაინიშნა. ფერშეცვლილი და შემფოთებული ტაბეშაძე ეზოში ძლიეს, ბარბაციო შევიდა: მან ხომ იცრუა მინისტრის წინაშე, რადგან მუშები ტყეაულტურებში კი არა, თავისი ყანის სათოხნად მიყავდა. ეს ამბავი გიგლა ჩიქოვანსაც მიუვიდა, მაგრამ მას ეს

არ გაუხმაურებია და ამჯერად, ტაბეშა-  
ძესაც არ გასწყოომია.

გამოხდა ხანი. ზესტაფონის სატყეო  
მეურნეობას გამოყო ცალკე, ხარაგაუ-  
ლის ზონა და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა  
ხარაგაულის სატყეო მეურნეობა. მინისტ-  
რმა დაიწყო სადირექტორო კანდიდა-  
ტურის ძიება. იმ დღეებში სამინისტროში,  
რაღაც საქმეებზე, შეიარა გიგლა ჩიქო-  
ვანმა და ყური მოკრა ამ ამბავს. მას  
დიდი ხანია თვალში არ მოსდიოდა თა-  
ვისი სატყეოს უფროსი – სერგო ტაბე-  
ძაძე და გულში ჰქონდა მისი მოშორება  
(იცოდა, რომ ტაბეშაძეც ოცნებობდა  
დირექტორობაზე, თანაც ხარაგაულის  
მიდამოებიდან გახლდათ). სწორედ ეხლა  
დაუდგა საჭირო მომენტი გიგლა ჩიქო-  
ვანს. გარისკა, შევიდა მაკარ ჯაშთან და  
ეუბნება: „მე, მაკარ ივანიჩ, ყველაფერი  
ვიცი, კადრი გჭირდებათ ხარაგაული-  
სათვის, თანაც მგონი იქ ერთერთი ჩემი  
სატყეოს უფროსის დაწინაურებასაც  
ფიქრობთ. ნუ იზამთ ამას, მე მას ვერ  
შეველევი, ყოველთვის გვერდში მიდ-  
გასო“. ჯაშმა გაპავირვებით შეხედა ჩი-  
ქოვანს და დაეკითხა, თუ ვისზე იყო  
საუბარი. გიგლამ შეახსენა: „ეს ის კაცია,  
ტაბეშაძე, თქვენ რომ მხარზე თოხა-  
დადებული შემოგხვდათ ბრიგადასთან  
ერთად საირმის გზაზე და მოგეწონათ“.  
მინისტრი ერთხანს ჩაფიქრდა, უცბათ  
სახე გაუბრწყინდა და მიუგო ჩიქოვანს:  
„გიგლა, შენ მანდ სხვასაც გამოძებნი, მე  
კი დღეს ხარაგაულში, სწორედ, სერგო  
ტაბეშაძისნაირი კაცი მჭირდებაო“. ყვე-  
ლაფერი ნათელი იყო. გაჭრა გიგლა  
ჩიქოვანის წინმსწრებმა ეშმაკობამ და  
სერგო ტაბეშაძე, მართლაც, დაინიშნა  
ხარაგაულის სატყეო მეურნეობის დირექ-  
ტორად, სადაც მან ოცდაათ წელზე მეტი  
იმუშავა და კარგი ორგანიზაციონის  
სახელიც დაიმკვიდრა.

მაკარ ივანიჩი (ასე მიმართავდნენ მას  
ყველა) იყო მეტად მკაცრი, მომთხოვი

და პრიონციპული ხელმძღვანელი, მაგ-  
რამ ამავე დროს სამართლიანი. უსამარ-  
თლოდ არ დასჯიდა არავის, მაგრამ თუ  
დასჯიდა, ის მუშაკი, საერთოდ, ველა-  
რასოდეს გაიჭაჭანებდა სატყეო მეურ-  
ნეობაში (მაგრამ ბილეთით რიცხავდა).  
აქაც ერთი მინიშნება: ყველამ ვიცოდით,  
რომ ორგანულად ვერ იტანდა თიანეთის  
სატყეო მეურნეობის დირექტორს, გენადი  
გიორგაძეს, მაგრამ არ იშორებდა იმის  
გამო, რომ გენადი საქმისადმი ძალიან  
ერთგული და ამავე დროს, კარგი ორ-  
განიზაგორი იყო. ერთხელ სატყეო მეურ-  
ნეობის სამინისტროს გაფართოებულ  
კოლეგიაზე ჯაშმა სიტყვა მისცა გიორ-  
გაძეს. მან გამოსვლა დაიწყო მაღალ-  
ფარდოვანი სიტყვებით. ჯაშმა სიტყვა  
შეაწყვეტინა და მოულოდნელად მიმარ-  
თა: „ზოგადად კი ნუ ლაპარაკობ, ეს  
ჩვენ შენზე კარგად ვიცით, იმის შესახებ  
გვითხარი, შენი პატივმოყვარეობის გამო,  
როგორ გააგზავნე ციხეში შენივე კოლე-  
გებიო“ და ტრიბუნა უსიტყვოდ დაატო-  
ვებინა. ეს შენიშვნა სამართლიანი იყო.  
მართლაც ჰქონდა ადგილი ასეთ შემთხ-  
ვევას: თიანეთის სატყეო მეურნეობის  
რამდენიმე მუშაკი, როგორც ამბობდნენ,  
გენადი გიორგაძემ საკუთარ, პირად  
ინტერესებს შესწირა და ციხეში ამოაყო-  
ფინა თავი. დიახ, სწორედ ამის გამო  
ვერ იტანდა მაკარ ჯაში გენადი გიორ-  
გაძეს.

გავიდა დრო. თიანეთის რაიკომის  
მდივანი, რომელიც გენადის ყოველთვის  
მფარველობდა, სხვაგან გადაიყვანეს  
სამუშაოდ. ახლად დანიშნულ რაიკომის  
პირველ მდივანს არ მოეწონა გენადი  
გიორგაძის პიროვნება და რაიკომის ბიუ-  
როს სხდომის გადაწყვეტილებით, გაათა-  
ვისუფლა სამუშაოდან. ამ დროს მაკარ  
ჯაში შვებულებაში იმყოფებოდა და  
წყალტუბოში ისვენებდა. გენადიმ, მიუხე-  
დავად იმისა, რომ იცოდა მინისტრის  
მისდამი უარყოფითი დამოკიდებულების

შესახებ, მაინც გაბედა, ჩავიდა წყალტუ-  
ბოში და მოახსენა მინისტრს საქმის  
ვითარება. გენადიც, რომ იტყვიან, კარგი  
შებერტყილი იყო. კარგად იცოდა, რომ  
ჯაში, მიუხედავად ყველაფრისა, თავის  
თანამშრომელს ყოველთვის და ყველგან  
ებილით იცავდა.

მინისტრმა მოუსმინა გიორგაძეს და  
უთხრა: „წადი დაჯექი შენს კაბინეტში  
და ჩემს ჩამოსვლამდე იმუშავე ჩვეულებ-  
რივადო“. შვებულბიდან დაბრუნებულმა  
ჯაშმა წაიღო თიანეთის რაიკომის ბიუ-  
როს გადაწყვეტილება პარტიის ცენტ-  
რალურ კომიტეტში, გააუქმებინა დად-  
გენილება და გენადი გიორგაძე დატოვა  
თანამდებობაზე.

ერთხელ მაკარ ჯაში სტუმრად იმყო-  
ვებოდა ბაკურიანის სატყეო მეურნეო-  
ბაში. მან ეზოში შეკრებილ მეტყველებს  
შორის შენიშნა ერთი ხანში შესული  
ტყის მცველი, რომელიც თანამოსაუბ-  
რეთა შორის სიტყვამოსწრებულობით  
და იუმორით გამოირჩეოდა. ჯაშმა მოიხ-  
მო იგი თავისთან და ვინაობა გამოკითხა.  
მოსაუბრებ დაუსახელა თავისი გვარსა-  
ხელი – იასონ გოგოლაძე გახდავართო.  
როცა ჯაში საქმეზე შეეკითხა, იასონმა  
ლექსად უპასუხა: „ბაკურიანი არის გაშ-  
ლილი და მზიანი, ტყეში არა გვაქვს  
ზიანი, დირექტორი გვეავს ჭკვიანიო“.  
(დირექტორად მაშინ მუშაობდა აპოლონ  
გოცირიძე). მაკარ ივანიჩი ეკითხება, რომ  
თუ იციო ვინ არის თქვენი მინისტრიო,  
მან იქვე ენამოსწრებულად მიუგო: „ჩვენი  
მინისტრი არის ჯაში, ვენაცვალე ჯან-  
შიო“. ჯაშმა გადაიხარხა და იქვე  
მდგომ დირექტორს მიუბრუნდა: „ეს კაცი  
ერთი კვირა ჩემს ანგარიშზე აქვიფეო“.

1950-იანი წლების დასაწყისში (ზუსტი  
თარიღი არ მახსოვეს) საქართველოში  
სტუმრად ჩამოვიდა საკავშირო სატყეო  
მეურნეობის მინისტრი ბოვინი მეუდლი-  
თურთ. მოიარეს, თითქმის, მთელი საქართ-  
ველო და ბოლოს ავიდნენ ზემო სვანეთ-

ში. სტუმრები ერთბაშად მოიხიბლნენ  
სვანეთის ბუმბერაზი მთებით, ციხე-კოშ-  
კებით და ულამაზესი ტყის მასივებით. მესტიაში გაიმართა დიდებული, სვანური  
პურმარილი, ჯიხვის მწვადებით დამშვე-  
ნებული. მაშინ მეურნეობის დირექტორი  
გახდათ ლიმენ შამბრიანი. დვინოს  
ულამაზესი ქალბატონიც (მინისტრის  
მეუდლე) ნელ-ნელა წრუპავდა. დვინით  
შეთამამებულმა ლიმენმა მინისტრის  
ცოლს შესთავაზა ჭიქა ბოლომდე დაეცა-  
ლა, მაგრამ რუსული ენის საქმაოდ უცო-  
დინარობის გამო, მიმართვა ვერ გაიაზრა  
სათანადოდ და იმის ნაცვლად, რომ  
ეთქვა ჭიქას ფსკერი მაჩვენეო, თურმე  
უმეცრად მიუგო: „უოპე, უოპე, პაკაჟიო“.  
ამაზე ბოვინი ადშფოთებულა და სუფრა  
მიუტოვებია. ჯაში ბევრს ცდილა დაერწ-  
მუნებიუნა იგი ლიმენის მხრიდან რუ-  
სულის უცოდინერობაში, მაგრამ არა-  
ფერი გამოსვლია და გამწარებულმა –  
საწყალი ლიმენი დირექტორობიდან გა-  
დააყენა.

მაშინ ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში  
ვსწავლობდი და კარგად მახსოვს საკავ-  
შირო მინისტრი ჩვენც გვესტურა. მან  
დაათვალიერა ტექნიკუმის კაბინეტ-ლა-  
ბორატორიები და განსაკუთრებით მო-  
ეწონა ბიბლიოთეკა, რომელიც უახლესი  
სპეციალური რუსული ლიტერატურით  
იყო უზრუნველყოფილი. მისი უურად-  
ღება მიიქცია მასწავლებელთა მაღალმა  
კვალიფიკაციამ და რამდენიმე პედაგოგი  
მოსკოვშიც კი მიიწვია საკავშირო გამო-  
ფენაზე.

გავიდა წლები და, ერთხელ, როდესაც  
ქალაქში ტროლეიბუსით ვმგზავრობდი,  
ერთერთ გაჩერებაზე მოულოდნელად  
ამივიდა მაკარ ჯაში. მე, რა თქმა უნდა,  
უმალ ავდექი სკამიდან და მოკრძალუ-  
ბულად ვთხოვე დამჯდარიყო. მეუბნება,  
რომ მეტყველ შეგიცანი და საიდან  
ხარო. მივუგე, რომ ვმუშაობ ბაკურიანში,  
სატყეო მეურნეობის დირექტორად. იგი

დაინტერესდა სატყეო მეურნეობის საქ-  
მიანობით და გაიხსენა ის ხანდაზმული  
ტყის მცველი, რომელიც ქარაგმულად,  
ლექსებით პასუხობდა მის შეკითხვებზე.  
ჩასვლისას დამემშვიდობა და მთხოვა,  
როდესაც პურის საჭმელად დავჯდე-  
ბოდით მეტყევები, გაგვეხსენებინა სა-  
ხელოვანი წინამორბედებიც. ზოგიერთი  
მათგანის გვარ-სახელი, რომელთაც ის  
განსაკუთრებულად გამოარჩევდა ხოლმე,  
იქვე დაგუსახელე და შეგბედე მეთქვა,  
რომ სახელოვან მეტყევეთა გახსენება  
ჩვენი ტრადიცია იყო და ამ ტრადიციას  
არასოდეს ვდალატობდით. სიამოგნების  
გრძნობით ჩამომართვა ხელი, დამემშვი-  
დობა და ჩასვლისას მითხვა, ბევრ დიდ  
თანამდებობებზე მიმუშავია, მაგრამ  
მეტყევებისთანა სიყვარული არცერთ  
სამსახურს არ მოუნიჭებია ჩემთვისო.

### იოსებ ჩოდრიშვილი – მწვანე განძის დიდოსტატი.

იოსებ სტალინის გარდაცვალების  
შემდეგ (1953 წ.) გააუქმეს სატყეო მეურ-  
ნეობის სამინისტრო, ხოლო რაიონული  
სატყეო მეურნეობები დაუქვემდებარეს  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს,  
რომლის ცენტრალურ აპარატში ჯერ  
შეიქმნა სატყეო განყოფილება, ხოლო  
შემდეგ – სატყეო მეურნეობის მთავარი  
სამმართველო. აღნიშნული მთავარი სამ-  
მართველოს უფროსად დაინიშნა იოსებ  
ივანეს ძე ჩოდრიშვილი, რომელიც მანა-  
მადე, წლების მანძილზე, ცხოვრობდა და  
მოღვაწეობდა მოსკოვში

იოსები (სოსო) ჩოდრიშვილი იმ ცნო-  
ბილი რევოლუციონერი ჩოდრიშვი-  
ლების დიდი ოჯახიდან გახლდათ, რო-  
მელთა წარმომადგენლები, 1900-იანი  
წლების დასაწყისში, სტალინთან ერთად  
მუშაობდნენ ავლაბრის საიდუმლო (არა-  
ლევალურ) სტამბაში. ამ ხანებში, როცა  
ერთხელ სტალინი (კობა) სტუმრობდა,  
ერთერთი მათგანის, – განო (ივანე) ჩოდ-

რიშვილის ოჯახში, სადაც იმ დღეებში  
შვილის დაბადებას ელოდნენ, თხოვნით  
მიუმართავს ოჯახის წევრებისათვის, თუ  
ვაჟი შეეძინებოდათ, მის სახელზე მოქ-  
ნათლათ. მართლაც, ვანო ჩოდრიშვილს  
შეეძინა ვაჟი, რომელსაც იოსები (სოსო)  
დაარქვეს. იმის შემდეგ, როგორც იტყვიან,  
მრავალმა წყალმა ჩაიარა. იოსებ ჯუდა-  
შვილი (სტალინი) მსოფლიოში უდიდესი  
პოლიტიკოსი და უზარმაზარი ქვეყნის  
მმართველი გახდა. იოსებ ჩოდრიშვილმა,  
დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ,  
ეწ. მუშფაკის უმაღლესი კურსებიც გა-  
იარა, ხოლო 1930-იანი წლების დასაწყისში,  
დაამთავრა თბილისის სატყეო  
ტექნიკური ინსტიტუტი. სწორედ, მაშინ  
მოიკითხა დიდმა ნათლიამ იოსები, და,  
მოსკოვში გადაევანის შემდეგ, დანიშნა  
თავის მრჩევლად სატყეო დარგში.

იოსებ ჩოდრიშვილმა ამ თანამდებო-  
ბაზე კარგახანს იმუშავა და მეორე მსოფ-  
ლიო ომის მძიმე წლებში და ომის შემ-  
დეგ, როცა ქვეყნას ძალზე დიდი მოთ-  
ხოვნილება გაუჩნდა ხეტყეზე, მან არა-  
ერთხელ ისსნა გაჩეხვისაგან კავკასიის  
მთის ტყეები.

სამამულო ომის (1941-1945 წწ.) ბრწყინ-  
ვალე გამარჯვებით დასრულების შემ-  
დეგ, იოსებ სტალინის ინიციატივით და  
უშუალო ხელმძღვანელობით, საბჭოთა  
კავშირის მასშტაბით, შემუშვებული იქნა  
ბუნების გარდაქმნის გენერალური გეგმა,  
რომელიც შევიდა ისტორიაში ბუნების  
გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის  
სახელწოდებით. შთამბეჭდავი გახლდათ,  
ამ მართლაც დიადი გეგმის ლოზუნგი:  
„ჩვენ გვალვაზეც გავიმარჯვებთ“ (რუსუ-  
ლი ელერადობით „И засуху победим!“).

ამ დიადი საქმის ერთერთი სულის-  
ჩამდგელი და ორგანიზატორი გახლ-  
დათ იოსებ ჩოდრიშვილი, რომელიც  
დაინიშნა ბუნების გარდაქმნის გეგმის  
განხორციელების ხელმძღვანელად, სპე-  
ციალურად შექმნილი, სსრ კავშირის მი-

ნისტრთა საბჭოს ტყის მინდორსაცავი და ქარსაფარი ზოლების მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ.

1948-1952 წლებში, მართლაც, არნა-ხელი მასშტაბით გაიშალა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (მათ შორის საქართველოშიც) მინდორსაცავი ტყების და ქარსაფარი ზოლების მშენებლობის სამუშაოები.

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საკავშირო მასშტაბით ქარსფარი ზოლების გაშენების საქმიანობა თანდა-თანობით შემცირდა და შემდეგ, ავადსახსენებელმა ნიკიტა ხრუშჩოვმა, თითქმის ნულამდე დაიყვანა. საბედნიეროდ, საქართველოზე ამას უარყოფითი გაფლენა დიდად არ მოუხდენია, რადგან იოსებ ჩოდრიშვილმა, საქართველოში ჩამოსვლის შემძეგვ, მიაღწია რა სატყეო დარგის სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან ცალკე გამოყოფას და რესპუბლიკური, დამოუკიდებელი სატყეო ორგანოს (ჯერ საქართველოს მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის და ნაკრძალების მთავარი სამმართველო, შემდეგ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი) ჩამოყალიბებას, ახალი სული შთაბერა დაცვითი ტყების გაშენების საქმიანობას. კერძოდ, მისი მმართველობის, თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში, ტყედევიციტურ, უტყეო ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის რაიონებში, განსკუთრებით თბილისის, ქუთაისის, სხვა მჭიდროდ დასახლებული ადგილების ირგვლივ, შეიქმნა დიდი რაოდენობით ტყის ახალი მასივები და ტყებარკები. კახეთის რაიონებში განსკუთრებული უურადღება მიეჭცა კაკალნაური სახეობების გაშენებას, რომლებსაც შემდგომ მეტყევები „ჩოდრიშვილის კაკლებად“ მოვიხსენიებდით.

იოსებ ჩოდრიშვილი, როგორც პიროვ-

ნება, ძალზე თავისებური იუმორით და გამორჩეული ქმედებებით ხასიათდებოდა. უყვარდა თავისი ავტორიტეტის წარმოჩენაც. გადმოცემით მსმენია, რომ თურმე, მოსკოვში, მინისტრთა საბჭოს მთავარ სამმართველოში, როდესაც მაღალი თანამდებობის პირებთან თათბირს ატარებდა, მოულოდნელად კრემლის სამთავრობო წითელ ტელეფონს წამოავლებდა ხელს, ფეხზე მკვირცხლად წამოხტებოდა და ყურმილში დიდი მოკრძალებით წარმოთქვამდა: „დიახ, გისმენთ იოსებ ბესარიონის ძევ!“. ამ დროს კი თათბირის მონაწილეები, უნებლიერ, სკამებიდან დგებოდნენ და, სმენად გასუსულებს, ტანში ქრუანტელი უვლიდათ.

ასევე, არცთუ იშვიათად, იოსებს ახასიათებდა თავის კაბინეტში მისულ სტუმრებთან, განსაკუთრებით ქალბატონებთან, თავის მოწონება და ვინმეს გაცეცურაკება. ყვებოდნენ, რომ ერთხელ, ასეთ ვითარებაში, გამოუძახებია თავისი აპარატის თანამშრომელი გერონტი ზარქუა და უთქვამს: „ერთი შენა გერონტი, აი ის აკადემიკოსები, მინდორში პეპლებს რომ დასდევენ და ტყეში ჯირკვებს ითვლიან, ნიკო კეცხოველი და ვასილ გულისაშვილი, დაიბარე შენთან, შენებურად შეახურე და მერე მე მომგვარეო“. ამ დროს გერონტი თურმე სიცილს ძლივს იკავებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ სინამდვილეში ჩოდრიშვილს მათი ჩოდილებისაც კი ეშინოდა და მათთან პაქტობას ყოველთვის თავს არიდებდა.

იმხანად ჩოდრიშვილს სისტემაში ჰყავდა მის მიერ გამორჩეული, სამი უძლიერესი საეციალისტი: სამმართველოს (კომიტეტის) მთავარი მეტყევის მოადგილე ფარვიზ მეგრელიშვილი, სამმართველოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილე – კოტე სიხარულიძე და თეთრიშვიაროს სატყეო მეურნეობის დირექტორი – ავთანდილ ტყეშელაშვილი.

ეს სამივე პიროვნება მას ძლიერ მოსწონდა, განსაკუთრებით ფარვიზ მეგრელიშვილი. მეგრელიშვილს ხშირად ეუბნებოდა, რომ შენ იქნები ჩემი შემცვლელი. ამ ახალგაზრდებსაც აუვარდათ თავში უფროსის ქება-დიდება და, ეშმაკის ცდუნებით, ნაადრევად მოინდომეს ჩოდრიშვილის თანამდებობიდან ჩამოგდება.

მათ შეიმუშავეს გეგმა და დაადგინეს, რომ ფარვიზი გახდებოდა ჩოდრიშვილის შემცვლელი, ე.ი. სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ტყეშელაშვილი – რესპუბლიკის მთავარი მეტყველე – ვახტანგ გომელაურის ნაცვლად, ხოლო კოტე სიხარულიძეს წილად ხვდებოდა საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს მაშინდელი უფროსის – ვართან ჯებეიანის, საკმაოდ მსუებ აღილი. ამ მხაკვრული ჩანაფიქრის ყველა წვრილმანებზე თავს აღარ შეგაწყენო, რადგან ნათქვამია, ყველაფერი როგორც არ იჭ-მევა, ისე არ ითქმევაო.

მოგახსენებო ზოგიერთი დეტალის შესახებ: ერთხელ, რესტორანში, ერთობლივი პურის ჭამის შემდეგ, სადაც ჩოდრიშვილიც მიიპატიუებს, მას გადაუდეს, მეტად უხერხული, ფოტოები ერთერთ ქალბატონთან. ეს მამხილებელი მასალები მოხვდა ცენტრალურ კომიტეტში და დაიდო ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის – ვასილ მეავანაძის მაგიდაზე. მეავანაძემ გაარკვია, რომ ეს იყო ე.წ. „ჩაწყობილი საქმე“. მან შეინდო ჩოდრიშვილი, როგორც საკავშირო დონის დამსახურებული, ნომენკლატურული მუშაკი და დატოვა თანამდებობაზე, მაგრამ მოითხოვა შეთქმულების მონაწილეობა დასჯა. ამას მოჰყვაის, რომ მეგრელიშვილმა გაუფრთხილებლად დატოვა თანამდებობა და გავიდა რესპუბლიკიდან (გადაბარგდა მოსკოვში), ხოლო ტყეშელაშვილი და სიხარულიძე დაემშვიდობნენ თანამდებობებს. იოსებ ჩოდრიშვილი კი, ამ ამბის

შემდეგ, კიდევ საკმაო ხანს მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე და უმწიფ-ვლოდ ემსახურებოდა ტყეების აღდგენა-გაჯანსაღების კეთილშობილურ საქმეს. გარკვეული ხნის შემდეგ, ფარვიზიც დაბრუნდა საქართველოში, კოტემ და ავთანდილმაც დაიბრუნეს სისტემაში ხელმძღვანელი თანამდებობები, რადგან ისინი დარგისთვის მართლაც უაღრესად საჭირო პიროვნებები იყვნენ. შეცდომა კი ყველას მოსდის, რადგან ნათქვამია, უშეცდომო ადამიანი არ არსებობს.

## მიტროზანე პულკა

მიტროფანე კუჭავა, როგორც მაკარ ჯაში, გამობრძმებილი პარტიული მუშაკი იყო. ის ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა პარტიის რაიკომის მდივნად (გაგრა, ზუგდიდი), შემდეგ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ და ბოლოს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

მიტროფანე კუჭავა იყო მეტად შრომისმოყარე, მომთხოვნი, თანამშრომლებისადმი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. ახასიათებდა საკითხებისადმი დრმაწვდომის დიდი უნარი.

მე მასთან, სატყეო მეურნეობის კომიტეტში უშუალოდ აპარატში, არ მიმუშავია, მაგრამ წლების მანძილზე ვიყავი წყნეთის სატყეო უბნის უფროსი, სადაც კუჭავას დიდი, სააგარაკო სახლი ედგა. ის თითქმის ყოველთვის აქ ისვენებდა და სამსახურშიც აქედან დადიოდა. მას გააჩნდა განსაკუთრებული თვისება დაბალოებოდა ადამიანებს, გასაუბრებოდა საინტერესო საკითხებზე. მახსოვს, კვირა დღე იყო. მისი აგარაკის ახლოს ჩავიარებატონმა მიტროფანემ შემნიშნა და თავისთან მიხმო. გამომკითხა სატყეო ამ-

ბები. იმ დღეს მეტად საინტერესო მატჩი იმართებოდა ფეხბურთში, საბჭოთა კავშირის თასზე მოსკოვში ერთმანეთს ხვდებოდნენ თბილისის „დინამო“ და ერევნის „არარატი“. კუჭავა მეკითხება, შენი აზრით ვინ მოიგებს დღეს ამ თასსო. მე, რა თქმა უნდა, დავუსახელე თბილისის „დინამო“. როდესაც კითხვა გამიგრძელა, რა საფუძველზე ამბობ ამასო, მივუგე, რომ თბილისელები უკეთეს ფორმაში არიან და კარგადაც თამაშობენ-მეთქი. მომყავს მისი პასუხი ზუსტად (რამდენადაც ადგადგინე მეხსიერებაში): „... საქმე მაგაში არ არის კარგად თა-მაშობენ თუ ცუდად, საქმე იმაშია, რომ თბილისში ამჟამად გაიხსნა განახლებული დინამოს სტადიონი, და რაც მთა-ვარია, მას დაერქვა ლენინის სახელობის, სწორედ ეს არის მიზეზი“. გაიხსენა ასეთი ეპიზოდი: „1956 წელში, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე აუცილებლად უნდა ეთამაშათ, ფეხბურთის ფინალში, მოსკოვის ნაკრებს და საქართველოს ფეხბურთელთა გუნდს. მე ვხელმძღვანელობდი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების გამოსვლებს სპარტაკიადაზე. მატჩის წინ სპარტაკიადის ხელმძღვანელობამ დამიძახა და მითხრა, რომ ანგარიში იქნებოდა 2:1 მოსკოველ-თა სასარგებლოდ, რაც სინამდვილეში ასეც მოხდა“. იმ დღეს მან აგრეთვე მი-ამბო, დიდი სამამულო ომის დროს თუ როგორ გადაარჩინა ბიჭვინთის უნიკალური ტყე გაჩეხვას.

1942 წელია. კავკასიონის უდელტეხილზე გერმანელ ფაშისტებთან სისხლის-მდვრელი შეტაკებები მიმდინარეობს. ერთერთ გენერალს, სამხედრო ინტერესებისათვის, გაუცია განკარგულება ბიჭვინთის ნაკრძალი ტყის გაჩეხვის შესახებ. ეს ამბავი სასწრაფოდ შეუტყობინებია მიტროფანე კუჭავასთვის (მაშინდელ გაგრის რაიკომის მდივნისთვის) რაიონის სახელმწიფო უშიშროების უფროსს –

გიორგი (ხუბა) ხუფენიას. მადალი სიხშირის ტელეფონით კუჭავა იქვე დაკავშირებია საქართველოს ცენტრულ მდივანს – კანდიდ ჩარგვიანს, რომელსაც როგორც ამიერკავკასიის სამხედრო საბჭოს წევრს, უთხოვია ფრონტის სარდლისთვის, რათა ხელი აედოთ ამ საქმეზე. ფრონტის სარდალს გამოუგზავნია კომისია და როდესაც კომისიის თავმჯდომარეს დაუთვალიერებია ბიჭვინთის ტყე, ბუნების ეს უდამაზესი ქმნილება, უხმია განკარგულების გამცემი ჩინოსანი და გაუფრთხილებია, რომ ამ ხეობაში ვინც, თუნდაც ერთ ხეს მოტრის, მე მას ჩემი ხელით თავს წავაჭროთ. აი, ასე გაურჩა უნიკალური ბიჭვინთის ტყე გაჩეხვას.

ბოლოს ბატონმა მიტროფანემ ასაკი მკითხა. მივუგე, რომ შემისრულდა 42 წელი. მან ერთი შემომხედა თავისი გამჭოლი მზერით და მითხრა, რომ ზუსტად ამადენი წელი ემუშავა მაღალ თანამდებობებზე, მაგრამ აქედან სამი დამამახსოვრდა, რომელსაც მე ვთვლი შემოქმედებით სამუშაოდო და ჩამოთვალა – თბილისის ორთქლმაგალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორობა, გაგრის რაიკომის მდივნობა და სატყეო დარგის ხელმძღვანელობა.

მინდა გავისხმო ერთო პატარა ეპიზოდი. ჩემი წევნეთის სატყეოს უფროსად დანიშვნის შესახებ. მიხმო კაბინეტში კუჭავამ და გამომიცხადა, რომ ვინიშნებოდი წევნეთის სატყეოს უფროსად. აქვე დასძინა, რომ ეს ჩემ ახლანდელ თანამდებობასთან შედარებით დაქვეითებაა (რადგან მწვანე ზონის სამმართველოში განყოფილების უფროსი ვიყავი), მაგრამ საქმით გაცილებით მეტია შენს ახლანდელ მოვალეობაზეო. დამიწყო მორალის კითხვა, თან შეგადაშიგ, საერთოდ, მეტყველებზეც მიაყოლა: „უინტერესონი და დაუდევრები ხართო“. მეტად რომ შემოგვიტია, ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ მივუგე, რომ სამაგიეროდ მეტყველები

ვაჟგაცები და პურმარილის მოყვარული ხალხი არის-მეთქი.

ბატონი მიტროფანე თითქოს წამით შეკრთა, თავისი განგმირავი გამჭოლი თვალებით შემომხედა, ხელები თითქოს გაუშეშდა, მერე გაოცებულმა, წამსევ მოწერა ხელი ჩემი დანიშვნის ბრძანებას და გამომიშვა.

მიტროფანე კუჭავას, როგორც გამორჩეულ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, ახასიათებდა აზრის ლაკონურად, მარტივად ჩამოყალიბება, პირდაპირობა და დამაჯერებლობა.

1970-იანი წლების შუახანებში, მისი სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობის დროს, დაისვა საკითხი საკავშირო ორგანოების წინაშე რესპუბლიკაში ტყის სამრეწველო ჭრების ოდენობის საგრძნობლად შემცირების შესახებ. რესპუბლიკური ორგანოების მოთხოვნა არგუმენტირებული იყო გადამეტებული ჭრების შედეგად, ჭრაგავლილ ფართობებზე და მიმდებარე ტერიტორიებზე ეროზიული პროცესების მომძლავრებით, გახშირებული წყალდიდობებით, მეწყერებით და სხვა. ოუმცა, საკავშირო სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე – ვორობიოვი ძალზე გაჯიუტდა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარსადგენ სათანადო დოკუმენტს ვიზას არ აძლევდა.

მაშინ კუჭავამ გამოატანინა დადგენილება სამრეწველო (ე.წ. მთავარი სარგებლობის) ჭრების სათანადოდ შემცირების შესახებ, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს და გადაუგზავნა ვორობიოვს მოსკოვში. საკითხი განიხილა სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომი-

ტეტის გაფართოებულმა კოლეგიამ, რომელზეც მიწვეულ იქნენ რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელებთან ერთად, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებიც.

ვორობიოვმა სხდომაზე გაახმოვანა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, მაგრამ მიუხედავად ყველფრისა, თანხმობაზე მაინც უარი განაცხადა. მაშინ კუჭავამ ჩაიდინა, იმ დროისთვის, უპრეცედენტო ქმედება. სთხოვა სიტყვა თავმჯდომარეს, ავიდა ტრიბუნაზე, მიუბრუნდა ვორობიოვს და პირდაპირ მიახალა: „ამხანაგო ვორობიოვ, ნუ გავიწყდებათ, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციით საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც პყავს დამოუკიდებელი, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო. სწორედ სუვერენული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გამოიტანა ასეთი დადგენილება და თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ მისი შესრულება!“. ამან დარბაზში აუთიტაჟი გამოიწვია და აქა იქ ტაშის ხმაც გაისმა. საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე იძულებული გახდა დათანხმებულიყო და შესაბამისი თხოვნით შესულიყო სსრკ მინისტრთა საბჭოში საკითხის დადებითად გადაწყვეტის თაობაზე.

ასე შემცირდა საქართველოში მთავარი სარგებლობის წლიური საანგარიშო ტყეკაფი მილიონშვიდასიათასიდან ნახევარ მილიონ კუბმ-მდე.

ასეთია, მოკლედ, ჩემი მოგონებები (უფრო სწორედ მეხსიერებას შემორჩენილი ზოგიერთი ეპიზოდი) საქართველოს ტყეების მართვის სადავეებთან მდგომი სამი პიროვნების შესახებ.

## VII. საქართველოს ტეატრის და საზოგადო საქმის მრავალენი



გერმოგენ ბრებეგაძე  
(1894-1987 წ.)

საქართველოში სწავლულ მეტყევე-  
მეცნიერ-პედაგოგთა პირველი თაობის  
თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეტყევე-  
სპეციალისტთა მრავალი თაობის  
აღმზრდელი

ქალიშვილების ოჯახურ ალბომში მი-  
ვაკვლიეთ უნიკალურ ფოტოსურათებს,  
რომელთა შორის ერთერთზე გამოსა-  
ხლია სპირიდონ ბრეგვაძე თავისი ოთ-  
ხი გაუშვილით (ფოტო 2).

მიმდინარე წელს 120 წელი შესრულ-  
და საქართველოს სწავლულ მეტყევე-  
მეცნიერ-პედაგოგთა პირველი ეროვ-  
ნული კადრების შესანიშნავი წარმომად-  
გენლის, მეტყევე-სპეციალისტთა და მეც-  
ნიერ-მუშაკთა მრავალი თაობის აღმზრ-  
დელის – გერმოგენ სპირიდონის ძე  
ბრეგვაძის დაბადებიდან.

გერმოგენ ბრეგვაძე დაიბადა 1894  
წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ვაჭევ-  
ში, მრავალშვილიან ოჯახში (მას პყავდა  
სამი და და სამი მმა). მამამისი, სპირი-  
დონ პეტრეს ძე ბრეგვაძე, დაბადებულია  
სოფელ ძოდში. სწავლა მიუღია ქუთაი-  
სის სასულიერო სასწავლებელში. ერთ-  
ხანს სოფლის მასწავლებელი ყოფილა...  
შემდეგ ზესიძედ შესულა სოფელ ვაჭე-  
ვის მდგდლის – სპირიდონ ცერცვაძის  
ოჯახში. ცოლად შეურთავს ქეთევან სპი-  
რიდონის ასული ცერცვაძე. სიმამრის  
გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის ცნო-  
ბილ, გაბრიელ ეპისკოპოსს, მდგდლად  
უკურთხებია. ღვთისმსახურებას წარმარ-  
თავდა ჯერ ზედა რგაში, ხოლო შემდეგ  
სოფელ – ვაჭევში. გერმოგენ ბრეგვაძის



### ფოტო №2

სპირიდონ პეტრეს ძე ბრეგვაძე – თავისი  
ოთხი გაუშვილით.

შუაში – თვითონ სპირიდონ ბრეგვაძე;  
მამის მარჯვნივ, ნაპირში ზის ნიკოდიმე,  
უფროსი ვაჟიშვილი – ქუთაისის სემინარიელი;  
ნიკოდიმეს და მამის შუა დგას – იაიროსი,  
სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე;

მამის მარცხნივ, მამის ბეჭჩე ხელდა-  
დებული – ამბოსი (კოწია) – სასულიერო  
სასწავლებლის მოსწავლე;

მამის მარცხნივ, ამბოსის წინ დგას  
უმცროსი (უმრწემესი) გაუი გერმოგენი –  
5-6 წლისაა.

გერმოგენის უფროსი ძმა ნიკოდიმე (ფოტო 3) დაბადებულია 1884 წელში. სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს რევო-  
ლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის  
გამო. დაპატიმრებას ჯარში წასვლით  
აარიდა თავი. ნიკოდიმე აქტიურად მო-  
ნაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში,  
რის გამოც უანდარმებმა დაუწვეს მამა-  
პაპისეული სახლი ვაჭეში, მონაწილე-  
ობდა პირველ მსოფლიო ომში; შემდეგ  
ჩაება 1917 წლის რევოლუციურ პროცე-  
სებში; იყო წითელი არმიის კორპუსის  
კომენდანტი. მოგვიანებით დაუმთავრე-  
ბია კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი  
სატყეო განხრით. საბჭოთა ხელისუფ-  
ლების დამყარების შემდეგ მუშაობდა  
რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებში  
სხვადასხვა პასუხესაგებ თანამდებობებზე.  
იყო სატყეო მრეწველობის სახალხო  
კომისარი. 1937 წელში რეპრესირებული  
იქნა.

მომდევნო ძმებმა, იაიროსმა და ამბო-  
სიმ, დაამთავრეს ქუთაისის სასულიერო  
სემინარია. ამბოსი ადრე დაოჯახდა  
და გადავიდა საცხოვრებლად ჭიათუ-  
რაში. იაიროსი იყო ბოლო მღვდელი  
სოფელ ვაჭეში. სოფელში იხსენებენ,  
რომ ის იყო არამარტო მრვდელმსახური,  
არამედ სოფლის ექიმიც (მკურნალობდა  
მცენარეული ნაკენებით), მოსამართლეც,  
და საერთოდ, სოფლის ბრძენი, ჭკუასა-  
კითხავი პირვენება.

გერმოგენი, დაწყებითი განათლების  
დასრულების შემდეგ, ჩარიცხულა ქუ-  
თაისის კლასიკურ გიმნაზიაში და  
1917 წელში წარმატებით დაუმთავრე-



### ზოთო 3 – ნიკოდიმე ბრეგვაძე

ბია მისი სრული კურსი. 1918 წელში  
მას სწავლა გაუგრძელებია ახლადდაარ-  
სებულ ქართულ უნივერსიტეტში ისტო-  
რია-ფილოლოგიის განხრით, ხოლო შემ-  
დგომ შეუცვლია პროფესია და, უფროსი  
მმის, ნიკოდიმეს რჩევით გადასულა, დიდი  
ქართველი მეტყველე-მეცნიერის სოლომონ  
ქურდიანის მიერ ამავე უნივერსიტეტში  
ახლადგახსნილ, აგრონომიული ფაკულ-  
ტეტის სატყეო განყოფილებაზე. ის, 1925  
წელში, წარმოებისაგან მოუწვევილივ,  
წარმატებით ამთავრებს უნივერსიტეტის  
სატყეო განყოფილებას და ენიჭება სწავ-  
ლებული მეტყველის კვალიფიკაცია. აქ ხაზი  
უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გერ-  
მოგენი, სატყეო განხრაზე სწავლის პარ-  
ლელურად, პროფ. სოლომონ ქურდიანის  
რეკომენდაციით, ებმება პრაქტიკულ სა-  
ტყეო საქმიანობაში და ინიშნება თბი-  
ლისის სამთო-საკულტურო სატყეოს უფ-  
როსის თანაშემწედ. სწორედ აქ, პრო-  
ფესორ ივანე იოსების ძე როშხინის  
ხელმძღვანელობით, ის იწყებს, სამთო  
პირობებში, ტყის აღდგენა-გაშენების  
როული და კეთილშობილური ეკოლო-  
გიური საქმიანობის დაუფლებას.

გერმოგენ ბრეგვაძე, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, აქვე, სამთო-სა-კულტურო სატყეოში, ინიშნება სატყეო უბნის გამგედ. ამავე დროს ხელმძღვა-ნელობს სტუდენტთა პრაქტიკულ მეცა-დინეობებს ასისტენტის და ლექტორის რანგში.

1930 წელს გერმოგენ ბრეგვაძეს აწი-ნაურებენ მიწამოქმედების სახალხო კომისარიატში. ამავე წელს მას იწვევენ ახლადგახსნილ თბილისის სატყეო-ტექ-ნიკურ ინსტიტუტში ასისტენტ-ლექტორად, ხოლო სამთო-სატყეო მელიორა-ციის საკითხებზე საკანდიდატო დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვის შემდეგ, 1934 წელში, ირჩევენ დოცენტად.

1944 წელში გერმოგენ ბრეგვაძე სა-თავეში ჩაუდგა საქართველოს სასოფლო სამეცნიერო ინსტიტუტის სატყეო ფაკულ-ტეტის ტყის კულტურების და სატყეო მელიორაციის კათედრას, სადაც ის უმ-წიკვლოდ და თავდადებით ემსახურა მე-ტყევე-სპეციალისტების აღზრდის საქმეს, ოცდაათ წელზე მეტი წელის მანძილზე, აქნიაზე გასვლამდე.

გერმოგენ ბრეგვაძის პირველ ნაშრომ-თა შორის გამოირჩევა მის მიერ შექმნი-ლი ფუნდამენტური სახელძღვანელო „ტყის კულტურა“ (1963წ.), რომელზეც აღიზარდა ქართველ მეტყევეთა მრავალი თაობა. ასევე, მისი აღრევული ნაწერები-დან, დიდ ყურადღებას იმსახურებს, 1931 წელში გამოცემული მეოთხეურ-პრაქტი-კული მიმართულების ნაშრომი „ტყის მოვლა-გაშენება“.

გერმოგენ ბრეგვაძის სხვადასხვა სა-მეცნიერო შრომები, ტყის აღდგენა-გა-შენების, ასევე ქარსაფარი ზოლების, სატყეო პლანტაციების შექმნის და სხვა საკითხებზე, სხვადასხვა წლებში, გამოქ-ვეყნებულია საქართველოს სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და თბილისის სატყეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-ტუტის შრომათა კრებულებში.

ასევე მეტად საინტერესოა გერმოგენ ბრეგვაძის მიერ, 1950-იანი წლების მეორე ნახევარში, სასოფლო-სამეცნიერო ინსტი-ტუტში გამომავალ მაშინდელ გაზეთში „საბჭოთა აგრონომი“ (შემდგომში „გუთ-ნის დედა“), გამოქვეყნებული ნარკვევები ქართული ტყის, მისი უნიკალური სახეო-ბების ბიოეკოლოგიის, გაშენების და მოვ-ლის წესების შესახებ. აქვე აღვნიშნავთ, რომ მან, როგორც საქართველოს ისტო-რიის და ქართული ლიტერატურის სა-ფუძვლიანმა მცოდნემ, რამდენიმე ორიგი-ნალური გამოკვლევა მიუძღვნა ტოპო-ნომიკის საკითხებს. ამ მიმართებით, დღვ-ვანდელი გადასახედიდან, განსაკუთრებით გამოვარჩიეთ დიდი სულხან-საბა-ორბელიანის დაბადების 300 წლის იუ-ბილესადმი მიძღვნილი სტატიების ციკ-ლი (1958 წ.), რომელსაც ამავე პერიოდში, გაზეთ „საბჭოთა აგრონომი“ გამოქვეყ-ნებულ, მის თრ სხვა შესანიშნავ ნარკ-ვევთან ერთად („საქართველოს ტყე“, „თბილისი-წალკობი“, ვთავაზობთ მკით-ხველს სრული სახით ქურნალის ამავე ნომერში).

გერმოგენ ბრეგვაძე, როგორც მეტყეუ-პედაგოგი და მეცნიერ-მკვლევარი, დიდი მაულიშვილის, საქართველოს სატყეო განათლების და მეცნიერების ფუძემ-დებლის – სოლომონ ზაქარიას ძე ქურ-დიანის ძალისხმევით და ხელმძღვანე-ლობით ჩამოყალიბდა. სოლომონ ქურ-დიანის ეს დიდი ამაგი გერმოგენ სპირ-იონის ძეს არასდროს დავიწყნია და მუდამ დიდი სიამაყით ლაპარაკობდა ამის შესახებ. თავის დიდ მასწავლე-ბელზე მან დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონება, რომელიც გამოქვეყნდა 1973 წელში, სოლომონ ქურდიანის დაბადე-ბის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, თბილისის ტყის ინსტიტუტის შრომათა კრებულში.

ამ მიმართებით, მართლაც, დიდი მად-ლობა უნდა მოვახსენოთ გერმოგენ ბრე-

გვაძის შთამომავლებსაც, რომლებმაც, ზემოთ გამოსახულ ფოტოებთან ერთად, ოჯახურ ალბომში შემოგვინახეს საქართველოს სატყეო მეურნეობის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი, უნიკალური ფოტოსურათი – გადაღებული თბილისის (ორთაჭალის) სამთო-საკულტურო სატყეოში. სურათზე გამოსახულია პროფესორი სოლომონ ქურდიანი თავის ახალგაზრდა ასისტენტ, სწავლულ მეტავარ გერმოგენ ბრეგვაძესთან ერთად. სურათის მეორე გვერდზე გაკეთებულია წარწერა, გერმოგენის საქუთარი ხელით, რომელსაც გთავაზობთ ამ ფოტოსურათან ერთად (ფოტო 4).



#### ზოთო 4 მა და ჩემი პროფესორი

სურათი გადაღებულია 1925 წელს თბილისის სამთო-საკულტურო სატყეოში.

მარცხნივ – პროფესორი სოლომონ ზაქარიას ძე ქურდიანი ხოფ. საგარეჯოდან – ქართული უნივერსიტეტის დამარსებლის, ივანე ჯავახიშვილის თანამდგომი, ტყის მცოდნეობის პირველი ქართველი მეცნიერი, მოძღვარი და შემოქმედი. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო, აგრონომიული და სატყეო ფაკულტეტების ფუძემდებელი და პირველი დე-

კანი, პირველი ტყის სელექციონერი რუსეთსა და საბჭოთა კავშირში, გამოჩენილი დენდროლოგი, დენგროლოგიის სახელმძღვანელოს პირველი დამწერი ქართულად და რუსულად და ა.შ.

მარჯვნივ – სწავლული მეტყევე 1925 წლიდან, ქართული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (წარმოებიდან მოუწყვეტლივ), თბილისის სამთო-საკულტურო სატყეოს მუშაკი 1922 წლიდან, ხოლო 1925 წლიდან პრაქტიკის ხელმძღვანელი ასისტენტი, ლექტორი, დოკტორი და ბოლოს, 1944 წლიდან ტყის კულტურისა და სატყეო მელიორაციის კათედრის გამგე 1975 წლამდე – პენსიაზე გასვლამდე.

მოკლედ წარმოგიდგენთ გერმოგენ სპირიდონის ძის ოჯახურ გარემოს. ის საქმაოდ გვიან დაქორწინდა. მისი ცხოვრების თანამგზავრი გახლდათ შესანიშნავი ქალბატონი – ნინო დაშნიანი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი, პიგიენის კათედრაზე. მათ შეეძინათ ორი ქალიშვილი. უფროსი გულბარა (გულიკო) იყო მედიცინის დოქტორი. სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სწეულებათა კათედრის დოცენტი. უმცროსი ქალიშვილი – მზია, ასევე მედიცინას დაეუფლა, მოიპოვა სამეცნიერო სარისხი (მედიცინის დოქტორის). წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის რესპუბლიკურ ბაქტერიოფაგში, ხოლო შემდგომ – პარაზიტოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. მათ ოჯახში აღიზარდა შესანიშნავი თაობა, რომლებიც ამჟამად ნაყოფიერად მუშაობენ სხვადასხვა სფეროებში, კერძოდ, უფროსი შვილიშვილი – ზურაბ ნიკოლაიშვილი მოღვაწეობს აკუსტიკური ეკოლოგიის მიმართულებით, გიორგი ნიკოლაიშვილმა დაამთავრა მაგისტრატურის ორი სხვადასხვა კურსი, შვედეთში ბიზნესის ადმინისტრირებისა და

მათემატიკური მოდელირების განხრით. ამჟამად მუშაობს თავდაცვის სამინისტროში. ნინო მურცხვალაძე ეწევა პედაგოგიურ მოდვაწეობას, არის ინგლისური ენის სპეციალისტი. დავით მურცხვალაძემ დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი.

იმრავლოს, იხაროს და იბედნიეროს გერმოგენ სპირიდონის ძე ბრეგვაძის შთამომავლობამ.

გერმოგენ ბრეგვაძემ, ამ მართლაც გამორჩეულმა მამულიშვილმა და დიდმა პატრიოტმა, მეტად ჯანსაღი ცხოვრებით იღვაწა, იცხოვრა ცხრა ათეულზე მეტი წელის მანძილზე. პენსიაზე გასვლამდეც,

და განსკუთრებით, პენსიაზე გასვლის შემდეგ, ხანგრძლივად, ენერგიულად წარმართავდა, მის საყვარელ ვერის ბალში, მის მიერვე ორგანიზებულ ვეტერანთა საბჭოს საქმიანობას. გარდაიცვალა 93 წლის ასაკში (1987 წ.).

მიგვაჩნია რომ გერმოგენ სპირიდონის ძე ბრეგვაძის უმაღლესი პროფესიონალიზმით აღსავსე საქმიანობის, მისი ნაშრომ-ნადვაწის წარმოჩენა და ახლებურად გააზრება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, დღევანდელ კრიზისულ ეკოლოგიურ კითარებაში, საქართველოს ტყეების აღდაგენა-განახლების და პროდუქტიულობის აღორძინების კეთილშობილურ საქმეს.

## რევაზ ობოლაძე

## გერმოგენ ბრეგვაძე

### 1. საქართველოს ტყე\*

საქართველოს მიწა-ტყეის მესამედი ტყეს უკავია. იგი ჩვენი სამშობლოს ცოცხალი ბუნებრივი სიმდიდრე და ხელთუმნელი სამკაულია. ტყე ჩვენი მზიური ქვეების მწვანე სამოსელია. იგი უეცრად ამტყედარ ბუნებრივ ძალებს – ქარგრიგალს, წყალდიდობას, ზვავს – ბოჭავს. იგი იცავს მოსახლეობას, მის სახლ-კარს, ბაღ-ვენახებს, ჭირნახულს, ცხოველს, ფრინჯელს. ტყე იფარავს ნიადაგს ჩამორეცხვა-დახრამვისაგან.

ტყე ასუფთავებს და აჯანსაღებს ჰაერს, აზომიერებს ჰავას. ტყეა სათავე და დამ-ბადებელი ანკარა წყაროებისა და დელფ-მდინარეებისა.

სის მერქანი ადამიანის მრავალ საარ-სებო საჭიროებას აკმაყოფილებს. მისი მნიშვნელობა ამჟამად საქალალდე ნედ-ლეულის (ცელულოზის) წარმოქმნაშიც დიდია.

ტყე უძველესი დროიდან ადამიანის განუყრელი მეგობარი და არსებობის ერთერთი წყაროა. რაც უფრო წინ მიდის კაცობრიობის კულტურა, მისთვის მით უფრო ძვირფასი ხდება ტყე.

მრავალსაუკუნოვანი არსებობის გან-მავლობაში ქართველი ხალხის ტყი-საღმი დამოკიდებულება სხვადასხვა-გვარად აღინიშნება. ჩვენ არაფერს ვიტ-ყვით პირველყოფილ პერიოდზე, როდე-საც ადამიანის ერთერთი ძირითადი საც-ხოვრებელი და საარსებო გარემო ტყე იყო. იგი ტყის ნაყოფ-ხილ-კენკრას, ტყის სოკოს შემყურე-მომლოდინე იყო.

წარმართობის ხანაში მრავალ სხვა დავთავებათა შორის ჩვენში ტყის დამატება

– კულტიც კი არსებობდა. შერჩეული ხისა და ტყის კორომის ირგვლივ დღეო-ბებზე გარკვეული რიტუალი სრულდებოდა.

ქრისტიანულმა რელიგიამ ხის კულტს ბრძოლა გამოუცხადა. გაზაფხულის ერთ დღეს გალავანში შეკრებილი ხალხი შერჩეულ მოზარდ ხეს ერთობლოვი ძალით იმდენ ხანს არსევდა, ვიდრე ძირიან-ფესვიანად არ ამოაგდებდა. შემდეგ მას ზურგზე გადაიდებდნენ და გალავანს გარეთ გაიტანდნენ. ამით ეს რიტუალი მთავრდებოდა.

ქრისტიანობის ეპოქაში ხის კულტი „ხატის ხემ“ თუ „ხატის ტყემ“ შეცვალა. ასეთ ხეს თუ ტყეს, სიკვდილის ან სხვა უბედურების გამო ხელს ვერავინ ახლებდა.

მწერალ ნიკო ლომოურს ცაცხვის კულტი კარგად აქვს ასახული ერთერთ მოთხოვნაში.

ცაცხვისადმი პატივისცემა ახლაც მრავალგანაა შემორჩენილი. სოფელ ჯახუდწერში (ლენტეხის რაიონი) დღემდე დაცულია 4 მეტრი დიამეტრის ცაცხი. ჩხუბელში (ცაგერის რაიონი) დიდ ცაცხეს უკლის ორი მოსახლე – ჭიჭინაძეები. რკონში (კასპის რაიონი) გადმოცემით ცაცხვი ეკუთვნიდა თარხ-ნიშვილთა გვარეულობას და მას უდიქ-რად არავინ ექცეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა ხის დამატებას უარყოფდა, ტყის დიდ მნიშვნელობას მაინც აღიარებდა. ამის გამოა, რომ სამონასტრო აღგილების არ-ჩევისას ერთ-ერთი მთავარი ყვრადღება

\*გაზეთი „საბჭოთა აგრონომი“. 1958 წ. ოქტომბერი, №20

ტყის არსებობას ექცეოდა. ამ მხრივ ჩვენს ძველ აგიოგრაფიულ მწერლობაში ტყეზე მრავალი საყურადღებო რამ წერია.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდი გულისხმიერებით აღწერს ტყიან ადგილებს და თუ სადმე იგი დაღუპულა, ამას გულის ტკივილით აღნიშნავს: „ამათ მშვენიართა ადგილთა... არს ტყე უხვებით და საშვებელი ყოველი...“

საქართველოს პირველი სტამბის დამაარსებელი ვახტანგ VI თავის ერთერთ ლექსში ასე მოუწოდებს: „სახელის ხე საჩრდილებლად წელისა პირსა სადმე დარგე“.

დიდი ქართველი მეცნიერი ვახტანგი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიულ თხზულებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის მთა-ბარის დაწვრილებით აღწერისას ტყეს დიდ ადგილს უთმობს.

უძველეს სიგელ-გუჯრებში მიწის გადაცემის დროს, როგორც წესი, უსაოთოდ ტყეც აღინიშნებოდა.

ქართველი ხალხის სიყვარული ტყისადმი კარგად გამოხატეს ჩვენმა მწერლებმაც:

„ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი“ – ამბობს უკვდავი შოთა რუსთაველი.

„მოგესალმებით ქედებო,

მომაქეს სალამი გვიანი, ჩემსა საფლავსამც ამკობდეს თქვენი დეკა და დვიანი“, – ტოვებს ანდერძს გაუაფშაველა.

„მორბის არაგვი არაგვიანი, თან მოსმახიან მთანი ტყიანი“ – გვამცნობს ნ. ბარათაშვილი თვალწარმტაც არაგვის ხეობას.

მთის ტევრებმა დააწერინა მშვენიერი ლექსი ილიას „ტყემ მოისხა ფოთოლი“.

„არის ადგილი, მის მშვენებას ვერ აღწერს კაცი“ – ნათქვამია გელათზე, რომელიც მრავალ ბუნებრივ სიკეთეთა შორის მუხნარ-წაბლნარი ტყითაცაა შემკობილი.

ხალხის დვიძლ შვილთაგან ამოფრ-ქვეული ლექსები ხალხმა თავისავავ სასიმდეროდ გაიხადა. ამაშია მისი ტყესთან დამოკიდებულების მნიშვნელობა. ძნელია უმღერო გაშიშვლებულ მთას, გადახუკულ უდაბნოს, ტყით მოსილი არქ-მარე კი მგოსანში პოეტურ განწყობილებას ქმნის.

ჩვენს დროში ტყისადმი დამოკიდებულება მეცნიერულადაა შესწავლილი. საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერება, კერძოდ კი ტყეთმცოდნება, ტყეს ბუნებაში დიდ როლს აკუთვნებს.

ტყის ქართველ მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ აკადემიკოს ვ. გულისაშვილის ხელმძღვანელობით ჩვენი მთისა და ბარის ტყეები, ტყის კულტურა გულმოდგინედ იკვლევა. არსებული ტყეების მოვლა-დაცვის, მოხმარებისა და მოჭრილის ადგილზე ახალი ტყის აღორძინების წეს-ხერხი ყალიბდება. ასევე მუშავდება ტყის ხელოვნური გაშენების გონივრული წესები.

თუ ძველად ჩვენი დედაქალქი თბილისი ირგვლივ ტყიან-წალკოტიანი იყო და ბედუკულმართმა ისტორიულმა წარსულმა ეს მშვენება გამოაცალა, ამჟამად იგი გამწვანების გამო უფრო სამო და ეშვიანი ხდება.

1500 წლის თბილისს აზურმუხტებს კომპაკშირისა და სოლოლაკის ფიჭვნარი ტევრი, ამშვენებს მახათასა და კუკიის ტყე-კულტურა, მთაწმინდის სტალინის სახელობის კულტურისა და დახვენების პარკი და თბილისის ზღვასთან მდებარე ახალგაშენებული 150 ჰექტარი ტყე-ბაღი. დედაქალაქის ქუჩები და მოედნები ჭადრის, კედრისა და სხვა ძვირფასი ჯიშების ხეივნებით ირთვება.

უოველი სტუდენტის, პროფესორ-მასტაგლებლის მოვალეობაა გასწიოს პროპაგანდა ტყის დასაცავად, მონაწილეობა მიიღოს მწვანე ნარგავების დაპროექტებასა და გაშენებაში, ჩვენი რესპუბლიკის დამამშვენებელი ფლორის შემდგომ აღორძინებაში.

## 2. ጥናበላይ – ባልጋዕች\*

(ეძღვნება ობილისის დედაქალაქად დაარსების 1500 წლისთავს)

საქართველოს დედაქალაქი მრავალ-გვარი ბუნებრივი და ხელოვნური სიკეთითაა შემკული. მის მნახველს პირველ-ყოვლისა ხიბლავს თბილისის ცოცხალი ბუნება. თავისი 1500 წლის დღეობას ასიათასობით ხით, ბუჩქით აზურმუხტეტებული და ვარდ-ყვავილით აფერადებულ-მორთული ეგბება.

თუ თბილისის ჰავას, ნიადაგს, ადგილ-  
თა უძველეს სახელებს (ტოპონიმიკას)  
ზეპირგადმოცემას, წერილობით წყა-  
როებსა და ბუნებრივი ტყის ახლანდელ  
მცენარეულობას ერთად შევკრიბავთ,  
ცხადი გახდება, რომ დედაქალაქი და  
მისი სანახები ოდესაც უღრანი, უდა-  
ბური ტყით ყოფილა დაფარულდა.

თბილისის შესანიშნავი პავა ტყის პავა.  
პავაში, სადაც კი ადამიანი არ სახლობს,  
ბუნებრივად ყველგან ტყე იზრდება. მისი  
ნიადაგი ტყის ნიადაგია. გამოკვლევით  
დადგენილია, რომ თბილისის პონიერი  
ნიადაგი ტყისაგან წარმოქმნილია. ქალაქის  
ირგვლივ შემოჯარულ სოფლებს უდევ-  
ლესი სახელები აქვთ: მუხათგვერდი,  
მუხარვანი, თელოვანი, თელიანწყარო  
(დიღომშია), თელეთი, შინდისი, საირმე,  
თხინვალა, ილდუნებალა. ეს სახელები ამ  
ადგოლების ტყიანობას გვამცნობენ. ჩვენი  
ძველი სალხური გადმოცემა და მწერლობა,  
სიგლე-გუჯრები და სხვა საბუთებიც ამ  
ტყიანობაზე დადგენერირდნენ.

დღეს თბილისის ძველი ტყიანობის  
ცოცხალი მოწმეებია დავითის მთა, ვა-  
რაზის სევის სათავგის მუხრან-რცხილ-  
ნარები, თელეთის მთის ჩრდილო ფერ-  
დობის ხეობებისა და კალთების მუხის,

თელისა, რცხილისა, ნეკერჩელისა, შინდისა და სხვა ჯიშთა მრავალი ჯგუფი და კორომი.

ვაზიანის მიდამოთა ხეობებში მრავალია მუხისა და თელის უზარმაზარი კუნძები, ხეები და ბუქქები.

მახათის მთის ფერდობზე მუხნარი  
ტყის შემდგომი წარმოშობის ჯაგრცხი-  
ლისა, ხეჭრელისა, ცხრატყავასა და  
გრაკლოვან-ძეგვოვანთა ნაშთებია.

ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა  
ის, რომ პიონერთა სასახლის ეზოს ამშ-  
ვენებს მრავალსაუკუნოვანი ძერმუხეა და  
მის გვერდით თვითდათესვით ამოსული  
ასიოდე წლის რამდენიმე ახალგაზრდა  
მძღვანი მუხა.

ასევე საყურადღებოა, რომ თბილისში,  
სადაც კი მიუდგომელი ხევი ან ფლატეა  
(მთაწმინდა, ფიქრისგორა, მზკვრის მარ-  
ცხენა სანაპიროს დამყურე ფლატე,  
გარაზისხევის ნამზვლევი, ლეგვთახევი)  
ყველგან ბუნებრივად ძველ თესლოვნე-  
ბიდან ფეხის ამონაყარით წარმოქმნი-  
ლი თელნარია. ქალაქის ძველ მისადგომ  
ბორცვებსა და ხრიოკ ადგილებს აქა-იქ  
აკაკის, ლვისა, თრიმლისა, თუთუბოსა და  
სხვა ბუჩქნარები ამკობენ. თბილისის  
ტყეებში იზრდებოდა და ახლაც არის  
ორი სხვადასხვა სახეობის მუხა: ჭალისა  
ანუ გრძელყუნწა და ფერდობისა ანუ  
ქართული მუხა.

გარდა ზოგიერთი სხვა ჯიშის ნეკარჩხლისა, ამ ტყეებში შერევით იზრდება ქართული ნაკარჩხალი.

მუხნარიან დრმა ხევებსა და ნიადაგებზე კავკაციურ მრავლად იდგა. თბილისის

\*გაზეთი „საბჭოთა აგრონომი“ 1958 წელი. ოქტომბერი. №23; 26.

მიდამოთა ფერდობ ადგილებზე წიწვო-  
განთაგან მხოლოდ ღვია იზრდებოდა.  
იყო სამი სახეობისა იყო: ორი ბუჩქდვია  
(წითელნაყოფა და შავნაყოფა), მესამე  
კი – ხელვია.

დავითის, თელეთის მთების კალთებზე,  
საბურთალოსა და მახათას სერებზე ხელ-  
ვია იმდენად გავრცელებული ყოფილა,  
რომ მისგან სახლები უშენებიათ.

ამავე ტყეში ხეხილ-კენკრაც ბლომად  
იყო (პანტა, მაჟალო, შავი და წითელი  
კუნძლი, თამელი, შვინდი, ზღმარტლი,  
ურძნი, ჩიტვაშლა, ფშატი).

თბილისის გასწვრივ მტკვრის დაცუ-  
მული ე.წ. „დარსიჭალა“ წარსულში ვერ-  
სხნარით იყო მოცული. თუ რას წარ-  
მოადგენდა იგი, საკმარისია ნახოთ დიღ-  
მის ჭალის ტყე და ორთაჭალაში კი  
მტკვრის შუა მდებარე ვერხვნარ-კუნ-  
ძლი.

აქედან ნათელია, რომ თბილისში  
მტკვრის ჭალის ტყის მთავარი ჯიშები  
ოფი და ხვალო იყო. მათი სიმსხო 1,5-2  
და სიმაღლე 25-30 მეტრს უდრიდა. ამ  
ჭალებში აქაიქ შერევით ბუნებრივად  
თუთაც იზრდებოდა. იქ სხვადასხვა სასა-  
რე, საკალათე ტირიფი, ფშატიც ბლომად  
მოიპოვებოდა.

ამ სახით თბილისის მიდამოთა წყლის-  
პირა ჭალები ძირითადად ვერხვნარი,  
უფრო ზედა დავაკებულ ადგილებში –  
მუხნარ-თელნარი, ფერდობებსა და ქე-  
დებზე კი – მუხნარ-ხელვიანარი იყო.

უხსოვარ დროში თბილისსა და მის  
მიდამოებში დასახლებულ ქართველთა  
წინაპრებს ხის სამშენებლო მასალა ად-  
გილზევე მოეპოვებოდათ. საფიქრებელია  
თავდაპირველი დასახლება აქ მოხდა  
ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე  
ასული საუკუნით ადრე.

ამ დროს ტყეები მართლაც უხვად  
იყო. საერთოდ ცნობილია, რომ ქალაქისა  
და სოფლის გაშენებას თან მოხდევს  
ტყის მოჭრა და ადგილის გაახოვება.

ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში,  
როცა თბილისი ქალაქიდ იქცა და ფარ-  
თოდ განაშენიანდა, ტყე თანდათან ეზო-  
კარმიდამომ, მოედნებმა, სახნავ-სათესმა  
მიწებმა და ბაღ-ვენახებმა შეავიწროვეს.

ზოგჯერ თბილისის თავდაცვითი და  
სამეურნეო მნიშვნელობის ტყეები შემო-  
სეულ მონღოლ-თურქ-სპარსო ცეცხლი-  
თა და მახვილით, მათი ჯოგებით ჩანაგ-  
დებოდა.

ერთხელ ისეც მოხდა, რომ ცარიზმის-  
დროინდელმა უვიცმა და ვიგინდარა  
მოხელემ, თბილისის ახლო შემორჩენი-  
ლი ტყე საგანგებო ბრძანებით გააჩენინა  
იმ საბაბით, ვითომ ბოროტგამზრახველთა  
თავშესაფარს წარმოადგენდა, ნამდვილად  
კი იგი თბილისელთა გარეშე მტრისაგან  
თავდაცვის საიმედო ზღუდე იყო.

თუ წარსულის ბედუკულმართობისას  
თბილისის ირგვლივ ტყეც და ქალაქიც  
ნადგურდებოდა, დროდადრო მშვიდო-  
ბისას იგი კვლავ მწვანდებოდა. ქალაქია  
და მის გარეუბნებში შენდებოდა საჩრ-  
დილობელი ხეები, ხეხილის ბაღები,  
ვენახები.

X-XII და შემდგომ საუკუნეებში არა  
ერთი ღირსშესანიშნავი ცნობა მოგვე-  
პოვება, სადაც გაკვრით მაინც ნახსენებია  
„წალკოტის“, „სამოთხის“, „ბაღის“, ფან-  
ჩატურის და ვენახის შენება. ეს აკადე-  
მიკოს ივანე ჯავახიშვილს დაწვრი-  
ლებით აქვს გამოკვლეული.

ცნობილი გეოგრაფი ვახუშტი (XVIII  
ს-ის დამდეგი) წერს: „გარემო თბილის-  
ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრა-  
ვალი. ყოვლის ხილითა და ყვავილთა  
სავსე“.

თბილისის ბოტანიკური ბაღის ქვედა  
ნაწილი ერეკლე მეორისა და მის შთა-  
მომავალთა ბაღს წარმოადგენდა. იმ  
დროიდან აქ გადარჩენილია რამდენიმე  
ძირი დიდი თუთის, კაკლის, აკაკის მრა-  
ვალსაუკუნოვანი ბერხე.

ასევე თბილისის უძველეს ეზოებსა

და ქუჩებში მოიპოვება ბევრი მრავალ-საუკუნოვანი დიდი თუთა, კაკალი, ცაცხვი, თელა.

ერთი ძირი მამაპაპური თუთა შემორჩენილია ელბაქიძის დაღმართის ახალგანშტოებაზე, რაც რუსთაველის გამზირიდან ადამიანის თვალს უნებლიერი იპყრობს. საქართველოში ძველად თუთას ორი სახელწოდება ჰქონდა: ბულა (ამჟამად იმერეთშია დაცული) და ჯაპი (გურია-სამეგრელოშია დაცული).

მსგავსი თუთაა ძერუინსკის და ბელინსკის ქუჩებზე, სოლოლაკისა და მთაწმინდის უბნებში და ზორპარკის ტერიტორიაზეც გვხვდება.

ამავე პერიოდს ეკუთვნის უდიდესი ჭადარი პლეხანოვის გამზირის №115 სახლის ეზოში. ამ ჭადრის სისქე 2, სიმაღლე 25 და ვარჯის ანუ ტოტების გაშლილობა 30-მეტრამდება. საფიქრებელია თბილისში ბევრად დიდი და ხნიერი ჭადგრები მეფეთა სასახლეების ეზოებში იდგა, მაგრამ მოსისხლე მტერმა – თურქ-საარსთა ლაშქარმა დაღუპა.

თუ რა უზარმაზარი იქნებოდა ეს ჭადრები, საქმარისია ისინი ნახოთ თელავში, ქუთაისში და აჭანდარაში (აფხაზეთში), რომლებიც დროთა ვითარებას გადაუჩნდა.

თელავის ჭადარი სისქით – 3, აჭანდარასი – 2,5 და ქუთაისისა – 2 მეტრს აღწევს.

ქუთაისის ჭადარს, რომლიც იმერეთის მეფეთა სასახლის ეზოში იდგა (ამჟამად კი წელუკიძის სახელობის ბაღშია) 307 წლის წინათ (1652) წელს რუსეთის მეფის აღექსი მიხეილის ძის ელჩები ივლიერი და ტოლოჩანოვი განცვიფრებაში მოუქვანია.

ირკვევა, რომ 307 წლის წინათ ქუთაისის ჭადარი 70 სანტიმეტრი სისქისა ყოფილა. ასეთ სისქეს ჩვენი გამოკვლევებით ჭადარი 100 წლის ხნოვანებაში აღწევს. აქედან დასკვნა: ქუთაისის ჭადა-

რი ამჟამად არანაკლებ 400 წლისაა, თელავისა და აჭანდარისა კი მასზე რამდენიმე საუკუნით ხნიერია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გაშენდა ბოტანიკური ბაღი, ყოფილი ალექსანდროვის (ამჟამად 26 კომუნარის სახელობის) ბაღი, ყოფილი მუშტაიდის (ამჟამად ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი), რამდენიმე სხვა ბაღი და ხეკორდი.

ბაღ-პარკებში გაშენებული ხის ჯიშებიდან თბილისში უფრო უხვად გასაშენებლად ყურადღებას იპყრობს ბიჭვინთის ფიჭვი, ძელქვა, ჭადარი, კორპისა და ქის მარადმწვანე მუხა, კვიპაროსი, კედარი, აკაკი, თელა, სტერკულია, გინკო. ამ დროს 80-წლოვანი ჭადროვანი ქალაქ თბილისის ლენინის სახელობის მოედანს ამკობს. აქ ერთი დიდი ბერთელა პუშკინის ძეგლს ამშვენებს. თელის ხეივანი აქვს პიონერთა სასახლის წინა მოედანს. ბიჭვინთის ფიჭვისა და აკაკის ხის ახოვანი ხეები თბილისის ბოტანიკური ბაღის ქვედა ნაწილის მშვენებაა. აქვეა სტერკულია და გინკოც. ძელქვის რამდენიმე დიდი ხე ბოტანიკური ბაღის საგანგებო სანახობას ჰქმნის. საამო სახილავია აგრეთვე მარადმწვანე კორპის მუხის, ქის მუხის ხეები და ტევრები ბოტანიკურ ბაღში. ამ ჯიშთა ზრდადასრულებული ხეები თავისებურ ელფერსა და სიღიადეს მატებენ თბილისის გამწვანებას. ფრიად სასარგებლოა მათი უფრო მეტი რაოდენობით გაშენება.

ჩვენ დიდ პატივსა ვცემთ ძველ თბილის და მის ნაამაგარს, მაგრამ პირუთვნელად უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ღვაწლი ახალ თბილისთან შედარებით ტყის დაცვისა და გამწვანების საქმეში მეტისმეტად მკრთალად გამოიყურება.

ამ 20-30 წლის განმავლობაში თბილისის ახლოს მდებარე ტყების მოვლა-

დაცვა საუკეთესოდ მოგვარდა. შეწყდა ამ ტყეების ჩეხვა, შეშისა და ნახშირის ურმებით შემოზიდვა.

ნახშირი ელექტრონმა შეცვალა, შეშაკი შორეული დიდტყიანი მთა ადგილუბიდან მანქანა-მატარებლებით მოდის.

ქალაქის შიგნით ყველა თავისუფალი მიწის ნაკვეთის ძვირფასი ხითა და ბუჩქით გამწვანება, მის გარშემო ხელოვნურის შეერთება ბუნებრივ ტყეებთან, ტყის ზოლების გაშენება ჩვენს პატრიოტულ საქმედ იქცა.

წინათ გაშენებული ბალ-ვენახები და პარკები საფუძვლიანად გადაკეთებული და გაწმენდილია.

თუ რამდენად მრავალია ახალგაშენებული ბაღები, პარკები და ყვავილნარვარდნარები, ამის მომსწრე ყველა ჩვენთაგანია.

ახლა თბილისის ბალ-პარკებიდან სრულიად ნორჩი და ლატნარი ტევრები თბილისის მთა-ბორცვებსა და ქედ-სერებზე მოეფინა.

ქალაქის ნორჩი ხეივნები და ტყის

ხელოვნური ზოლები თბილისს შემავალ-გასავალ გზებს გაჰყვა, საამო და მშვენიერი გახდა ის მგზავრთა და მოსეირნეთათვის.

თბილისიდან მწვანით მოჩრდილულ-მოყურადებული მიდის ადამინი დიღომსა და საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, ახალგაზრდა რუსთავში. აგარაკ წყნეთსა და კოჯორში, ვაზიანსა და სამგორში.

ახლებურად მოეწეო და აწალკოტდა თბილისი. ქალაქში ახლა გარდა ადგილობრივი ტყის ჯიშებისა, ასეული უცხო ეგზოტიკური სახეობანია დანერგილი. ეს ხეები თბილისის ჰავანიადაგს შეეგუა და მას ამკობენ, ამშვენებენ.

თბილისი, ბუნების მკვლევართათვის, ახლა სანუკვარი სანახავია თუნდაც მრავალი ხისა და ბუჩქის ჯიშის გაცნობის მიზნით! წლითიწლობით ქალაქის გამწვანება ზღაპრულ ამირანსავით სწრაფად იზრდება.

დღეგრძელობა და გამარჯვება თბილისს!

### 3. პუნქტი და „სიტყვის პონა“\*

(ეძღვნება დიდი სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 300 წლისთავს)

„დიდი სახელმწიფო მოღვაწის – „ქართველთა მამად“ წოდებული, დიდი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის დიდების გვირგვინს, ობოლი მარგალიტივით საუკუნეობით შერჩება ქართული ენის საუნჯე „სიტყვის კონა“, – ამბობდა სულხან-საბას შემოქმედების მკვლევარი, ჩემი სკოლის მეგობარი ს. იორდანიშვილი.

საბას ლიტერატურული მემკვიდრეობას და კერძოდ მისი „სიტყვის კონის“ მნიშვნელობა მშობლიური ქართული ენათმცოდნეობისა და ბუნებისმეტყველებისათვის განუზომლად დიდია. ვინ იცის რამდენი ლაზათიანი ქართული სიტყვა დაიკარგებოდა ამ სამასი წლის განმავლობაში, რომ ჩვენ ამაგდარ წინაპარს იგი „სიტყვის კონად“ არ შეეკრა და ჩვენი ენის საგანძურში არ დაეტოვებინა.

საბას „სიტყვის კონა“ 16.000 სიტყვას შეიცავს. აქედან საკმაო ნაწილი ბუნების საგანთა და მოვლენათა აღმნიშვნელია.

საბა ხშირად ამა თუ იმ სიტყვას განსამარტავად ხალხს ეკითხებოდა და საბოლოოდ ისე ტოვებდა მას, როგორც ხალხს ესმოდა, როგორც ხალხი იყენებდა. ამაზე თვით საბა დასძენს „ბარს შევეკითხე, მთას შევეკითხე“.

„სიტყვის კონაში“ გარდა სიტყვა-ტერმინების განმარტებისა, რაც საერთოდ ლექსიკონს მოეთხოვება, ხშირად პუმანისტურს და საბუნებისმეტყველო საგნებში მეცნიერულ კლასიფიკაციათა ნაკვესებს ვხვდებით.

ამ მხრივ საბა თავისი დროის გამო-

ჩენილი ენციკლოპედისტების მოწინავეთა რიგებში დგას.

„სიტყვის კონა“ ჩვენს განცვიფრებას იწვევს. რა დრმა ცოდნა და გაგება აქვს საბას ბუნებისა. „სიტყვის კონაში“ საქართველოს მცენარეულობა ვრცლადაა წარმოდგენილი. მასში 400-ზე მეტი ხავსის, გვიმრისა და ბალახის სახელია მოცემული. მრავალ მათგანს, რაც საბას მიერ ყველასათვის ცნობილადაა მიჩნეული, მხოლოდ ბალახის აღმნიშვნელი ნიშანი უზის. მაგრამ ყველა იმ ბალახს და სხვა მცენარეს, რომელიც ყველასათვის ცნობილი არაა, სხარგსა და მკაფიო განმარტებას ურთავს. ამით იგი აადვილება ბალახ-მცენარის მიგნება-გამოცნობას. ასე მაგალითად: 1. ალსარჩული – ძოწეულის საღებავი, 2. აყირო – აყირო არს ყელიანი ქერქსქელი, 3. გოგრა არს ქერქთხელი და მხლად საჭმელი, 4. თალგამი ბოლოკს ჰგავს, ბრტყელია, 5. ენდრო – წითელი საღებავი.

ზოგიერთი ბალახის სახელი თვითონ, თავისთავად შეიცავს განმარტებას და ამიტომ საბაც მათ განმარტების გარეშე ათავსებს; ვარდკაჭაჭა, ვირისტერფა, თავსაწყვეტელა, თვითმავალა, ასისთავი, ვიცისწვერა, ვერხვა, ირმის ენა, კაქბის საკვნეტელა, კატა-პიტნა, კატი-ყურძენი, მზეს უჭვრიტა, ნაცარქათამა, რძიანა, სამყურა, მჟაუნა, ნაცეცხლი და სხვა.

„სიტყვის კონაში“ 200-ზე მეტი ხისა და ბუჩქის სახელია მოთავსებული. ხე-მცენარეების უმეტეს ნაწილს განსამარტავად, ისევე, როგორც ბალახეულს, მხოლოდ ხის აღმნიშვნელი პირობითი

\*გაზეთი „საბჭოთა აგრონომი“, 1959 წ. დეკემბერი. №28;30;34.

ნიშნები უზის. ეს ის ხებია, რომლებსაც საბა უველასათვის ცნობილად და ადგილმისახვედრად მიიჩნევს. ხექის ნაწილს კი, რაც საყოველთაოდ ცნობილი არაა, გასაგებად განმარტავს. მაგალითად: აპაკი – ბრინჯის ხის ხილი, ალვის ხე – სარო (სარო ჩვენის აზრით აქ ალვის ხის სიწოლილავის ანუ პირამიდალური მოყვანილობის აღმნიშვნელია და აქ ალვის ხის სინომიმად გამოუყენებია), ასკილი – ტყის ვარდი, ბაბილო – მაღალი ვენახი, ბალამწარა – ველური ბალი, ბალოჯი – მჟავე ბალი, დარანდო – ჭერამი კურკატბილი და ა. შ. ზოგიერთი სახელი ამჟამად რატომდაც არ იხმარება. მაგალითად: ეკალმუხა, კაკვინარი, კაკულია, კინკარუები – იმერეთში ეკალას ანუ ლიჭის წითელ ნაყოფს ჰქვია; კნაპი ქართლის მთიულეთში კუნლის გარკვეულ სახეობას ეწოდება. დიღმელები ჯდარდლას უწოდებდნენ იმ მცენარებს, რასაც ლათინურად ასტრაგალი ჰქვია. მთაში კი მას ქაცვს ეძახია.

საბას მეტად ორიგინალურად აქვს განმარტებული ცხენის წაბლა. „ცხენის წაბლა – სხვა რიგი წაბლია ხე მშვენიერი, კაი ყვავილი და ხილი მწარე“. ამჟამად ზოგი „ცხენის წაბლას“ მაგიერ „ცხენის წაბლიო“ ამბობს.

„სიტყვის კონაში“ ისევე როგორც ხის და ბალახის, ფრინველებისა და თევზების სახელებიც მრავლადაა წარმოდგენილი.

„სიტყვის კონაში“ მრავალი ათეული ცხოველის სახელია განმარტებული. მეტად საყურადღებოა, რომ ზროხა ზოგადი სახელია ყოველთა ზროხათა. ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ხარი და დედალსა ფური, ხოლო შვილთა მათთა ხბო. სახარესა წლამდის ბოჩოლა და საფურესა მოცედი, წელიწადზე მეტსა სახარესა მოზვერი და საფურესა დეკული და სხვა.

ცხვარი (საბასეულად ცხოვარი) –

ცხვარსა მამალსა ეწოდების ვერძი და დედალსა ნერძი, ჩვილსა კრავსა – ბატკანი.

თხა – თხასა მამალსა – ვაცი ეწოდების და დედალსა ნეზვი და შვილთა მათთა თიკანი. ასე ნათლად არის განმარტებული სხვადასხვა ცხოველის ერთი მეორესთან შედარება – დაპირისპირების გზით.

საბას „სიტყვის კონაშე“ დაყრდნობით მრავალი სიტყვის წარმომავლობა შეიძლება გაირკვეს. მაგალითად საქართველოს სამარკო დვინოვებს შორის განთქმულია „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“. ცნობილია, რომ ასეთი ჯიშის ვაზები არ არსებობენ. მაშ საიდან და რატომ დაურქვა ამ დვინოვებს აღნიშნული სახელები.

„ხვანჭა“ წყალთ კენჭია ზემოიმერეთსა და რაჭაში, ნაცვლად „ხვინჭა“-სი „ხვინჭა“ გამოითქმის, მიუხედვად იმისა იგი წყალშია თუ ნიადაგში.

თუ ნიადაგში ბლომად არის არეული ხვინჭკა, ასეთ ნიადაგს ზემოიმერეთსა და რაჭაში ჩვეულებრივ „ხვინჭკარა“-ს უწოდებენ.

რაჭაში ერთ სოფელს, რომლის ნიადაგი ბლომად შეიცავს კენჭებს, ვგონებ „ხვანჭკარა“ დარქმევია. აქედან კი, რადგან აღნიშნულ სოფელში, ამ ნიადაგის გარკვეული თვისებების გამო, განსაკუთრებული თვისების დვინო დგებოდა, დვინოსაც ხვანჭკარა დარქმევია. ცხადია, რომ დვინო „ხვანჭკარას“ თვისობრიობაში, გარდა ალექსანდრიული ჯიშის ვაზისა, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა „ხვანჭკარ“ ნიადაგს მიეწერება.

აქედან ცხადი ხდება, რომ გარემოპირობები და კერძოდ ნიადაგი დიდ ზეგავლენას ახდენს მცენარეზე და მის ნაყოფზე.

„სიტყვის კონაში“ – ქინძი ბალახია. როგორც ცნობილია, ქინძი ზოგ მინდორში გარეულადაც მრავლად იცის,

განსაკუთრებით ისეთ ნიადაგებზე, სადაც ნიადაგის შემადგენლობაში უხვადაა „ხვინჭა“ თუ „ხვინჭა“-ქვიშა. ისეთ ადგილს, სადაც ეს გარეული ქინძი უხვადაა გავრცელებული, ყვარელში „ქინძმორეულს“ უწოდებენ. სწორედ ასეთ ქინძმორეული ტიპის ნიადაგებზე გარკვეული ვაზის ჯიშიდან (კახური საფერავიდან) არაჩვეულებრივი ღვინო დრება და მას ამიტომ „ქინძმარაულს“ უწოდებენ.

ამ შემთხვევაშიაც ნიადაგის თვისებები ჯერ უურდენში, შემდეგ კი მისგან დაუქნებულ ღვინოშია თავნახენი.

აი, რა დიდი გავლენა აქვს ნიადაგის ტიპს ღვინის ხარისხზე.

საჭიროდ ვთვლით ცალკე შექმერდეთ სიტყვაზე „ბოყვი“ (როგორც საბა განმარტავს, იგი ხის ქერქისგანაა გაკეთებული და ჭურჭლად სახმარია). ხის ქერქისგან ძველად კეთდებოდა. მთაში კი ახლაც გავრცელებულია წყლისა თუ სხვა სითხის ჩასასხმელი ჭურჭლი. გამოყენება აგრეთვე მასში თავლის, ერბოსა და სხვა პროდუქტების მოსათავსებლად.

თუმცა, ბოყვი დავიწყებას ეძლევა, მაგრამ მართებულია იგი რუსული სიტყვა ვედროს აღმნიშვნელად გამოვიყენოთ. ვედროს ძველად რუსეთშიც ხის ქერქისგან თუ წმინდა ხის მასალისგან აკეთებდნენ. ამჟამად ხის ქერქი და მერქანი შეცვლილია ლითონით თუ სხვა მასალით. ამჟამად უურჭლეული პლასტმასისგანაც კეთდება, მაგრამ საგნის სახელი და დანიშნულება იგივეა.

ძველად ბარიც და ნიჩაბიც ხისგან კეთდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხერკინამ შეცვალა, ამით ბარისა და ნიჩბის დანიშნულება მაინც არ შეცვლილა, ამიტომ ბარი ხისაა თუ ლითონისა, ბარია და არა სხვა რამე. ასევე ნიჩაბიც ლითონისაა თუ ხისაა – ნიჩბია და ნიჩბად უნდა იწოდებოდეს.

საბას ქერქ-ტყავ-კანის აღმნიშვნელად 21 სახელწოდება აქვს მოცემული. ამ 21 სახელს ჩვენ გვსურს მოკრძალებით რამდენიმე სიტყვა დავუმატოთ:

უჭჭუჭა ჯონჯოლის თესლის გარეჩურჩა. მსგავს ნაყოფში ჩურჩასა და თესლს შეა საკმაოდ ცარიელი ჰაეროვანი სივრცეა.

ხოკერი ეწოდება გოგრის ანუ კვახის სქელსა და მაგარ ქერქს, კანს. რბილობგამოცლილ კვახის ხოკერს ჯამის ნაცვლად ხმარობდნენ. თიანეთის რაიონში და ზოგან სხვაგანაც ხის ქერქისაგან გაკეთებულ ბოყვსაც ხოკერს უწოდებენ. ეს სიტყვა ცხოველთა მიმართაც შეიძლება ითქვას (კუს ხოკერი).

ხაპი გოგრისმაგვარია, მაგრამ შედარებით თხელი ქერქი (კანი) აქვს. გურიაში ხაპს მთლიანად კვახ-გოგრას უწოდებენ.

ზოგი ცნობილი მეცნიერი სიტყვა შემოდგომა-გაზაფხულის თრთვილის ანუ რთვილის მაგიერ რატომდაც „ადრეულა და გვიანა ყინვას“ ხმარობს. „შემოდგომის რთვილს“ გამოთქმა „ადრეულა ყინვა“ რით ჯობია? სხვა მარავალი სიტყვაც ასევე უმართებული სიტყვით არის შეცვლილი.

ამინდის ერთერთი ნიშანი ღრუბლიანობაა. სხვადასხვა ღრუბლიანობის აღსანიშნავად მრავალი სიტყვაა საბას მოერ ლექსიკონში შეტენილი: იალტიანი – ალაგ ღრუბელი, ალაგ მოწმენდილი; იალკალი – ცაში აქა-იქ ღრუბელი.

საბას „სიტყვის კონაში“ სხვადასხვა სახის თუ ტიპის ნიადაგის ბევრი სახელია აღნიშნული და განმარტებული, მაგრამ ისინი ნიადაგმცოდნეობის სახელმძღვანელოებში და მეცნიერულ ნაშრომებში სათანადიდ არაა გამოქვეყნებული.

ცნობილია, რომ ნიადაგის თვისებებზე დიდ გავლენას ახდენს მისი მექანიკური ანუ მინერალური შედგენილობა. ამ მხრივ საინტერესოა საბას მიერ მოცე-

მული ზოგი სიტყვის განმარტება. მაგალითად, ქვა: 1. სილა – ვითა გაცრილი, 2. ქვიშა – ხვარბალთა ოდენი, 3. კენჭი – ცერცეთა ტოლი და უდიდესი, 4. ღორდი ანუ ჭოჭყი – ნამტვრევი და მისი უდიდესი, 5. ხვინჭა – კენჭი წყალში მყოფი, 6. რიყე – ქვა წყლის ნაპირზე, 7. კაჭარი – რიყის მსგავსი უწყლო ადგილზე, 8. ლოდი – დიდი ქვა, 9. სალა – ბრტყელი ქვა, 10. ფიქალი – ქვის ფიცარი, 11. სასრული – მჭრელი იარალის სალესი ქვა, 12. სიპი – ქვა გლუსური და ცეცხლში მტკრცონელი, 13. კოხი – მქისე ქვა, ცეცხლში უმტკრცონელი, 14. კაჟი – ცეცხლის ნაპერწკლების გამომცემი, 15. ქარწია – ქვა ჭიქის მსგავსი, 16. გოხი – ქვიტკირის მსგავსი, 17. ადრალი – ქვა ძოწი ანუ წითელი და სხვა.

ზოგჯერ ამა თუ იმ ნიადაგს მასში – სხვადასხვა სახეობის ქვის შემცველობის მიხედვით აქვს სახელი დარქმეული. ამის გამომხატველია სილნარი, ქვიშნარი, კენჭნარი (კენჭოვანი), ღორღნარი ანუ ჭოჭყნარი (ზემო იმერეთში), ხვინჭნარი ანუ ხვინჭკნარი (ზემო იმერეთში), რიყნარი (ან პირდაპირ რიყე), კაჭრეთი (სიტყვა კაჭრიდან). შეიძლება ვიხმაროთ კაჭროვანი და კაჭნარი. ლოდნარ ადგილს ზოგან პირდაპირ ლიდები ჰქვია, სიქალეთი ნასოფლარის მდინარეა ტანას ხეობაში. იგი თავდაპირველად „ფიქალეთი“ უნდა ყოფილიყო (და მართლაც იქ ფიქალი ქვებია). კოხნარი ანუ კაჟნარი (ზემო იმერეთი) ანუ კაჟონა (სამეგრელო) ქვის სინონიმებია. ეს სიტყვები მეტად საჭიროა მრავალი ტოპონიმიკური სახელების წარმომავლობის გასაგებად, ნიადაგების შესწავლის დროს მათი სხვადასხვა კატეგორიებად და ტიპებად დაყოფის გასაადგილებლად.

ნიადაგები ტენის მეტ-ნაკლებობის შემცველობის მხრივ მკაფიოდ განსხვავდებიან და ეს საბას „სიტყვის კონაში“ კარგად არის მოცემული. მათი ხმარების

ნაცვლად ზოგიერთები უმართებულოდაც ახალ სიტყვებს ქმნიან. ასეთია, მაგალითად, „ჭარბტენიანი ნიადაგი“. ეს ტერმინი ხშირად გვხვდება ნიადაგმცოდნეობის სახელმძღვანელოებსა და შესაბამის შრომებში. იგი თუმცა ორი ქართული სიტყვის გაერთიანებით არის შექმნილი, მაგრამ ქართულ მწერლობასა და ცოცხალ მეტყველებაში უცნობია, ზედმეტია და სახოთიროა. ცნება, რომელშიც „ჭარბტენიანი“ ნიადაგი იგულისხმება დასავლეთ საქართველოში, ჩვენი გამოკვლევა-დაკვირვებით, ტერმინით „ნოყო“ აღინიშნება. მასში თვით ნიადაგიც იგულისხმება და ამ წიაღში არსებული ზედმეტი თუ ჭარბი ტენიც.

ნიადაგში ტენის მეტ-ნაკლებობის აღსანიშნავად საბამ ჩამოაყალიბა სიტყვები: უანტი (მცირე რამ სისველე), ჭყანტი (ჭანჭრობზედ მეტი), ნოყა (ლია), ჭოჭი (ადგილწყლიანი), ჭანჭრობი (კორდი, წყლიანი ნოტიო).

აღსანიშნავია, რომ დიღმის ტყეში ერთგან არის ასეთი ადგილი და ხალხი მას ამჟამადაც ჭანჭრობს უწოდებს. თუ ნიადაგის მეტ-ნაკლებ ტენიანობის აღმნიშვნელ სიტყვებს კარგად გავეცნობით, მას დაგუმატებო საბას შემდგომდროინდელ მწერლობაში შესულ ტერმინებს, ან ამჟამად ხალხის ზეპირმეტყველებაში ხმარებულ სიტყვებს, მაშინ უმრავლეს შემთხვევეში სიტყვების თარგმნით შექმნა სრულებით არ დაგვჭირდება. პირიქით, შესარჩევად გვექნება საქმე, რომელიც უფრო კარგი სიტყვა იქნება და მეტადაა საქართველოში გავრცელებული, მას შევარჩევთ, განვმარტავთ და დავამკვიდრებო მეტყველებასა და მწერლობაში.

მსგავსად ნიადაგმცოდნეობისა, თარგმნით შექმნილი სიტყვა-ტერმინი ბევრია გეოგრაფია-გეოდეზიაში. ავილოთ, მაგალითად, ასეთი გამოთქმა „წყალგამყოფი ქედი“. ეს ტერმინიც, მსგავსად ჭარბტე-

ნიანი ნიადაგისა, სიტყვა-სიტყვით თარგ-  
მანია სიტყვებისა „ვოდოროზდელი  
ხრებებ“. ერთი შეხედვით თითქოს მართვ-  
ბულად არის აგებული, სამივე სიტყვა  
ხომ ქართულია! ქართველი ხალხისათვის  
ოდითგანვე ცნობილია, რომ ქედის ხერ-  
ხემლიდან ნაწვიმარი და ნაჟური წყლის  
ნაწილი ერთ მხარეს, ნაწილი – მეორე,  
საწინააღმდეგო მხარეს იღვრება, მაგრამ  
მას ტერმინი „წყალგამყოფი ქედი“ არ

შეუქმნია. ამ ჩვეულებრივ ბუნებრივ მოვ-  
ლენას წყალწყვა ეწოდება. ეს ტერმინი  
შემონახულია ჩვენს ტოპონიმიკაში.

სურამის ქედის ერთ მონაკვეთში,  
საიდანაც ნაწვიმარ-ნაჟური წყლის ნაწი-  
ლი დასავლეთისაკენ, ნაწილი კი აღმო-  
სავლეთ საქართველოსაკენ მიედინება,  
წყალწყვისი ეწოდება. აი, ლამაზი და  
დახვეწილი ტერმინი!

## ანტონ კოსსი



საქართველოს სატყეო მეურნეობის და  
სატყეო მრეწველობის გამოჩენილი მოღვაწე,  
რესპუბლიკის დამსახურებული მეტყველე  
(1903-1991)

ანტონ პეტრეს ძე კოსსი საქართველოს იმ სწავლულ მეტყველთა და ტყის მრეწველობის სპეციალისტთა პირველი თაობის დირექტორი წარმომადგენელია, რომელთაც XX საუკუნის, მეტად რთულ 20-30 წლებში, საფუძველი ჩაუყარეს რესპუბლიკაში სატყეო მეურნეობის და ხელის დამზადება-გადამუშავების წარმოების მეცნიერულ-ტექნიკურ საფუძველზე ორგანიზაციას.

ა. კოსსი დაიბადა 1903 წელს უკრაინაში, ვინიცის ოლქის სოფელ სოკირინცაში, გლეხის მრავალშვილიან ოჯახში. ბავშვობა რთული ჰქონდა, ოჯახი გაჭირებულად ცხოვრობდა. 1917 წ. მან დაამთავრა დაწყებითი სასწავლებელი ქ. ვინიცაში, ხოლო 1921 წელს – პროფესიული სკოლა დაბა ვორონცოვში.

1922 წლის დასასაულს ა. კოსსი შედის კამენც-პოდოლსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც ხდება სახელმწიფო სტიპენდიანი. ამავდროულად იგი შრომობს სხვადასხვა სტუდენტურ არტელებში, რათა ეკონომიკურად დაეხმაროს იჯახს. მაგრამ ეს მიზერული შე-

მოსავალი საგმარისი არ აღმოჩნდა და 1924 წელს იგი იძულებული იყო გასულიყო ინსტიტუტიდან და დაიწყო მუშაობა რაიონის აგრონომოად, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა. 1925 წლის დასასრულს იგი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში და გაამწევეს ამიერკავკასიაში. ჯარში ორი წლის სამსახურის შემდეგ იგი დემობილოზებული იქნა, რის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება მიეღო უმაღლესი განათლება. ამ მიზნით ა. კოსსი ჩაირიცხა თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სატყეო განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1929 წელს, რის შემდეგ სატყეო დარგის გამოჩენილი მეცნიერების და პედაგოგების – ს. ქურდიანის, ი. ზაკტრეგერის, კ. ამირეჯიბის, პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის, ი. როშჩინის, ა. როსტოვეცის რეკომენდაციით ახლადორგანიზებულ თბილისის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში მან მიიღო დოკონტის წოდება სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის განხრით და დატოვებული იქნა კათედრაზე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის. ამავდროულად იგი მუშაობდა საქართველოს სატყეო საცდელ სადგურში.

ამ დროიდან ა. კოსსიმ თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირა საქართველოს და ოვლიდა მას მეორე სამშობლოდ, დიდ პატივს სცემდა ქართველი ხალხის ტრადიციებსა და ადათ-წესებს, უყვარდა ქართველი მწერლებისა და პოეტების კითხვა, შეიძინა აქ ბევრი მეგობარი, ძალიან უყვარდა

ქართული მრავალხმიანობა და თვითონაც კარგად მდევროდა. აქ, თბილისის სატყეო ინსტიტუტში, ა. კოსსი შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, შესანიშნავ ქალბატონს ცოდიკ ხზმალიანს – სატყეო მასალების მაღალკალიფიციურ ექსპერტს, რომელიც გამოირჩეოდა უაღრესად მაღალი ერუდიციით, ენერგიით, მახვილი გონებით, სტუმართმოყვარეობითა და ოჯახისადმი დიდი მზრუნველობით.

ბედმა ისე ინება, რომ ანტონ პეტრეს ძეს მალე მოუწია წასვლა ინსტიტუტიდან უშუალოდ წარმოებაში. ქვეყანას ესაჭიროებოდა სწავლულ მეტყვევთა ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრები სატყეო სფეროში. მიუხედავდა იმისა, რომ საქართველო ოდითგანვე იყო მდიდარი ქვეყანა თავისი ტყის მასივებითა და მერქნის მარაგით, სატყეო მრეწველობა აქ შედარებით გვიან ჩაისახა. საქართველო გახდა ტყის ექსპლუატაციის ობიექტი მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამიერკავკასიაში რკინიგზების მშენებლობამ, შემდეგ კი ადგილობრივი ხე-ტყის მასალის საერთაშორისო ბაზარზე გატანამ.

XX ს-ის 30-იანი წლები გარდამტეხად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში სატყეო მრეწველობის განვითარებაში, როდესაც დარგმა ხე-ტყის დამზადების ინდუსტრიულ მეთოდზე თანდათანობით გადასვლით და შესაბამისად, მერქნის წარმოების მოცულობის შესაბამისი გაზრდით, შეიძინა ახალი ხარისხობრივი შინაარსი. ა. კოსსი, ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა ჩართული ამ ეპოქალურ სატყეო-სამრეწველო პროცესში. 1933 წლის ბოლომდე მისი საქმიანობა დაკავშირებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზათან, სადაც მუშაობდა ხე-ტყის გადაზიდვების განყოფილებაში. 1934 წლის იანვარში იგი დაინიშნა საქართველოს ხე-

ტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსად, შემდეგ კი 1938 წელს – იმავე კომისარიატის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსად და, იმავდროულად, „საქართველოში“ მმართველად. ეს იყო მეტად საპატიო და ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობა, რის შემდეგ ანტონ კოსსის მთელი საქმიანობა საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის სისტემასთანაა დაკავშირებული. იგი საქართველოს სატყეო მრეწველობაში მოვიდა მეორე მსოფლიო (სამამულო) ომის წინა, როცელ წლებში, როდესაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ითხოვდა სულ უფრო მეტ ხე-ტყეს და მისი გადამუშავების პროცესებს. ამასთან დაკავშირებით კი, საჭირო ხდებოდა ხე-ტყის დამამზადებელი ოპერაციების მექანიზმებით აღჭურვა, ასევე გზების მშენებლობა ხე-ტყის დამზადების სანედლეულო ბაზებში, რაც დიდ კაპიტალდაბანებებს საჭიროებდა. ტყეში გამოჩნდა ტრაქტორები, ავტომანქანები, ასევე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები. ამან შექმნა პირობები სოჭისა და ნაძვის ტყის მდიდარ შერეული მასივების ათვისებისათვის; დაიწყო ტყის დამზადება-გამოზიდვის სამუშაოთა გაადგილება რთულ, მთაგორიან ადგილებში განფენილ წიფლნარ კორომებშიც.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობა, გამუდმებითი მივლინებები, ექსპრიციები, მოითხოვდა ძალების მაქსიმალურ დაძაბვას და თავდადებას. ანტონი უძლებდა ამ რიტმს – ის იყო ფიზიკურად ძლიერი, მუყაითი და მტკიცე ხასიათის მქონე ახალგაზრდა. მას გვერდით ედგნენ ასეთივე ენთუზიასტები – ჭკვიანი, ენერგიული, მტკიცე ხასიათის მქონე, შესანიშნავად განათლებული პიროვნებების თაობა, რომელთაც ისტორიულად ხვდათ წილად ყოფილიყვნენ პირველები საქართველოს ტყეების რა-

ციონალური მეთოდებით ათვისების და აღდგენის სფეროში.

ადამიანებთან ურთიერთობაში ა. კოსსი გამოირჩეოდა ტაქტითა და კეთილმოსურნეობის არაჩვეულებრივი უნარით. იგი არასოდეს აძლევდა თავს უფლებას ეწყენინებინა, მით უმეტეს, შეურაცხყოფა მიეყნებინა ვინმესათვის. მეგობრებიც ასევე პასუხობდნენ მას.

სამამულო ომმა (1941-1945 წწ.) ძალზე შეაფერება ხეტყის დამუშავების მექანიზაციის საშუალებათა მოწოდება საქართველოში და, შესაბამისად, საგრძნობლად შემცირდა ხეტყის დამზადების მოცულობებიც, თუმცა, ხეტყის გამოსაზიდი გზების მშენებლობა კვლავ გრძელდებოდა თავდაცვითი მიზნებისათვის.

1941 წლის თებერვალში ა. კოსსი ინიშნება ტრესტ „საქტყის დამზადება“ს მმართველად, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს ომის ყველაზე რთულ წლებში. ქვეყანას ესაჭიროებოდა ხეტყის მასალები ხიდებისა და სხვა ნაგებობების ასაგებად; მერქნის სპეციალური სახეობები რკინიგზის შპალებისათვის; ხეტყის მასალებით განსაკუთრებულ მომარაგებას მოითხოვდა თბილისის საავიაციო ქარხანა. ომის დაწყებისთანავე ა. კოსსი სრულყოფილ მზადეოფნაში იყო ფრონტზე წასასვლელად (ისე რომ ჩანთაც კი ჰქონდა ჩალაგებული), მაგრამ მიიღო ბრძანება ზურგში დარჩენის თაობაზე ფრონტისათვის მხარდასაჭერად. ომშა თავის მძიმე კვალი დააჩნია კოსსების დიდ ოჯახს: დაიღუპნენ ანტონის ორი ძმა და ცოლის ძმა.

ომის წლებში თავდადებული მუშაობისათვის, რაც დაკავშირებული იყო ხეტყის მასალების დროულ დამზადებასა და მიწოდებასთან, ა. კოსსი არაერთგზის იყო დაჯილდოვებული სახელმწიფო ჯილდოებით, მათ შორის მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

1946 წელს ა. კოსსი დაინიშნა ტრესტ „საქტყის მარაგების“ მმართველად, სადაც უწყვეტად იმუშავა 1958 წლის ივლისამდე. იმსანად, სსრ კავშირის ზემდგომ ორგანოებში არაერთგზის დაისვა საკითხი საქართველოს რესპუბლიკის მერქნით მთლიანი მოთხოვნილების საკუთარი ხეტყის რესურსებით დაკმაყოფილების შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში გაჩეხვის საფრთხის ქვეშ დგებოდა მთიანი ზონის ტყის მასივები, ხის ძვირფასი ჯიშებით. ამის გამო, ა. კოსსის უშუალო ხელმძღვანელობით იქმნება ტყის მრეწველობის სპეციალური მეურნეობები ჩრდილოეთ კავკასიში, ურალსა და ციმბირში, საიდანაც ორ მილიონ კუბმ-ზე მეტი მრგვალი ხეტყე შემთხვიდებოდა საქართველოში ყოველწლიურად. აქედან გამომდინარე, მას დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში უნიკალური ტყის მასივების შენარჩუნებაში ომისა და ომისშემდგომ რთულ წლებში. შემთხვევევით არ იყო, რომ მეგობრებმა მას სამართლიანად უწოდეს „ქართული ტყეების მფარველი“.

1958 წლი გარდამტები გახდა ანტონ კოსსის საქმიანობაში. მას ირჩევენ ცეკვაშირის მმართველობის თავმჯდომარის მოადგილედ და „საქკოოპმრეწვევაჭრობის“ უფროსად. ორგანიზაციის საქმიანობის ახლოს გაცნობის შედეგად, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს სამუშაო არ მიესადაგებოდა მის ბუნებას და, უკვე ორი წლის შემდეგ, საკუთარი სურვილით წავიდა ცეკვაშირის სისტემიდან, რაც იმ დროში და საერთოდაც, საქმიანობისადმი უმწიკვლო და უანგარო მიდგომის და უდიდესი პასუხისმგებლობის შეგრძნების უბადლო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

1960 წლიდან ა. კოსსი კვლავ უბრუნდება სატყეო სისტემას. ის მუშაობას იწყებს თბილისში ახლადორგანიზებულ ხეტყის მრეწველობის სამეცნიერო-

პალევითი ინსტიტუტის სატყეო მრეწველობის ეკონომიკის განყოფილების უფროსად (ლაბორატორიის გამგედ).

ხეტყის მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობისას, ისეთ ცნობილ სწავლულებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ზ. ჩხეიძიანიშვილი, ბ. გულისაშვილი, დ. ანდრონიკაშვილი, ა. ჭანტურია, გ. კოკაია, შ. ჯაოშვილი, პ. დუნდუა და სხვები, ანტონ კოსი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში სატყეო მრეწველობის განვითარების ფუნდამენტური საკითხების გამოკვლევასა და პროგნოზების შემუშავებაში. მას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ხეტყის მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდიკის შემუშავებაში. იგი არის აქტუალურ სამეცნიერო ნაშრომთა ავტორი, კერძოდ, მისმა ბოლო ორმა ნაშრომმა – „დარგის განვითარების პროგნოზი 2000 წლამდე“ და „საქართველოს სატყეო მრეწველობის განვითარების გენერალური გეგმა“ – გამსაპუთორებული წვლილი შეიტანა დარგის განვითარებაში.

როგორც სამეურნეო-საწარმოო სფეროში, ასევე სამეცნიერო საქმიანობაში კოსიმ თავი გამოიჩინა როგორც მაღალი დონის პროფესიონალმა და ორგანიზაციორმა, რომელსაც უნარი შესწევდა თავი გაერთვა რთული ამოცანებისათვის და მიეღო ოპტიმალური გადაწყვეტილებები. ის აგრეთვე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადო და საგანმანათლებლო საქმიანობაში; აღზარდა ბევრი მაღალი კალიფიკაციის სპეციალისტი და მეცნიერ-მუშაკი, რომლებიც ამჟამად ემსახურებიან საქართველოს ტყეების რაციონალური გამოყენებისა და მოვლა-აღდგენის კეთილშობილურ საქმეს.

საქართველოში სატყეო საქმის წინაშე დამსახურებისათვის მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მეტყველის

საპატიო წოდება, სხვადასხვა წლებში დაჯილდოვებული იქნა შვიდი სამთავრობო ჯილდოთი, საკავშირო და საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების სიგელებით, ასევე იყო შრომის ეტერანი, პერსონალური პენსიონერი. თუმცა ყველანაირ ჯილდოზე ძვირფასი და საპატიო იყო მისთვის ის სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც ანტონ პეტრეს ძე სარგებლობდა მეტყველთა დიდ კოლექტივში, ის თბილი და კეთილი სურვილები, რასაც ის იდებდა თავის ყოველ იუბილეზე მოლოცვების სახით თანამშრომლებისაგან და რომლებიც დღემდე ინახება მის სახლში, ეჭვარეშეა, რომ სწორედ ეს კეთილგანწყობილი ატმოსფერო იყო ერთეული მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც შეაძლებინა ანტონ კოსის მაღალნაყოფიერად ეშრომა, ეღვაწა სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საკმაოდ მხცოვან ასაკამდე – 83 წლამდე.

საშინაო, ოჯახურ გარემოში ანტონ კოსის საყვარელი საქმიანობა იყო კითხვა და ჭადრაკის თამაში. იგი ძლიან ერუდირებული ადამიანი იყო, რაშიც ხელს უწოდდა მახვილი გონება და კარგი მეხსიერება, რომელიც მან შეინარჩუნა სიცოცხლის ბოლომდე. მან დატოვა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც საკუთარი ხელით პქონდა შეგროვილი, რომელთაგანაც სატყეო სპეციალობის იშვიათი წიგნები, ოჯახმა მის კოლეგებს საჩუქრად გადასცა.

კოსი სამართლიანად ამაყობდა თავისი შვილებით. ვაჟი – იგორი ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში. იგი არის ფიზიკათემტიკის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მრავალრიცხვანი სამეცნიერო შრომების ავ-

ტორი. მას პყავს შესანიშნავი, დიდი ოჯახი. ქალიშვილი – ტატიანა ოჯახთან ერთად თბილისში ცხოვრობს. იგი სპეციალობით მშენებელია, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. შვილები, შვილიშვილები, ასევე ოჯახის მეგობრები დიდ პატივს სცემენ ა. კოსსის, ამ დიდი ადამიანის, ნათელ ხსოვნას, რომელიც იყო ვაჟაცური, და ამავე დროს, ცხოვრებაში ძალზე მოკრძალებული. მათ, ვისაც წილად ხვდა ანტონ პეტროვიჩთან ურთიერთობის ბედნიერება, ყოველთვის იხსენებენ მის ხელგაშლილობას, სიცოცხლის სიყვარულს, კრიტიკულ დამოკიდებულებას მიმდინარე უარყოფითი მოვლენების მიმართ, რაც ასე აუცილებელია წვენს დროში. „დააყენე ყველაფერი ეჭვქვეშ, იფიქრე თვითონ და ნურაფერს დაიჯერებ“, – ასე ასწავლიდა იგი თავის შვილიშვილებს, ბერძენი ფილოსოფოსების ციტირებით და მათაც კარგად დაიმახსოვრეს ეს შეგონებანი.

ანტონ პეტრეს ძემ 1976 წელს, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ფორმით, გამოსცა ტექნიკურ-ეკონომიკური

ნარკვევი, რომელშიც შესანიშნავადაა გამოკვლეული და გაანალიზებული საქართველოში სატყეო მრეწველობის ჩასახვისა და განვითარების ისტორია, დაწყებული 1870-იანი წლებიდან, თითქმის მთელი ასწლეულის მანძილზე (1970-იანი წლების შუა ხანებამდე). ნარკვევის ბოლოს, დასკვნით ნაწილში, დასახელებულია 100-ზე მეტი პიროვნების გვარ-სახელი, რომელთაც თავისი თავდადებული შრომით, საფუძველი ჩაუყარეს და განავითარეს სატყეო მეურნეობის და ტყის მრეწველობის დარგები საქართველოში. ისინი დღეს ცოცხალთა შორის აღარ არიან, და როგორც ეს ანტონ პეტრეს ძემ გვიანდერდა, დღევანდელი და მომავალი თაობის ვალია, პატივი მიაგოს მათ ნათელ ხსოვნას და ააღორძინოს მათ მიერ საფუძველჩაყრილი და შემდგომ მაღალინდუსტრიულ საფუძველზე ორგანიზებული, დღესდღეობით კი თითქმის გაპარტახებული, სატყეო-სამეურნეო და სატყეო-სამრეწველო საქმიანობა საქართველოში.

**პარლო ტუღუში, თენაზის ლალიძე, ლამარა არგანაშვილი,  
რეგაზ ობოლაძე, თამაზ გიორგაძე**

## ომარ ერგემლიძე

(1935–2014)



ქ.წ. 17 მაისს 79 წელი შეუსრულდებოდა სატყეო საქმის თვალსაჩინო სპეციალისტს, ფიზიკურად და სულიერად ულამაზეს პიროვნებას – ომარ ერგემლიძეს.

ომარი ადრე დაობლდა მამის მხრიდან, რომელიც 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ეს ავადსახსენებელი რეპრესიები იმარის დედასაც შეეხო, თუმცა მან გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მაინც შესძლო შვილების დირსეულად აღზრდა. ომარის და, ქ-ნი ნუნუ, ცნობილი მუსიკოსი გახდა და შესანიშნავი ოჯახი შექმნა.

ომარ ერგემლიძემ წარჩინებით დაამთვრა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო სპეციალობა და ქ. მოსკოვში, სსრ კავშირის სახელმწიფო სატყეო კომიტეტის სამიერო-საპროექტო ბიუროს ინჟინრად დაიწყო მუშაობა. რამდენიმე წელის შემდეგ მან გადაწყვიტა სამეცნიერო საქმიანობას შესდგომოდა, და ამ მიზნით ასისტენტად იწყებს მუშაობას მოსკოვის სატყეო ტექნიკურ ინსტიტუტში, თუმცა ერთი წლის შემდეგ ის ისევ წარმოებას უბრუნდება.

ამჯერად ის მუშაობას იწყებს საკავ-

შირო გაერთიანება „ტყეპროექტში“ ინჟინრად, ხოლო ერთი წლის შემდეგ დააწინაურეს სატყეო მეურნეობის საკავშირო სამიერო-საპროექტო ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელად, სადაც თითქმის ათი წელი დაჰყო.

მოსკოვში საკმაო დროით მუშაობის შემდეგ, ომარი საქართველოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს საწარმოო გაერთიანება „მშენებელში“ – რუსთავის ხის დამამუშავებელი კომბინატის მთავარ ტექნოლოგიად და ტექნიკური კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარედ. პარალელურად, მას ირჩევენ გაერთიანების პროფესიული კავშირის თავმჯდომარედ. შემდგომ მუშაობას განაგრძობს „საქტყეჭადალდის“ მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. შემდგომ წლებში მუშაობდა სააქციო საზოგადოება „კორომის“ დირექტორ-განმკარგულებლად, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფ საპროექტო ინსტიტუტში „საქტყეპროექტში“ – მთავარ სპეციალისტად.

როგორც ვხედავთ, ომარის საკმაოდ საასუხიმგებლო თანამდებობებზე მოუწია მუშაობა და რაც მთავარია, ყველგან დიდი პასუხიმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მობალეობებს.

ომარს ისე ახლო არავინ იცნობდა, როგორც ჩვენ, ინსტიტუტისდროინდედი მეგობრები. წლებმა დაგვაკავშირა, წლებმა გამოსცადა ჩვენი მმობა და თანადგომა. ომარი განუმეორებელი, შეუდარებელი მეგობარი იყო, ამის დასამტკიცებლად ერთი ეპიზოდი გვინდა გავიხსნოთ.

ჩვენი სტუდენტობის დროს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩამოყალიბდა

მომდერალთა გუნდი, რომელშიც კურ-სიდან სამი სტუდენტი – ომარ ერგემ-ლიძე, ლევან გვაზავა და ელიზბარ ლო-მინაძე აიყვანეს. ხელმძღვანელი გახლ-დათ ცნობილი ლოტბარი, აწ გარდაცვ-ლილი ბ-ნი აკაკი ქარსელაძე. ერთხელ, აკაკი ომარის ეუბნები: „ეი, შენ ტყავის-პალტოიანო, გამოდი, ხელს ნუ უშლი შენ ამხანაგებსო“. ყველა გავოცდით. ომარის სმენაც პქონდა და სიმდერაც გამოსდიოდა, მაგრამ აქ რა მოხდა, ვერ გავიგეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ, რეს-პუბლიკის სიმდერის სახელმწიფო ანსამ-ბლის ხელმძღვანელი ბ-ნი ანზორ კაჭ-საძე მოვიდა ინსტიტუტში. მას სტუ-დენტების შერჩევა და წაყვანა უნდოდა მის ანსამბლში და აი, საოცრება, ყველა დაიწუნა და ომარი მოიწონა, მაგრამ იგი არ გაჟყვა მას, ჩვენ კი მეგობრებს გვით-ხრა: – „მარტო მე რა მინდოდა, თქვენც

რომ აეყვანეთ, მეც წავიდოდიო“. ეს იყო ომარის თვისება. ასეთი კეთილშობი-ლური თვისებები ომარის ხშირად გა-მოუჩენია თავისი მეგობრების მიმართ. მას პირადი ამბიციები, შეიძლება ითქვას, არ პქონია. ყოველთვის, პირველ რიგში, ანგარიშს უწევდა მეგობრების ინტე-რესებს. ასეთი მეგობარი რომ აღარ გე-ყოლება გვერდზე, რა დანაკლისია მნე-ლი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

ომარის ამ ქვეყნიდან წასვლამ ყველა ახლობელს და მეგობარს ძლიერ დაგვ-წყვიტა გული, უპირველესად კი მის მე-უღლეს ჭნ დისოს, მის ქალიშვილს, სიძეს შვილიშვილებს.

ჩვენო ომარ, შენ სამაგალითოდ განვ-ლე ცხოვრების ეს წუთისოფელი. კაცუ-რად იცხოვრე და იღვაწე. ჩვენ ისდა დაგვრჩენია, რომ გულწრფელად შევთ-ხოვოთ უფალს, რათა ნათელში ამყოფოს შენი კეთილშობილური სული.

**თანაპურსელი მებობრების სახელით:**

**გაყვალა კუჭავა, ლამარა არგანაშვილი, მაღლენა კილურაძე,  
ანზორ აღენიშვილი, დემა ბლიაძე, ბურამ ბერიშვილი, ლევან  
გვაზავა, ელიზბარ ლომინაძე, დათო იმანაშვილი, სერგო  
კალმახელიძე, გახტანგ გარდიაშვილი, რეზო ობოლაძე,  
თამაზ ძურდიანი, ლერი ჭოშვა, ჯემალ კანდელაკი,  
გოგი ახობაძე, სულიკო ჯაყელი.**

## VIII. სატყეო მატიანი

### რევაზ ობოლაძე

#### **მოგზაურობა დროში, ანუ უსხვედრა წარსულიანი**

რას წერდა ამ 50-ზე მეტი წლის წინათ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გაზეთი „საბჭოთა აგრონომი“ სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის საქმიანობაზე და საერთოდ, ინსტიტუტის ცხოვრებაზე.

1955-1959 წლები (მიმოხილვა კომენტარებით)

1955 წლის აპრილის ერთერთ ნომერში გაზეთი იტყობინება იმის შესახებ, რომ პარტიისა და მთავრობის მოწოდების მხარდასაჭერად ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეულ ჯგუფს გამოუთქვამს სურვილი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე წასკლის შესახებ. მ.შ. მოხსენებულია ტყის პულტურებისა და სატყეო მელიორაციის კათედრის ლაბორანტი, ასპირანტი ილია ფარჯანაძე – შესანიშნავი პიროვნება; შემდგომში ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების უფროსის მოადგილე; თბილისის ტყის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნ. კანდიდატი.

გაზეთის ამავე წლის 31 მაისის ნომერში ერთერთ სურათზე გამოსახულია საქართველოს პავილიონის ხედი მოსკოვში, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. აქვე მოთავსებულია გამოფენის მონაწილის, პროფესორ ვასილ გულისაშვილის ფოტო, სადაც ის მოუხრობს გამოფენის მონაწილეებს მთიან პირობებში ტყეების მოვლა-აღდგენის მოწინავე მეთოდებზე.

გაზეთის ამავე ნომერში მოთავსებულია სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტის – მურმან ნიჟარაძის წერილი „კომპლექსური პრაქტიკა“. კერძოდ, მოთხოვთ საგურამოს მიდამოებში სატყეო ფაკულტეტის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის შესახებ მეტყველება – ნიადაგმცოდნეობაში, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ პროფესორები გიორგი ტარასაშვილი და იასონ (იჩო) აბაშიძე. სულ პრაქტიკა წარმატებით გაუვლია 60 სტუდენტს.

გაზეთის ამავე წლის ივნისის ერთერთ ნომერში დოცენტი ლევან ჩიხლაძე მოგვითხრობს საგან „მეტყველეობაში“ ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტყის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლინის საცდელ-საჩვენებელ სატყეო სამეურნეობაში. აქვე აღნიშნულია, რომ III-IV კურსის სტუდენტები საწარმოო და წინასაღიპლომო პრაქტიკაზე იმყოფებიან ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობებში, სადაც ტყეები არამარტო საკურორტო მნიშვნელობით არის საყურადღებო, რამედ იმითაც, რომ აქ თავმოყ

რილია მეტად მრავალფეროვანი აღნა-  
გობის, მრავალსართულიანი კორომები:  
საქართველოსთვის დამახასიათებელი  
ფიჭვნარები, ნაძვნარ-სოჭნარები, წიფლ-  
ნარები, მუხნარები, სუბალპური მეჩხე-  
რები და სხვა. წერილის ავტორის დრმა  
რწმენით, სასწავლო-საწარმოო და წინა-  
სადიპლომო პრაქტიკების წარმატებით  
გავლა საფუძვლად დაედება მომავალ  
მეტყველებისადმისტრა მაღალკვალიფი-  
ციურ დონეზე ჩამოყალიბებას და პრო-  
ფესიონალებად ფორმირებას.

**პომენტარი:** მართლაც, ეს ყველა-  
ფერი იყო და მაღალ დონეზე ხორციელ-  
დებოდა შემდგომშიც, ათეული წლების  
მანძილზე. მაგრამ სამწუხაროდ, დღეს,  
ყოველივე ამისგან მხოლოდ ტბილი მო-  
გონებებია შემორჩენილი: თითქმის გაუქ-  
მებული და იავარქმნილია, ერთ დროს  
მსოფლიოში სახელგანთქმული სამთო  
მეტყველების სამეცნიერო-კვლევითი ინს-  
ტიტუტი თავისი საცდელ-საჩვენებელი  
სატყეო მეურნეობებით დიდგორსა და  
გორში, ასევე ანულირებულია სასოფ-  
ლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სატყეო-  
სამეცნიერო ფაკულტეტი. . . . .

თუმცა, მივყვეთ გაზეთის შემდგომ  
ნომრებში ასახულ ამბებს:

1955 წლის 6 სექტემბერს გამოსული  
გაზეთი, მოწინავე წერილით „ისტავლე  
მხოლოდ ფრიადზე და კარგზე“, მოქ-  
სალმება პირველკურსელებს, რომლებ-  
მაც ახლახან შემოაღეს ინსტიტუტის კა-  
რები. ყველა ფაკულტეტზე სულ 400  
პირველკურსელი შემომატებია ინსტი-  
ტუტს, მათ შორის რამდენიმე გვარსახე-  
ლითაცაა მოხსენებული. კერძოდ, აღნიშ-  
ნულია, რომ „...მომავალ მექანიზატორებს  
ბორის სუციშვილს და ივონა ჩიჯავაძეს,  
აგრონომებს – ვერა ზასიადეოს და ქსე-  
ნია ოსადკინას, პიდრომელიორატორებს  
– გია რამიშვილს და ელგუჯა სულავას,  
ეკონომისტებს – ინეზა რუხაძესა და  
შელეგიას, მებაღე-მევენახევებს – გურამ

კეზერაშვილსა და ვაჟა ბესელიას, მეტ-  
ყველებს – თამაზ ქურდიანს და რევაზ  
ობოლაძეს, ყველა პირველკურსელს ახ-  
ლებურად მოუხდებათ წიგნზე და ლა-  
ბორატორიაში მუშაობა...“

შემდგომი წლების პუბლიკაციებში,  
დღევანდელი გადასახედიდან, ძალზე  
საინტერესოდ იკითხება საქართველოს  
მეტყველთა პირველი თაობის შესანიშ-  
ნავი წარმომადგენლის, ტყის კულტუ-  
რების და სატყეო მელიორაციის კათედ-  
რის მაშინდელი გამგის – გერმოგენ  
ბრეგვაძის წერილები: 1. „საქართველოს  
ტყეები“; 2. „თბილისი-წალკოტი“ (მიძღვნი-  
ლი თბილისის დედქალაქად დაფუძნების  
1500 წლისთავისადმი); 3. „ბუნება და  
„სიტყვის კონა“ (მიძღვნილი სულხან-  
საბა თრბელიანის დაბადების 300 წლის-  
თავისადმი). აღნიშნული სტატიები სრუ-  
ლად ქვეყნის ურნალის ამავე ნო-  
მერში გერმოგენ ბრეგვაძის დაბადების  
120 წლისთავთან დაკავშირებით.

მეტად საყურადღებოა დოცენტ (შემდ-  
გომში პროფესორი, ფაკულტეტის დე-  
კანი) პეტრე მეტრეველის წერილი „შექ-  
მნათ საკუთარი სასწავლო-საცდელი  
სატყეო მეურნეობა“. წერილის ავტორი  
სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის  
ეფექტურად და ხარისხიანად ჩატარების  
მიზნით, აყენებს წინადადებას სატყეო  
ფაკულტეტის სასწავლო-საცდელი სა-  
ტყეო მეურნეობის შექმნის აუცილებ-  
ლობის შესახებ.

**პომენტარი:** აღნიშნული საკითხი,  
1960-იანი წლების შემდგომაც, რამდენ-  
ჯერმე დაისვა ზემდგომ ორგანოებში.  
თუმცა მისი გადაწყვეტა, ამ უმნიშვნე-  
ლოვანები დონისძიებისადმი ბიუროკრა-  
ტიული მიღვომის გამო, ვერ მოხერხდა.  
ის კი არა, მოხდა პარადოქსი და, საერთოდ,  
ინსტიტუტის დღევანდელ ვაიმულობელ  
მესვეურთა მიერ, აგრარულ უნივერ-  
სიტეტში სატყეო-სამეცნიერო ფაკულტეტი  
საერთოდ დაიხურა.

არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიიქციოს სატყეო-სამეურნეო ფაქულტეტის ბრწყინვალე პედაგოგის, საგან „დენდროლოგიაში“ პრაქტიკულ-ლაბორატორულ მეცანიერებათა მაშინდელი ხელმძღვანელის ლენა ავალიანის წერილმა „დენდროლოგიური მუზეუმი“, რომელშიც მოთხოვილია დიდ მეტყველებელი აგორა, თავდადებული შრომით და რუდუნებით, ათეული წლების განმავლობაში შექმნილი, უნიკალური დენდროლოგიური მუზეუმის შესახებ.

აღნიშნული წერილი, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, სრულად გადმოვიტანეთ შემოთავაზებულ მიმოხილვაში.

### **დენდროლოგიური მუზეუმი**

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დენდროლოგიურ კაბინეტთან არსებული მუზეუმი ექსპონატთა რაოდენობით და ნაირგვარობით ერთერთი საუკეთესო საბჭოთა კავშირში.

მუზეუმში შეგროვილია ხე-ბუჩქნართა მერქნის 6000-მდე სხვადასხვა ნიმუში. მას აქვს ტყის ჯიშების თებლეულის, გირჩების კოლექცია, მდიდარი საკერძარით მასალა და ხის ნაწარმის ნიმუშები. განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი კავკასიური ჯიშების განყოფილება და სუბტროპიკული გეზოები.

მუზეუმში მოიპოვება კავკასიური სოჭის, ურთხმელის, ძელქვის, ბზის, ხერკინის, საქსალაჯის და სხვა კავკასიური ჯიშების იშვიათი ნიმუშები. ეგზოგრაფიანი განსაკუთრებით აღსანიშნავია კორპის მუხის, ეკომისის, კრიპტომერიის, სექტორის, ვიტაროების, არაუკარიის, ლარიქის, აკაციების, ფიჭვებისა და სხვათა წარმომადგენლები.

მუზეუმში წარმოდგენილი ექსპონატები ასახავენ სხვადასხვა ჯიშების მერქნის ხასიათს, მათი გამოყენების შესაძლებლობას, ეკოლოგიურ თავისებურებათა მრავალფეროვნებას, საარსებო პირობების გაცლენას მათს ზრდა-განვითარებაზე.

მუზეუმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სახწავლო ობიექტს და ცნობარს სატყეო მეურნეობის პრაქტიკოსებისათვის. იგი იძლევა მდიდარ მასალას მეცნიერული კვლევადისათვის.

**დენდროლოგიურ მუზეუმს ხშირად ნახულობებს უცხოეთის დელეგაციები, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მეცნიერული დაწესებულებების მუშაობები. მუზეუმში მრავალად მოდიან ჩვენი რესპუბლიკის სკოლების, ტექნიკუმებისა და ინსტიტუტების მოსწავლეთა ექსკურსიები. ამ დღეებში იგი ინახულა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტთა დელეგაციაში. მათგა მუზეუმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.**

დენდროლოგიური მუზეუმი ძირითადად ემსახურება სატყეო-სამეურნეო ფარგლებსა და მცენარეთა დაცვის ფარგლების ხტუდენტებს. აქ ისინი გადიან საკუთალურ დისციპლინას – დენდროლოგიას.

მუზეუმი ყოველწლიურად მდიდრდება ახალი ექსპონატებით. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ სტუდენტები და სხვა დაინტერესებული ამხანაგები. მიმდინარე წელს დირექტორი მუზეუმის ფართობი გაადიდა. მას ცალკე გამოეყო საპერბარიო განყოფილება.

ელ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი

**პომპეიაში:** კარგა ხანია საუკუნო სასუფეველში განისვენებს ქალბატონი ელენე (ლენა) ავალიანი. იმქვეყნად განისვენებენ დენდრომუზეუმის საფუძვ-

ლების ჩამყრელნი და განმამტკიცებლები – კინოგრაფოვ-ნიკიტინი და იასონ აბაშიძე; თუმცა ვფიქრობთ, რომ ინსტიტუტის დღევანდელ მესვეურთა ვანდალური ქმედება – მუზეუმის გაპარტახება და ლიკვიდაცია მათ სულებს იქაც შეძრავს და შეაშფოთებს.

ჩვენი ყურადღება მიიჰყრო გაზეთის 1958 წლის დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულმა ფოტოსურათმა, რომელშიც ასახულია მოქნები: მიმდინარეობს გამოცდები სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის მე-4 კურსზე. სტუდენტმა რამაზ შოშნიაშვილმა (დიდი ქართველი მწერლის – მიხეილ ჯავახიშვილის შვილი-შვილი) აკადემიკოს ვასილ გულისა-შვილს ჩააბარა საგანი – „ზოგადი მეტყველება“ და მატრიკული „ფრიადი“ შეფასებით დაიმშვენა. თანაკურსელები ლევან ვაზავა, შოთა რუსაძე და ლილი მანუჩარაშვილი ცნობისმოყვარეობით ჩასცეკრიან რამაზის მატრიკულში დაფიქსირებულ უმაღლეს შეფასებას.



ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიჰყრო ასევე გაზეთში, 1958-1959 წლებში, გამოქვეყნებულმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემკენარეობის კათედრის დოცენტის დავით სამადაშვილის მოგონებებმა „სალამი ჩემო alma mater“ (იგულისხმება უმაღლესი სასწავლებელი – აღმზრდელი დედა).

1950-1960-იანი წლების სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებს კარ-

გად გვახსოვს დრმა, ევროპული განათლების დონით აღჭურვილი, ბრწყინვალე პედაგოგი – დავით სამადაშვილი, რომელიც საინტერესოდ წარმართავდა ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს საგან „მემკენარეობაში“, ძირითადად – აგრონომიული განხრის სტუდენტებთან. მოგონებები ასახავს ნოვოალექსანდრიის (პულავის) სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში მისი სწავლის ხანას, სასწავლებლის შესანიშნავი პროფესორებას საქმიანობას). ეს იყო 1900-იანი წლების დასაწყისი, სხვა გამოჩენილ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, იმ დროს ნოვოალექსანდრიის სასოფლო და სატყეო ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ შემდგომში საქართველოში სატყეო მეცნიერების და განათლების ფუძემდებელი, დიდებული მამულიშვილი – სოლომონ ქურდიანი. გთავაზობთ სრულად ამ გაზეთში გამოქვეყნებული მოგონებების შესავალი ნაწილის ორ მონაკვეთს.

### **სალამი ჩემო alma mater**

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ. მაშინ სამი გაყოფის შემდეგ ევროპულ სახელმწიფოთა შორის, აღმოსავლეთი პოლონეთი შედიოდა ძევის რუსეთში ვისლის-პირა მხარის სახელწოდებით. იმდროინდელ ვებერთელება რუსეთის იმპერიაში მხოლოდ ორი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი: იყო მოსკოვის (ახლანდელი ტიმირიაზვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია) და ნოვოალექსანდრიაში, უწინდელ და აწინდელ პულაგში, რომელიც პირველი იმპერიალისტური ომის დასაწყისშივე (1914წ.) გადატანილ იქნა ხარკოვში და დღესაც იქ იმყოფება დოკუმენტის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახლწოდებით.

სავსებით ბუნებრივია, რომ სპეცია-

ლურ განათლებას მოწყურებული მაშინდელი ახალგაზრდობა ამ უმაღლეს სახელმძღვანელოს აწყდებოდა რუსეთის სხვადასხვა მხრიდან და მათ შორის საქართველოდანაც. ჯერ კიდევ გასული საუკნის 80-იან წლებში ნოვოალექსანდრიის (პულავის) სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში სწავლობდნენ ქართველები, რომლებიც შემდეგ ში მეცნიერული მიწათმოქმედების აპლოგეტები



სურათზე: პულავის ინსტიტუტი, საღაც ქართველი სტუდენტები სწავლობდნენ

იყვნენ საქართველოში (ე. ნაკაშიძე, გ. ზაალიშვილი, ე. გაწაძე). 1908 წელს მეცნიერებული სტუდენტები გავხდი. 70-იან წლებში პულავი ინახულა მეცნიერებული მეცნიერების მეორემ და მის საპარიტოებიდან პოლონურ პულავს რუსული სახელწოდება ნოვოალექსანდროია ეწოდა. პოლონელთა გულის მოხაგებად დაარსდა ეს ინსტიტუტი.

პულავი მდებარეობს ლიუბლინის გუბერნიაში (ახალნდედ ლიობლინის სავოევიდოში), ფიჭნარ ზონაში, კიევ-გარშავის რკინიგზის ხაზზე, მდინარე ვისლის მარჯვენა მაღლობ ნაპირზე, საიდანაც გადმა მხარეზე ხელისგულივით მოჩანს რადომის თითქმის მთელი სავოევიდო. ლიუბლინისანიდან იგი დაშორდება 60 კილომეტრით, კარშავიდან კი 100-ზე მეტი კილომეტრით.

ინსტიტუტი მოთავსებული იყო ორსართულიან ვეებერთელა შენობაში. მას გარს ეკრა მშევნიერი დენდროლოგიური აარკი, რომელიც გაშენებულია ინგლისელი მეტყველების მიერ. გარდა სახალისა, აარკში სხვა ნაგებობათა შორის ორ ღისრს შესანიშნავ ძეგლს შეხვდებით – სიბილას სკოლებიან კოშკს, სადაც ხალხური გადმოცემით დროებით დაკრძალული იყო ნიკოლოზ კოპურნიკი, და მარინეს სახახლებს, სადაც, იმავე გადმოცემით, ცრუ დიმიტრი ეფიცებოდა და პიორდებოდა მარინე მნიშვნელი რუსეთის ტახტზე დედოფლად დაგსვამო. ინსტიტუტს პეტრები სამი სასწავლო მეურნეობა. მისი ტერიტორია 700 ჰექტარს შეადგენდა. კონსკორდ-კოლია, რომელიც დაშორებული იყო 7 კილომეტრით, გადაჭიმული იყო 2 ათას ჰექტარზე, სადაც უმთავრესად მემინდვრეობას მისდევდნენ. სატყეო აგარაკის „რუდას“ განკარგულებაში იყო 3 ათასი ჰექტარი ტყედ. სამაღალი შვილი

### საღამი ჩემო *alma mater*

როცა მე პულავის ინსტიტუტში ჩავიდები (1908წ.), აქ თავმოყრილი იყვნენ გამოჩენილი რუსი მეცნიერი პედაგოგები: აკადემიკოსები კ. გლინიკა (ნიადაგმცოდნელი), ა. არბუზოვი (ქიმიკოსი), პროფესორები: ა. სკვორცოვი (ეკონომისტი), პ. ბარაკოვი (მიწათმოქმედი), ნ. ცინგერი (ბოტანიკოსი), გ. სემიონოვი (ქიმიკოსი) და სხვები. ქართველ მეცნიერთაგან აქ იყო პროფესორი ს. ქურდიანი. ამ სახელოვანი პლეადიდან ცოცხალია მხოლოდ აკადემიკოსი ა. არბუზოვი (ყაზანშია).

ამ დროს პულავში ქართველი სტუდენტები ვიყავით: აკადემიკოსი დ. პ. გელეგანიშვილი, ი. ზ. ქურდიანი (გორის მაზრის პირველი საერობო აგრონომი 1913 წლიდან), ვ. ი. ფალავანდიშვილი (ქუთაისის მაზრის პირველი საერობო

აგრონომი), გ. ე. საყვარელიძე (თუდავის მაზრის პირველი საერობო აგრონომი), ა. პ. ნაკაშიძე (ცნობილი პუბლიცისტის ილიას უმცროხის მმა) და ამ სტრიქონების ავტორი (სიღნადის მაზრის პირველი საერობო აგრონომი). ამათგან ახლა ცოცხლები არიან ი. ზ. ქურდიანი და დ. ი. სამადაშვილი.

შემდეგ წლებში პულავის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტი სახვავლებლად ჩამოვიდნენ: ქართული ფილარმონიული საზოგადოების დირიჟორი გ. ვ. დალაქიშვილი, პ. ა. ბადაშვილი, გ. ნ. კანდელაკი, გ. გ. ოქროპირიძე და ფ. ა. კარბელაშვილი. ამათგან დღესაც ცოცხლები არიან პ. ბადაშვილი, გ. ნ. კანდელაკი და ფ. ა. კარბელაშვილი. ეს იყო ქართველი სტუდენტების უკანასკნელი პლეადა, რომელმაც პულავის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტი დაამთავრა.

სტუდენტების დროის ბევრი სახისა-რულო თუ სევდიანი მოგონებიდან, რომლებითაც ასე მდიდარია თვითონეული ჩვენგანის ყოფა-ცხოვრება, საქართველოში პოლონური კულტურის დღეებთან დაკავშირებით, მე მიხდა გავიხსენო პირველი და უკანასკნელი ქართული საღამო-კონცერტი, რომელიც ქართველმა სტუდენტებმა გავმართეთ პოლონეთში., პულავის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში დარიბ სტუდენტთა დასახმარებლად. პირველად გაისმა ქართული პანგები მდ. ვისლის ნაპირას, მაგნატ ჩარტორისკების ყოფილ სრა-სასახლეში. ეს იყო 1914 წლის 13 თე-ბერები.

სული და გული ამ საღამო-კონცერტის მოწყობისა იყო 1917 წელს ქალაქ ვლადიევკაზში გაძარცვის მიზნით ავაზაურად მოკლული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ქართული ფილარმონიის ნიჭიერი დირიჟორი, მუხრანის ველის პირველი

საერობო აგრონომი, ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტი გ. ვ. დალაქიშვილი. მან სრული თვე მოანდობა, რომ ქართველებისაგან, პოლონელებისაგან და რუსებისაგან შემდგარი გუნდისათვის შეეწავლებინა ქართული სიმღერები. რასამ კორველია, პროგრამაში შეტანილი იყო პოლონელი და რუსი კომპოზიტორებიც.



**სურათზე:** კონცერტის მონაწილე ქართველ სტუდენტთა ჯგუფი პულავში

ვარშავიდან გვეწვივნენ სომეხი სტუდენტებისაგან შემდგარი მესაზანდრეთა ანსამბლი და ქართველი სტუდენტები. კიევიდან ქართველმა სტუდენტებმა ჩამოიტანეს 12 კაცის ქულაჯა და ერთი ქართული კაბა. კიევში ღვინით მოვაჭრე დოლაბარიძემ კი ჩამოიტანა ხუთი დეკადიტრი კაბური ღვინო და 1000 მანეთი ცულადი დახმარება დარიბ სტუდენტთათვის. ჩვენს განკარგულებაში იყო სამედრო სასულე ორკესტრიც. ინსტიტუტმა მოგვცა თრი ცხვარი. ყველაფერი ეს უფასოდ მივიღეთ.

P.S. როგორც ირკვევა, შემდგომ ნომრებში ამ შესანიშნავი მოგონებების გაგრძელებაც ყოფილა გამოქვეყნებული, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიერ.

გავაგრძელოთ ისევ გაზეთის შემდგომი ნომრების ფურცელა: ცალკეულ საგაზეთო სტატიებში კვლავ ცოცხლდება მაშინდელ სტუდენტთა აქტიური, სასწავლო-შემოქ-

მედებითი საქმიანობის მეტად საინტერესო დეტალები. მაგალითად, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი ტიტე ჩიქოვანი მოგვითხრობს 94-ე ჯგუფის ხელმძღვანელის (ე.წ. სტაროსტის) – შალვა მურვანიძის წარმატებულ საქმიანობაზე თანაკურსელთა აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით. ამ ჯგუფს თურმე ფაკულტეტზე „შალვას ჯგუფს“ ეძახდნენ. მასში 6 ფრიადოსანი და 10 კარგოსანი ყოფილა.

სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი – კარლო ტუდუში გაზეთის ფურცლებზე გვიზიარებს ქ. რიგაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს (1958 წ.). კარლო ტუდუში, ამავე ფაკულტეტის მებადე-მევენახეობის ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტ გივი ბადრიშვილთან ერთად, გაუგზავნიათ ლატვიაში, სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ორთავე ქართველი სტუდენტების მოხსენებებს მაღალი შეფასება დაუმსახურებიათ. აკადემიის მეტყველეობის კათედრის გამგეს, პროფესორ საქსს დიდი პატივისცემით და მადლობით მოუკითხავს თბილისის ტყის ინსტიტუტის დირექტორი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეტყველეობის კათედრის გამგე, აკად. გულისა შვილი. კონფერენციის დასრულება დაგვირგვინებულა შესანიშნავად მოწყობილი ბანკეტით, რომელზეც ქართველი სტუდენტების პატივსაცემად „სულიკოც“ კი უმდერიათ.

გაზეთი ფართოდ აშუქებდა სხვადასხვა საგნებში სტუდენტთა მიერ გამოცდების ჩაბარების პროცესს.

აი აგერ სტუმრად მეტყველებთანაც მისულან.



სურათზე: სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები ნაზი ბადათურია და მარატ წიქარიშვილი დოცენტ ევსეი თოფურიძეს აბარებენ გენეტიკასა და სელექციას.

ფოტო ი. დგალისა

გაზეთის 1957 წლის ოქტომბრის ერთერთ ნომერში ფართოდაა გაშუქებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა წარმატებები შორეულ ყაზახეთში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში. ამ მიმართებით ფართო მიმოხილვით წერილს აქვეყნებს ყამირელ სტუდენტთა საერთო ხელმძღვანელის მოადგილე, სოფლის მურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი (შემდგომში პროფესორი, წლების მანძილზე სატყეო ფაკულტეტის დეკანი, მეტყველეობის კათედრის გამგე) შალვა აფციაური. წერილის ავტორი გვამცნობს, რომ ყამირი მიწების ასათვისებლად ინსტიტუტიდან 400-ზე მეტი სტუდენტი გამგზავრებულა, რომლებიც 1957 წლის 30 ივლისიდან 29 სექტემბრამდე შორმობდნენ ყაზახეთის რესპუბლიკის კუსტანაის ოლქის პეშკოვის რაიონში 14 კოლმეურნეობის მინდვრებზე. მათ მოსავალი აუდიათ 5 ათ. ჰა-ზე, ჩაუდვიათ 48 ტონა სილოსი; 10 ათას ჰექტარზე შუგროვებიათ და დაუბულულებიათ პირუტყვის საკვები და სხვაც მრავალი სამუშაოები ჩაუტარებიათ. სტუდენტთა შორის განსაკუთრებით თავი გამოუჩენია რობიზონ აივა-

ზოგს. შრომის მოწინავეთა შორის დასახელებული არიან სატყეო და პიდრომელიორაციის ფაკულტეტის სტუდენტები – დათო კვანტიალიანი, ცეზარ თელია, შოთა რუსაძე, ნოდარ ლომინეიშვილი, ლევან გვაზავა, ელიზბარ ლომინაძე, რეზო ლურსმანაშვილი. . . . .

სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობით, დოც. შალვა აფციაურის პროექტით, განხორციელებულა ქ. პეტერეგვის რაიცენტრში, ოთხ პექტარზე, ახალი პარკის მშენებლობის დაგეგმარება და საფუძვლის ჩაყრა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია გაზეთის იმ ნომრებმა, რომელშიც ასახულია 1956 წლის სექტემბერში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა შრომითი საქმიანობა ქობულეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობების ჩაის პლანტაციებში.

ამ დონისძიებას ფართო სტატიას უდღნის საქართველოს კა ქობულეთის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივანი – კარლო ლომაძე, რომელიც მიესალმება წლიური გეგმის შესრულების გადამწყვეტ პერიოდში, ოჩხამურისა და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობებში დასახმარებლედ ჩამოსულ სტუდენტებს. შრომით ფერხულში ჩაბმული ახალგაზრდულ ბრიგადებსა და ჯგუფებს შორის აღნიშნულია მოწინავენი, რომელთაც ხელმძღვანელობენ დოცენტი ოთარ ნათიშვილი, მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იუზა ვასაძე, უფროსი ლაბორანტი ა. ბეროზაშვილი და სხვები. პერსონალურად მოწინავეთა შორის დასახელებული არიან სატყეო და პიდრომელიორაციის ფაკულტეტის სტუდენტები: ანზორ ავალიანი, ვიოლეტა დოლიძე, ელეონორა ხუციშვილი, დოდო დარჩია, როენა თოხაძე და სხვები.

**კომინტარი:** აღნიშნულ შრომით საქმიანობაში მეც ვმონაწილეობდი (წარმოდგენილი მიმოხილვის ავტორი),

სატყეო ფაკულტეტის უკვე მეორე კურსის სტუდენტის რანგში. ჩვენი კურსელები მოწინავეთა დონეზე არ ფიგურირებენ, მაგრამ ჩამორჩენილთა შორისაც არ მოიხსენიებიან.

პირად შთაბეჭდილებაზე კი მოგახსენებო შემდეგს: ოჩხამურში, სტუდენტთა დროებითი საცხოვრებელი ე.წ. პალატკები, გაშლილი დაგვხვდა დია მინდორზე, ჭაობიან ადგილზე, რის გამოც ნახევრადსველ ლეიბებზე გვიხდებოდა დამის გათევა. ამიტომ თანდათან იმატა ავადმყოფ სტუდენტთა ე.წ. ვიზიტებმა საბჭოთა მეურნეობის სამედიცინო პუნქტში; ვინც შეუძლოდ შეიქმნა, ზოგიერთი ადგილობრივ საავადმყოფოში მოათავსეს, ხოლო ნაწილი, ერთ კვირამდე ვადით სახლებში გაუშვეს მოსამჯობინებლად. მათ შორის ერთერთი მეც გახლდით. სწორედ ამ დროს ჩამოსულა ფაკულტეტის დეკანი იასონ (იჩო) აბაშიძე და რომ უხილავს შეთხელებული ბრიგადები, აღშფოთებულა. ოქტომბრის დასაწყისში, ლექციების დაწყების წინ, დაგვიბარეს დეკანატში და მაგრადაც შეგვაურეს. დეკანს პატივია ვთხოვეთ და მანაც შეგვინდო; ბრძანებით საყვედური აღარ გამოუცხადებია. ასე დასრულდა ჩვენი „ოჩხამურული ოდისეა“.

მიმოხილვას ვამთავრებო **მურმან ნიკარაძის** მიერ გაზეთის ერთერთ ნომერში გამოქვეყნებული შესანიშნავი ნარკევით „სტუმრად შეფეხბთან“, რომელსაც, ჩვენი აზრით, კომენტარები არ სჭირდება (ვბეჭდავთ სრულად).

## მურმან ნიკარაძი

### **სტუმრად შეფეხბთან**

როცა მოგ ხაურობას აღწერენ, ჩვეულებრივად ეფექტის მოსახდენად პირველ რიგში ქალაქს აღნიშნავენ. დიდი ქალა-

ქის სახელწოდება მაშინვე იზიდავს მკითხველს.

ჩვენ ახეთ ეფექტს ვერ მოვახდენთ, რადგან ექსეურსია, რომელიც საკავშირო ალპპ ცემტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, კომკავშირული ორგანიზაციების საზღვაო ნაწილებთან საშეფო მუშაობის გასაწევად მოეწყო, ქალაქ ფოთს არ გახცილებია, იგი კი ძევრი ჩვენი მკითხველისათვის უცხო როდია, ამიტომ შთაბეჭდილებებს ვერც შეალამაზებ, ვერც გადაამეტებ.

ჩვენ ვერ ვეტყვით ახალს, მკითხველს, იმით, რომ შავი ზღვის ნაპირას გაშლილ ფოთს კარგი ძღვებარეობა აქვს, რომ ზღვისა და რიონის შესართავს თვალისათვის სასიამოვნოდ დაუხერავს იგი. ამის გამო ხომ ქალაქის ზოგიერთ ადგილს კუნძულსაც უწოდებენ. ის ძევლთამცელი ნავსადგურია ფაზისად წოდებული. ოდესაც აქ პირველად იკივლა გემმა, რომელმაც ქართველ საზოგადოებას სავახშო კაპიტალის არსებობა და შემოჭრა აუწეს. აქ გადადგა პირველი ნაბიჯი ქართველმა ბურჟუაზიამ. ბახვა ფულავები ამ ნავსადგურით დაუკავშირდნენ ბურჟუაზიულ ევროპას, აქედან იყიდებოდა უმნიშვნელო გროვებზე კავკასიური კაკლის მორები, რომლებსაც უცხოები გამდიდრების წყაროდ იყენებდნენ, რადგან ეპროპის ბაზარზე ძვირად ფახობდა კავკასიური კაკლის ავეჯი.

მართალია, ამ ნავსადგურიდან ბევრი რამ გავიდა, მაგრამ ახალი საზოგადოების შემოჭრამ ახალი სხივიც შემოიტანა, რომელმაც მზის სინათლეზე გამოიყვანა ფეოდალური საქართველო.

ვინ მოთვლის მას შემდეგ ფოთი რამდენჯერ მოქცეულა საზოგადოების უკრადლების ცენტრში, რამდენი უცხოები დაუპატიუებელი სტუმარი მიუღია და უკანვე გაუსტუმრებია

სულ სხვაა ფოთი დღეს. ახალი არქი-

ტექტურა, ახალი ადამიანები, ქალაქიც განახლებულა! მართლაც, მხოლოდ თოთო-თრთლა ძველი შენობა თუ გაგვახსენების ძველ ფოთს. მაგრამ ამან არ შეიძლება გაანელოს პირველი შთაბეჭდილება.

ფოთი ახალი ყაიდის თანამედროვე ქალაქია. მის ცენტრში თეატრია და სტალინის მონუმენტი. ცენტრის ირგვლივ ქუჩათა ვარსკვლავისებური განლაგება ძალაუნებურად გაიძულებს დღეში რამდენჯერმე შემოუარო შევენიერ თეატრს, თვალი შეავლო სტალინის მონუმენტს. თრიუმნალური არქიტექტურული ჩანაფიქრია, რომელსაც ყოველგვარი ასენა განმარტების გარეშე შეიძლება მიხვდე.

ქალიან შორს გავყევით. დავუბრუნდეთ ჩვენს საშეფო სამხედრო-საზღვაო ნაწილს, რომელსაც ვეწვიეთ 30 კაცის შემადგენლობით.

დღის 12 საათია. ჩვენი მატარებელი სადგურში შევიდა. ხელს ვართმევთ დამხვრებ მასანინდლებს და მანქანებით მიუწერებით. სად? გაურკვეველია...

აი, უკვე სამხედრო ნაწილში ვართ! თოახებში გავნაწილდით.

თითქოს საბანაკო შეკრებაზე მოვხედით სართულებად მოწყობილი მეომრული საწოლებით, თივის ლეიბებით და ბალიშებით.

... შევექცით ჯარისკაცულ ბორშე და ქაშაყს. დაგათვალიერეთ კლუბი. ჩვენმა მოცეკვავებმა პატარა სცენის გამო, თავი სინანულით გადააქნიეს – რას იზამთ, მაინც უნდა გამოვიდეთ. იწყება საცეკვაო წრის ხელახლი გადახვა.

6. ხუნწარია მოწყენილია. რისთვის ჩამოვედი, – შესჩივლებს ის ხან ერთხა და ხან მეორეს, – ვის რად უნდა ჩემი ქართული შაირი?

უკრად წამოიჭრა აზრი ითარგმნოს ანკეტა რუსულად. ამ „აღმოჩენამ“ ყველანი გაგვახალისა. ყველა მოველოდით

რაღაც მოულოდნელს. წარმოდგენილი გვქონდა ხუნწარიას ჩატულობას, გვერდზე გაჭრილი თეთრი ხალათი, გაშეშედვილი ფეხი და მისი ქართულაქცენტიანი რუსული. ხუნწარიაც ჩაება სამზადისის ორომბრიალში.

დაძაბული მუშაობა უხდება დიცენტგ. ხანთაძეს. ზოგს თარგმანს უსწორებს, ზოგს გამოსახვლელ სიტყვას, აზუსტებს კონფერანსიეს ნომერს. მართლაც ინტენსიური სამზადისია.

დაიწყო საღამო. პირველად მოგვესალმა მასპინძელთა წარმომადგენელი ამბ. ხოდიაკოვი. საპასუხო სიტყვით გამოვიდა შ. ჭალაგანიძე. ტაშის გრიალში ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა ბ. სვანიძე და ა. ჯიქიამ გამოიტანეს საჩუქარი – სეულპრუსული ფიგურა – მეზდვაური ავტომატით ხელში და გადასცეს მასპინძლებს. საზეიმო ნაწილი კარგად წავიდა. კმაყოფილებით გადავხდეთ ერთმანეთს.

ჩვენც პირველად ვართ ამ კონცერტზე, საღაც რუსულად კონფერენსიეთ უნდა „ეზიაროს“ თ. ციციშვილი, მსახიობად – ბ. ხუნწარია. ამიტომ გასაგებია ვლავთ.

გაიხსნა ფარდა. გამოჩნდა თ. ციციშვილი. სახუმარო ნომრით გამოსვლა, რამდენიმე მოხდენილი ფრაზა და მაყურებელი პასუხის სიცილით, შემდეგ – ტაშით.

კარგი დასაწყისია! სცენაზეა – ბ. ციციარიძე. ტაში გრიალებს. მას ენაცვლება ცეკვა „დავლური“. ტაში მოწონების ნიშნად. შიგა და შიგ ორგანულად ერთვის ციციშვილის საკონფერანსო ნომრები, რომლებიც თანდათან სულ უფრო და უფრო მოწონებას იმსახურებენ.

სცენაზე კლარნეტი და სიმღერა, გიტარა (ს. გიორგაძე), აკორდეონი (პაპალაშვილი), სოლისტი გ. გუგუშვილი, დარბაზში მოწონების შემახილებია –

იზრდება კონცერტის ხარისხი, იზრდება ცეკვის ტემპი.

– სახუმარო ცეკვა „განდაგან“, – აცხადებს კონფერანსიე და ტკბილ ხალხურ მელოდიაზე მომხიბვლელად ირჩევა ლ. ურთმელიძის ელასტიური ტონი, მოქნილი ხელები. მის დახვეწილ მოძრაობას ჩვენც აღფრთოვანებაში მოვყავართ.

მგ ზნებარე შეძახილი... სცენაზე მკვირცხლდად გამოიჭრნენ სვანიძე და ჯიქია. გ. ხანთაძის და შ. ჭალაგანიძის სახეებზე კმაყოფილების დიმილი თამაშობს. უკცრად ცხადდება შაირი-ანკეტა.

6. ხუნწარიას „ანკეტის“ რუსული ვარიანტის შესრულებას პირველად ვეხწრებით. მაგრამ მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იცინოდა მთელი დარბაზი. ცრელის დონემდე ვიცინოდით ჩვენც. წარმოიდგინეთ დაგვავიწყდა სტუმრის თავდაბლობა და ჩვენ, როგორც მაყურებლები, აღტაცებით ვუკრავდით ტაშე.

მთავრდება კონცერტი. მოცეკვავენი მოქანცენენ, თუმცა სახეებს ეს არ ემჩევებათ. მათ დადლილობას ჩოხების სისველეც ამტკიცებს. სახეები ნათელია და კმაყოფილი.

კონცერტი დამთავრდა სცენაზე. მაგრამ იგი გრძელდება დარბაზში. ახლა უკვე აკორდეონთან დოცენტი გ. ხანთაძეა. იგი უკრავს ყოველგვარ სიმღარას, ყველა ეროვნების ცეკვას. მდერიან სტუმრები, მდერიან მასპინძლები! ცეკვავენ მასპინძლები, ქართულ ტანსაცმელში – მეზდვაურს ცეკვავენ სტუმრებიც...

მხიარულებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „დაირღვა“ დისციპლინა (დამის პირველი საათია), იძულებული ვართ დავიშალოთ. დადლილებს მშენივრად გვეძინა.



**ს უ რ ა თ ზ ე: „სახუმარო ტემპა“  
(გ. ქარსელაძე, ლ. მახარაძე)**

ვჯდებით მანქანაში. საით? საშეფო ორგანიზაციებში! იწყება საველე კონცერტები. ყველგან გულთბილი შეხვედრები, მოწონების ტაში. მე-6 კონცერტი ისევ ძირითად ნაწილში. კონცერტის დასახრულს მაღლობა გამოგვიცხადეს მას-პინძლებმა და გადმოგვცეს საჩუქარი - რადიომიმღები და სურათი „ურაინის პეიზაჟი“.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა დოცენტი გ. ხანთიძე. ყველანი გაგვახარა გულთბილმა საჩუქარმა, მაგრამ განსაკუთრებით გახალისებული იყო შ. ჭალაგანიძე. იგი უკვე წარმოდგენით ხედავდა კომპავმირის კომიტეტში დადგმულ რადიომიმღებს და უსმენდა მუსიკის სახია-მოვნო მელოდიებს...

ჩვენს კმაყოფილებას დასკვნა გაუკეთა ვახშამმა, მაგრამ არა სამხედრო ნაწილში, არამედ გაშლილ - ქართულ სუფრასთან, სადაც უხვად იყო ქათამი, გოჭი, მეგრული ღომი, წიწაკა, ტყემალი და მშვენიერი ღვინო, რამაც ყველა გაგვამხიარულა, მაგრამ განსაკუთრებით გაახალისა პაპალა შვილი.

მეორე დღეს ყველანი მდეროდნებ 6. ხუნწარიას ტექსტით და დოცენტი გ. ხანთაძის მუსიკალური გაფორმებით ხიმდევრას:

მზიანმა ფოთის დღეებმა  
ხუმრობაც ბევრი დაოვალა  
უცხო თჯახში სუფრასთან  
ღვინომ აცეკვა პაპალა.

შაბათის გეგმა უფრო მხუბუქი და საპასუხისმგებლო იყო. დღის 2 საათზე - კონცერტი გემ „გოლგაზე“, საღამოს - შეხვედრა პიდრომელიორაციის ტექნიკუმის სტუდენტებთან და ქალაქის ინტელიგენციასთან.

გავიცანით ამ გემის ისტორიაც. აღნიშნული გემით 1937 წელს ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით დემოკრატიულად განწყობილმა მოწინავე საზოგადოების ნაწილმა დატოვა მშობლიური მიწა და თავშესაფარი მონახა ჩვენთან, თავის მეორე სამშობლოში. ისინი ჩადგნენ საბჭოთა ადამიანების რიგებში. საზოგადოების სამსახურში ჩადგა გემი „გოლგაც“.

გემამდე ნაგებით გასეირნებამ, ყოფილი ესპანური გემის „პოან სებასტიან ელანა“ - ამჟამად „გოლგის“ მდიდრული კაიუტების დათვალიერებამ კმაყოფილება მოგვანიჭა.

კონცერტი გაიმართა გემის ესპანურად მოწყობილ სალონში, სადაც „დავლურს“ უვლიდნენ ჩვენი მოცეკვავეები, ესპანურ ენაზე მღეროდა ქართველი ქალი შვილი ე. ახვლედიანი.

ქალაქში გამართულმა კონცერტმა

ყოველგვარ მოღოდინს გადააჭარბა. მოწონების ცენტრში არიან ჩვენი მოცეკვავები, რომლებმაც გაშლილმა სცენაშვრთები გაუშალათ. მათ ქართულ ცეკვაში ჩააქცოვეს ის ლაზათი, შხო, აზრი და სილამაზე, რომლითაც ის მხოფლიოში უბადლოა.

თ. ციციშვილმა უნივერსალის სახელი დაიმსახურა: მდეროდა, ცეკვავდა, ენამოსწრებულად ხუმრობდა. გ. გუგუშვილს ჩვენს წრეში „ფოთის დონატოვიც“ კი შეარქვეს. მან დიდი მოწონება დაიმსახურა, ზოგიერთებმა ხმები გაავრცელებს აგზოგრაფებსაც კი არიგებდა ჯარისკაცებს შორისო.

მოხდენილად იქნა შესრულებული თავისუფალი სპორტული ვარჯიში ჯ. მაჭავარიანის მიერ. კონცერტის ბოლოს პარტიის ქალაქომის სამივე მდივნის მადლობა და აღტაცება პრცლად გამოთ-

ქვა საღამოს გამართულ შეხვედრაზე კომკავშირის ქალაქომის მდივანმა ზ. ნადარეიშვილმა. კმაყოფილნი, უდიდესი შთაბეჭდილებით დავბრუნდით თბილისში, ჩვენს ინხტიტუტში.

ამ პატარა მოგზაურობაზ ყველა დაგვარწმუნა, რომ თუ ამგვარი წახალისებული საშუალებებით ხელს შევუწყობთ ჩვენს თვითშემოქმედებითი კოლექტივების მუშაობის გაშლას, მათ შეუძლიათ ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც დაიმსახურონ მოწონება, გაუთქვან სახლი აღმზრდებს ინხტიტუტს, მის შემოქმედ ახალგაზრდობას.


P.S. დიახ, ასეთები ვიყავით ჩვენ, გასული XX საუკუნის 50-60-იანი წლების სტუდენტ-ახალგაზრდობა; ასეთი გახდათ ჩვენი სტუდენტური წლები.

## IX. ახალი სივრცე

АКАДЕМИЯ  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ НАУК  
ГРУЗИИ

Ш. И. ЧАЛАГАНИДЗЕ

### ОСОБЕННОСТИ ПРИМЕНЕНИЯ ТЕХНИКИ И НЕТРАДИЦИОННЫХ ТЕХНОЛОГИЙ СЕЛЬСКО И ЛЕСОХОЗЯЙСТВЕННЫХ РАБОТ В ГОРНЫХ УСЛОВИЯХ



ТБИЛИСИ 2011

შ. ჭალაგანიძე

Sh.Chalaganidze

ტექნიკისა და არატრადიტული  
ტექნოლოგიების გამოყენების  
თავისებურებანი სამთო სახელმწ  
და სატექ მეურნეობის პრობებში

**Features of application of machinery and  
nonconventional technologies of rural  
and wood economic works in mountain  
conditions**

თბილისი  
Tbilisi  
2011

**III. ჭალაგანიძე – Особенности применения  
техники и нетрадиционных технологий сельско и  
лесохозяйственных работ в горных условиях**

В монографии излагаются выполненные автором в разное время научно-исследовательские работы по вопросам применения техники и нетрадиционных технологий сельско и лесохозяйственных работ в горных условиях, которые были опубликованы, как в научных изданиях, журналах, сборниках Грузии, также и в зарубежных изданиях. По указанным работам были получены соответствующие авторские свидетельства на изобретение и Государственная премия по науке и технике.

Монография рассчитана на научных, инженерно-технических работников, преподавателей и студентов соответствующего профиля.

Монография рассмотрена, одобрена и рекомендована к изданию научно - инженерным отраслевым советом академии сельскохозяйственных наук Грузии (протокол №01, 21 января 2011 года), ученым Советом ГрузНИИМЭСХ (протокол №6, 9 декабря 2010 года) и ученым советом института Леса Грузии (протокол №7, 27 декабря 2010 года).

Автор с благодарностью примет замечания по содержанию монографии.

АКАДЕМИЯ  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ НАУК  
ГРУЗИИ

*Ш.И. ЧАЛАГАНИДЗЕ*

**ОСОБЕННОСТИ ПРИМЕНЕНИЯ  
ТЕХНИКИ И НЕТРАДИЦИОННЫХ  
ТЕХНОЛОГИЙ СЕЛЬСКО И  
ЛЕСОХОЗЯЙСТВЕННЫХ РАБОТ  
В ГОРНЫХ УСЛОВИЯХ**

ТБИЛИСИ 2011

## **Ш.И. ЧАЛАГАНИДЗЕ - ОСОБЕННОСТИ ПРИМЕНЕНИЯ ТЕХНИКИ И НЕТРАДИЦИОННЫХ ТЕХНОЛОГИЙ СЕЛЬСКО И ЛЕСОХОЗЯЙСТВЕННЫХ РАБОТ В ГОРНЫХ УСЛОВИЯХ**

В монографии излагаются выполненные автором в разное время научно-исследовательские работы по вопросам применения техники и нетрадиционных технологий сельско и лесохозяйственных работ в горных условиях, которые были опубликованы, как в научных изданиях, журналах, сборниках Грузии, также и в зарубежных изданиях. По указанным работам были получены соответствующие авторские свидетельства на изобретение и Государственная премия по науке и технике.

Монография рассчитана на научных, инженерно-технических работников, преподавателей и студентов соответствующего профиля.

Монография рассмотрена, одобрена и рекомендована к изданию научно-инженерным отраслевым советам академии сельскохозяйственных наук Грузии (протокол № 01, 21 января 2011 года), ученым Советом ГрузНИИМЭСХ (протокол № 06, 9 декабря 2010 года) и ученым советом института Леса Грузии (протокол №7, 27 декабря 2010 года).

Автор с благодарностью примет замечания по содержанию монографии.

ზ. ბალამწარაშვილი, პ. დუნდუა,  
ბ. ჩიტიძე, გ. აბაიშვილი, ი. გელაშვილი

**ხე-ტყის დამზადებისა და  
ტრანსპორტირების ტექნოლოგია  
I ნაწილი**

**ხე-ტყის დასამზადებელი  
მანქანები და მოწყობილობები  
II ნაწილი**

თბილისი 2013

დამხმარე სახელმძღვანელოებში განხილულია მერქნის ნედლეულის წყაროები და მოხმარების სტრუქტურა. ჩამოყალიბებულია საერთო შეხედულებები ხე-ტყის დამზადების, ტრანსპორტირებისა და მთიან პირობებში ტყეკაფითი სამუშაოების ტექნოლოგიურ პროცესებზე, დამუშავებულია ტყესაკაფი სამუშაოების, ობიექტებისა და ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციის მოდელირების საფუძვლები, ასევე ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგიები და მანქანები მთიან პირობებში სამუშაოდ. მოცემულია მერქნის მორთვების საკითხები, მორთვების წესები და მორსათრევი მანქანების კლასიფიკაცია. შესწავლილია სატყეო ტრანსპორტის მოძრაობის და გამავლობის თეორიის საკითხები და მათი საწევი თვისებების ანალიზი დინამიკური მახასიათებლების დასადგენად.



